22	თ.ჩხიკვაძე, ნ.კეჟერაძე, ქ.ჩხიკვაძე	ვირტუალური ამოცანა – ნამწვი აირების ანალიზი ორსა-ფიშერის ანალიზატორით	მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია :ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“  24.10.2015 – 25.10.2015	ქ.ქუთაისი	2 გვ.
23	ნ. ქსოვრელი	სითხის დუდილის და	„მშენებლობა“	ქ. თბილისი	6 გვ.

		თანმსლები ფიზიკური მოვლენების შესასწავლი ექსპერიმენტული დანადგარი	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. №1(36). 2015.		
24	ე. მაჭავარიანი ნ. ქსოვრელი	თანამედროვე ქართული საზოგადოება და ენერგეტიკული მეცნიერება	„ინტელექტუალი“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. №28. 2015.	ქ. თბილისი	7 გვ.
25	ე. მაჭავარიანი ნ. ქსოვრელი მ. ჯიხვაძე	სითხის დუღილისას თბოგამომყოფ ზედაპირზე მოქმედი ძალის აღძვრის მოვლენის წინასწარი მოდელირების შედეგები	„ენერჯია“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. №2(74). 2015.	ქ. თბილისი	6 გვ.

ანოტაციები

- საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების თბომომარაგება საშეშე მერქნისა და მის შესაძენად გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვან რაოდენობას მოითხოვს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ამ პრობლემას გადაჭრა შესაძლებელია რეგიონებში არსებული ნარჩენი ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებით. კერძოდ, დადგენილია, რომ მცხეთა-თიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის მოსავლისა და ხეტყის ნარჩენი ბიომასის წლიური ენერგეტიკული პოტენციალი (75 650 მგვტ.სთ) მრავალჯერ აღემატება ამ რეგიონში მოქმედი საჯარო სკოლების გასათბობად საჭირო ენერჯიის წლიურ რაოდენობას (4 500 მგვტ.სთ).
- ენერგორესურსების დაზოგვისა და ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს ელექტროენერჯიის გენერაციის სფეროში. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ფართოდ ინერგება ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შესამცირებლად. სტატიაში განხილულია ერთ-ერთი ტექნოლოგია - „Carbon capture and storage (CCS)“, რომელიც ითვალისწინებს სათბობის წვის აირადი ნაწარმიდან (CO<sub>2</sub>)-ის გამოყოფას, მის შემდგომ გათხევადებას და შენახვას მოპოვებული ნავთობის დაცარიელებულ მიწისქვეშა ფენებში, ფორიან-წყლოვან სტრუქტურებში ან ოლიგინური სარტყლის გეოლოგიურ წარმონაქმნებში. წვის აირადი ნაწარმიდან (CO<sub>2</sub>)-ის სეპარაციისათვის სარგებლობენ სპეციალურად შემუშავებული მაღალტემპერატურული (>600°C) არაორგანული მემბრანებით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე ბუნებრივი აიარისა და ნახშირბადის გაზიფიკაციის დროს მიღებული გენერატორული აირის გასაწმენდად.
- ნაშრომში აღწერილია შენობებში ენერჯიის დაზოგვათან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები. დადგენილია, რომ ენერგოეფექტურობის ყველაზე დიდი პოტენციალი

არსებობს შენობებისა და ტრანსპორტის სექტორში. შენობები თბილისში მოიხმარენ მთელი ენერჯის დაახლოებით 40%. საყოფაცხოვრებო სექტორის შენობათა მთლიანი ფართობი თბილისში 37 მილიონ კვ.მ-ს შეადგენს და იგი სამ ქვესექტორად იყოფა: მრავალბინიანი შენობები (60-65%), რომლებიც საბჭოთა პერიოდში აშენდა, კეძო სახლები (20-25%) და შერეული ტიპის ბინები (10-12%). შენობის გარსის თერმოიზოლაციური მახვენებლების გაუმჯობესებას შეუძლია შეამციროს გათბობის სისტემის ენერგომოხმარება 40-50%-ით. არსებული შენობების თბოიზოლაციის მახასიათებლები შეიძლება გაიზარდოს რემონტის, ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მაცხოვრებელთა ქცევის შეცვლით, რაც 2020 წლისთვის 20%-ით შეამცირებს სათბურის გაზების ემისიას. მოცემულია, SEAP პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა, კერძოდ: ხელშემწყობი გარემოს შექმნა; შესაძლებლობებით უზრუნველყოფა; სადემონსტრაციო მაგალითების შერჩევა; მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვება; მოქალაქეების უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა ამ ღონისძიებათა განხორციელებაში; მონაწილე მხარეების მხარდაჭერის მოპოვება და მათი ჩართვა სამოქმედო გეგმის ღონისძიებათა განხორციელებაში.

წლების მიხედვით გაანალიზებულია გარე განათების წერტილების რაოდენობა და მათ მიერ მოხმარებული ელექტრული ენერჯის რაოდენობა. დადგენილია, რომ საბაზისო სცენარის მიხედვით გარე განათების ენერგომოხმარება მომავალში გაიზრდება და 2020 წლისთვის მიაღწევს 52,78 ათას მგვტ სთ. ხოლო CO<sub>2</sub>-ის ემისია წელიწადში 21.11 ათას ტონას. წარმოდგენილია ქ. თბილისის გარე განათების მიერ ელექტრული ენერჯის მოხმარების დინამიკა და ემისიის ტრენდი გარე განათების სექტორიდან BAU სცენარის მიხედვით, 2010-2020 წწ.

4. ნაშრომში მოცემულია, მერების შეთანხმების ფარგლებში, ქ. თბილისის მდგრადი ენერგეტიკული განვითარების სამოქმედო გეგმა (SEAP). 2009 წლის საბაზისო ემისიის ინვენტარიზაციის თანახმად დადგენილია, რომ CO<sub>2</sub>-ის ემისიის მთავარ წყაროდ ადგილობრივი ტრანსპორტის სექტორი თვლება. ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენა და განვითარება განსაზღვრულია, როგორც სექტორის მოკლევადიანი სტრატეგია. საშუალოვადიანი სტრატეგია მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილის გაზრდას. ხოლო გრძელვადიანი სტრატეგია – კი კერძო ავტომობილების მოძრაობის შეზღუდვას და დაბალიემისიის მქონე მანქანების წახალისებას. დაც შეეხება საყოფაცხოვრებო და მუნიციპალურ შენობებს დაგეგმილია გათბობის სისტემების ეფექტურობისა და გათბობის სფეროში განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაზრდა. BAU სცენარის მიხედვით, მოცემულია საყოფაცხოვრებო და მუნიციპალური შენობების ენერჯის მოხმარება და სათბურის გაზების ემისიების ტრენდი 2020 წლამდე.

5. ნაშრომში განხილული სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანია ქ. ქუთაისში ენერჯის მოხმარების შედეგად მიღებული CO<sub>2</sub>-ის ემისიის შემცირება და ამასთან, ემისიის შთანთქმის ბუნებრივი წყაროების გაზრდა და განვითარება. სამოქმედო გეგმაში განხილულია სათბურის გაზების ემისიების სამი ძირითადი სექტორი – ტრანსპორტის, შენობების და ინფრასტრუქტურის. გეგმა მომზადდა 2014 წელს და მოიცავს 2020 წლამდე დარჩენილ 6 წელიწადს. სამოქმედო გეგმაში, ყველა სექტორისათვის, განხილულია ემისიების შემცირების სტრატეგია მხოლოდ ორი პერიოდით: მოკლევადიანი (2014-2017) და გრძელვადიანი (2018-2020). მოკლევადიან პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები კონკრეტულია და დეტალურია, ხოლო გრძელვადიან პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები უფრო



სტრატეგიული თვალსაზრისითაა განხილული და საჭიროებენ დამატებით კვლევას, დაგეგმვას და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.

6. ნაშრომში განმარტებულია „მდგრადი განვითარების“ არსი. დახასიათებულია მდგრადი განვითარების და გარემოსდაცვითი საკითხების ხელშემწყობი გზები. განხილული დანადგარები და სისტემები, რომელებიც მუშაობენ ხელოვნურად შექმნილი სითბოს აკუმულიატორის, მზის მარილიანი ავზის საშუალებით. აღწერილია ჰელიოსაშრობის, ჰელიოლუმენის, ჰელიოაბანოს, ჰელიობიოგაზის, ჰელიოწყალსაქაჩის მუშაობის პრინციპი. დასაბუთებულია, რომ აღნიშნული დანადგარები და სისტემები არიან მრავალფუნქციური და შეუძლიათ გადაწყვიტონ კონკრეტული ამოცანები ზაფხულის პერიოდში. ეს დანადგარები და სისტემები უზრუნველყოფენ ეფექტიან ენერგოდაზოგვას და ორგანული სათბობის მნივნელოვან ეკონომიას. საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე აღნიშნული მიღწევადია შემოდგომასა და ზამთრის დასაწყისშიც.

7. ნაშრომში განხილულია ენერგეტიკის დაბალემისიებიანი განვითარების სამი შესაძლო სცენარი, კერძოდ, ემისების შემცირება 15%, 20% და 25%-ით BAU სცენართან შედარებით. დადგენილია, რომ თუ მიზანი იქნება ემისიების 15%-ით შემცირება, საბოლოო ენერჯის მოხმარება 5%-ით შემცირდება, 20%-იანი მიზნის შემთხვევაში - 7%-ით და 25%-იანისათვის კი - 9.5%-ით. ემისიების 15%-ით შერბილების სცენარის შემთხვევაში, ერთიანი სისტემის ხარჯი საბაზისო ნიშნულიდან იზრდება 0.60%-ით (336 მლნ ევრო), ემისიების 20%-ით შემცირების შემთხვევაში - 1.06%-ით (589 მლნ ევრო), და ემისიების 25%-ით შემცირების შემთხვევაში - 1.68%-ით (930 მლნ ევრო), რაც მიანიშნებს, რომ საქართველოსთვის კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნების მიღწევა ამ სქემით ძალიან ძვირი არ ჯდება. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა რომ; ელექტროენერჯის გენერირების სიტემაში განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების წილის გაზრდით, 2030 წლისათვის, შეიძლება 332 000 ტონით შევამციროთ CO<sub>2</sub> BAU-თან შედარებით; კომუნალურ და საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებით და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებით დაიზოგება 1075000 ტონა CO<sub>2</sub> BAU-თან შედარებით; მრეწველობაში ენერგოეფექტურობის გაზრდა დაზოგავს 519000 ტონა CO<sub>2</sub> BAU-თან შედარებით, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადაყვანა კი 309000 ტონა CO<sub>2</sub> BAU-თან შედარებით

8. მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში ჩატარებულმა სათბურის გაზების მესამე ინვენტარიზაციამ, აჩვენა, რომ საქართველოში სათბურის გაზების ემისიებში წამყვან სექტორს ენერგეტიკის სექტორი (ტრანსპორტის ქვესექტორის ჩათვლით) წარმოადგენს. ამიტომ ემისების შემცირების ღონისძიებათა დაგეგმვისას ძირითადი აქცენტი ამ სექტორზე გააკეთდა. ენერგეტიკის სექტორის ანალიზს საფუძვლად დაედო ეროვნული MARKAL-ის ინტეგრირებული ენერგოსისტემის მოდელი MARKAL-Georgia. მოდელის საშალებით გაანალიზებული იქნა როგორც საბაზისო (BAU) სცენარი, ასევე მასთან შედარებით 15, 20 და 25%-ით ემისიების შემცირების სტრატეგიები. საბოლოო ენერჯის მოხმარების კუთხით, 2030 წლისთვის მოსალოდნელია ენერჯის მოხმარების 76.6%-ით, ხოლო ნახშირორქანის ემისიის კი 72.3%-ით ზრდა და სავარაუდოთ 11 179 ათას ტონას მიაღწევს. ემისიების ზრდა დღის წესრიგში აყენებს დაბალემისიებიან განვითარების სტრატეგიის განხორციელების

საჭიროებას. გამოთვლებმა აჩვენა, რომ ემისიების მხოლოდ 15%-ით შემცირება 2030 წლისთვის ენერჯიაშემცველთა იმპორტის 13%-ზე მეტით შემცირებას გამოიწვევს, რაც გაამყარებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას. ემისიების 20%-ით შემცირების შემთხვევაში იმპორტი 18%-ით შემცირდება, ხოლო 25%-ით შემცირებისას კი - 23%-ით.

9. ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების სცენარის მიხედვით, შეფასებულიასაქართველოში ენერგოსისტემის განვითარებაზე სხვადასხვა პოლიტიკისათუ პროგრამის ზეგავლენა.2030 წლისათვის პირველადი ენერჯიის მოხმარების მაჩვენებელი მიაღწევს 7189 ათას ტნე-ს ანუ იქნება 72.2%-იანი ზრდა 2012 წელთან შედარებით. ზრდის მესამედი მოვა ბუნებრივ აირზე. 2015-2030 წწ ქვეყანამ უნდა მიიღოს დამატებითი სიმძლავრეები, კერძოდ, 2601 მგვტ ჰიდროელექტროსადგურებიდან, 50 მგვტ ქარის ელექტროსადგურიდან, 160 და 230 მგვტ ნახშირზე და გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურიდან. ახალი, 3 041 მგვტ ელექტროგენერაციის სიმძლავრე, რომელიც საერთო ჯამში 3 831 მლნ ვეროს ოდენობის ინვესტიციას მოითხოვს. ამ ინვესტიციების უდიდეს ნაწილს კერძო სექტორი განახორციელებს, საყოფაცხოვრებო სექტორის ჩათვლით. 2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით, საწვავით მომარაგების ხარჯებიც მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც განპირობებული იქნება მზარდი მოთხოვნითა და მზარდი ფასებით, დღეს არსებული წელიწადში 1 167 მლნ ევროდან - 2 180 მლნ ევრომდე, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსზე. საბაზისო სცენარის მიხედვით ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მიაღწევს 5731 მგვტ-დაშვების თანახმად, 2018 წლიდან გამომუშავებული ელექტროენერჯიის 25-35% ექსპორტზე გავა.

10.განხილულია გეოთერმული წყლების რაციონალური გამოყენების სპეციფიკა და პერსპექტივები.ცდის მონაცემთა დამუშავების შედეგად მიღებულია ემპირიული ფორმულა სათბურების კუთრი თბური დათვიროვის გაანგარიშებისათვის.

11.ჩატარებულია გეოთერმული წყლების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და წარმოდგენილი იმ პრობლემების რიგი, რაც ამუხრუჭებს დარგის განვითარებას. შემოთავაზებულია გეოთერმული წყლების გამოყენების შესაძლო ვარიანტები თბოსიცივით მომარაგებისათვის სხვადასხვა ტემპერატურების მიხედვით.

12. ექსპერიმენტალურად შესწავლილი იქნა მცენარეული საკვები ზეთების სხივის გარდატეხის კოეფიციენტი,რაც იძლევა საკვლევი ობიექტის დაფიქსირების საშუალებას და ამ კოეფიციენტს დიდი გამოყენება აქვს ცხიმის წარმოებაში, რადგან მისი საშვალებით ზუსტად შეიძლება დადგინდეს ცხიმის სისუფთავე.

13.ბინარული ტიპის ქვებ-უტილიზატორიანი თბოფიკაციური ორთქლაირული დანადგარები გამოირჩევა ელექტროენერჯიის მაქსიმალური გამომუშავებით თბური მოხმარების ბაზაზე და ყველაზე პერსპექტიულია თეცებისათვის. დადგენილია, რომ ქვებ-უტილიზატორიანი ორთქლაირული თეცის ენერგოეფექტურობა ძირითადად დამოკიდებულია გამოყენებული ატდ-ის მქ კოეფიციენტზე და თბოფიკაციური ორთქლის ტურბინის ენერგოეფექტურობის მაჩვენებლებზე. აოტდ-თეცში, ელექტროენერჯიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე ყველაზე მაღალია და 2,0...2,3 –ს აღწევს. შესაბამისად ყველაზე მეტია სათბობის ფარდობითი ეკონომია ენერგოსისტემაში (35...47%). ეს მაჩვენებელი არსებითად არის დამოკიდებული ჩასანაცვლებელი რაიონული საჭვების და კონდენსაციური

ელექტროსადგურის მქ კოეფიციენტზე.
14.სტატიაში განხილულია გეოთერმული წყლების ეფექტური გამოყენების და განვითარების პერსპექტივები. შეფასებულია მსოფლიო ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაბალი და მაღალ ტემპერატურის გეოთერმული ენერჯის შესახებ მიღებული მონაცემები. დასაბუთებულია მიზანშეწონილობა გეოთერმული წყლების გამოყენებისა , რომელიც იძლევა სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიას და აუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას
15.მოცემულია გეოთერმული წყლების კომპლექსური, ეფექტური გამოყენების შედეგები. მიღებულია ანალიზური დამოკიდებულება გეოთერმული კომპლექსური სისტემის პროექტირებისათვის.
16.სტატიაში წარმოდგენილია მზის ენერგეტიკული პოტენციალის თანამედროვე პოტენციალი და მისი გამოყენების სფეროები, კახეთის რეგიონისთვის.
17.სტატიაში წარმოდგენილია კვების მრეწველობაში თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების ფართოსპექტრი, კერძოდ, ჩაის ფოთლის გადამამუშავების და სენახვის პროცესები.
18.სტატიაში შეფასებულია იმერეთის რეგიონში გეოთერმული წყლების გამოყენების ახლანდელი მდგომარეობა.
19.სტატიაში განხილულია გეოთერმული ენერჯის გამოყენებისას შეფასების მეთოდები.
20.სტატიაში საკმაოდ წარმოდგენილია როგორც სითბოს დიდი აკუმულატორი და თბური ტუმბოს მეშვეობით გადაჭრილია შავი ზღვისპირა საკურორტო ზოლში ეკოლოგიური პრობლემები.
21.სტატიაში მოცემულია ტყიბულ–შაორის საბადოს ქვანახშირის თბოუნარიანობის ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები
22.განხილულია ვიზუალ ბეისიკში შექმნილი ვირტუალური ლაბორატორიული სამუშაოს მუშაობის პრინციპი.
23. ნაშრომში წარმოდგენილია სითხეების დიდ მოცულობაში დუდილის პროცესისა და მისი თანმხლები ფიზიკური მოვლენების, კერძოდ, მდუღარე სითხის მხრიდან აღძრული და გამახურებელ ზედაპირზე მოქმედი რეაქტიული ძალის შესასწავლად დაპროექტებული და დამზადებული, ახალი, ორიგინალური ექსპერიმენტული დანადგარის აღწერა და მოცემულია ცდების ჩატარების მეთოდოლოგია. ექსპერიმენტული დანადგარი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესებისათვის, ასევე სასწავლო მიზნით, ტექნიკური უნივერსიტეტების თბოენერგეტიკული სპეციალობის სტუდენტებისათვის.
24. ნაშრომში განხილულია საზოგადოებისა და ზოგადად მეცნიერების ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტი. ნაჩვენებია, რომ საზოგადოებრივი აზრის და მასმედიის საშუალებების ზემოქმედება მეცნიერების პროგრესზე ხშირად შეიძლება ატარებდეს უარყოფით ხასიათს. გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოში ავტოგაზიფიკაციის განვითარების და ფიქალური

გაზის მოპოვების მონდომების უეჭველი სარგებლიანობის შესახებ.

25. ნაშრომში წარმოდგენილია მდულარე სითხის მიერ ხურების ზედაპირზე რეაქტიული ძალის წარმოქმნის მოვლენის ჩვენს მიერ შემუშავებული ფიზიკური და გეომეტრიული მოდელები, რომელთა დამუშავება აუცილებელია მდულარი სითხის მხრიდან ხურების ზედაპირზე აღძრული რეაქტიული ძალის და მისი წარმოქმნის პირობების გამოსაკვლევა. ჩვენი მოდელები დაფუძნებულია მზარდი ბუშტის ტუმბოს ეფექტისა და ბუშტის ქვეშა სითხის სოლისებული არედან აორთქლების კონცეფციების გაერთიანებაზე. ეს კონცეფციები საკმაოდ კარგად ეთანადება ერთმანეთს და ამის საფუძველზე დავამუშავეთ შესასწავლი მოვლენის, კერძოდ რეაქტიული ძალის წარმოქმნის დაზუსტებული გეომეტრიული მოდელი. ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკენით, რომ შესასწავლი ფიზიკური მოვლენის ჩვენს მიერ დამუშავებული გეომეტრიული მოდელის გამოყენებით შესაძლებელი გახდება აღწერილი მოვლენის ზუსტი მათემატიკური მოდელირება.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. მაჭავარიანი ნ. ქსოვრელი მ. ჯიხვაძე	მდულარე სითხის მიერ ხურების ზედა-პირზე რეაქტიული ძალის წარმოქმნის წინასწარი მოდელირების შედეგები	ქ. ქუთაისი
2	ე. მაჭავარიანი ჯ. რუსიშვილი ბ. გიგინეიშვილი ნ. ქსოვრელი	ორთქლადქცევის პროცესში მოლეკულების მოძრაობის რაოდენობის ცვლი-ლებით გამოწვეული ძალის იმპულსით  მომუშავე თბური მანქანის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ	ქ. ქუთაისი
3	ე. მაჭავარიანი	სითხეების დუდილის პროცესის და კრიტიკული	ქ. ქუთაისი

	ნ. ქსოვრელი მ. ჯიხვაძე	თბური დატვირთვის შესასწავლი ლაბორატორიული დანადგარი	
4	ე. მაჭავარიანი ლ. რობაქიძე გ. გიგინეიშვილი	კუმშვის პროცესების და წნევის სწავლების ეფექტური მეთოდიკა	ქ. ქუთაისი
ანოტაცია			
<p>1. ნაშრომში მოცემულია დუდილის პროცესში მდულარე სითხის მხრიდან აღძრული და გამახურებელ ზედაპირზე მოქმედი რეაქტიული ძალის გამოყენებაზე დაფუძნებული უწყვეტი მოქმედების თბური მანქანის ერთ-ერთი შესაძლო კონსტრუქციული ვარიანტი. აღწერილია მისი მუშაობის პროცესი და დასახულია კვლევის შემდგომი ამოცანები</p>			
<p>2. ნაშრომში წარმოდგენილია მდულარე სითხის მიერ ხურების ზედაპირზე რეაქტიული ძალის წარმოქმნის მოვლენის ჩვენს მიერ შემუშავებული ფიზიკური და გეომეტრიული მოდელები, რომელთა დამუშავება აუცილებელია მადულარი სითხის მხრიდან ხურების ზედაპირზე აღძრული რეაქტიული ძალის და მისი წარმოქმნის პირობების გამოსაკვლევადა. ჩვენი მოდელები დაფუძნებულია მზარდი ბუშტის ტუმბოს ეფექტისა და ბუშტის ქვეშა სითხის სოლისებური არედან აორთქლების კონცეფციების გაერთიანებაზე. ეს კონცეფციები საკმაოდ კარგად ეთანადება ერთმანეთს და ამის საფუძველზე დავამუშავეთ შესასწავლი მოვლენის, კერძოდ რეაქტიული ძალის წარმოქმნის დაზუსტებული გეომეტრიული მოდელი. ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ვასკენით, რომ შესასწავლი ფიზიკური მოვლენის ჩვენს მიერ დამუშავებული გეომეტრიული მოდელის გამოყენებით შესაძლებელი გახდება აღწერილი მოვლენის ზუსტი მათემატიკური მოდელირება.</p>			
<p>3. ნაშრომში აღწერილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაპროექტებული და დამზადებული ლაბორატორიული დანადგარი, რომლის საშუალებით შესაძლებელია სითხეების დუდილის პროცესის, დუდილის დროს თბოგაცემის მოვლენის და კრიტიკული თბური დატვირთვის ექსპერიმენტული შესწავლა. ეს დანადგარი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესებისათვის, ასევე სასწავლო მიზნებით ტექნიკური უნივერსიტეტის თბოენერგეტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის.</p>			
<p>4. ნაშრომში გადმოცემულია აირების კუმშვის პროცესის და მისი თანმხლები ფიზიკური მოვლენების სწავლების მადალეფექტური მეთოდიკა. მეთოდიკა დაფუძნებულია ნივთიერებათა მოლეკულურ კინეტიკური თეორიის ძირითად ცნებებზე და მრავალ, პრაქტიკული ხასიათის მაგალითზე. ხსენებული მეთოდიკის გამოყენების მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასკოლო ფიზიკის კურსის არაჯეროვანი ცოდნის მიუხედავად, სტუდენტები კარგად ითვისებენ წნევის, როგორც აირის მდგომარეობის მახასიათებელი ერთერთი პარამეტრის, ფიზიკურ შინაარსს და კარგად იგებენ აირების კუმშვის პროცესის თანმხლებ ფიზიკურ მოვლენებს.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ე. მაჭავარიანი გ. გიგინეიშვილი	Steam engine-pump for solar collector-based hot water supply	ქ. სტამბოლი (თურქეთი)
ანოტაცია			
<p>The paper describes the current state and prospects for further development of proposed earlier specific steam engine-pump (SEP) alternating evaporation and condensation processes of an intermediate agent in the single working chamber. When integrated with a solar flat-plate collector (FPC), the SEP can circulate heat carrier (usually water) through the solar heat supply system without the power consumption and virtually no heat loss. Three prototypes of the SEP have been manufactured and tested. The results have demonstrated feasibility of the pumping process and encouraging initial level of its efficiency. The critical dependence of the pump capacity and efficiency from the durations of evaporation and condensation stages was identified. Theoretical and experimental investigations of heat transfer during evaporation of intermediate agent on heated capillary surface and during condensation on the moving membrane also have been performed. The problems of self-startup and stable operation have been solved. "Two-speed condensation node" (slow condensation at the discharge stage and fast condensation on the suction stage) is offered as a mean for further essential improvement the pumping capacity. The new modification of the SEP is offered that should allow to dramatically vary the intensity of condensation within the working cycle. The design of the relevant new prototype of the SEP (to be manufactured and tested) is presented. Prospects for further development of the SEP are appraised.</p>			

IV.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)

1	ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების მისაღები ტექნოლოგიური ღუმელის კონსტრუქციული დამუშავება.  საინჟინრო მეცნიერებები  ენერგეტიკა	ნ. ქვეხიშვილი	თ. ნაცვლიშვილი  ნ. ჯავშანაშვილი	
სამუშაო დასრულებულია. დამუშავდა ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების მისაღები ტექნოლოგიური სამრეწველო ღუმელის კონსტრუქციული სქემა.				

**ჰიდროენერგეტიკის და მახსტრალური სამილსადნო  
სისტემების დეპარტამენტი**

(ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი იური ლომიძე)

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სულ 12 თანამშრომელი, მათ შორის 5 პროფესორი და 3 ასოცირებული და  
2 ასისტენტ პროფესორი, 1 უფროსი მასწავლებელი, 1 უფროსი სპეციალისტი

**II.1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. ლომიძე	მცირე ჰესები - ადგილობრივი და რეგი-	საერთაშორისო სამეცნიერო	ქ.ქუთაისი.	5 გვ.

გ. ხელიძე, ლ. შატაკიშვილი, ნ. კიკაჩიშვილი	ონალური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი	კონფერენცია “ მდგრადი ენერგეტიკა: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები”. 18 ივნისი, 2015 წ.,		
2. ი. ლომიძე. თ. მრევლიშვილი	მაგისტრალური მილ- სადენების ტექნიკური დია- გნოსტიკის თანა- მედროვე მეთოდები (მილშიდა დიაგნოსტიკა)	„ენერგია“ სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი. №1(73). 2015.	ქ.თბილისი	5გვ.
3. ი. ლომიძე. თ. მრევლიშვილი	ხანგრძლივ ექსპლუატა- ციაში მყოფი მაგისტრა- ლური მილსადენების ტექნიკური მდგომარეო- ბის შეფასება	„ენერგია“ სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი. №2(74). 2015.	ქ.თბილისი	5გვ.
4. ი. ლომიძე. თ. მრევლიშვილი	გაზსადენის დეფორმი- რებული უბნის ტექნიკური (ფაქტიური) მდგომარეობის შეფასება	„ენერგია“ სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი. №3(75). 2015.	ქ.თბილისი	5გვ.

ანოტაციები

1. დღეისათვის საქართველოს მდინარეების მცირე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 4.65%-ია ათვისებული. ამასთან, მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც მოშორებულია ელექტროგადამცემი ხაზებიდან. ნაშრომში განხილულია ბორჯომის რაიონის სოფელ მხეთამხეს მიმდებარედ მდინარე გუჯარულაზე მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მოწყობის შესაძლებლობა.

2. განხილულია მაგისტრალური ნავთობგაზსადენების დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდი- მილშიდა დიაგნოსტიკა. მილშიდა სადიაგნოსტიკო მოწყობილობების ნაირსახეობები და ტექნოლოგიური პროცესის წარმართვის თავისებურებები. მაგალითად: განხილულია მაგნიტური დეფექტოსკოპით, ულტრაბგერითი დეფექტოსკოპით, ელექტროჭაღლური დეფექტოსკოპით, კომბინირებული დეფექტოსკოპით და ე.წ. კალიბრატორით ჩატარებული



კვლევების თავისებურებები და ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი არსი და მიზანი. შეფასებულია მიღწეული დიაგნოსტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

3. განხილულია ხანგრძლივ ქსპლუატაციაში მყოფი მაგისტრალური მილსადენების დიაგნოსტიკის მეთოდები, მილსადენის ექსპლუატაციის სპეციფიური მდგომარეობის გათვალისწინებით. მოყვანილია მილსადენის დეფექტების სახეობები და მათი გამოწვეული მიზეზები. განმარტებულია მილსადენის ტექნიკური დიაგნოსტიკის ტექნოლოგიური პროცესის ცნება და მისი ჩატარების აუცილებლობა.

4. განხილულია მათემატიკური გაანგარიშების გზით საქართველოში არსებული მაგისტრალური გაზსადენის დაზიანებული, დეფორმირებული უბნის მუშაუნარიანობის შეფასების მეთოდიკა. გაანგარიშებაზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოცემული პარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელია გაზსადენის ექსპლუატაციის გაგრძელება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩატარებული იქნება სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია გაზსადენების ექსპლოატაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, რადგან მათემატიკური გაანგარიშების მეთოდიკა იძლევა რეალური დასკვნის გაკეთების საშუალებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაზსადენების უწყვეტი და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

## სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

### წლიური სამეცნიერო ანგარიში

**საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტი №301**

დეპარტამენტის უფროსი – პროფესორი მალხაზ ხურციძე

პერსონალური შემადგენლობა: დეპარტამენტში მოღვაწეობს:

პროფესორი - 4

ასოცირებული პროფესორი - 4

ასისტენტ პროფესორი – 2

მოწვეული პროფესორი – 3

მოწვეული ასოცირებული პროფესორი -1

#### II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნაუმ ტურაბელიძე, თენგიზ ურუშაძე, ფატიმა ქვაცაბაია, თამარ ქვრივიშვილი.	მიწის კადასტრი	“მწიგნობარი” თბილი 2015 წ.	215
2	ნაუმ ტურაბელიძე, ფატიმა ქვაცაბაია	სამიწათმოქმედობის დაპროექტება	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი	280

			2015წ.	
3	მურმან მესხი, გიორგი ჭიაურელი	გამოყენებითი გეოდეზიის პრაქტიკული სამუშაოები	ტექნიკური უნივერსიტეტი  თბილისი 2015წ.	103
ანოტაციები				
<p>1. წიგნში “მიწის კადასტრი” განხილულია მიწის კადასტრის წარმოების ისტორია, მიწის კადასტრის შემადგენელი ნაწილები – აღრიცხვა, ბონიტირება, შეფასება და რეგისტრაცია, მიწის რეფორმა, მიწების ეკონომიკური შეფასების პროცესი, გადასახადის დადგენის წესი, გეოინფორმაციული უზრუნველყოფის შინაარსი, მიწების რეგისტრაციის პროცესი, საჯარო რეესტრის შინაარსი და საინფორმაციო მონაცემების ხელმისაწვდომობა.</p> <p>2. სახელმძღვანელოში “სამიწათმოქმედო დაპროექტება” განხილულია : დაპროექტების მეთოდოლოგია; პროექტის შედგენის და დასაბუთების მეთოდი ; სამეურნეობათა შორის მიწათმოქმედების შინაარსი; გარემოსა და მიწების დაცვის საკითხები; შიდასამეურნეო მიწათმოქმედების შინაარსი – სავარგულების ორგანიზაცი-თესლბრუნვების, მრავალწლიანი ნარგავების, სათიბებისა და საძოვრების ტერიტორიის მოწყობის მეთოდები, ხერხები და პრინციპები; დასახელებულია პროექტის ეკონომიკური დასაბუთების მახვენებლები; აღწერილია საპროექტო დოკუმენტაციის გაფორმების წესები.</p> <p>3. განხილულია საინჟინრო ნაგებობათა გეოდეზიური უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოები მოკლე თეორიულ წინამძღვრებთან ერთად. ყურადღება გამნახვილებულია საინჟინრო ობიექტების გეოდეზიური მომსახურებისათვის გეგმიური სასიმაღლო ქსელების პროექტების შეფასების როგორც მიახლოებით, ისე ზუსტ მეთოდებზე.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მურმან მესხი, სულიკო ფილარიშვილი, რამაზ იმნაძე	ენგურჰესის ტექნიკური სისტემის დროითი რიგების მოდელების იდენტიფიკაცია	სტუ.-ს შრომების კრებული №1	ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2015წ.	

2	მურმან მესხი, სულიკო ფილარიშვილი, რამაზ იმნაძე	ენგურჰესის ტექნიკური სისტემის დროითი რიგების მოდულების პარამეტრების შეფასება და ადეკვატურობის დიაგნოსტიკური შემოწმება	სტუ.-ს შრომების კრებული №1	ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2015წ	
3	ვაბაშიძე, თ.ცაგურია, ე.საყვარელიძე, გ.ქუთელია მ.ნოდია	კიდევ ერთხელ თბილისში საყრდენ გრავიმეტრიულ პუნქტზე და საეტალონო პოლიგონზე (რუსულ ენაზე)	გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. LXV.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2015წ.	6
4	ვ. აბაშიძე, თ. ჭელიძე, თ. ცაგურია, ნ. დოვგალი, ლ.დავითაშვილი, მ.ნოდია	ახალი მონაცემები ენგურჰესის რაიონში მარჯვენა სანაპიროს რღვევის ბლოკების ყოფაქცევაზე წყალსაცავში წყლის რეგულირებისა და ატმოსფერული ნალექების დროს (რუსულ ენაზე)	გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. LXV.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2015წ	5
5	გ. შატბერაშვილი, მ. ხომერიკი რ.მიხელსონი	დაძაბულობათა ტალღების პარამეტრების საშუალებით	სამთო ჟურნალი №1	თბილისი 2015წ.	3

		ფეთქებადი ფეთქებადი ნივთიერების დადგენის მეთოდოლოგია			
6	გ.შატბერაშვილი, ზ.კუჭუხიძე, ა.აფრიაშვილი, გ.ბახუტაშვილი გ.თხელიძე, ი.სამხარაძე.	დამცავი ფეთქებადი ნივთიერებების ანტიგრიზუტული თვისებები	სამთო ჟურნალი №2	თბილისი 2015წ.	

ანოტაციები

1. სტატიში მოცემულია ენგურჰესის წყალსაცავისა და კაშხლის გადამცემი ფუნქციის პარამეტრული მოდელის იდენტიფიცირების პროცესი. გადამცემი ფუნქციის შემავალი პროცესია წყალსაცავში წყლის დონის ცვლილების დროითი რიგი, ხოლო გამოშვალ-დახრმზომის მაჩვენებელთა დროითი რიგი. იდენტიფიცირება სრულდება ავტო და ურთიერთკორელაციული ფუნქციების დახმარებით. შედეგად მიღებულია ავტორეგრესიული, მულტიპლიკატორული სახის მოდელები.

2. სტატიაში მოცემულია წყალსაცავში წყლის დონის და დახრმზომის მაჩვენებელთა დროითი გადამცემი ფუნქციის მოდელების პარამეტრების დადგენა უმცირეს კვადრატთა მეთოდით. დადასტურებულია მიღებულ მოდელთა ადექვატურობა ნარჩენი შეცდომების ავტოკორელაციებითა და  $X^2$  კრიტერიუმით. მოდელების გამოყენება შესაძლოა წყალსაცავში წყლის დონის ცვლილებაზე კაშხლის რეაქციის დროის საკვლევადა.

3. თბილისში საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტი შეიქმნა გასული საუკუნის დასაწყისში სეისმური ობსერვატორიის შენობაში, რომელიც მდებარეობდა პლენანოვის გამზირის №150 (ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირი). მოგვიანებით ობსერვატორიის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ეს პუნქტი გაუქმდა. ახალი საყრდენი პუნქტი შეიქმნა გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის მიმოქცევის შემსწავლელ ლაბორატორიაში ჭონქაძის ქუჩა №20-ში. 2010 წლიდან ლაბორატორიის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ეს საყრდენი გრავიმეტრიული პუნქტი კვლავ გაუქმდა. ახალი პუნქტი მდებარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარდაფში, გეოფიზიკის კათედრის გრავიმეტრიულ ლაბორატორიაში (ჭავჭავაძის №3 უნივერსიტეტის II კორპუსი). მ პუნქტთანაა დაკავშირებული თბილისი-წყნეთის საავტომობილო გზაზე არსებული გრავიმეტრების საეტალონო პოლიგონიც.

4. ენგურჰესის რაიონში მდ.ენგურის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი რღვევის ბლოკების ყოფაქცევის შესასწავლად 1974 წლიდან მიმდინარეობს უწყვეტი დაკვირვებები კვარცის ექსტენზომეტრით (დეფორმოგრაფით) ფოტოოპტიკური რეგისტრაციით. 2014 წლის თებერვლიდან ამ ექსტენზომეტრზე პარალელურ რეჟიმში დაყენებულ იქნა ლაზერული რეგისტრაცია, რომელმაც ზოგადად დადასტურა ბლოკების ამოწვევა-დაწვევა წყალსაცავში წყლის რეგულირების დროს. მარამ მან აგრეთვესაშუალება მოგვცა დიდი წვიმების დროს დაგვეფიქსირებინა ბლოკების დაახლოება და დაცილების ეფექტი, რაც მაღალი სიზუსტის გამო ფოტოოპტიკური რეგისტრაციით ვერ ხერხდებოდა. მ ფაქტის ზუსტი რაოდენობრივი

შეფასება მომდევნო წლებში იქნება შესაძლებელი, როცამეტი დაკვირვებითი მასალა დაგროვდება.

5. სტატიაში მოცემულია ფეთქებადი ნივთიერებების ეფექტურობის დადგენის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით ფეთქებადი ნივთიერების მუშაუნარიანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიღებულია დაძაბულობათა ტალღების ენერჯის ნაკადის სიმკვრივე და მნიშვნელობები, მიღებული ოსცილოგრამების დამუშავების შედეგად. აღნიშნულია, რომ ამ მეთოდ ახასიათებს იგივე უარყოფითი მხარეები, რაც გააჩნია ძაბრწარ ოქმნისა და ქვაბწარმოქმნის მეთოდებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფეთქებადი ნივთიერებების შეფასების ამ მეთოდის ფართოდ გამოყენება განპირობებულია ინსტრუმენტალურად მიღებული შედეგების სარწმუნოების ფართე ინტერვალით.

6. სტატიაში განხილულია სპეციალური დამცავი ტიპის ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება აირისა და მტვრის აალების მხრივ საშიშ შესტებში. აალების საფრთხის შემცირება შესაძლებელია ფ.ნ.-ში სითბომშთანთქავი კომპონენტების დამატებით და აირების უანგვის რეაქციების ქიმიური დამუხრუჭებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დასამატებელ კომპონენტებს ჰქონდეთ ინგიბიტორული თვისებებიც (მაგალიტად ქლორიდები და ფტორიდები), რომელთა ეფექტურობა დამოკიდებულია მათ დისპერსიულობაზე. სტატიაში მოცემულია აგრეთვე, ამ ფ.ნ.-ების გაანგარისებული და ექსპერიმენტული მახასიათებლები. აღნიშნულია, რომდამცავ ფ.ნ.-ს ანტიგიზუტულობასთან ერთად უნდა ჰქონდეს დეტონაციის მაღალი მახასიათებლები, რათა გამოირიცხოს მათი გამოწვა. იდი სიმძლავრის მაღალდამცავი ფ.ნ.-ს შესაქმნელად, დაბალი კლასის დამცავ ფ.ნ. ათავსებენ მარილწყლით შევსებულ პოლიეთილენის აფსკში, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად დეტონაციას.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირაკლი ერქომაიშვილი	ზოგიერთი მარკშეიდერული საკითხის გადაწყვეტა სამთო წარმოებაში	გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მე-2 სამეცნიერო კონფერენცია “სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური

			პრობლემები” თბილისი 2015წ.
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>ნაშრომში განხილულია სამარკშიდერო სამსახურის მნიშვნელობა სამთო წარმოებისთვის. აგრეთვე განხილულია სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ათვისების სხვადასხვა ეტაპზე (ძიება, დაპროექტება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და კონსერვაცია) სამარკშიდერო სამსახურის მიერ შესასრულებელი სამუშაოები და წარმოდგენილია აგრეთვე სამარკშიდერო სამსახურის სტრუქტურა. ხალი კოორდინატთა UTM სისტემის შედგენასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა დაგეგმილიყო საბადოს საყრდენი გეოდეზიური სამუშაოები, რაც დანარჩენი მარკშიდერული სამუშაოების საფუძველია. აღნიშნული სამუშაოები სრულდება თანამედროვე გეოდეზიურ-მარკშიდერული ხელსაწყოების საშუალებით, როგორცაა GPS მოწყობილობა, ელექტრონული ტაქომეტრი სკანერის ფუნქციით და აეროფოტოგადამღები უპილოტო საფრენი აპარატი AIBOTIX. ზემოაღნიშნული გეოდეზიურ-მარკშიდერული ინსტრუმენტები გაცილებით ნაკლებ დროს საჭიროებენ დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად, ამასთან ერთად იზრდება სამუშაოს ხარისხი და სიზუსტე, რაც სამთოწარმოებაში მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.</p>			

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ენგურის თაღოვანი კაშხლის ტანისა და ფუძის დეფორმაციული პროცესების კვლევა გეოდეზიური მეთოდებით	თეიმურაზ პაპავა	სულიკო პილარიშვილი, დავით პაპავა, გიორგი ჭიაურელი, მარეს სადუნიშვილი, თეიმურაზ ცხადაძე, კახაბერ ძაძამია, გიორგი ნემსიწვერიძე	სახელმწიფო დაკვეთით შპს “ენგურჰესი“-ს მიერ.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები მომდინარე წელს შპს “ენგურჰესის” ღირებულების დაკვეთით ჩატარდა კაშხალზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დეკორმაციული პროცესების კვლევის ორი ციკლი, წყალსაცავში წყლის დონის მინიმუმის 410მ (აპრილში) და მაქსიმუმის 494.04მ (ოქტომბერში) დროს. ჩატარდა მაღალი სიზუსტის გეოდეზიური გაზომვები კაშხლის სასიმაღლო და გეგმურ ქსელებში, მოხდა მათი მათემატიკური დამუშავება (გაწონასწორობა) და ძვრების დაჯდომების განსაზღვრა. აზომვები ჩატარებული იქნა მაღალი სიზუსტით. კაშხლის ტანისა და ფუძის დეფორმაციები დასაშვებ ფარგლებშია.

**ბაზოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი №302**

დეპარტამენტის უფროსი – პროფესორი ნოდარ ფოფორაძე

პერსონალური შემადგენლობა: დეპარტამენტში მოღვაწეობს:

- 6 სრული პროფესორი,
- 16 ასოცირებული პროფესორი,
- 2 ასისტენტ-პროფესორი,
- 5 მოწვეული პროფესორი

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	საპროგნოზო ჰიდროგეოლოგიური დასკვნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლების	უ. ზვიადაძე	მ. მარდაშოვა



	სასმელი წყალმომარაგების საკითხზე		
<p>წყალმომარაგებასთან დაკავშირებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჰიდროგეოლოგიურ შესწავლას დაქვემდებარებული სოფლების ტერიტორია და მათი შემოგარენი საკმაოდ ფართო გავრცელების ტექტონიკური სტრუქტურის რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ცალკეული ობიექტების (სოფლების) წყალმომარაგების საკითხის გადაწყვეტისას წინამდებარე დასკვნის შესავალ ნაწილში განვიხილავთ ზოგადად რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის გეომორფოლოგიის, გეოლოგიური აგებულების და ჰიდროგეოლოგიური პირობების საერთო საკითხებს, როგორც აუცილებელ ფონს კონკრეტულად აღებული ამა თუ იმ ობიექტის დასახასიათებლად. ძირითად ტექსტში დასაბუთებულია ღონისძიებები, რომელთა გატარების გზით უნდა გადაწყდეს კონკრეტულად აღებული სოფლის (12 სოფელი) წყალმომარაგების ამოცანა.</p>			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მათემატიკური ეკოლოგიის მეთოდების გამოყენება მდინარეული წყლების ტოქსიკური მეტალებით გაჭუჭყიანების პრობლემების გადაწყვეტისათვის (მდ. მტკვრის მაგალითზე)	დ. აბზიანიძე	ვ. აბზიანიძე ნ. ინანაშვილი

მათემატიკური ეკოლოგიის გამოყენება ეკოლოგიური პროცესების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიცილოთ შრომატევადი და ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარება. მათემატიკური მოდელირების რეზულტატები გადაიტანება რუკებზე. მათემატიკური ეკოლოგიის და გეოინფორმაციული სისტემების თანამედროვე მეთოდებით დამუშავება წყლის ხარისხის ანალიტიკური კონტროლის და პროგნოზირების პრიციპები, დიფერენციალური განტოლების სისტემების მეშვეობით საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ წყლის დაბინძურება მდინარის ნებისმიერ წერტილში.

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	<p>ყაზბეგ-ომალის ზონის თიხაფიქლების ბუნებრივი აირის პოტენციალის ათვისების გეოლოგიური, გარემოსდაცვითი და ენერგოეკონომიკური ასპექტების გამოკვლევა (AR30/9-150/B).</p> <p>გეოლოგია 9-150 ენერგეტიკა 3-170</p>	<p>სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ნოდარ ფოფორაძე</p>	<p>ირაკლი შეყრილაძე სულხან გველესიანი ევტიხი მაჭავარიანი თეიმურაზ ბარაბაძე შალვა გეგია თეიმურაზ იაშვილი ია ახვლედიანი</p>

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, თერგის ხეობაში, სოფ. სიონისა და მისი მიმდებარე უბნებიდან, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. შავი არაგვის სათავეებიდან აღებული იქნა თიხაფიქლებისა და ალევროლითების ქვიური მასალა. ველზე ყოფნისას გაიზომა ქანების წოლის ელემენტები და განისაზღვრა მათი კოორდინატები GPS-ის გამოყენებით. სამივე ტრანშის (პერიოდის) განმავლობაში ველზე აღებული ნიმუშებიდან გაკეთდა გამჭვირვალე შლიფები და პოლარიზაციული მიკროსკოპის გამოყენებით დადგინდა მათი პეტროგრაფიულ-ლითოლოგიური თავისებურებანი. პეტროგრაფიული მასალის აღწერისას გადარჩეულ ნიმუშებს ჩაუტარდა რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენტული ანალიზები, რომელთა შედეგების საფუძველზე დახასიათებულია ქვიშაქვების, ალევროლითებისა და თიხაფიქლების მინერალური და ქიმიური თავისებურებანი მათი ლითოლოგიური დახასიათების მიზნით. ლიტერატურული და ჩვენ მიერ შესრულებული საველე-გეოლოგიური და ლაბორატორიული სამუშაოების საფუძველზე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ნალექების სტრატეგრაფიისა და მათში ორგანული ნახშირბადის შემცველობის მიხედვით გამოიყო შეიღგაზის შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, რომელთა დატანა და შემოკონტურება განხორციელდა ჩვენ მიერ აციფრულ გეოლოგიურ რუკაზე.

**II.1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Irina Shatilova, Eliso Kvavadze, Irma Kokolashvili	Atlas of spores from the Cenozoic deposits of Georgia	in press	195 p.
2	მ.თოფჩიშვილი თ.ლომინაძე გ.ნადარეიშვილი	კოლხეთის დეპრესიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატეგრაფია	თბილისი. გამომცემლობა “პოლიგრაფისტი”	316 გვ.
3	ევლუდ შარიქაძე	კავკასიის აპტური ამონიტები (რუსულ ენაზე)	გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2015 წ.	321

1. **საქართველოს კაინოზოური სპორების ატლასი.** დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში ინახება ნამარხი სპორების მდიდარი მასალა, რომლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ გვიმრების ისტორია კაინოზოურის განმავლობაში. მასალა შეგროვებული სარმატულის წინა პერიოდის ნალექებიდან ასახავს გვიმრების ისტორიას, რომელთა არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა. კავკასიის გეოლოგიურ ისტორიაში სარმატული გარდამტეხ მომენტს წარმოადგენდა, რის შემდეგაც ამიერკავკასიის დეპრესია გადაიქცა ხმელეთად ორი მსხვილი რეგიონით. ზღვიური პირობები შენარჩუნდა მხოლოდ დასავლეთში. აქ წარმოიშვა რიონის ყურე, სადაც გაგრძელდა ზღვიური ნალექების აკუმულაცია. აქედან ცხადია, რომ საქართველოს მცენარეულობის ისტორიის აღდგენა კაინოზოურის მეორე ნახევრის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ სარმატულის შემდგომი დროის ნალექებში ნაპოვნი ნამარხი მასალის საფუძველზე. ხმელეთი, რომელიც ესაზღვრებოდა რიონის ყურეს, გადაიქცა იზოლირებულ რეგიონად, რომლის თბილი და ნესტიანი ჰავა ხელს უწყობდა მდიდარი ფლორის განვითარებას.

2. მონოგრაფიაში –**კოლხეთის დეპრესიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატეგრაფია** – განზოგადებულია კოლხეთის დეპრესიის და მისი მომიჯნავე ტერიტორიების მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატეგრაფიის საკითხები. მოცემულია მსხვილი სტრატონების გეოლოგიური ჭრილების აღწერა, ბიოსტრატეგრაფიული დანაწილება და კორელაცია; ძირითად ტექსტს თან ერთვის კოლხეთის დეპრესიის და მომიჯნავე ტერიტორიების ბურღვის მონაცემებით აგებული გეოლოგიური პროფილები და ჭრილების შეპ-

ირისპირების სქემები. ნაშრომი განკუთვნილია შესწავლილი ტერიტორიის სტრატეგრაფიით და პალეონტოლოგიით დაინტერესებულ გეოლოგთა ფართო წრისთვის.

**3. კავკასიის აპტური ამონიტები.** წიგნში განხილულია ამონიტების პალეობიოლოგიის და კავკასიის აპტური ნალექების ბიოსტრატეგრაფიის საკითხები. დახასიათებულია პროდაპრიმასუტურის ტიპები, დამტკიცებულია გენეტიკური კავშირები მათ უბეებს შორის. გამოვლენილია ორგანიზმის საცხოვრებელ კამერაში გადაადგილების მექანიზმი, გამოაშკარავებულია კორელაციური კავშირები ნიჟარის ფორმას, ხვეულის, განივკვეთის, სკულპტურასა და ტიხრის ხაზს შორის ორგანიზმის მორფოგენეზის პროცესში. დადგენილია ნიჟარის ტიხრების და ტიხრის ხაზების ფუნქციური და სისტემატიკური მნიშვნელობები. გამოთქმულია მოსაზრება შიგაკამერული წნევის გაზრდის წამყვანი მნიშვნელობის შესახებ ტიხრის ხაზის ონტო-ფილოგენეზში. დახასიათებულია აპტური ამონიტების ტიხრის ხაზის მორფოგენეზური ტიპები. აღწერილია კალოვიურ-აპტური ამონიტების კუნთების აღნაბეჭდები, დამტკიცებულია მათი სისტემატიკური მნიშვნელობა. დახუსტებულია აპტური ამონიტების სისტემატიკა და ფილოგენია, გამოყოფილია ოთხი ახალი გვარი და 26 ახალი სახეობა. დეტალიზებულია კავკასიის აპტური ნალექების ბიოსტრატეგრაფიული დანაწილების სქემა. ბიბლიოგრაფია – 523 დასახელება.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. ჯაფარიძე	მადნეული ველებისა და დაბადების სტრუქტურები (ლექციების კონსპექტი)	ხელნაწერის უფლებით	117 გვ.
2	მ. ჯაფარიძე	Структурная геология и геологическое картирование (конспект лекций)	ხელნაწერის უფლებით	130 გვ.
3	გ. მაღალაშვილი	არამეტალური სასარგებლო წიაღისეულის საბადოების სამრეწველო ტიპები	შესრულებულია ელექტრონული ვერსია ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე (მე-2 გადამუშავებული გამოცემა უმაღლესი სასწავლებლებისათვის). გადაცემულია	

			გამოსაცემად	
4	მ. ლაპიაშვილი	„ზოგადი საინჟინრო გეოლოგია“	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი	270 გვ.

სახელმძღვანელოებში განხილული ძირითადი საკითხები მოკლე ანოტაციების სახით თანამიმდევრობით არის მოცემული.

1. მადნეული ველებისა და საბადოების სტრუქტურების ლექციების კონსპექტი ბაკალავრებისათვის და შეიძლება გამოყენებული იქნას მაგისტრებისათვის გარკვეული საკითხების უკეთ შესწავლისათვის.
2. სტრუქტურული გეოლოგიის და გეოკარტირების ლექციათა კონსპექტი სპეციალურად იქნა მომზადებული რუსულენოვანი (აზერბაიჯანული) ჯგუფებისათვის.
3. წიგნში მოცემულია არამეტალური სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების თანამედროვე კლასიფიკაცია და სისტემატიკა სამრეწველო განეტური ტიპების მიხედვით. მოყვანილია ტიპური როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის საბადოების მაგალითები და მათი დეტალური აღწერა.
4. სახელმძღვანელოში - „ზოგადი საინჟინრო გეოლოგია“ - განხილულია ფართო სპექტრი საკითხებისა, რომლებიც განაპირობებენ ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების აუცილებელ ფაქტორებს. მოცემულია ზოგადი ცნობები დედამიწის შესახებ, ლითოსფეროს ამგები ქანების ტიპებზე და მათი შემადგენელი ქანმაშენი მინერალების ძირითად მახასიათებლებზე. განხილულია დედამიწის შინაგანი (ენდოგენური) და გარეგანი (ეგზოგენური) მოვლენები. მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ამოცანები, მათი ეტაპები და სახეები, დაკავშირებული კონკრეტულ ნაგებობებთან. სახელმძღვანელო განკუთვნილია ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სამშენებლო მიმართულების მაგისტრანტებისათვის, ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის და სპეციალისტთა იმ წრისთვის, რომლებიც შეისწავლიან ქანებს და საინჟინრო-გეოდინამიკურ მოვლენებს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ფოფორაძე	სტუდენტთა საველე-გეოლოგიური პრაქტიკის	თბილისი,	86

	ო. დუდაური	მეგზური თბილისი-საქართველოს სამხედრო გზა-ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	გამომცემლობა დობერა	
2	ია ახვლედიანი ასმათ გვაზავა თამარ დვალიშვილი მაია კარანაძე მარია კრისტინა პასიერი	ქართულ ხელნაწერთა ჭედური ყდები	თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	158
<p>1. კრებულში წარმოდგენილია სტუდენტთა სასწავლო საველე-გეოლოგიური პრაქტიკის ჩასატარებლად შერჩეული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გეოლოგიური მარშრუტების აღწერა. კერძოდ, მოცემულია ქანების ლითოლოგიური შედგენილობა და გეოლოგიური სტრუქტურების დახასიათება. გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ ისტორიულ ძეგლებს. განკუთვნილია გეოლოგიური სპეციალობის სტუდენტებისთვის და მიზნად ისახავს საველე პირობებში იმ ცოდნის გადრმაგებას, რომელიც სტუდენტებს მიღებული აქვთ თეორიულ კურსში, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე.</p> <p>2. კრებული შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების მოჭედილი ყდების ზოგად მიმოხილვას, ჭედური ყდების დიაგნოსტიკის მეთოდებსა და შედეგებს, ყდების მეტალის დასინჯვასა და ანალიზს, დაზიანებათა ტიპებს, დამღებს, მათ წაკითხვას და სისტემატიზაციას, ყდების მორთვისას გამოყენებული თვლების იდენტიფიკაციას. მეორე ნაწილი მოჭედილყდიანი ქართული ხელნაწერების ალბომია, რომელშიც ხელნაწერები დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით, მოცემულია ყდების არქეოგრაფიული აღწერილობა, ყდების შექმნისა და განახლების თარიღები, ზომები, მხატვრული გაფორმება, ეპიგრაფიკული წარწერები, მეტალი, დამლა (არსებობის შემთხვევაში), თვლების რაობა და რაოდენობა, ანდერძ-მინაწერები. მესამე ნაწილი წარმოადგენს თვლებით შემკული ყდების ვირტუალური რეკონსტრუქციის შედეგს გეოლოგიური და კოდიკოლოგიური კვლევის საფუძველზე თვლების დანაკლისის ვირტუალური აღდგენისა და ყდის სავარაუდო პირვანდელი იერსახის აღდგენის მიზნით.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/კრებულის	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების
---	-----------------	------------------------------------	-------------------	--------------------------------	-----------

		დასახელება	ნომერი		რაოდენობა
1	ბლუაშვილი დ. ოქროსცვარიძე ა.	თორიუმი მომაველის ენერგია და მისი საბადოების გამოვლენის პირსპექტივები საქართველოში  სამთო ჟურნალი	1(34) 2015	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5
2	ჯანაშვილი შ. ბენაშვილი ქ.	პირველი მონაცემები ოქროს შემცველობის შესახებ მდინარეების ღახვრას და ორკარის სათავეებში (ზემო სვანეთი)  სამთო ჟურნალი	1(34) 2015	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3
3	И.И. Шатилова, И.М. Коклашвили, Луара Рухадзе	Итоги палеоботанического изучения мезотических отложений Абхазии	vol.7	Georgian National Museum, Proceedings, Natural and Prehistoric section	-
4	И.И. Шатилова, И.М. Коклашвили, Ламара Майссурадзе, Елене Жгенти	Картвельский ярус Грузии: стратиграфия, палебиологическая история моллюсков, фораминиферы и палеофлоры	vol.7	Georgian National Museum, Proceedings, Natural and Prehistoric section	-
5	ნ. ფოფორაძე ო. სესკურია	ახალციხის საბადოს ქალცედონ-აქატების მინერალოგიური თავისებურებანი.  „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლო- გიის თანამედროვე პრობლემების შესახებ“.  შრომათა კრებული	№1	თბილისი	6

6	N.Poporadze I. Shekriladze O. Seskuria	The availability of natural gas content shales of Kazbegi-Omallo.  International conference „Innovation Technologies in Metallurgy and Material Sciences”	-	Tbilisi	4
7	ნ. ფოფორაძე ი. ახვლედიანი ი. შეყრილაძე ო. სესკურია	ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების თავისებურებანი  ჟურნალი „ინტელექტუალი”	№30	თბილისი	12
8	ნ. ფოფორაძე ო. სესკურია	ყაზბეგ-ომალოს თიხაფიქლებში ბუნებრივი აირის შემცველობის პერსპექტიულობა  ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი”	№4	თბილისი	5
9	ნ. ფოფორაძე ო. სესკურია	ახალციხის საბადოს ქალცედონ-აქატის ჟეოდეზის არშიების მინერალური ფაზები.  ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი”	№1	თბილისი	6
10	ს. გაჩეჩილაძე ბ. ტაბატაძე ს. ვეფხვაძე	ოქრო და ეკონომიკა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა”	#1	თბილისი	5
11	ნ. ფოფორაძე ნ. კალანდაძე ო. სესკურია ფ. შტრობერე	ანანაურის №3 დიდ ყორღანში აღმოჩენილი ღეროსა და დისკოს კომპლექსური კვლევა.  ჟურნალი „ძიებანი” საქართველოს	#22	თბილისი	8



		არქეოლოგიაში			
12	<p>Д.В. Абзианидзе</p> <p>Р.Г. Манагадзе</p> <p>В.В. Абзианидзе</p>	<p>Применение калмановской фильтрации при оценке состояния речной воды по дискретным наблюдениям,</p> <p>Нефть и газ</p>	№30	<p>თბილისი,</p> <p>საქართველოს</p> <p>ტექნიკური</p> <p>უნივერსიტეტი</p>	4 (ოთხი)
13	<p>Д.В. Абзианидзе Г.П.</p> <p>Табатадзе Р.Г.</p> <p>Манагадзе В.В.</p> <p>Абзианидзе</p> <p>Н.М.Инанашвили</p>	<p>Размышления математиков об экологии и её проблемах,</p> <p>Социальная экономика</p>	№16	<p>თბილისი,</p> <p>საქართველოს</p> <p>ტექნიკური</p> <p>უნივერსიტეტი</p>	3 (სამი)
14	<p>ნ. ადგიშვილი</p> <p>ნ. ფოფორაძე</p>	<p>ოქროს მადანგამოვლენა</p> <p>ასლანურას ხეობის</p> <p>ჰიდროთერმულ</p> <p>წარმონაქმნებში,</p> <p>სამთო ჟურნალი</p>	№1(34)	<p>თბილისი,</p> <p>საქართველოს</p> <p>ტექნიკური</p> <p>უნივერსიტეტი</p>	2 (ორი)
15	<p>ბ. ლობჯანიძე,</p> <p>ბ. ტაბატაძე,</p> <p>ბ. კახაძე,</p> <p>თ. ბუტულაშვილი,</p> <p>დ. ლაბაძე,</p> <p>ბ. ბალავაძე</p>	<p>საქართველოს</p> <p>მინერალური რესურსების</p> <p>ეფექტიანი ათვისების</p> <p>აქტუალური ეკონომიკური</p> <p>ასპექტები გლობალიზა-</p> <p>ციის პირობებში</p> <p>სამეცნიერო-პრაქტიკული</p> <p>კონფერენცია თემაზე:</p> <p>„გეოლოგიის დარგის</p> <p>სიძლიერე ეკონომიკის</p> <p>აღორძინების</p> <p>წინაპირობა“, შრომათა</p> <p>კრებული</p>	№1	<p>თბილისი,</p> <p>საქართველოს</p> <p>ტექნიკური</p> <p>უნივერსიტეტი</p>	6 გვ.
16	<p>ბ. ლობჯანიძე</p>	<p>გლობალიზაციის</p> <p>პირობებში ქრისტიანული</p> <p>ეკონომიკის საფუძველზე</p> <p>საქართველოს განვითარების</p> <p>პერსპექტივები</p> <p>ბათუმის შ. რუსთაველის</p> <p>სახელმწიფო უნივერსიტეტის</p> <p>დაარსების 80</p>	<p>მოსხენე-</p> <p>ბათა</p> <p>კრებული</p> <p>VIII</p>	<p>ბათუმი</p>	6 გვ.

		წლისთავისადმი მიძღვნილი VIII საერთაშორისო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა – თბილისი-ბათუმი – 2015“			
17	გ. ლობჯანიძე	საქართველოს მინერალური რესურსები ეროვნულ სიმდიდრეში და მათი ეფექტიანი ათვისების მიმართულებები  ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“	-	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	7 გვ.
18	გ. ლობჯანიძე, გ. ლომსაძე, გ. ტაბატაძე, ბ. კახაძე, თ. ბუტულაშვილი	საქართველოს სამთო მრეწველობის ეკონომიკური განვითარების აქტუალური ასპექტები  ჟურნალი „სამთო ჟურნალი“,	№ 1, 2015	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10 გვ.
19	გ. ლობჯანიძე, ბ. ბალავაძე	ვანახშირის მრეწველობის განვითარების სტრატეგია გლობალიზაციის პირობებში  ჟურნალი „სამთო ჟურნალი“	№ 1, 2015	თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“	9 გვ.
20	გ. ლობჯანიძე, ბ. ბალავაძე, დ. ლაბაძე, თ. ბუტულაშვილი	საქართველოს მინერალური რესურსების ეფექტიანი ათვისების აქტუალური ეკონომიკური ასპექტები გლობალიზაციის პირობებში  ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“	№ 1, 2015	თბილისი	9 გვ.

21	უ. ზვიადაძე, ნ. კეზევაძე, მ. მარდაშოვა	მუხრანის სასმელი წყლის წყალამდების ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ. სტუ-ს შრომები	2(496)	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	9 გვ.
22	ნ. ზაუტაშვილი, ზ.ბოსტაშვილი, ნ.ფოფორაძე, გ.გაფრინდაშვილი	საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების განახლებული მონიტორინგი  „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ“.  შრომათა კრებული	№1	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	6 გვერდი
23	ნ. ზაუტაშვილი, თ.კოროშინაძე, ნ.ფოფორაძე	საქართველოს მიწისქვეშა მინერალური წყლები და მათი გამოყენების პერსპექტივები  „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ“.  შრომათა კრებული	№1	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვერდი
24	ნ. ქიტიაშვილი	ყაზბეგის რაიონის ნახშირმუავა მინერალურ წყლებში მიკროკომპონენტების შემცველობის ანალიზი  „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ“  შრომათა კრებული	№1	თბილისი, 2015  ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვ.

25	დ. როგავა	დეპრესიების გეოლოგიური გარემოს შესახებ  სამთო ჟურნალი	№1(34)	თბილისი, სტშ	6
26	ლ. გორგიძე	დარიალი ჰესის სადერეფაციო გვირაბის კლდოვანი მასივის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და მათი კლასიფიკაცია RMR-ის მიხედვით  სამთო ჟურნალი	გადაცემულია გამოსაცემად	თბილისი, სტშ	-
27	ლ. გორგიძე ნ. გაჩეჩილაძე	თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მონაკვეთზე მეწყრული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები,  სამთო ჟურნალი	გადაცემულია გამოსაცემად	თბილისი, სტშ	-
28	ნ. გაჩეჩილაძე	ავტოტრასებთან მიმდებარე სავარგულებზე მოწეულ ბოსტნეულში ტოქსიკური მეტალების შემცველობის ანალიზი,  სამთო ჟურნალი	№1(34)	თბილისი, სტშ	3
29	შარიქაძე მ. პაატაშვილი რ., სურამელაშვილი ზ., ადამიანი ა.	თბილისისპირა რაიონის ზედაცარცული ქანების ნაპრალოვანი სისტემები	№2(35). სამთო ჟურნალი,	თბილისი, 2015	გადაცემულია დასაბეჭდად

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ 2015 წელს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ საკითხები დასახელებული სტატიების სახით გამოქვეყნდა. ქვემოთ, თანმიმდევრობით მოცემულია ნაშრომთა მოკლე ანოტაციები.

1. საქართველოში დაფიქსირებული თორიუმის მადანგამოვლინებები პერსპექტიულ წარმონაქმნებად უნდა იყოს განხილული. ამ რეალობიდან გამომდინარე მათი დეტალური შესწავლის შემთხვევაში საქართველოში შესაძლებელია გამოიყოს თორიუმის მნიშვნელოვანი საბადოები.

2. ყურადღებას იმსახურებს მდინარეების ღახვრას და ორკარის სათავეებში ლოკალიზებული ოქროს მადანგამოვლინება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი იქნა ოქრო-კვარც-დაბალსულფიდური გენეტიური ტიპის მადანგამოვლინება, რომლის მოკლე აღწერა მოცემულია სტატიაში.
3. შრომაში მოყვანილია აფხაზეთის მეოტური ნელექების პალინოლოგიური და პალეოკარპოლოგიური მეთოდებით შესწავლის შედეგები. ფაუნის არ არსებობის გამო ნალექების ასაკი, როგორც ზედამეოტური, განსაზღვრულია პალინოლოგიური კომპლექსების საფუძველზე. დღეს ყველა არსებული მონაცემების მიხედვით აფხაზეთის მეოტური ფლორის შემადგენლობაში ცნობილია 210 ელემენტი, რომლებიც მიეკუთვნება 82 ოჯახს და 124 გვარს. ფლორის ძირითად ნაწილს შეადგენს სუბტროპიკული და სითბოზომიერი წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეები. მეოტური დროის ზოგიერთ პერიოდში იზრდებოდა ბალახოვანი და სპოროვანი მცენარეებისა და სანაპირო ჭაობიანი ასოციაციების კომპონენტების როლი. ზოგადად, აფხაზეთის მეოტურ პალინოკომპლექსებში, დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რეგიონების მეოტურ ნალექებთან შედარებით, შემცირებულია სუბტროპიკული გვიმრების რაოდენობა. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ უკვე მეოტურ დროს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ რეგიონების კლიმატურ პირობებს შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება.
4. ქართველური სართული, კარაგანულის მსგავსად მიეკითვნება ნალექდაგროვების თარხნულ-ქრთველურ ციკლს, რომელიც გამოყოფილია აღმოსავლეთ პარატეთისის მიოცენური ნალექებისათვის. ქართველური მოლუსკური ფაუნა მკვეთრად განსხვავდება, როგორც მის წინამორბედ – კარაგანულ, ისე მომდევნო -კონკურ ფაუნებისაგან. ქართველურში თითქმის არ გვხვდება გასტროპოდები, ხოლო ფორამინიფერები და ოსტრაკოდები ძალიან იშვიათია. საქრთველოს შუამიოცენური ნალექები შესწავლილია პალინოლოგიური მეთოდით. აღდგენილია ფლორისა და მცენარეულობის შემადგენლობა, რომლებიც კარაგანული, ქართველური და კონკური დროის განმავლობაში ვითარდებოდნენ თითქმის უცვლელი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. ქართველური ნალექები დასავლეთ პარატეთისის შუაბადენურის ზედა ნაწილის სინქრონულია, ხოლო ხმელთაშუაზღვის რეგიონში ქვადასერავალიურის ზედა ნაწილის თანადროული. ქართველური ნალექები გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ისინი მონაწილეობენ გეოტექტონიკური ერთეულების სტრუქტურების ფორმირებაში (დიდი და მცირე კავკასიონის სისტემები, ამიერკავკასის მთათაშუა ოლქი).
5. ახალციხის საბადოს ქალცედონ-აქატის ნიმუშებზე ოპტიკურ-მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენციული მეთოდებით ჩატარებული კვლევებით მიღებულ შედეგებსა და არსებულ ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, ჟეოდების ცალკეული შრეები, რომლებსაც ხშირად განსხვავებული ფერის ზოლებრივი (ურთიერთსწვრივი) ან კონცენტრულ-ზონალური მონაცვლეობითი განმეორება ახასიათებს, წარმოდგენილია განსხვავებული ფაზებით. კერძოდ, კიდურა (კონტაქტური) ზონა წარმოდგენილია ეფუზიური ქანის ჰიდროთერმული ხსნარებით

შეცვლილი მინერალებით (პეილანდიტი, მორდენიტი); რძისფერი არშიები, ძირითადად, წარმოდგენილია  $\alpha$ -კრისტობალიტით,  $\alpha$ -ტრიდიმიტით, დამორჩილებული რაოდენობით გვხვდება მორდენიტი, კვარცი და ოპალი.  $\alpha$ -კრისტობალიტისა და  $\alpha$ -ტრიდიმიტის არშიები თანდათანობით გადადის ქალცედონის მცირე ზომის სხივოსნურ არშიებში, რასაც, თავის მხრივ, მარაოსებრი აგრეგატები მოჰყვება და საბოლოოდ, კონუსისებრი აგრეგატებით მთავრდება. მონაცრისფრო არშია (ქალცედონი) თანდათანობით გადადის წვრილკრისტალურ კვარცში.

6. ნაშრომში განხილულია მინერალურ-სანედლეულო კომპლექსის რაციონალური და ეფექტიანი ათვისების მიმართულებები. ამასთან, გაანალიზებულია საქართველოს მინერალური რესურსების რეგიონული და დარგობრივი ასპექტები, შემოთავაზებულია მინერალურ-რესურსული ბაზრის განვითარების პერსექტივები.
7. ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა, მსოფლიო გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესები და ტენდენციები მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. განსაზღვრული და შემოთავაზებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა ძირითადი მიმართულებები ეროვნული პრინციპების და მსოფლიო გლობალიზაციიდან დადებითი თავისებურებების გათვალისწინებით, რომელთა განხორციელება ქვეყანას მისცემს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობებს, ამასთან, იგი დაიკავებს კუთვნილ ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში.
8. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში მინერალური რესურსების ადგილი, როლი და მნიშვნელობა, მოცემული და განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში გასატარებული გონივრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები წიაღისეული რესურსების ეფექტიანი ათვისების თვალსაზრისით, რომლებმაც უნდა განავითაროს და განამტკიცოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
9. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პერსექტივები. ამასთან, გაანალიზებულია მინერალური რესურსების რაციონალური ათვისების და ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შედეგები ქვეყანაზე, განსაზღვრულია ქვეყნის სტრატეგიული მიზნები და საერთო პრინციპები მინერალურ-სანედლეულო კომპლექსის განვითარების თვალსაზრისით, წარმოდგენილია მინერალური რესურსების ეფექტიანი ათვისებისათვის სახელმწიფოს სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებები.
10. ნაშრომში განხილულია ქვანახშირის მრეწველობის განვითარების სტრატეგია გლობალიზაციის პირობებში, როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დარგის ეფექტიანობას და მთლიანობაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას.
11. ნაშრომში განხილულია მინერალურ-სანედლეულო კომპლექსის რაციონალური და

ეფექტიანი ათვისების მიმართულებები. ამასთან, გაანალიზებულია საქართველოს მინერალური რესურსების რეგიონული და დარგობრივი ასპექტები, შემოთავაზებულია მინერალურ-რესურსული ბაზრის განვითარების პერსექტივები.

12. თიხაფიქლები საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტექტონიკურ ერთეულში და საკმაოდ დიდ ტერიტორიებსაც მოიცავს. კვლევისათვის ამ ეტაპზე რიგი მნიშვნელოვანი მონაცემების გათვალისწინებით კავკასიონის ნაოჭა სისტემის თიხაფიქლები ავირჩიეთ. სწორედ ყაზბეგ-ომალის ზონის თიხაფიქლების შესწავლას ვახორციელებთ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებული კვლევებით, რის საფუძველზეც მუშავდება კრიტერიუმები საძიებო საქმიანობისათვის. ჩვენ მიერ აღწერილი და გამოკვლეულია ქვედა- და შუაიურულ ნალექებში გავრცელებული ქვიშაქვები (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითები, თიხაფიქლები (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური). ამ უკანასკნელს ქვედა და შუაიურული ნალექების დაახლოებით 80% უჭირავს. შესწავლილი თიხაფიქლების მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზის (შეილგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.
13. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიერ აღწერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქვიშაქვების (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითების და თიხაფიქლების (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური) ლითოლოგიური და მინერალოგიური შედგენილობა. ჩატარებული პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ქანის ტიპები და მათი შემადგენელი მინერალური ფაზების რაობა და რაოდენობა. თიხაფიქლებში განსაზღვრულია ორგანული ნახშირბადის შემცველობა. ყაზბეგ-ომალის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ასას, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, რენტგენოფაზური, რენტგენოფლუორესცენტული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალოგიური პარაგენეზისი, ორგანული ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოვყავით შეილგაზის (ბუნებრივი აირის) შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, რომელთა მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზის (შეილგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.
14. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიერ აღწერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქვიშაქვების (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითებისა და თიხაფიქლების (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური) ლითოლოგიური და მინერალოგიური შედგენილობა. ჩატარებული პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ქანის ტიპები და მათი შემადგენელი მინერალური ფაზების რაობა და რაოდენობა. თიხაფიქლებში განსაზღვრულია ორგანული ნახშირბადის შემცველობა. ყაზბეგ-ომალის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის

მუნიციპალიტეტი, ასას, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ მიერ ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, რენტგენოფაზური, რენტგენოფლუორესცენტული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალოგიური პარაგენეზისი, ორგანული ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოყავით შეიღგაზის (ბუნებრივი აირის) შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, რომელთა მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზით (შეიღგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.

15. ახალციხის საბადოს ქალცედონ-აქატის ნიმუშების ოპტიკურ-მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენტული მეთოდებით ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების და არსებულ ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, ჟეოდების ცალკეული შრეები, რომლებსაც ხშირად განსხვავებული ფერის ზოლებრივი (ურთიერთსწვრივი) ან კონცენტრულ-ზონალური მონაცვლეობითი განამეორებადობა ახასიათებს, წარმოდგენილია განსხვავებული რაობის ფაზებით. კერძოდ, კიდურა (კონტაქტური) ზონა წარმოდგენილია ეფუზიური სხეულის პიდროთერმული ხსნარებით შეცვლილი მინერალებით (ჰეილანდიტი, მორდენიტი); რძისფერი არშიები, ძირითადად, წარმოდგენილია  $\alpha$ -კრისტობალიტით,  $\alpha$ -ტრიდიმიტით, დამორჩილებული რაოდენობით გვხვდება მორდენიტი, კვარცი და ოპალი.  $\alpha$ -კრისტობალიტის და  $\alpha$ -ტრიდიმიტის არშიები თანდათან გადადის ქალცედონის მცირე ზომის სხივოსნურ არშიებში, რასაც, თავის მხრივ, მარაოსებრი აგრეგატები მოჰყვება და საბოლოოდ კონუსისებრი აგრეგატებით მთავრდება. მონაცრისფრო არშია (ქალცედონი) ხშირად თანდათან გადადის წვრილკრისტალურ კვარცში.

16. რბილი და ძლიერ პლასტიკური, ლითონი, თავისი კაშკაშა ფერით და ელვარებით, კარგი ჭედადობით და წელვადობით, კოროზიისადმი მედეგობით ჰაერსა თუ წყალში, ოქრო მიჩნეულია სიმდიდრის სიმბოლოდ და დაგროვების ობიექტად. ერთგვაროვნებით, გაყოფადობით, პორტატულობით (მცირე მასა და მოცულობა) და დიდი ღირებულებით ოქრო გარკვეულწილად განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის საფუძველებს. ოქროს ფასი, როგორც წესი, იზრდება ეკონომიკური კრიზისების დროს. ამიტომ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ოქროს ფასი ახლო მომავალში კვლავ გააგრძელებს ზრდას. ამიტომ ინვესტორები და, ზოგადად მოსახლეობა ცდილობენ საკუთარი დანახოვები განათავსონ უფრო მყარ ძვირფას ლითონში - ოქროში. აქედან გამომდინარე, მისი საბადოების დამუშავება უნდა მოხდეს მინიმალური დანაკარგებით და გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

17. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ზ. მახარაძე) 2012 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფენის სოფსაბჭო, სოფ. ჭაბუკიანის სამხრეთით 6 კმ დაშორებით), მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე შეისწავლა „ანანაურის №3 დიდი“ ყორღანული სამარხი, რომელიც, როგორც გაირკვა, ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება და ძვ.წ. III ათასწ. შუახანებით თარიღდება. ანალიზი ჩაუტარდა №1 ეტლის მეორე ბორბალთან აღმოჩენილი



ლითონისებრი ღეროსა და დისკოს ფრაგმენტს ვიზუალური დათვალიერებისა და ჩატარებული დეტალური მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რენტგენოფლორესცენტული კვლევების საფუძველზე ცალსახადაა დადგენილი, რომ ღერო და დისკო წარმოდგენილია მინერალ ქალკოპირიტის ჟანგვა-აღდგენითი პროცესის შედეგად მიღებული მეორადი მინერალებით, კერძოდ, სოლი ძირითადად – ქალკოზინით, ხოლო დისკო – კოველინით. ქალკოზინი და კოველინი მინარევი ელემენტების შემცველობით რადიკალურად განსხვავდება მადნეულის კარიერის მეორადი სულფიდური მინერალებისაგან.

18. შემოთავაზებულ ნაშრომში მკითხველები გაეცნობიან მკვლევართა მცდელობის რეალური ეკოლოგიური პრობლემების მათემატიკური აღწერისა და გადაწყვეტის შესახებ. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გამოყენებითი მათემატიკის იმ საკითხების განხილვას, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტული ფილტრაციის ალგორითმის რეალიზაციის დროს.

19. მათემატიკის ნებისმიერი მიმართულების განვითარების სტიმული შეიძლება იყოს მოთხოვნები ბუნებათმცოდნეობის, ეკონომიკის და სხვა გამოყენებითი მეცნიერების სფეროში, ასევე თვით მათემატიკის მოთხოვნები ახალი შრომატევადი ამოცანების გადაწყვეტისას. უდავოა, რომ მათემატიკა წარმოიშვა ადამიანის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის გამო საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანის არსებობისათვის ბრძოლაში დასახმარებლად. მიუხედავად თანამედროვე მათემატიკური თეორიების მოჩვენებითი აბსტრაქციულობისა, ისინი წარმოიშვა ბუნებრივად გარემომცველი სამყაროს შესწავლის პროცესში და წარმოადგენს სამყაროზე ჩვენი ცოდნის შემადგენელ ნაწილს. ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნა, გარემომცველი სამყაროს ტრადიციული გაგება, გვარწმუნებს იმაში, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების პროცესი წინააღმდეგობაში მოდის პლანეტაზე ცხოვრების პირობების ცვალებადობასთან. ამიტომ, ეკოლოგიის პრობლემა ყოველწლიურად სულ უფრო აქტუალური ხდება. ამ პროცესების გადაწყვეტა მკვლევარებისაგან მოითხოვს ურთულესი ეკოსისტემების შესწავლას. შედეგად წარმოიშვა მათემატიკური ეკოლოგია, რომელიც განვითარებულ სამეცნიერო მიმართულებად გადაიქცევა.

20. ნაშრომში განხილულია ხრამის ალუვიურ ნალექებში თვითნაბადი ოქროს გამოვლენილი კონცენტრაციის პერსპექტიულობა მისი მოპოვების მიზნით. რენტგენოფლორესცენტული ანალიზით განსაზღვრულია ასლანურას ხეობის გვიანვარისკულ გრანიტებში, კვარც-პორფირებსა და გრანიტ-პორფირებში განვითარებულ ჰიდროთერმულ სულფიდურ წარმონაქმნებში ოქროს შემცველობა, რათა დადგინდეს სულფიდური მინერალიზაციის მქონე წარმონაქმნები ხომ არ წარმოადგენენ ხრამის ალუვიურ ნალექებში ოქროს დაგროვების ერთ-ერთ წყაროს. ამ ეტაპისთვის ჩატარებული კვლევები საშუალებას არ გვაძლევს ცალსახად ვიმსჯელოთ ასლანურას ხეობის ჰიდროთერმულ წარმონაქმნებში ოქროს მნიშვნელოვან შემცველობაზე, ან პირიქით.

21. მუხრანის ველის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მუხრანის წყალამღების ტერიტორია მდებარეობს, რომლის ფართობი 2.7 კმ<sup>2</sup>-ია. წყალამღები ჩრდილოეთიდან

სამსრეთისკენ ორიენტირებულ პროფილებზე განლაგებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების ფართობრივი სისტემაა. ჭაბურღილები სუბარტეხიულია და მათი ექსპლუატაცია ამოტუმბვის რეჟიმში მიმდინარეობს. მუხრანის წყალამღები დედაქალაქის სასმელი წყალმომარაგების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, განსაკუთრებით ინტენსიური წვიმების პერიოდში, როდესაც ძლიერი სიმღვრივის გამო მდინარეთა ფილტრატების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ექსპლუატაციის 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში საბადოს საექსპლუატაციო მარაგი შეფასებული და დამტკიცებული არ იყო და მხოლოდ ახლახან დამტკიცდა. შესაბამისად, არ არის იდენტიფიცირებული და დამტკიცებული საბადოს სანიტარიული დაცვის ზონების (სარტყლების) საზღვრები, რაც საბადოს ათვისების პროცესში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან გარკვეული გაუგებრობების მიზეზი ხდება. ამ სტატიაში, საბადოს ჰიდროგეოლოგიური პირობების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია სანიტარიული დაცვის ზონების ანგარიში მათი შემდგომი დამტკიცების მიზნით, რაც საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზას წარმოადგენს.

22. სტატიაში განხილულია საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთაგან ერთ-ერთი გამორჩეული სახეობა – სასმელ-სამკურნალო და ბალნეოლოგიური მიზნებით გამოსაყენებელი ჰიდრომინერალური რესურსები. მათი სიუხვე და რეგიონებში მოხერხებული მდებარეობა, განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა;
23. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ბუნებრივი სიმდიდრის – მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა; განხილულია მათზე მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობისა და მნიშვნელობის საკითხი. მიწისქვეშა წყლების დაცვისა და რაციონალური ათვისებისათვის ქვეყნის მოსახლეობის მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.
24. ნაშრომში განხილულია მონაცემები ყაზბეგის რაიონის ნახშირმჟავა მინერალურ წყლებში ლაბორატორიულად განსაზღვრული 12 მიკროელემენტის განაწილების შესახებ. ფაქტობრივი შემცველობების მიხედვით, გამოყოფილია მიკროკომპონენტების ჯგუფი, რომლებიც შესწავლილ მინერალურ წყლებში დაგროვების ან მიგრაციის მაღალი უნარით ხასიათდება.
25. დეპრესიები (ქვაბულები) რელიეფის უარყოფითი ფორმებია, დედამიწის ქერქის ნაოჭადისლოკაციებისა რხევითი მოძრაობების შედეგია. საქართველოს ბევრ რეგიონში სხვადასხვა მასშტაბისა და სიღრმის დეპრესია არის შესწავლილი. მთლიანად ქვეყნის ტერიტორია განლაგებულია მათათაშუა ღრმულების ფარგლებში. მათი წარმოშობა და განვითარება, როგორც ტექტონიკური, ისე ეროზიული მოვლენების სინქრონულად ზემოქმედების ვარაუდის საფუძველს იძლევა. მის ბუნებრივ გარემოში ქანების თითქმის ყველა ტიპის არსებობა დედამიწის ქერქში, ქმნის რთულ საინჟინრო-გეოლოგიურ ფონს. მრავალფეროვანი კომპლექსების არსებობის გამო, გამწვავებული ეკოლოგიური ვითარების პირობებში განსაკუთრებული ყურადღების საგანია ქვაბულების, კერძოდ, ჩაკეტილი დეპრესიების ტერიტორიის რაციონალურად გამოყენების პერსპექტივა. სტატიაში მაგალითის სახით განხილულია სოფელ ფსხუს, რიწის ტბის,

“თბილისის ზღვის” ქვაბულების გეოლოგიურ გარემოში განვითარებული მოვლენები.

26. სტატიაში განხილულია ჰიდროელექტროსადგურ “დარიალი“-ს სადერივაციო გვირაბის განლაგების ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება. სადერივაციო გვირაბის განლაგების ტერიტორიაზე გამოიყო ლითოსტრატოგრაფიული ერთეულები და მათი გავრცელების ფარგლები. სტატიაში მოცემულია ცალკეული ლითოსტრატოგრაფიული ერთეულების სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებლების გაანგარიშება. საველე და ლაბორატორიული კვლევებით მოპოვებული მონაცემების გამოყენებით გამოთვლილია კვლევანი ქანების სტრუქტურის რეიტინგი.
27. სტატიაში განხილულია თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის გასწვრივ მეწყერული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და მათი სტაბილურობის ანგარიში. სტატიაში ასევე აღწერილია რეკომენდაციები მეწყერული უბნების სტაბილიზაციისათვის.
28. სტატიაში განხილულია საავტომობილო ტრასასთან მიმდებარე სავარგულებზე და სამანქანო ცენტრალური გზებიდან ძლიერ დაშორებულ ფართობებზე მოწეული ბოსტნეულის ეკოქიმიური მდგომარეობა მათში მძიმე ტოქსიკური მეტალების შემცველობის გათვალისწინებით. კრიტიკულად არის გაანალიზებული საქართველოს სინამდვილეში ავტორის მიერ დაგროვილი ფაქტობრივი მასალა და გამოვლენილია ტოქსიკური მეტალების განაწილების კანონზომიერებები.
29. თბილისისპირა რაიონის ზედაცარცული ქანების ნაპრალოვანი სისტემები ნაშრომში განხილულია თბილისისპირა რაიონის ზედაცარცული წარმონაქმნების ნაპრალოვნების საკითხი ამ ქანებში განვითარებული ნაპრალოვანი სისტემების სავარაუდო მოდელის შექმნის მიზნით. შესწავლილია ზედაპირული გაშიშვლებები აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის და ართვინ-ბოლნისის ბელტის ფარგლებში; კერძოდ, ნაპრალთა სისშირე, გავრცელება, გახსნა, მორფოლოგია, ნაპრალოვნების ძირითადი პარამეტრების კავშირი ლითოლოგიასთან, სტრუქტურასთან, შრის სისქესთან, ლასტროფიზმის ხასიათთან და ხარისხთან. ამ მიზნით გამოყენებულია აგრეთვე მანავის და დასავლეთი რუსთავის ფართობების ჭაბურღილებიდან აღებული ზედაცარცული ქანების შლამები. გამოტანილია დასკვნები თბილისისპირა რაიონის ზედაცარცული ნალექების ნაპრალოვნების კანონზომიერებების შესახებ.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	---------------------	------------------------------------

1	გ.მაღალაშვილი, ა.მაღალაშვილი, შ.კელეპტრიშვილი, გ.კორძაძე	დასავლეთ საქართველოში სარმატულ მერგელოვან ქანებში ბენტონიტური თიხის სამრეწველო ბუდობების გამოვლენა და მათი გენეზისი	საერთაშორისო კონფერენცია “Ресурсо сберегающие технологии”,  2015 წ. 23-24 აპრილი, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
2	გ.მაღალაშვილი, ვ.ნადირაძე, რ.კოფმანი, ი.იგურიძე	საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის 1:1000 000 მასშტაბის რუკა (მინერალურ-ნედლეულის გრაფიკული მოდელი)	საერთაშორისო კონფერენცია “Ресурсо сберегающие технологии”,  2015 წ. 23-24 აპრილი, თბილისი, სტუ
3	გ. მაღალაშვილი	Issue of the Wastes Causing Questions in Some Ore Mining Complex	საერთაშორისო კონფერენცია “International Conference “APPLIED GEOLOGY: Problems, Inventions” ICAE, 2015 w., 7-10 მაისი, თბილისი-ბათუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	ნ. ფოფორაძე ო. სესკურია	ყაზბეგ-ომალის თიხაფიქლებში ბუნებრივი აირის შემცველობის პერსპექტიულობა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  2015, თბილისი
5	N.Poporadze I. Shekriladze O. Seskuria	The availability of natural gas content shales of Kazbegi-Omalo	July 16-18,2015,Tbilisi
6	ნ. ფოფორაძე ო. სესკურია	ახალციხის საბადოს ქალცე- ლონ-აქატების მინერალოგიუ- რი თავისებურებანი	23-24 აპრილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი,
7	ნ. ფოფორაძე ო.სესკურია პ. ივანიშვილი	ტალავერის (ფახრალის) ტუფის საბადო და მისი დამუშავება.	11 დეკემბერი, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი.  მე-2 სამეცნიერო კონფერენცია „სამთო საქმის და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები”

8	ი.ახვლედიანი ი.გოგონაია	ხელის სპექტრომეტრის XRF გამოყენება ძველი ქართული მოჭედილყდიანი ხელნაწერების დიაგნოსტიკისათვის შედეგები, პრობლემები და პერსპექტივები	16-18 ივლისი, 2015, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
9	მ.ბაღნაშვილი, ო.კავთელაშვილი, ნ.ადეიშვილი, ა.შეყილაძე, ნ.მაისურაძე	დავით გარეჯის საბადოს ვერცხლის შემცველი ბარიტის მადნებში ვერცხლის არსებობის ფორმების დადგენა	11 დეკემბერი, 2015, თბილისი, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

1. დასავლეთ საქართველოში, ხობის რაიონის სოფ. ახალი ხიბუტის მიდამოებში გავრცელებული სარმატული ასაკის მერგელების გეოლოგიურმა კვლევამ მათ შედგენილობაში სამრეწველო და მაღალი ხარისხის ბენტონიტური თიხების აღმოჩენის საშუალება მოგვცა. გამოთქმულია აზრი, რომ მერგელების თიხური კომპონენტის წარმოქმნაში მონაწილეობდა წერილმარცვლოვანი ვულკანური მასალა, ძირითადად ფერდური, რომელიც ზღვის წყლის პირობებში გარდაიქმნა მორტმონილორიტად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მერგელოვანი ქანების გავრცელების არეალში მოსალოდნელია ასევე ბენტონიტური თიხების ახალი ბუდობების აღმოჩენა.
2. გის-ატლასის პროგრამის შესაბამისად შედგენილია საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის 1:1000 000 მასშტაბის რუკა, რომელზეც შესაბამისი საბადოები სპეციალური ნიშნებით დაყოფილია მათი მასშტაბის და მნიშვნელობის მიხედვით (მსხვილი, საშუალო და მცირე).
3. მოხსენებაში გამახვილებულია ყურადღება სასარგებლო წიაღისეული საბადოების უდანაკარგო და კომპლექსურად დამუშავების საკითხებზე. მოყვანილია საქართველოს მაგალითები, მათ შორის ტყიბული-შაორის ნახშირის საბადოზე შემცველი “ფუჭი ქანები”, რომელიც არგილიტებითაა წარმოდგენილი, ეს უკანასკნელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ალუმინის საწარმოებლად და მთელი რიგი სამშენებლო მასალების დასამზადებლად (აგური, კრამიტი, საკედლე ბლოკები და სხვ).
4. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიერ აღწერილი და გამოკვლეულია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქვიშაქვების (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითებისა და თიხაფიქლების (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური) ლითოლოგიური და მინერალოგიური შედგენილობა. ჩატარებული პეტროგრაფიული და რენტგენოფაზური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ქანის ტიპები და მათი შემადგენელი მინერალური ფაზების რაობა და რაოდენობა. თიხაფიქლებში განსაზღვრულია ორგანული ნახშირბადის შემცველობა. ყაზბეგ-ომალის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ასას, პირიქითა ალაზნის, თუშეთის ალაზნის, სტორის ხეობები და სხვ.) ჩვენ

მიერ ჩატარებული საველე-გეოლოგიური სამუშაოებისას ბუნებრივი გაშიშვლებებიდან და ჭრილებიდან აღებული და აღწერილი თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული (მიკროსკოპული, რენტგენოფაზური, რენტგენოფლუორესცენციული, თერმული) კვლევებით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე (ტექტონიკური პირობები, მინერალოგიური პარაგენეზისი, ორგანული ნახშირბადის შემცველობა, კატაგენეზისის დონე) გამოვყავით შეილგაზის (ბუნებრივი აირის) შემცველობის თვალსაზრისით პერსპექტიული ლოკალური უბნები, რომელთა მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზით (შეილგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.

5. თიხაფიქლები საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ტექტონიკურ ერთეულში და საკმაოდ დიდ ტერიტორიებსაც მოიცავს. კვლევისათვის ამ ეტაპზე რიგი მნიშვნელოვანი მონაცემების გათვალისწინებით კავკასიონის ნაოჭა სისტემის თიხაფიქლები ავირჩიეთ. სწორედ ყაზბეგი-ომალოს ზონის თიხაფიქლების შესწავლას ვახორციელებთ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებული კვლევებით, რის საფუძველზეც მუშავდება კრიტერიუმები საძიებო საქმიანობისათვის. ჩვენ მიერ აღწერილი და გამოკვლეულია ქვედა- და შუაიურულ ნალექებში გავრცელებული ქვიშაქვები (კვარცის ქვიშაქვები, კვარციტები, არკოზული ქვიშაქვები), ალევროლითები, თიხაფიქლები (ასპიდური, ალევროლით-ფსამიტური). ამ უკანასკნელს ქვედა და შუაიურული ნალექების დაახლოებით 80% უჭირავს. შესწავლილი თიხაფიქლების მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი გაზის (შეილგაზი) მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.
6. ახალციხის საბადოს ქალცედონ-აქატის ნიმუშებზე ოპტიკურ-მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რენტგენოფლუორესცენციული მეთოდებით ჩატარებული კვლევებით მიღებულ შედეგებსა და არსებულ ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, ჟოდების ცალკეული შრეები, რომლებსაც ხშირად განსხვავებული ფერის ზოლებრივი (ურთიერთსწვრივი) ან კონცენტრულ-ზონალური მონაცვლეობითი განმეორება ახასიათებს, წარმოდგენილია განსხვავებული ფაზებით. კერძოდ, კიდურა (კონტაქტური) ზონა წარმოდგენილია ეფუზიური ქანის ჰიდროთერმული ხსნარებით შეცვლილი მინერალებით (ჰეილანდიტი, მორდენიტი); რძისფერი არშიები, ძირითადად, წარმოდგენილია  $\alpha$ -კრისტობალიტით,  $\alpha$ -ტრიდიმიტით, დამორჩილებული რაოდენობით გვხვდება მორდენიტი, კვარცი და ოპალი.  $\alpha$ -კრისტობალიტისა და  $\alpha$ -ტრიდიმიტის არშიები თანდათანობით გადადის ქალცედონის მცირე ზომის სხივოსნურ არშიებში, რასაც, თავის მხრივ, მარაოსებრი აგრეგატები მოჰყვება და საბოლოოდ, კონუსისებრი აგრეგატებით მთავრდება. მონაცრისფრო არშია (ქალცედონი) თანდათანობით გადადის წვრილკრისტალურ კვარცში.
7. საქართველოში სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვების მრავალი საბადო და მადანგამოვლინებაა ცნობილი. ქვეყანას ამ ქვების მოპოვებისა და დამუშავების დიდი გამოცდილება გააჩნია და მათი გამოყენება ათასწლეულებს ითვლის. მოსაპირკეთებელი ქვებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია ბოლნისის ტუფი, რომელიც სახესხვაობების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ფახრალის საბადოს აგებულიაში, ძირითადად,

სადა (ერთგვაროვანი) ტუფები, მომწვანო ფერის ტუფობრექჩიები, დეკორატიული ტუფები, ტუფოგრაველიტები და ლიპარიტის მცირე სიმძლავრის დაიკები მონაწილეობს. პეტროგრაფიული თვალსაზრისით დეკორატიული ტუფი წარმოადგენს შეცვლილ ლიპარიტულ ტუფს, რომელშიც აღინიშნება პორფირული სტრუქტურის ქანთა ნატეხების რელიქტები. ამჟამად საბადოზე მუშავდება მოსაპირკეთებელი ტუფების რამდენიმესახეობა. ამჟამად, ფახრალის ტუფის საბადოს კარიერის დამუშავება ხორციელდება თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, ფაქტიურად, დანაკარგის გარეშე.

- 8.** ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ უნიკალურ ხელნაწერთა შორის აღსანიშნავია მოჭედილ ყდაში ჩასმული ქართული ხელნაწერები. აშშ საელჩოს დაფინანსებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2014-2015 წლებში განხორციელდა პროექტი “უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI – XIII ს.ს. ქართული ხელნაწერები)”, რომელიც ითვალისწინებდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 60-მდე მოჭედილყდაიანი ხელნაწერის ყდების დეტალურ შესწავლასა და დაზიანებების დიაგნოსტიკას სამომავლო რესტავრაციისა და კონსერვაციის მიზნით, კვლევის პროცესში ხელნაწერთა ჭედური ყდების მეტალის შენადნობების ზუსტი შედგენილობის შესწავლის აუცილებლობა გამოიკვეთა. ყდების მეტალის შენადნობების ქიმიური შედგენილობის ანალიზი განხორციელდა არაინვაზიური რენტგენულ-ფლუორესცენტული ანალიზატორის Portable XRF Analyzer, ე.წ. XRF Gun-ის მეშვეობით (დასინჯვის სიზუსტე არანაკლებ, დასინჯვის ფართობი – 3X2სმ<sup>2</sup>, შედწვევის სირღმე 10-20 მკმ) ქართული ხელნაწერების მოჭედილი ყდების შენადნობების ქიმიური ანალიზი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში დაზიანებული შენადნობების შემადგენლობის თავისებურებათა შესახებ. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია, როგორც ჭედური ყდების ტექნოლოგიური კვლევის, ისე რესტავრაცია-კონსერვაციის სქემების შემუშავებისა და დათარიღებისათვის.
- 9.** დავით-გარეჯის საბადოს ვერცხლ-ბარიტის მადნების ტექნოლოგიური კლასის დადგენის მიზნით შესწავლილია ვერცხლის არსებობის მინერალური ფორმები როგორც მინერალოგიური, ისე ფაზური ნიმუშები წარმოადგენს კვარც-ბარიტულ ქანს, რკინის ოქსიდების და ჰიდროოქსიდების ჩანაცვლებით და გამოყოფით. მადნეული მინერალებიდან გვხვდება პირიტის ჩანართები რკინის მინერალებში, ქალკოპირიტის ჩანაწინწკლები კვარცში, ვერცხლის და არგენტიტის შენაზარდებით კვარცში. სელექციური გამსხნელების გამოყენებით დადგენილია ვერცხლის არსებობა ქლორაგრიტის, თვითნაბადი და მარტივი სულფიდების სახით.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	შ. გეგია	Геология и структурные условия формирования рудных тел Меквенского Баритоносного поля (Окрибский рудный узел)	ალმაატა 2015
2	ჯანაშია შ. გეგია შ.	Геология и структурные условия формирования рудных тел Меквенского баритоносного поля	ბაქო 2015
3	И.И. Шатилова, И.М. Коклашвили.	О геологической истории основных седиментационных бассейнов на территории Грузии в сарматское время  (по данным палинологического анализа)	LXI сессия палеонтологического общества 6-10 апреля 2015 года  Санкт-Петербург, Средний пр.,74, ВСЕГЕИ
4	И.М. Коклашвили, И.И. Шатилова.	Об использовании ландшафтно-фито-ценологического метода при интерпретации палинокомплексов сарматских отложений Восточной Грузии	LXI сессия палеонтологического общества 6-10 апреля 2015 года  Санкт-Петербург, Средний пр.,74, ВСЕГЕИ
5	Natia Inanashvili Nino Adeishvili	Peculiarity of Hydrothermal Quartz Veins in the Liasshales and of Their Contact Impact (the Pirikita Alazani River Gorge)	October 12-15, 2015, Baku, Azerbaijan National Academy of Sciences
6	უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა	Оползневые явления в пределах застроенной части территории г. Тбилиси	<i>СЕМНАДЦАТЫЕ СЕРГЕЕВСКИЕ ЧТЕНИЯ «Инженерно- геологические и геоэкологические проблемы городских агломераций»</i>



			Чтения состоятся: 19-20 марта (четверг - пятница) 2015 г. по адресу: Москва, Ленинский проспект 32а (здание Президиума РАН)
7	უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა	Vertical zoning of ground waters confined to dislocated rocks  Of Upper Jurassic carbonate flysch (Georgia)	INTERNATIONAL CONFERENCE, June, 11-13, 2015 LA ROCHE-SUR-YON, Vendée, France 20th International Association of Hydrogeologists French Chapter Technical days Hard-Rock Aquifers: the up to date concepts and the practical applications Website: <a href="http://www.cfh-ah.fr/soclevendee2015">www.cfh-ah.fr/soclevendee2015</a>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სტატიაში განხილულია ოკრიბის მადნიანი კვანძის მექანიკის ბარიტისშემცველი ველის ფორმირების სტრუქტურული პირობები და გეოლოგია;</li> <li>2. მოცემულია მექანიკის ბარიტისშემცველი ველის მადნეული სხეულების დახასიათება მათი სტრუქტურები და ფორმირების პირობები;</li> <li>3. საქართველოში, სარმატული ნალექები ფართოდ არის გავრცელებული და იყოფა სამ ქვესართულად. შესწავლილი რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ქვედა და შუა სარმატული წარმოდგენილია ზღვიური ნალექებით, რომლებიც შეიცავს მაკრო და მიკროფლორას. შიტუაცია შეიცვალა შუა სარმატულის შემდეგ. მ დროს დასავლეთში შენარჩუნებულია ზღვიური პირობები, ხოლო აღმოსავლეთით იწყება კონტინენტური ფორმირებების ჩამოყალიბება, რომლებიც მოკლებულია დიდი ზომის მცენარეულ ნაშთებს. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ ბოლო დრომდე არ არსებობდა, მონაცემები გვიანი ფლორის შესახებად აღმოსავლეთ საქართველოში. პალინოლოგიური მეთოდის გამოყენებამ მოგვცა საშუალება თვალი გვედევნებინა ერთის მხრივ, მცენარეული და კლიმატის დინამიკისთვის სარმატული ასაკის სამივე პერიოდისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, შეგვადერებინა ეს მონაცემები დასავლეთ საქართველოსთვის.</li> <li>4. შარმატული ნალექების პალინოლოგიური კომპლექსები აღმოსავლეთ საქართველოში იყო ინტერპრეტირებული ლანდშაფტ-ფიტოცენოლოგიური მეთოდის დახმარებით,</li> </ol>			

რომელიც ეფუძნება განედური ზონალურობის კანონს, რაც გავლენას ახდენდა მცენარეულ განაწილებაზე წარსულსა და აწმყოში. ს მეთოდი არ იძლევა კლიმატური პარამეტრების ზუსტ შეფასებას, მაგრამ საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მცენარეული ზონების საზღვრების ცვლილებები. მის გამო, ლანდშაფტო-ფიტოცენოლოგიური მეთოდი არის კლიმატური პირობების ყველაზე ეფექტური რეკონსტრუქცია მთიან რეგიონებში, სადაც შედარებით შეზღუდული არეალია და ამავდროულად არსებობდა მცენარეული საფარი სხვადასხვა სახის მცენარეულობით.

5. კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა და შუა იურული დანალექი წარმონაქმნები თითქმის მთლიანად დასერილია ჰიდროთერმული კვარცის სხვადასხვა სიმკვარის, ორიენტირებისა და გეოქიმიური შედგენილობის ძარღვებითა და ძარღვაკებით, სადაც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე გენერაცია. კვარცის ძარღვებსა და შემცველ ქანებს ჩაუტარდა მიკროსკოპული, რენტგენოფაზური და რემიტგენოფლუორესცენტული კვლევები. კვარცის ძარღვები ძირითადად სტერილურია, იშვითად ფიქსირდება კვარც-მინდვრის შპატთან. შემცველი ქანები ძირითადად თიხაფიქლებითა და მეტაქვიშაქვებითაა წარმოდგენილი;
6. ამჟამად, ქ. თბილისში მიმდინარე სამშენებლო ბუმის პირობებში ადგილი აქვს ქალაქის სხვადასხვა უბნებზე მრავალსართულიანი ნაგებობების მშენებლობას. ამავდროს, არ არის გათვალისწინებული, რომ ზოგი ასეთი უბანი მშენებლობისთვის საფრთხის შემცველია, განსაკუთრებით ნაგებობათა ექსპლუატაციის პროცესში. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების უგულვებელყოფამ უკვე გამოიწვია სერიოზული დეფორმაციები არსებულ შენობებში და მომავალში დეფორმაციათა რაოდენობა უდაოდ მოიმატებს;
7. დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა სისტემის ზედა იურულ-ქვედა ცარცული ფლიშური ნალექები ტექტონიკური კონტაქტით გადადის ალაზნის მთათაშორის დეპრესიაში. ტექტონიკური რღვევები საერთო კავკასიური მიმართულებისაა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. რეგიონალური რღვევის გასწვრივ ხსენებული ფლიში შეცოცებულია მიოცენის ფხვიერ კონტინენტურ ნალექებზე. გოგირდ-წყალბადიანი მინერალური წყაროების გამოსავლები დაკავშირებულია აღნიშნულ ტექტონიკურ კონტაქტთან. ბურღვის მონაცემებით, ნათლად ჩანს კარბონატულ ფლიშში ცირკულირებადი მიწისქვეშა წყლების ვერტიკალური ჰიდროქიმიური ზონალურობა.

**IV.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	კატალიზატორული ბადეების ქიმიური შედეგების განსაზღვრა, მათში პლატინის, პალადიუმის და როდიუმის ზუსტი რაოდენობის დასადგენად. ანალიტიკური ქიმია. რუსთავის აზოტი	ნ. ფოფორაძე	<p>ი. გვალია</p> <p>ს. გველესიანი</p> <p>ნ. ინანაშვილი</p> <p>ხ. გაჩეჩილაძე</p>	სახელმეცნიერო თემები
2	ღორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა. შპს RMG Gold	ნ. ფოფორაძე	<p>ი. გვალია</p> <p>ი. ქუთელია</p>	
3	ქანების პეტროგრაფიული-ლითოლოგიური შესწავლა შპს „ჯეოინჟინერიგი“ შპს „გლობალტრანსი“ შპს „ჯეოსთილი“ შპს „ტურინვესტი“	ნ. ფოფორაძე	<p>ი. ფარადაშვილი</p> <p>ს. გველესიანი</p> <p>ო. სესკურია</p> <p>ნ. იკოშვილი</p>	
4	ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა. შპს „ზარაფხანა“	ნ. ფოფორაძე	<p>ხ. გაჩეჩილაძე</p> <p>ო. სესკურია</p>	
5	უძველესი ქართული მოჭედული ძეგლების დიაგნოსტიკა (XI – XIII ს.ს. ქართული ხელნაწერები) გემოლოგიური კვლევა, ძვირფასი ქვების დიაგნოსტიკა	ბუბა კუდავა	<p>ია ახვლედიანი</p> <p>ასმათ გვაზავა</p> <p>თამარ დვალიშვილი</p> <p>მაია კარანაძე</p> <p>მარია კრისტინა</p>	აშშ ელჩის კულტურის დაცვის ფონდი (U.S. Ambassadors Fund for Cultural Preservation - AFCP)

			პასიერი	
6	<p>ქ. თბილისში, დიდმის ველზე, სამელი წყლის ძველი მილსადენის გამოცვლასთან დაკავშირებით კოროზიის გამომწვევი ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და მიკრობიოლოგიური ძირითადი ფაქტორების კვლევები.</p> <p>დარგი – ჰიდროგეოლოგია, მიმართულება – გარემოს აგრესიული ზემოქმედება</p>	მ. მარდაშოვა	<p>უ. ზვიადაძე, მ. ლაპიაშვილი, თ. ძაძამია, ნ. ქევხიშვილი</p>	<p>ადგილობრივი გრანტი</p> <p>დამფინანსებელი - შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი”</p>
7	<p>საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ახალდაბის ქუჩა №7-ში (წყნეთი) მდებარე საცხოვრებელი სახლის და კარმიდამოს მდგომარეობის შესახებ (2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობასთან დაკავშირებით).</p> <p>დარგი – საინჟინრო გეოლოგია;</p> <p>მიმართულება – საინჟინრო-გეოდინამიკური პროცესები</p>	უ. ზვიადაძე,	<p>მ. ლაპიაშვილი, მ. მარდაშოვა</p>	დაფინანსების გარეშე
8	<p>საპროგნოზო ჰიდროგეოლოგიური დასკვნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ჟონეთის სასმელი წყალმომარაგების შესახებ</p>	უ. ზვიადაძე,	-	<p>დაფინანსების გარეშე.</p> <p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>
9	<p>საპროგნოზო ჰიდროგეოლოგიური დასკვნა მდ. ძამას ხეობაში მდებარე გეთსამანიის დედათა მონასტრის წყალმომარაგების საკითხზე.</p>	უ. ზვიადაძე	<p>მ. მარდაშოვა, ა. ქემოკლიძე</p>	<p>დაფინანსების გარეშე.</p> <p>გეთსამანიის დედათა მონასტერი</p>

	<p>დარგი – ჰიდროგეოლოგია</p> <p>მიმართულება - წყალმომარაგება</p>			
<p>1. “პლატინა–პალადიუმ–როდიუმიანი ბადეების ქიმიური შედგენილობის დადგენა”(შემკვეთი შპს „რუსთავის აზოტი“, ხელშეკრულება №19/05). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შპს “რუსთავის აზოტის” წარმოებაში კატალიზატორად გამოყენებული, დიდ ბრიტანეთში კომპანია “Johnson Matty”-ში გადასამუშავებლად გასაგზავნი პლატინა–პალადიუმიანი, პლატინა–პალადიუმ–როდიუმიანი, პლატინა–როდიუმიანი, პლატინა–ნიკელიანი ბადეების ლითონური მასალის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, რაც გვაძლევს საშუალებას დიდ ბრიტანეთში განახლების შემდეგ შპს “რუსთავის აზოტის” მიერ შემოტანილი პლატინა–პალადიუმიანი, პლატინა–პალადიუმ–როდიუმიანი, პლატინა–როდიუმიანი, პლატინა–ნიკელიანი ბადეების ქიმიური შედგენილობის შედარება დიდ ბრიტანეთში გატანილ ბადეებთან მათი იდენტიფიკაციისთვის.</li> </ul> <p>2. ”დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა” (შემკვეთი შპს „RMG GOLD”, ხელშეკრულება №22/05). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დორე შენადნობის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა მასში ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ზუსტი რაოდენობის დადგენის მიზნით,</li> <li>• სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე ნიმუშების აღება ხორციელდება დაბა კაზრეთში შპს “RMG GOLD”-ს ბაზაზე. “დორე შენადნობის” ზოდიდან საანალიზო ნიმუშების აღება ხორციელდება ზოდის ორივე მხარეს დიაგნოსტიკური მიმართულებით ორ-ორი წერტილიდან; ზოდი იბურდება მისი სისქის ნახევარ სიღრმემდე; საშუალოდ თითო ანალიზისთვის საჭიროა სულ მცირე 2 გრ; აქედან ნახევარი ინახება საკონტროლოდ შპს “კვარციტში”, ხოლო მეორე ნახევარი მოგვაქვს სტუ-ს გმნკდგრ ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიაში ქიმიური და რენტგენოსპექტრული მეთოდით ანალიზების ჩასატარებლად.</li> </ul> <p>3. „ქანების ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული შესწავლა” (შემკვეთი შპს „ჯეონინჟინირინგი”, შპს „გლობალტრანსი”, შპს „ჯეოსთილი”, შპს „ტურინვესტი“.) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქანის სტრუქტურისა და ტექსტურის განსაზღვრა, ლითოლოგიურ-პეტროგრაფიული აღწერა და ქანის რაობის განსაზღვრა;</li> <li>• ქანის რენტგენოსტრუქტურული ანალიზი და მინერალური შედგენილობის განსაზღვრა;</li> </ul> <p>4. „ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა” (შემკვეთი შპს „ზარაფხანა”) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაო:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბრილიანტის ქვების ხარისხის დადგენა (კლასიფიკაცია მიღებული მსოფლიოს სტანდარტების მიხედვით), ფერისა და სისუფთავის ჩვენებით.</li> </ul> <p>5. უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI – XIII ს.ს. ქართული ხელნაწერები) გეომოლოგიური კვლევა, ძვირფასი ქვების დიაგნოსტიკა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ადრეული პერიოდის მოჭედილყდიან ხელნაწერთა ყდების</p>				

დეტალური შესწავლა (მათ შორის დამღების წაკითხვა, ლითონის შედგენილობის დადგენა, ძვირფასი ქვების დიაგნოსტიკა, დაზიანებების ანალიზი) და კონსერვაციის მეთოდების განსაზღვრა მათი შემდგომი კონსერვაციის, დაცვისა და პოპულარიზაციისათვის.

6. ქ. თბილისში, დიდმის ველზე, სამელი წყლის ძველი მილსადენის გამოცვლასთან დაკავშირებით კოროზიის გამომწვევი ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და მიკრობიოლოგიური ძირითადი ფაქტორების კვლევების შედეგები:
  - მილსადენის განთავსების გრუნტის ფიზიკური თვისებების (სიმკვრივე, ტენიანობა, ფორიანობა, პლასტიკურობა, მზიდუნარიანობა) შესწავლა;
  - მილსადენის განთავსების გრუნტის, როგორც შემცველი გარემოს, მეტალის მიღებზე აგრესიული ზემოქმედების შესწავლა;
  - წყლის სინჯების ქიმიური ანალიზების შესრულების გზით მილსადენის და გრუნტის წყლების პერმანენტული კონტაქტის მონაკვეთებზე წყლის მეტალზე აგრესიული ზემოქმედების შესწავლა;
  - მილსადენის განთავსების შემცველ გრუნტში არსებული მიკროორგანიზმების სახეობების დადგენა და მეტალის მილსადენზე მათი კოროზიული ზემოქმედების შესწავლა.
7. წყნეთი - ახალდაბის ფართო ზოლის ფარგლებში რელიეფი საინჟინრო-გეოდინამიკური ინტენსიური პროცესების (ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი და ა.შ.) წარმოქმნა-განვითარების არენაა, რაც პერმანენტულ საფრთხეს უქმნის დასახლებებს და სატრანსპორტო კომუნიკაციებს. თითქმის გამოუვალი მდგომარეობაა. მოქალაქე ნაზიბროლა ბრეგაძის სახლკარის უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია საცხოვრებელი სახლის ეზოს სიღრმეში გადატანა, ხრამის კბოდედან რაც შეიძლება მოშორებით და კონსტრუქციულად მაქსიმალურად საიმედო სახლის აშენება.
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჟონეთის მიდამოებში შპს “ანრე” ტეშენიტის საბადოს ღია კარიერული წესით დამუშავებას აწარმოებს. რამდენადაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით ჩვენთვის ცნობილი გახდა, კარიერის ხელმძღვანელობასა და სოფლის მოსახლეობას შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე სამთო-მოპოვებითმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად დააზიანა სოფლის სასმელი წყლით მომარაგების სისტემა.
9. ჰიდროგეოლოგთა ჯგუფი იმყოფებოდა მდ. ძამას ხეობაში მდებარე გეთსამანიის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე საველე – სარეკოგნოსცირებო ჰიდროგეოლოგიური სამუშაოს შესასრულებლად. ჯგუფს მეგზურობას უწევდა მონასტრის წინამძღვარი დედაო მარინე. საკითხი მონასტრის სასმელ და სამეურნეო წყალმომარაგებას ეხება.

**ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი № 303**

დეპარტამენტის უფროსი – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, პროფესორი – გურამ ვარშალომიძე.

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა: დეპარტამენტში მოღვაწეობს:

პროფესორი-6

ასოც.პროფესორი – 2

ასისტენტ – პროფესორი – 3

მოწვეული პროფესორი – 2

უფრ. მასწავლებელი-6  
(მოწვეული)

სპეციალისტ - 2

ლაბორანტი – 4

**II. 1 პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა.ფრანგიშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ვარშალომიძე, თ. ბაციკაძე, ი.შარაბიძე.	წყალბადის ენერგეტიკა – XXI საუკუნის ენერგეტიკა	საქართველოს ნავთობი და გაზი 2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	13

2	გ. ვარშალომიძე, ი. გოგუაძე, ა. ა.ჭიჭინაძე, ლ. აზმაიფარაშვილი, მ.სურამელაშვილი.	ჭაბურღილების ბურღვის პროცესის ავტომატური მართვისა და კონტროლის კომპიუტერული სისტემები	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	8
3	გ. ვარშალომიძე, ნ. მაჭავარიანი, ო. ონიაშვილი, გ. ტაბატაძე, ვ. ხითარიშვილი.	ნავთობის დანაკარგების შესახებ.	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	8
4	გ. ვარშალომიძე, ი. გოგუაძე, ნ. ხუნდაძე, ვ. ხითარიშვილი, ნ. მაჭავარიანი.	<b>MWD</b> და <b>LWD</b> სისტემების გამოყენება დახრილ- მიმართული და ჰორიზონტალური ჭაბურღილების გაყვანისას.	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	5
5	გ. ვარშალომიძე, ვ. ხითარიშვილი, ა. ჭიჭინაძე, ლ. აზმაიფარაშვილი.	ნაპრალეების წარმოქმნა ჭაბურღილების გაყვანისას და მათი გავლენა ქანების ნგრევის პროცესზე	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	6
6	დ. აბზიანიძე, რ. მანაგაძე, გ. აბზიანიძე.	დისკრეტული დაკვირვებების მიხედვით მდინარის წყლის მდგომარეობის შეფასება კალმანის ფილტრაციის მეთოდის გამოყენებით	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	4
7	ლ.ბაშელეიშვილი, მ. კუმელაშვილი, ს. ყულოშვილი.	რაჭის მიწისძვრის სეისმოტექტონიკური სტრუქტურების	საქართველოს ნავთობი და გაზი	თბილისი პოლიგრაფი	9



		გენეზისი	2015 წ. №30		
8	გ. ნიკურაძე, ნ. ჯიქია.	შრომისუბან- წყალწმინდის ნავთობის საბადოს დაძიების შესახებ	საქართველოს ნავთობი და გაზი  2015 წ. №30	თბილისი პოლიგრაფი	11

ანოტაციები

1. შრომაში ნაჩვენებია შავი ზღვის გოგირდწყალბადით მდიდარი სიღრმული წყლის ამოღების დიდი მნიშვნელობა წყალბადის ენერგეტიკის განვითარებისათვის. მოცემულია სიღრმული წყლის ამოღების ახალი მარტივი და ეკონომიური მეთოდი, რომელიც განხორციელდა გასულ წელს ბათუმის აკვატორიაში ჩატარებული ექსპედიციის შედეგად. ასევე შემოთავაზებულია გოგირდწყალბადის დაშლის ფოტოლისოციაციის მეთოდი და შექმნილია შესაბამისი ეფექტური დანადგარი.

2. ნაშრომში დასაბუთებულია თანამედროვე ავტომატური მართვა და კონტროლი კომპიუტერულ სისტემებზე, რომელიც ახორციელებს გეოლოგიურ-გეოფიზიკურ და ტექნოლოგიურ კვლევებს, ჭაბურღილის დაღრმავების დროს ბურღვის რეჟიმის, ჩაშვება-ამოღებითი ოპერაციების, ამორეცხვის, გამაგრების, ტელემეტრიული სამუშაოების ფენის მოსინჯვას ფლუიდზე და ჭაბურღილის გამოცდას და ათვისებას.

3. გაანალიზებულია საქართველოში ნავთობისა და გაზის წარმოების ოპერაციების დროს ნავთობის დანაკარგების აღრიცხვის, მათი დეფინიციების, ნორმირების, ნორმატივების დამტკიცების და გამოყენების ამჟამად არსებული მდგომარეობა და განსაზღვრულია მათი გადახედვის მიზანშეწონილობის მიზეზები.

აღნიშნულია, რომ 2002 წელს შედგენილი „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელ წესებში“ ბუნდოვნად არის განმარტებული ნავთობის დანაკარგების დეფინიცია, ყურადღება გამახვილებულია მარტო ნავთობის ტექნოლოგიურ დანაკარგებზე და არ არის მითითებული ნავთობის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ნავთობის ავარიული ანუ ზენორმატიული და ბუნებრივი კლებით გამოწვეული დანაკარგები.

ავტორები თვლიან, რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველოში მოქმედ ნავთობკომპანიებში თითქმის არ ხდება ნავთობის დანაკარგების აღრიცხვა, რაც ძირითადად გამოწვეულია დანაკარგების ნორმების არარსებობით. მათი აზრით, „საქართველოს ნავთობგაზომპოვებელ ობიექტებზე ნავთობის ტექნოლოგიური დანაკარგების განსაზღვრის მეთოდური მითითებების“ თანახმად, უნდა მომხდარიყო ტექნოლოგიური დანაკარგების ნორმირება და ნორმების დამტკიცება, რაც არ შესრულებულა, ხოლო ბუნებრივი კლების დანაკარგების ნორმირებასთან დაკავშირებით არავითარი სამუშაო არ

ნატარებულა. ამ მეთოდური მითითებებით ტექნოლოგიური დანაკარგების, მათ შორის ნაწილობრივ ბუნებრივი კლების განსაზღვრა და პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი გარკვეული მიზეზების გამო. შემოთავაზებულია მოსაზრებები დანაკარგების აღრიცხვის, ნორმირების, ნორმების დამტკიცებისა და სხვა სათანადო საკითხების შესახებ.

4. განხილულია დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ჭაბურღილების ბურღვის სივრცითი მართვისა და კონტროლის **MWD** და **LWD** ტელემეტრიული სისტემების გამოყენების თავისებურებები. ამ სისტემებით წარმოებს გეოფიზიკური კვლევები, ქანების ფიზიკური თვისებების განსაზღვრა, ოპტიმალური ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევა. **MWD** და **LWD** სისტემები აღჭურვილია სენსორებითა და გადამწოდებით, რომელთა საშუალებით ხდება ბურღვის პროცესების კონტროლი, კორექტირება და მართვა, ასევე ჭაბურღილის დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ბურღვისას უზრუნველყოფილია ლულის გაყვანის სიზუსტე, რეგულირდება ჭაბურღილის ლულის ტრაექტორია, რათა ზუსტად განთავსდეს ფენის ყველაზე პროდუქტიულ ნაწილში. ამ სისტემის გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება ბურღვის მექანიკური სიჩქარე და საგრძნობლად უმჯობესდება სხვა ტექნიკური მაჩვენებლები.
5. ჭაბურღილების ბურღვის დროს სატეხზე ღერძული დაწოლის გაზრდისას ქანების ნგრევის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ დროს წარმოიქმნება ნაპრალები. სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქანების ზედაპირულ, დაღლილობით ან მოცულობით ნგრევას. განხილულია ნაპრალების წარმოქმნასა და განვითარებაზე შექმნილი გრიფიტის, ნ. მუსხელიშვილის, გ. ბარენბლატის, ი. ჟელტოვის თეორიები და ამოცანები, რომლებიც გამოიყენება ჭაბურღილების ბურღვისას მადეფორმირებელი ძალების ზემოქმედებით ქანებში ნაპრალების გაჩენის ახსნაზე. ზემოაღნიშნული თეორიული გამოკვლევებით შესაძლებელია განსაზღვრულ და განმარტებულ იქნეს ჭაბურღილების გაყვანისას ქანსანგრევი იარაღით ქანების ზედაპირული და მოცულობითი ნგრევის პროცესი, დაღლილობითი ნგრევის პროცესების ახსნა კი პრობლემატურია და გაძნელებული.
6. შემოთავაზებულ ნაშრომში მკითხველები გაეცნობიან მკვლევართა მცდელობას რეალური ეკოლოგიური პრობლემების მათემატიკური აღწერისა და გადაწყვეტის შესახებ.  
ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გამოყენებითი მათემატიკის იმ საკითხების განხილვას, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტული ფილტრაციის ალგორითმის რეალიზაციის დროს.
7. რაჭის მიწისძვრის ეპიცენტრის არეალში განვითარებული სეისმოდისლოკაციური პროცესების ანალიზისას დგინდება მეორე რიგის დისლოკაციების წამყვანი როლი (ქვაზავები, მეწყრები, სელური ნაკადები) არამდგრად, ციკაბოდ დახრილ ფერდობებზე. ხშირია აგრეთვე სხვადასხვა

სახის ნაპრალები და კომბინირებული რღვევები (შესხლეტა-ნაწევები, ნასხლეტ-ნაწევები) მათი უმრავლესობა დასავლურ- ჩრდილო-დასავლური მიმართულებით ხასიათდება.

8. გურიაში, აჭარასა და შავი ზღვის აკვატორიაში დადგენილია მეოტური, შუაეოცენური, ზედაცარცული, ნეოკომური და იურული ნალექების ნავთობგაზშემცველობა და ის, რომ ისინი ძებნა-ძიებითი ბურღვის დამოუკიდებელი საბაზისო ჰორიზონტებია ნავთობისა და გაზის მაღალდებიტიანი საბადოების აღმოსაჩენად.

აღნიშნული საბაზისო ჰორიზონტებიდან ნავთობის საბადოები ჯერჯერობით აღმოჩენილია მეოტურ და ზედაიურულ ნალექებში, ზედაიურულ ნალექებში კი გახსნილია ნავთობის ბუდობი, მაგრამ ისინი გეოლოგიურ-გეოფიზიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სხვა მიზეზების გამო შემოკონტურებული არ არის და, რა თქმა უნდა, უცნობია მათი მარაგების პოტენციალი.

ნავთობისა და გაზის მაღალდებიტიანი საბადოების აღმოჩენა მოსალოდნელია მაღალი კო-ლექტორული თვისებების მქონე შუაეოცენურ, ნეოკომურ და ზედაიურულ ნალექებში გურიაში და მთელ კოლხეთის დაბლობზე და შავი ზღვის აკვატორიაში. ეს ნალექები აღნიშნულ ფართობებზე, ნავთობისა და გაზის წიაღში ფორმირების და შენახვის თვალსაზრისით, არსებულ ყველა პირობას აკმაყოფილებს.

მაღალდებიტიანი, მრავალფენიანი შრომისუბან-წყალწმინდის მეოტური ასაკის ნავთობის საბადო 1974 წელს გაიხსნა №42 ჭაბურღილით, რომლის დაუძიებლობის გამო ნავთობის მოპოვების პოტენციური შესაძლებლობები დადგენილი არ არის. 1974 წლის თებერვალში ამ ჭაბურღილის 3551–3532 მ ინტერვალის (V ჰორიზონტი) დასინჯვისას ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა 100მ<sup>3</sup> დღე-ღამეში თავისუფალი დებიტით. შემდგომში 5 მმ-იან შტუცერზე მუშაობისას დღეღამური დებიტი 30 მ<sup>3</sup> ნავთობს და 20 მ<sup>3</sup> წყალს შეადგენდა.

<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <p>წარმოდგენილი კვლევის შედეგად შეიქმნა ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია, არსებული მასალების მიხედვით მოხდა მათი განზოგადება, სათანადო სისტემატიზაცია და კლასიფიცირება თეორიული მოდელის შექმნით, რაც მსოფლიოში და საქართველოშიც, ერთის მხრივ, შემოიტანს მწყობრ სამეცნიერო ცოდნას აღნიშნულ დარგში, და მეორეს მხრივ, მიზანმიმართულს და ოპტიმალურს გახდის კვლევებს და მის შედეგებს კონკრეტული ნაგებობის, კონსტრუქციების და კომპლექსების შექმნის რთულ და მრავალმხრივ პროცესში.</p> <p>მიმდინარე წელს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეიქმნა ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია;</li> <li>- ჩამოყალიბდა ტრანსფორმირებადი მიწისზედა საინჟინრო ნაგებობების კონსტრუირების ლოგიკა;</li> <li>- ჩამოყალიბდა ტრანსფორმირებადი კოსმოსური საინჟინრო ნაგებობების კონსტრუირების ლოგიკა.</li> </ul> <p>ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების წარმოდგენილი თეორიის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს ტიპის რელიეფისათვის სწრაფადასაგები ტრანსპორტირებადი, ექსტრემალური ხიდების, ახალი თაობის კოსმოსური ნაგებობების, სატელეკომუნიკაციო, ზემსუბუქი, ხისტი და გასაშლელი დიდი ორბიტული რეფლექტორული ანტენების და სხვა, ასევე ფორმაცვლადი, გასაშლელ-დასაკეცი კონსტრუქციების და კომპლექსების შექმნა.</p>			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
№1	ტრანსფორმირებადი, გასაშლელი, ტრანსპორტირებადი სამხედრო დანიშნულების საიერიშო ხიდის და სატანკო ხიდგამდების AVLБ-72-ის შექმნა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები	ე. მეძმარიაშვილი	მ. სანიკიძე ნ. წიგნაძე ლ. ფილიპენკო ა. ჭაფოძე ა. წიკლაური მ. ნიკოლაძე

	და ნაგებობები; ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები)		
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <p>განისაზღვრა საქართველოს რელიეფის ტიპის შესაბამისი, გასაშლელ-დასაკეცი, ტანკზე განთავსებული, საიერიშო სამხედრო ხიდის შექმნის კონცეფცია. მოხდა ოპტიმალური გადაწყვეტის შერჩევა, ჩატარდა თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევები და ამის საფუძველზე შეიქმნა ექსტრემალური პირობების შესაბამისი გასაშლელი, ტრანსფორმირებადი ერთმალისანი ხიდი და მისი სატანკო ხიდგამდები.</p> <p>მიმდინარე წელს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- განხორციელდა ექსპერიმენტული მოწყობილობების კომპლექტაცია და მათი მონტაჟი;</li> <li>- ჩატარდა ტრანსფორმირებადი სისტემის ექსპერიმენტული კვლევა;</li> <li>- ჩატარდა ტრანსფორმირებადი სისტემის მასშტაბური (1:10) მოდელის კამერული გამოცდები გაშლა-დაკეცვაზე.</li> </ul> <p>წარმოდგენილი კვლევის შედეგები საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მისცემს საშუალებას თვით საქართველოში შეიქმნას ტანკ თ-72-ზე განთავსებული, გასაშლელი ხიდი მალთ 22 მეტრი. ასეთი სახის შეიარაღების არსებობა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მისცემს იმის უპირატესობას, რომ მოწინააღმდეგე წააწყდება მოულოდნელ ეფექტს, რაც მდგომარეობს იმაში რომ, ნაცვლად რუსული წარმოების MTY-20-ისა, რომელიც საქართველოს დღეს მხოლოდ ორი ცალი გააჩნია, ის გამოიყენებს ახალი მოდიფიკაციის ხიდგამდებებს, რომლებსაც გაცილებით მაღალი მაჩვენებლების ტექტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები ექნებათ. აღსანიშნავია, რომ ახალ გასაშლელ საიერიშო ხიდს და ხიდგამდებ V 72-ს, შექმნილს ტანკ თ-72-ის ბაზაზე, ახასიათებს უფრო მეტი გადაადგილების სიჩქარე, მანევრულობა, ტვირთამწეობა და სიგრძე, ვიდრე საქართველოს შეიარაღებაში არსებულ MTY-20-ს, რომელიც ტანკ თ-55-ის ბაზაზეა შექმნილი. ამასთან, თვით ხიდი, რომელიც ხიდგამდებ V 72-ზეა განთავსებული, აგებულია გაშლის „მაკრატლისებრ“ პრინციპზე და მისი შექმნის იდეოლოგია იგივეა, რაც ამერიკული საიერიშო ხიდებისა – V 60 და 2014 წელს ამერიკის არმიაში გადასაცემი V 72-ის. ასეთი მიდგომით ხდება გარკვეული უნივერსალიზაცია თ-ს სახელმწიფოების შეიარაღებაში არსებული საიერიშო ხიდებისა და ქართული საიერიშო ხიდისა, რომლის მიხედვით ტანკ თ-72-ის ბაზაზე შექმნილ ხიდგამდებზე ასევე შესაძლებელია ამერიკული და ინგლისური „თით“-ის ტიპის ხიდების გამოყენებაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იერიშის დროს ხიდგამდები შექმნილი თ-72-ის ბაზაზე იგივე სიჩქარით გადაადგილდება საბრძოლო კოლონაში, როგორც ჩვენს შეიარაღებაში არსებული საბრძოლო ტანკები თ-72, რაც თანამედროვე ხიდგამდების შექმნისას შეიარაღებული ძალების ოპერატიული და ტექტიკური მოთხოვნების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.</p>			
2	გასაშლელ-დასაკეცი, სამოქალაქო დანიშნულების, ერთმალისანი ხიდის შექმნა	ე.მეძმარიაშვილი	მ. სანიკიძე ნ. წიგნაძე

	და მისი ტრანსპორტირებისა და მონტაჟის სქემების და საშუალებების განსაზღვრა (საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები – სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები; ხიდები და სატრანსპორტო		<p>ლ. ფილიპენკო</p> <p>ა. ჭაფოძე</p> <p>ა. წიკლაური</p> <p>მ. ნიკოლაძე</p>
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)</p> <p>განისაზღვრა საქართველოს რელიეფის ტიპის რეგიონებისათვის სწრაფადსაგები, გადასატანი, მრავალჯერადი სამოქალაქო გამოყენების ერთმალისანი ხიდების შექმნის კონცეფცია და მათი ტრანსპორტირებისა და მონტაჟის პირობები.</p> <p>მიმდინარე ველს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ჩატარდა ტრანსფორმირებადი, ერთმალისანი ხიდის და მისი მონტაჟის სქემების განხილვა და შეირჩა ოპტიმალური ვარიანტი;</li> <li>- ჩატარდა ოპტიმალური ვარიანტის თეორიული კვლევა;</li> <li>- ჩატარდა ოპტიმალური ვარიანტის სამონტაჟო სქემების და ტრანსპორტირების თეორიული ანალიზი;</li> <li>- შეიქმნა ტრანსფორმირებადი, ერთმალისანი, ტრანსპორტირებადი ხიდის პრინციპული სქემის.</li> </ul>			

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<p>ლ.ბაღანჩივაძე</p> <p>ლ.კახიანი</p> <p>ლ.ავალიშვილი</p>	<p>“რკინაბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება ევრონორმების</p>	<p>სტუ-ს გამომცემლობა</p> <p>“ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2015 წ.”</p>	250გვ

		მიხედვით”		
ანოტაციები				
<p>ვეროპასთან ინტეგრაციის კონტექსტში აქტუალობას იძენს ეროვნორმების შესწავლა. შესაბამისი მასალა ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არსებობს. წარმოდგენილი ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, ინჟინერ-დამპროექტებლებს, მეცნიერ-მუშაკებს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი ნორმატივებიდან ევროკოდების სისტემით დაპროექტებაზე გარდამავალ პერიოდში.</p>				
2	თ.ხმელიძე	ხის კონსტრუქციები	საგ.სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	531
ანოტაცია				
<p>სახელმძღვანელოში განხილულია ხის კონსტრუქციების განვითარების ტენდენციის საკითხები,მათი მშენებლობაში გამოყენების აქტუალობა,ამჟამინდელი მდგომარეობადა პერსპექტივები. აღწერილია საქართველოში არსებული მერქნის ნედლეულის ბაზის დინამიკა,გავრცელებული ჯიშები,მერქნის,როგორც, კონსტრუქციული საშენი მასალის,ფიზიკურ-მექანიკური თვისებები,ცეცხლისა და გეოლოგიური მავნებლობისაგან დაცვის გზები. გადმოცემულია ხის კონსტრუქციების დეტალების და შეერთებისგაანგარიშების და კონსტრუქციების საფუძვლები.აღწერილია კონსტრუქციების ძირითადი სახეობები, აგრეთვე მათი დამზადების ტექნოლოგია,ექსპლუატაცია, და ეკონომიკური ასპექტები. მოცემულია კონსტრუქციების პრაქტიკული გაანგარიშების მაგალითები.</p>				

3	ი. ღარიბაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, შ. დოლიძე, თ.ნარეკლიშვილი, გ. დოლიძე	რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე, მეარმატურე)	თბილისის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.	232
ანოტაცია				
<p>წიგნის მიზანია, შევასწავლოთ მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების დამზადებისას საყალიბე, საარმატურე და ბეტონის სამუშაოების წარმოება, უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით, კერძოდ: სხვადასხვა ტიპის ყალიბების მოწყობა, მზა ყალიბის აწყობა, არმატურის ნაკეთობების მომზადება მონტაჟი, ბეტონის მიღება და ჩალაგება ყალიბებში, ბეტონის ნარევის გამკვრივება და შემდგომი მოვლა.</p>				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. ავალიშვილი ლ.ბალანჩივაძე	მეთოდური მითითებები რკინა-ბეტონის კარკასული შენობების გასაანგარიშებლად სეისმურ ზემოქმედებაზე.	თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი	27
<p>ანოტაციები</p> <p>განხილულია ხიდურა ამჟინი ერთსართულიანი სამრეწველო კარკასული შენობის გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე, კერძოდ, დადგენილია განივ ჩარჩოზე სეისმური დატვირთვა, გათვალისწინებულია არმატურის კვეთის შესარჩევად სვეტებში სეისმური ძალები. მოყვანილია დანართები მოქმედი სამშენებლო ნორმატივებიდან სეისმური რაიონებისათვის.</p>				
2	თამაზ ხმელიძე	სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2035
<p>ანოტაცია</p> <p>მშენებლობა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგია, რომელთანაც ყოველდღიური შეხება აქვს ნებისმიერ ადამიანს და რაც უფრო გათვითცნობიერებულია იგი ამ საქმეში, მით უფრო რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებს თავისი საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობაში, აგრეთვე ქალაქის, რაიონის, სოფლის და, შესაბამისად, ქვეყნის იერსახის გალამაზებაში. განმარტებითი ლექსიკონის უპირატესობა სხვა სახის ლიტერატურასთან ისაა, რომ მკითხველი, ლექსიკონის დახვეწილი სტრუქტურის მეშვეობით, კარგად ეუფლება შინაარსს და ინფორმაციასაც ამომწურავად იღებს, მით უმეტეს, თუ ლექსიკონი მდიდარია თვალსაჩინო მასალებითა და ილუსტრაციებით. დასავლეთის ანალოგიურად, ჩვენს ქვეყანაში განათლება ცალკე დარგია და ამ დარგის განვითარება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლისათვის. განმარტებითი ლექსიკონი თავისი სტრუქტურითა და ფორმით გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი. იგი შუალედ მდგომარეობას იკავებს ენციკლოპედიასა და ჩვეულებრივ ლექსიკონებს შორის. ალბათ ეს არის ერთ-ერთი შემაფერხებელი პირობა მათი სიმცირისა.</p> <p>მართალია ორენოვანი ლექსიკონები აუცილებელია საზოგადოებისათვის, მაგრამ განმარტებით ლექსიკონებზეც არანაკლები მოთხოვნაა ამა თუ იმ ტექნიკური და</p>				

საბუნებისმეტყველო სპეციალობის მქონე კონტინგენტისაგან. დღეისათვის საქართველოში გვაქვს ტერმინოლოგიური ლექსიკონები, საარჩევნო ტერმინთა, სამედიცინო ტერმინოლოგიის და სხვ., რაც ოდნავადაც ვერ ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც გვაქვს ამ მიმართულებით. მშენებლობის დიდი მასშტაბები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, დღის წესრიგში აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის, კერძოდ კი საშენი მასალების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, დაგეგმვის, მენეჯმენტის, გაანგარიშების მეთოდების, ხარისხის გაუმჯობესების, კონტროლის, ნაგებობების დაპროექტების, ცეცხლმდეგობის, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის დაცვის და სხვათა სრულყოფას, ეს კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან, ლაბორატორიული კვლევების დანერგვასთან, მეცნიერებასთან, კომპიუტერიზაციასთან და დასასრულ, სამშენებლო კადრების კვალიფიკაციის უცილობელ ზრდასთან. ყოველივე ამის მისაღწევად პირველი რიგის ამოცანაა, ქვეყანაში მშობლიურ ენაზე გვქონდეს მაღალი ხარისხის დარგის საცნობარო ლიტერატურა და მათ შორის სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. სოსხაძე, მ. ბედიაშვილი	ნაგებობათა სეისმომდეგობის ამაღლება სეისმოიზოლაციის საშუალებების გამოყენებით.	№1(32), 2014	თბილისი, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	10

ანოტაცია

მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალის შემცირებას ახალი კონსტრუქციული სისტემების დანერგვის ხარჯზე, მიძღვნილია წინამდებარე სტატია.

ერთერთი ასეთი სისტემა, რომელიც გავრცელდა მსოფლიოში უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში, არის სეისმოიზოლაციის სისტემები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ხისტ კონსტრუქციულ სისტემებში, ისე კარკასულ ნაგებობებში.

განხილულია ქართველ მეცნიერთა, დაპროექტებელთა და მშენებელთა წვლილი სეისმომდეგი მშენებლობის განვითარების საქმეში ყოფილ საბჭოთა კავშირში და მასში შემავალ სეისმურ



რაიონებში განლაგებულ რესპუბლიკებში. მოყვანილია აგრეთვე მშენებლობის დარგის სპეციალისტების, რომლებიც მუშაობენ სეისმურ რაიონებში, გადამზადების საკითხი.

2	ა.სოსხაძე მ.ბედიასვილი	არსებული შენობების გაძლიერება სეისმომდევობის ამაღლების მიზნით	№1(36), 2015	თბილისი, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	7
---	---------------------------	--	--------------	---	---

ანოტაცია

სტატიაში მოყვანილია ის მეთოდები და საინჟინრო გადაწყვეტები, რომელთა ცხოვრებაში გატარება საშუალება მისცემს ძირითადი დანიშნულების ორგანიზაციებსარ დაკარგონ თავისი ფუნქცია საანგარიშო მიწისძვრის დროს. ესენია:საავადმყოფოები, სკოლები, ბაგა-ბაღები, პოლიცია, ციხეები, სახანძრო დაწესებულებები, კავშირგაბმულობის სისტემები და ა.შ. მოყვანილია საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოყენებული ასეთი შენობების დამცავი სეისმოიზოლაციის საშუალებები.

3	ა.სოსხაძე მ.ბედიასვილი	კოსმოსური ტექნიკა ზოგადად	№1(36), 2015	თბილისი, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	
---	---------------------------	------------------------------	--------------	---	--

ანოტაცია

სტატიაში მოყვანილია თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად ახლო, საშუალო და შორეულ კოსმოსური სივრცეების გრადაცია. განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე კოსმოსური ტექნიკის სისტემურ აღწერას, რომელიც მოიცავს რაკეტამატარებლებს, კოსმოსურ ხომალდებს და კოსმოსურ აპარატებს, ორბიტალურ სადგურებს და კოსმიურ ზონებს.

4	A.Сохадзе M.Бедиашвили	Предпосылки антисейсмических мероприятий гражданских сооружений и усиление восстановления поврежденных зданий.	№1(35)2015	Москва 2015г.  Материалы II междунар. конференции	10
---	---------------------------	--	------------	---	----

5	ლ.კახიანი ი.საღაძე	წესები კარკასული შენობების საძირკველში სეისმოიზოლაციის	№2(37), 2015	თბილისი, სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი	5
---	-----------------------	---	--------------	---	---

		სისტემის დაპროექტების განხორციელებისათვის		“მშენებლობა”	
--	--	---	--	--------------	--

ანოტაცია

სტატია ეხება კარკასული შენობის საძირკველში განთავსებული სეისმოიზოლაციის სისტემის დაპროექტების მეთოდებს, განხილულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შენობის სეისმომდებლობაზე.

6	ბ. სურგულაძე, ნ. სვიანაძე, ლ.ფირყულაშვილი	წინასწარდაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია	„საქპატენტი“ საიდენტიფიკაციო №1372701  დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გადასაცემად	ქ. მცხეთა „საქპატენტი“	4
---	---	--------------------------------------	--	------------------------	---

ანოტაციები

წინასწარ დაბული ჩარჩოვანი კონსტრუქცია, რომელიც შეიცავს ვერტიკალური ელემენტებს, მათზე საყრდენი ნაწილებით დაყრდნობილ მაღის ნაშენს, საკოჭს, რომელიც გადადებულია მაღის ნაშენის შუა ნაწილში ქვედა მხარეს მოწყობილ ჰორიზონტალურდერძიან საგორავზე და ბოლოებით მიმაგრებულია მაძლიერებელი ორმხარა ბერკეტების თითო ბოლოსთან, მაღის ნაშენსა და საკოჭს შორის მოთავსებულ დამჭიმ საშუალებას, **განსხვავდება იმით, რომ** მაღის ნაშენი და ვერტიკალური ელემენტები შესრულებულია ორი შეწყვილებული ბრტყელი კონსტრუქციისაგან, რომელთა შორის ღრეჩოებში გატარებულია საკოჭები, ხოლო მაძლიერებელი ორმხარა ბერკეტები სამკუთხედის ფორმისაა და შესრულებულია დეროვანი ელემენტისაგან, რომლის მართკუთხა ან ბლაგვკუთხა წვერო აღჭურვილია სამკუთხა ელემენტის სიბრტყის მართობულად განლაგებული წრიული განიკვეთის მქონე ჰორიზონტალური დეროებით, რომლის ბოლოები აღჭურვილია ცილინდრული საგორავებით, რომლებიც შეერთებულია ვერტიკალური საყრდენი ელემენტების მაღის მხარეს განთავსებულ ნაპირებთან, ამასთან სამკუთხედის ფორმის ელემენტებს მახვილკუთხიან წვეროებზე აქვს ვერტიკალური კილოები და ნახვრეტები, რომლებშიც განთავსებულია ლილვი, ხოლო ჩარჩოვანი კონსტრუქციის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ელემენტების შუა ნაწილების შიდა მხარეები აღჭურვილია საკოჭის დამჭერი კავებით და დამჭიმი მოწყობილობებით, რომლებზეც განთავსებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური საკოჭები, ამასთან, ჰორიზონტალური საკოჭების ბოლოები სახსრულადაა მიმაგრებული ორმხარა ბერკეტების ნაშენის შიდა მხარეს განთავსებულ წვეროებზე, ხოლო ვერტიკალური საკოჭების ბოლოები სახსრულადაა მიმაგრებული ორმხარა ბერკეტების ნაშენის გარე მხარეს განთავსებულ წვეროებზე და ვერტიკალური ელემენტების ქვედა განაპირა საყრდენ კვანძებზე.

7	ბ.სურგულაძე. შ.ბაქანიძე. კ.იაშვილი.	ტრადიციული მეწვერსაწინააღმდეგო საყრდენი კედლების ხელსაყრელი ტექნოლოგიური გადაწყვეტა.	№4(39)2015	სამ. ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა	8
---	---	--	------------	---	---

ანოტაცია

სტატიაში განხილული და შემოთავაზებულია ბუნებრივი კალთების მეწვერული მოვლენების პრევენციის ერთ-ერთ მეთოდი. ნაშრომში განხილულია საყრდენი კედლების სამი ტიპი: მასიური ბეტონის, ვერტიკალური; მასიური ბეტონის, დახრილი და მონოლითური რკინაბეტონის.

შესაძლო ვარიანტების ერთმანეთთან ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე დასაბუთებულია რკინაბეტონის მონოლითური კედლების უპირატესობა მასიურ ბეტონის კედლებთან მიმართებაში.

8	ბ.სურგულაძე. შ.ბაქანიძე. კ.იაშვილი	ბუნებრივი კალთების მდგრადობის უზრუნველყოფა გრუნტულ ანკერებიანი რკინაბეტონის საყრდენი კედლებით.	№4(39)2015	სამ. ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	8
---	--	--	------------	--	---

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გრუნტული ანკერების მოწყობა კედლის ქვედა დონეზე. დასაბუთებულია ორ იარუსად განთავსებულ გრუნტულანკერებიანი მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლების ეკონომიური ეფექტი. იარუსად განთავსებულ გრუნტულანკერებიან კედლებთან მიმართებაში.

9	ლ.ავალიშვილი. ლ.ჭკუასელი.	“რკინაბეტონის კარკასულიშენობის დინამიური ზიდვის უნარი სეისმური ტიპის ზემოქმედებისას.”	№2(37)	სტუ-ს გამომცემლობა  სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	6
---	------------------------------	--	--------	---	---

ანოტაცია

სტატიაში წარმოდგენილია რკინაბეტონის კარკასული შენობის სეისმომდებლობის თეორიული გამოკვლევა ერთმალეანი დინამიკური საანგარიშო სქემის (ოსცილატორის) საფუძველზე. სპეციფიკური საინჟინრო კომპიუტერული პროგრამით “ლირა” მიღებულია სეისმური ძალების სრული სპექტრი 8 და 9 ბალიანი სეისმური აქტივობებისათვის კარკასის ელემენტების გეომეტრიული პარამეტრებისა და შესაძლო დატვირთვების ვარიანტებით. ძალების მიხედვით

დადგენილია კონსტრუქციის დინამიკური ზიდვის უნარი (სიმტკიცე) გაანალიზებულია სტატიკურ სიმტკიცესთან შედარებით დინამიკური სიმტკიცის ამადლების მიზეზები. ცხრილების ფორმით მიღებული შედეგები შეამსუბუქებს დამპროექტებლის შრომას.					
10	ლ.კახიანი, ლ.ბალანჩივაძე, კ.მახარობლიშვილი	სართულთშორისი მონოლითური გადახურვის თანამედროვე კონსტრუქციების საკითხები	№2(37)201 5	თბილისი, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”	5
ანოტაცია					
<p>სტატიაში გადმოცემულია მონოლითური სართულთშორისი გადახურვის თანამედროვე კონსტრუქციების შესახებ. აღწერილია გადახურვის შემამსუბუქებელი ელემენტების გამოყენების და მათი კონსტრუქციების პრინციპების შესახებ. სტატიაში ასევე მოყვანილია ფილის კონსტრუქციების კვეთები, დასაშვები ზომები, როგორც ფილის ასევე მასში მოთავსებული არმატურის.</p>					
11	კ.იაშვილი, დ.ტაბატაძე, შ.ბაქანიძე	ახალი ტიპის ორ და სამ სამმაგრიანი საყალიბე ფარის კონს-ტრუქციული გაანგარი-შება.	№3(39)20 15	სტუ. ჟურნალი “მშენებლობა”	14
ანოტაცია					
<p>ცნობილია რომ, შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავ კედლებს აგებენ მრავალშრიანს მონოლითური მშენებლობის შემთხვევაში სასურველია კონსტრუქციული შრე შესრულდეს მძიმე ბეტონით ან რკინაბეტონით. შრეების ერთობილი მუშაობისათვის სხვა ღონისძიებების გარდა მიზანშეწონილია მათი ურთიერთშეხების ზედაპირის ფართობის გაზრდა რასაც ახორციელებენ შრეების ურთიერთმიერთებით რთულპროფილური ზედაპირით. ასევე შენობა ნაგებობათა შემომფარგლავი კედლები უნდა აკმაყოფილებდნენ კონსტრუქციულ თბოსაიზოლაციო ჰიდროსაიზოლაციო და.ა.შ. მოთხოვნებს ამიტომ მათ აპროექტებენ მრავალშრიან(ორშრიან ან სამშრიან) ვარიანტში. მონოლითური მშენებლობის დროს კონსტრუქციული შრე სრულდებ ჩვეულებრივ (მძიმე) ბეტონის ან რკინაბეტონისაგან. რაც შეეხება თბოსაიზოლაციო შრეს, იგი საქართველოს პირობებში შეიძლება შესრულდეს მსუბუქშემავსებლიან (შიდა პემზა და სხვა) ბეტონით. შრეებს შორის ადგილის გაასუმჯობესებლად მიზანშეწონილია მათი ურთიერთება არაბრტყელი, არამედ რომელიმე რთული პროფილური ზედაპირით.</p>					
12	О.Г.Хазарадзе, Ф.Г.Верулашвили, В.Ш.Турашвили	Металлические составные балки с гибкой стенкой	№4(498)	ТРУД GTU- შრომები	6

ანოტაცია

ნაშრომში შემოთავაზებულია ჩვეულებრივ მოქნილკედლიან შედგენილ ორტესებრ კოჭებში ემცირებული განიკვეთიანი კედლის გამოყენებით.

მოქნილკედლიანი კოჭების ანგარიში წარმოებს და განიხილება როგორცთხელკედლიანი ფირფიტა. თხელი კედლის გამოყენების შემთხვევაში იზრდება კედლის მოქნილობა, დაკარგა რა ადგილობრივი მდგრადობასიხისტის წიბოებს შორის მონაკვეთში წარმოიშობა ნაოჭები. ამ შემთხვევაში კოჭი გარდაიქმნება უირიბნო წამწედ. პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება კოჭები ვერტიკალური სიხისტის წიბოებით. წიბოების ჩართვით თხელ მოქნილკედლიან კოჭებში შეიძლება გამოვიყენოთ უფრო თხელკედლიანი კოჭები.

თხელკედლიანი კოჭების რაციონალურად ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია დროებითი სტატილური დატვირთვისდროს.

მრიგად, კედლის მუშა კრიტიკული სტადიის მიღმა გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ თხელკედლიანი კოჭები, გვაძლევს ლითონის ეკონომიას.

შედგენილი ორტესებრი თხელკედლიანი - კოჭები ჩვეულებრივ მოქნილკედლიან კოჭებთან შედარებით გვაძლევს ლითონის ეკონომიას (15-20%).

13	მ.ჭანტურია, მ.ამამარდაშვილი	სისტემის “შენობა კიდულ ხიმინჯოვანი საძირკველი” არაწრფივი დიაგრამების აგების მეთოდიკა. “მშენებლობა.”	3(38)2015	თბილისი	7
----	--------------------------------	---	-----------	---------	---

ანოტაცია

კიდულ-ხიმინჯოვან საძირკველზე აგებული შენობა-ნაგებობის სეისმურ დატვირთვებზე გაანგარიშების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ისეთი დინამიკური საანგარიშო სქემის შერჩევა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც კონსტრუქციის მასალის, ასევე ფუძე-საძირკველის ძირითადი დეფორმაციული მახასიათებლები. მავედროს ის უნდაიყოსმარტივი და უნივერსალურად გამოყენებადი ყველა ტიპის შენობა-ნაგებობათა გაანგარიშების თვალსაზრისით.

14	მ.ჭანტურია ა.ამამარდაშვილი	ხარისხის ინფრასტრუქტურა დასამშენებლო ბიოზნესი. “მშენებლობა”	3(38)2015	თბილისი	6
----	-------------------------------	---	-----------	---------	---

ანოტაცია

ხარისხის ინფრასტრუქტურისგანვითარება და მისი საერთაშორისო აღიარება წარმოადგენს ნებისმიერი სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი მიმოქცევის გრანტს.უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა ელემენტის-სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას ექვივალენტური წესების შემოღება.

15	მ.ჭანტურია მ.ხომერიკი	ვანტური ხიდის სიხისტის კოჭის გაანგარიშება ვანტის დამყოლის გათვალისწინებით	4(39)2015	თბილისი	6
ანოტაცია					
<p>სატრანსპორტო კომუნიკაციები, მათ შორის ხიდები, ბევრად განსაზღვრავენ სახელმწიფოს კეთილდღეობას და მისი განვითარების პერსპექტივებს. თანამედროვე ხიდების სახეობანი მეტად მრავალფეროვანია. მათი კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით მოხდეს. ვანტური ხიდების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი კონსტრუქციული ფორმების მრავალფეროვნება. ვანტური ხიდი, როგორც არქიტექტურული ან სამბლის დომინანტური ელემენტი, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს არქიტექტორებს და ინჟინერ-კონსტრუქტორებს, რის შედეგადაც ვანტური ხიდები, სხვა სისტემის ხიდებთან შედარებით, გამოირჩევა კონსტრუქციული მრავალფეროვნებით.</p>					
16	შ.წეროძე ე.ემქმარიაშვილი ა.სარჩიმელია ნ.წიგნაძე მ.ნიკოლაძე თ.ჩალაური	“ტრანსფორმირებადი პანტოგრაფიული ძალოვანი რგოლის გამშლელი ძალების ურთიერთდამოკიდებულების განსაძღვრა განსხვავებული კინემატიკური სქემების შემთხვევაში” (ნაწილი პირველი) “მექანიკის პრობლემები”	4(61)2015	თბილისი	
ანოტაცია					
<p>პანტოგრაფიული სისტემის გაშლისას რგოლზე მოქმედი ძალთა შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა ფრიად მნიშვნელოვანია ნაშრომში განხილულია სამი განსხვავებული გაშლის კინემატიკური სქემა. პირველ შემთხვევაში პანტოგრაფის მამოძრავებელი ძალები წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ძალტა წყვილების სახით, რომლებიც მოდებულა ბერკეტის გადაბმის წერტილში გამშლელი ბაგირების ზემოქმედების სანაცვლოდ; ანალოგიურად მეორე შემთხვევაში ჩასატეხი დეროების სახსრულ შეერთებებში; ხოლო მესამე შემთხვევაში – ჩასატეხი დეროების სახსრულ შეერთებებში ჩამონტაჟებული მკუმშავი ზამბარებით წარმოდგენილი სქემებისათვის ნაშრომში აგრაფიკულადაა წარმოდგენილი ძალოვანი დიაგრამები დიამეტრთან მიმართებაში გათვალისწინებულია ხახუნი.</p>					
17	შ.წეროძე მ.ნიკოლაძე ე.ემქმარიაშვილი ნ.წიგნაძე მ.სანიკიძე ა.ჭაფოძე ა.ღუდუშაური	კრიტიკული სისტემის გამშლელი და წინააღმდეგობის ძალების გაანგარიშება ტრანსფორმირებად სივრცულ სწორხაზოვან საყრდენში, გრძივი მდგრადობის პირობის გათვალისწინებით. “მექანიკის	3(60)2015	თბილისი	6

		პრობლემები”.			
ანოტაცია					
<p>ჩატარებულია სწორხაზოვანი რეგულარული მექანიკური სისტემის (დამსხივებლი სსაყრდენი) ძალოვანი ანგარიში. განსაზღვრულია კვეთები. გრძივი ტრანსფორმირებადი პანტოგრაფული ტიპის ელემენტში მინიმალური კვეთის ინერციის მომენტისგან საზღვრის შემდგომ დადგენილია კავშირი გაშლის სიგრძესთან მიმართებაში. ან უტრანსფორმაციის პროცესში დროის ნებისმიერი ნტერვალში შეგვიძლია კვეთის მახასიათებელი მივიღოთ. ანალოგიურად წარმოდგენილია გრაფიკული სურათი კრიტიკული ძალის მნიშვნელობისა გაშლის პროცესში, ხოლო მამოძრავებელი და წინააღმდეგობის ძალების სიმძლავრეები სტოლობიდან გამომდინარე გაანაგრიშებულია საყრდენის წინააღმდეგობის ძალა.</p>					
18	გ.გურეშიძე, ა.ჩიქოვანი; დ.ვარდიაშვილი	“დატვირთვის სიჩქარის გავლენა ბეტონის სიმტკიცეზე”.	ჟ. “ენერგია” 3(75)2015	სტუგამომცემ ლობა თბილისი	76-80
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია ბეტონის სტანდარტული, ხანმოკლე და ხანგრძლივი სიმტკიცეები, დინამიკური განმტკიცების კოეფიციენტი, შეჯერებულია ხანგრძლივი დატვირთვისთვის საანგარიშო და ექსპერიმენტული მნიშვნელობები. ნაჩვენებია, რომ რაც ნაკლებია დატვირთვის სიჩქარე, მითნაკლებია ბეტონისგანსაზღვრულისიმტკიცე. სამშენებლო კონსტრუქციების ექსპლუატაცია ხდება ხანგრძლივად მოქმედი დატვირთვით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს რაღაც დიაპაზონში. ბეტონის ხანგრძლივი სიმტკიცის დონე რამდენად შემცირდება მისი ტენიანობის მატებით.</p>					
19	გ.გურეშიძე, ა.ჩიქოვანი; დ.ვარდიაშვილი	„ბეტონის შედგენილობის დაპროექტება ქიმიური დანამატებით“	ჟ. მშენებლობა №2(37) 2015	სტუგამომცემ ლობა თბილისი	27-30
ანოტაცია					
<p>ამჟამად საქართველოში თითქმის ყველა ფერი მონოლითიური ბეტონით და რკინაბეტონით შენდება. ბეტონის ნარევის მომზადება, გადატანა, ჩაწობა, შემკვირვება თანამედროვე საშუალებებით ხდება და ამის გაკეთება ქიმიური დანამატების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ არსებითია ვიცოდეთ ბეტონის შედგენილობის გაანგარიშება ქიმიური დანამატების გამოყენებით.</p>					
20.	ო. საზარაძე, ზ. ბაბუციძე	“ლითონის განგმირკვეთიანი კოჭების შედგენილი ამჟკვეშა ნივნიკვეშა	ჟ. მშენებლობა №2(37)	სტუ გამომცემლო ბა თბილისი	122-124

	გ. ბალიშვილი	წამწები”	2015		
ანოტაცია					
<p>ნაშრომში შემოთავაზებული განგმირკვეთიანი ამწვეშაკოჭები, ამწვეშა ნივნივქვეშა წამწები. განგმირკვეთიანი ამწვეშა წამწები ეკონომიურია მასალის ხარჯის მიხედვით, ვიდრე ამწვეშა კოჭი და ნივნივქვეშა წამწე ცალცალკე. გაანგარიშებისას განგმირკველიანი ამწვეშა კოჭისტატიკური სქემის მიხედვით წარმოადგენს კომბინირებულ სისტემას წამწეს ხისტი ზედა სარტყელით. ძაღვებს წამწეს ეღემენტებში ვსაზღვრავთ წინასწარ ვუშვებთ, რომ ძაღვების მნიშვნელობას ვანგარიშობთ სასრული სქემის მიხედვით.</p>					
21	ვ. ჯაფარიძე, ტ.გარსევანიშვილი, ნ. არეშიძე	შენობა-ნაგებობათა ფუძეებში წყალნაჯერი თიხოვანი გრუნტების ელექტროქიმიური მეთოდით დამუშავება	ჟ. “მშენებლობა” №2(37) 2015		
ანოტაცია					
<p>ჩატარებული კვლევების საფუძველზე საინჟინრო-გეოლოგიურ ასპექტში განზოგადოებულია საქართველოს დაღებებულ და დატორფილ წყალნაჯერ გრუნტოვან გარემოში ელექტროქიმიური გამოშრობის მეთოდი, ქვაბულის ფერდის მღგრადობის, ასევე მერწყულ რეგიონებში, დანალექ და არამდგრად სუსტ გრუნტებში.</p>					

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სერგო ესაძე	CONSTENG 15  II International Civil and Construction Engineering and Technologies Conference Proceedings	სტამბოლი, თურქეთი  Publishing  ISBN:978-605-9203-18- 8	5
ანოტაციები				



ნაშრომში განხილულია კონსტრუქციული სისტემის სტატიკურად დატვირთული დელოვანი ელემენტის დინამიკური მდგრადობა შემთხვევითი კონემატიკური შემფოთების პირობებში. მდგრადობის ამოცანა განხილულია მარკოვის უწყვეტი პროცესების თეორიის საფუძველზე. განხილულია კონკრეტული ამოცანები.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბ. სურგულაძე გ. თაბაგარი	Theoretical and Experimental Research of a New Type Prestressed Arched Truss	World Academy of Science, Engineering and Technology ICBSE 2015:17th International Conference on Building Science and Engineering Paris, France February 23 - 24, 2015	ქ. პარიზი	2
<p>ანოტაციები</p> <p>განხილულია ახალი ტიპის თაღოვანი კონსტრუქციის ექსპერიმენტალური კვლევა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	----------------------------	---------------------	---------------------------------

1	<p>ე. მეძმარიაშვილი, ნ.წიგნაძე, ნ.მეძმარიაშვილი, ლ.დათაშვილი, ი.ალექსანდერი, ჯ. სანტიაგო პროვალდი, ვან ტ კლოსტერი.</p>	<p>“Deployable antenna frame” Publication number of the invention US2015288072 (A1)</p>	<p>08.10.2015</p>
<p style="text-align: center;">მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>გამოგონებაში წარმოდგენილია ჩასატეხლერობიანი რგოლები ცილინდრული და კონუსური შესრულებით. შემოტანილია ქოლგური ტიპის სინქრონიზაციის ელემენტები და გამშლელ მექანიზმად გამოყენებულია ელექტროამპრავები. კონსტრუქცია საკმაოდ ხისტია და მსუბუქი.</p>			
2	<p>შ.წეროძე, ნ.წიგნაძე, ე. მეძმარიაშვილი, ლ. დათაშვილი, ჯ.სანტიაგო პროვალდი.</p>	<p>“Mechanical support ring structure” Publication number of the invention US2015060605 (A1),</p>	<p>05.03.2015</p>
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>გამოგონებაში წარმოდგენილია ორპანტოგრაფიანი ძაღოვანი რგოლი როგორც ცილინდრული ასევე კონუსური შესრულებით. კონუსური რგოლისთვის აღსანიშნავია ახალი კვანძების შემოტანა კონსტრუქციაში, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურის ერთეობიან გაშლას ყოველგვარი დამატებითი სექციებისა და დამატებითი გამშლელი მოწყობილობების გარეშე. ხასიათდება, მაღალი სიხისტით.</p>			
3	<p>შ. წეროძე, ჯ. სანტიაგო პროვალდი, ლ. შალინო, ე. მეძმარიაშვილი, ნ. წიგნაძე, მ. ნიკოლაძე.</p>	<p>A mechanical support frame for space reflector and method of deployment of the same”, Application of the invention Ident.</p>	<p>11.03.2015</p>
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>გამოგონება განეკუთვნება ტრანსფორმირებად სახსრულ-დეროვან მექანიკურ სისტემას, რომელიც ხასიათდება ბუნებრივი სინქრონიზაციით. ეფექტი მიიღწევა ახალი ტიპის სახსრის შემოღებით, რომელიც ფაქტიურად ასრულებს სინქრონიზატორის როლს. კონსტრუქცია ხასიათდება გაშლის საიმედოობით და შედარებით მსუბუქია. გაშლის საიმედოობის ასამაღლებლად შემოტანილია მრავალეჭობიანი გაშლა, რაც იძლევა ამრეკლი ეკრანის არაძაღოვანი გაშლის შესაძლებლობას.</p>			

ბ)უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სერგო ესაძე	Stochastic stability of the construction systems rod element  კონსტრუქციული სისტემის დეროვანი ელემენტის სტოქსტიკური მდგრადობა	სტამბოლი, თურქეთი  4-5 დეკემბერი
ანოტაცია			
<p>ნაშრომში განხილულია კონსტრუქციული სისტემის სტატიკურად დატვირთული დეროვანი ელემენტის დინამიკური მდგრადობა შემთხვევითი კინემატიკური შეშოთების პირობებში. მდგრადობის ამოცანა განხილულია მარკოვის უწყვეტი პროცესების თეორიის აფუძველზე. განხილულია კონკრეტული ამოცანები.</p>			
2	თემურ მელქაძე	“კატასტროფების რისკის შემცირება.” თემაზე “უსაფრთხო საგანმანათლებლო დაწესებულების კონცეფცია საქართველოში”	ქ.მინსკი  11-13 ნოემბერი
ანოტაცია			
<p>კონფერენციაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება-პრეზენტაცია საქართველოში საქართველოში მიმდინარე და სამომავლო აქტივობების შესახებ უსაფრთხო საგანმანათლებლო დაწესებულებების კონცეფციის შექმნისა და განვითარების საკითხებზე. უსაფრთხო სკოლის ძირითადი სტრუქტურული და არა სტრუქტურული ღონისძიებების შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და სათანადო ნორმატიული ბაზის სრულყოფის მიმართულებით.</p>			
3	თემურ მელქაძე	“სამოქალაქოუსაფრთხოება”	ქ.ტინგლვეი  13-19 ივნისი
ანოტაცია			
<p>სემინარზე გაკეთებულ იქნა მოხსენება-პრეზენტაცია საქართველოში 2013-2015 წლებში სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ევროპულ მექანიზმებთან დაახლოების მიზნით, განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმების შესახებ. ასევე, ექსპერტულ დონეზე განხილულ იქნა და მომზადდა პირველადი სამუშაო ვერსია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერი სლონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.</p>			

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	ექსპერტიზის დასკვნა “ქთელავში ბატონის ციხის (ერეკლე მეფის სასახლის) რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი ლარიქსის ჯიშის ხის კოჭების არსებული მდგომარეობის შესახებ.” თბილისი 2015.(ხელშეკრულება №640-2015-2.15.10.2015)	თ.ხმელიძე	თ.ხმელიძე	
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
მიმდინარეობს რეაბილიტაცია.				
2	ოზურგეთის რაიონში სოფელ ნატანებში საზაფხულო საკონცერტო დარბაზის გადახურვის ლითონკონსტრუქციების ექსპერტიზა.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია “ატუ”
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
ობიექტი ჩაბარდა ეკონომიკის სამინისტროს, შემდგომი ექსპლუატაციისათვის.				
3	ქბათუმის თეატრის სცენის ძირითად ნაწილზე გადახურვის ლითონ კონსტრუქციების ექსპერტიზა.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია “ატუ”

<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები კონსტრუქციების კვლევა განხორციელდა რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად. რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული ლითონკონსტრუქციები ექვემდებარება გაძლიერება- გამაგრებას.</p>				
4	ქ.თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენის ძირითად ნაწილზე გადახურვის ლითონ კონსტრუქციების ექსპერტიზა.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია “ატუ”
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები კონსტრუქციების კვლევა განხორციელდა რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული ლითონკონსტრუქციები არ საჭიროებს გაძლიერება - გამაგრებას.</p>				
5	იპოდრომი -3, 24 სართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	შპს “აქსისი”
6	გლდანის სმარტის ობიექტზე 16 მეტრიანი სიმაღლის ბანერის შპილის კონსტრუქციული პროექტი.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	შპს. ”ველაჯიო”
7	ქ.მარნეულში ბაზალტის ქვის გადამამუშავებელ ქარხანაში საწარმოო კორპუსის გაძლიერება- გამაგრების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	შპს. ”ველაჯიო”
8	ბანკი რესპუბლიკის ზესტაფონის ფილიალში შენობის ნაწილის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	ბანკი რესპუბლიკა

9	ბანკი რესპუბლიკის სათაო ოფისის ეზოს ერთ ნაწილში საყრდენი კედლის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.	გ.მაისურაძე	გ.მაისურაძე	ბანკი რესპუბლიკა
10	„ანთროპოგენური კატასტროფებისაგან დაცვის მიზნით მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში	თ.მელქაძე	თ.მელქაძე	ეროპული ცენტრი “მალღივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი.”
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <p>მომზადებულ იქნა და გადაეგზავნა სრულყოფილი და გადამუშავებული „საგანგებო სიტუაციების საფრთხეების ხასიათისა და მათგან დაცვის ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საგანგებო სიტუაციების პრევენციისა, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ხაზით საგანგებო გეგმის სტრუქტურის პროექტი ტექნოგენური საფრთხეების ევროპულ ცენტრს.</p>				

**სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიის და საშენი  
მასალების დეპარტამენტი №103**

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	------------------------	-----------------------------------	------------------------

1	შ. ბაქანიძე ვ. ლოლაძე ნ. მსხილაძე ი. ქვარაია	შენობა-ნაგებობების მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების დაბეტონების ტექნოლოგია ახალი ტიპის საყალიბე ფარების გამოყენებით	თბილისი, 2015	102
ანოტაციები				
1. განხილულია შენობა-ნაგებობათა შემომფარგლავი მრავალშრიანი კედლების დაბეტონების ტექნოლოგია ახალი ტიპის საყალიბე ფარების გამოყენებით. მოცემულია საყალიბე ფარების აღწერა და კონსტრუქციული გაანგარიშება. აღწერილია მათი გამოყენებით მრავალშრიანი კედლების ფაბეტონების ტექნოლოგია.				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შ. ბაქანიძე	„თაბაშირმუყაოს სპეციალისტი-040665“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მისანიჭებელი კვალიფიკაციით: თაბაშირმუყაოს სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	თბილისი, 2015წ.	7
2	ი.ღარიბაშვილი და სხვ.	„სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი“, პროფ. თ. ხმელიძის	სტუ, 2015 წ. (ელექტრონული)	

		რედაქციით		
3	ი.ღარიბაშვილი ლ. ბალანჩივაძე შ. დოლიძე თ. ნარეკლიშვილი გ. დოლიძე	„რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე, მეარმატურე)“	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015წ.	259

ანოტაციები

1. დამუშავებულია „თაბაშირმუყაოს სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს სპეც. ტექნოლოგიის, უცხო ენის, საშენი მასალების და ინფორმატიკის შესწავლას. წარმოდგენილია შესაბამისი სილაბუსები. წარმოდგენილ პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია.
2. განმარტებითი ლექსიკონის უპირატესობა სხვა სახის ლიტერატურასთან ისაა, რომ მკითხველი, ლექსიკონის დახვეწილი სტრუქტურის მეშვეობით, კარგად ეუფლება შინაარსს და ინფორმაციასაც ამომწურავად იღებს, მითუმეტეს, თუ ლექსიკონი მდიდარია თვალსაჩინო მასალებითა და ილუსტრაციებით. სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონის მიზანია ქართველ მშენებლებს და ამ საქმით დაინტერესებულ ყველა პირს ელექტრონული ფორმით მიაწოდოს მშენებლობასთან დაკავშირებული ტერმინების საგნობრივი განმარტებები.
3. სახელმძღვანელო განკუთვნილია რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მესამე საფეხურის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო მოიცავს რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) პროგრამის შემდეგ მოდულებს: 1) ფორმა-ყალიბების მოწყობა, 2) არმატურის ნაკეთობების დამზადება, 3) საშენი მასალების შერჩევა, 4) ბეტონის დამზადება, 5) ფორმა-ყალიბში ბეტონის ჩაწყობა, 6) შრომის უსაფრთხოება სამუშაოების შესრულებისას, 7) სამშენებლო ნახაზების კითხვა.მასში წარმოდგენილია: მოდულის ყველა მისაღწევი შედეგი, საკითხები ძირითადად დალაგებულია მოდულში ჩაშლილი თემატიკის შესაბამისად, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, ყველა თემა დასურათებულია (სლაიდი, ნახაზები, დოკუმენტური ფოტო), თითოეული დიდი თემის დასასრულს, მოცემულია კითხვები თვითკონტროლისთვის.



სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენობა
1	ა.ნადირაძე ი.შიხაშვილი დ.გოცაძე	ბეტონისა და რკინაბეტონის შპალების დამზადების ტექნოლოგია დანამატების გამოყენებით.	ჟურნალი „მშენებლობა“ 1(36), თბილისი, 2015წ.	სტუ – გამომცემლობა თბილისი	4
2	თ. ესაძე ბ. ლეჟავა ა. ჩიქოვანი	ნანოლისპანსერულ ნატრიუმის სილიკატის კომპოზიციურ მჭიდზე დამზადებული მხურვალმედები ბეტონი.	ჩაშვებულია დასაბეჭდად ჟურნალ „მშენებლობა“-ში	სტუ – გამომცემლობა თბილისი	6
3	თ. ესაძე ბ. ლეჟავა ა. ჩიქოვანი	ბეტონის სულფატური კოროზია.	ჩაშვებულია დასაბეჭდად ჟურნალ „მშენებლობა“-ში	სტუ – გამომცემლობა თბილისი	15
4	ზ. ქარუმიძე მ. ტურძელაძე	ბეტონის დაფორმირების და რღვევის ზოგიერთი ასპექტი	ჟურნალი „მშენებლობა“ 2(36), თბილისი, 2015წ.	სტუ – გამომცემლობა თბილისი	9
5	შ. ბაქანიძე დ. ტაბატაძე	ახალი ტიპის ორ და სამ სამაგრიანი საყალიბე ფარის კონსტრუქციული გაანგარიშება	ჟურნალი „მშენებლობა“ 3(38), თბილისი, 2015წ.	სტუ – გამომცემლობა თბილისი	9
6	შ. ბაქანიძე ბ. სურგულაძე კ. იაშვილი	ბუნებრივი კალთების მდგრადობის უზრუნველყოფა გრუნტულნაკრებიანი რკინაბეტონის საყრდენი კედლებით	ჟურნალი „მშენებლობა“ 4(39), თბილისი, 2015წ.	სტუ – გამომცემლობა თბილისი	10

7	შ. ბაქანიძე ბ. სურგულაძე კ. იაშვილი	ტრადიციული მეწვერსაწინააღმდეგო საყრდენი კედლების ხელსაყრელი ტექნოლოგიური გადაწყვეტა	ჟურნალი „მშენებლობა“ 4(39), თბილისი, 2015წ.	სტუ – გამომცემლობა თბილისი	10
8	შ. ბაქანიძე ნ. მსხილაძე	მეწვერსაწინააღმდეგო გრუნტულნაკერებიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული გადაწყვეტა	სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №70,2015		3
9	შ. ბაქანიძე ვ. ლოლაძე მ.ლორთქიფანიძე ი.ზუბიტაშვილი	წყნეთი-ახალდაბის მონაკვეთზე მეწვერული პროცესის შეჩერების საინჟინრო- ტექნოლოგიური გადაწყვეტები	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „ენერჯია“ №3(75) თბილისი, 2015წ.		3
10	ი.ქვარაია	გრუნტული ანკერების გამოყენება გზისპირა ქვაბულის კედლების გასამაგრებლად	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №1(36) თბილისი, 2015წ		3
11	ი.ქვარაია თ. დვალიშვილი	რკინაბეტონის რთული საყალიბე სისტემის ასაგებად მცირემასშტაბიანი მოდელის გამოყენება	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №1(36) თბილისი, 2015წ.		3
12	ი.ქვარაია	რკინაბეტონის გარსების დაბეტონების დროს წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №2(37)		6

			თბილისი, 2015წ.		
13	ი.ქვარაია თ. დვალიშვილი	რკინაბეტონის გუმბათის საყრდენი კედლის საწყისი წრიული ყალიბის დამზადება- დამონტაჟების ტექნოლოგიური პროცესი	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №2(37) თბილისი, 2015წ.		6
14	ი.ქვარაია თ. თავაძე ქ. ქუთათელაძე	მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები	დავით აღმაშნებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომები №I 2015,		4
15	ი.ქვარაია ქ.ქუთათელაძე	ბეტონის ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვებისა და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში	დავით აღმაშნებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შრომები №I 2015,		5
16	ი.ქვარაია ქ. ქუთათელაძე ე. მაღანია	საქართველოში სატენდერო შესყიდვების განხორციელებაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე №8, თბილისი, 2015		6
17	ი.ქვარაია თ.დვალიშვილი შ. ყანჩაშვილი	დიდი დიამეტრის რკინაბეტონის გუმბათის, ასაწყობი საყალიბე სისტემის აგება და მონტაჟი	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(38) თბილისი, 2015წ.		8
18	ი.ქვარაია	არმატურის ნაშევრების	სამეცნიერო		17

		არასწორად მოწყობის ფაქტების გამოვლენა და მათი კორექტირება	ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(38) თბილისი, 2015წ.		
19	Итриашвили Л.А. Иремашвили И.Р. Хосрошвили Е. З.	Новый противозерозионный биоковер	სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული №70, თბილისი, 2015		5
20	З. Езугбая И. Иремашвили	Некоторые вопросы, связанные с устройством зеленых покрытий	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(30) თბილისი, 2015წ.	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	2
21	ზ. ეზუგბაია ი. ირემაშვილი	მწვანე საფარები-ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური ტექნოლოგია მშენებლობაში	სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული №70, თბილისი, 2015	თბილისი, სტუ-ს საგამომცემლო სახლი	4
22	В.В. Лоладзе Ш. Долидзе И. Гарибашвили	Современные технологии строительства в стесненных городских условиях методами TOP-DOWN и UP-DOWN	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(38) თბილისი, 2015წ.	თბილისი, სტუ-ს საგამომცემლო სახლი	6
23	ი.ღარიბაშვილი მ.წიქარიშვილი ნ.ტაბატაძე მ.ვარდიაშვილი	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული	სამეცნიერო ტექ. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(38)	თბილისი, სტუ-ს საგამომცემლო სახლი	2

		ძეგლების კონსტრუქციული გადაწყვეტების ანალიზი	თბილისი, 2015წ.		
24	ა.ჩიქოვანი გ.გურეშიძე დ.ვარდიაშვილი	დატვირთვის სიჩქარის გავლენა ბეტონის სიმტკიცეზე ბეტონის ნარევის ვიბროვაკუმურობა	ქ. „ენერჯია“ №3(75) 2015წ	თბილისი, სტუ-ს საგამომცემლო სახლი	4
25	ა.ჩიქოვანი	ბეტონის შემადგენლობის დაპროექტება ქიმიური დანამატებით	ქ. „ენერჯია“ №3(75) 2015წ.	თბილისი, სტუ-ს საგამომცემლო სახლი	იბეჭდება
26	ა.ჩიქოვანი გ.გურეშიძე დ.ვარდიაშვილი	მშენებლობით მხედრებულ შენობებზე სამუშაოთა განახლებისწინა დიაგნოსტიკური გამოკვლევა	ქ. „მშენებლობა“ №2(37)2015		იბეჭდება
27	რ. მახვილაძე ა.ჩიქოვანი ა.გოგბერაშვილი	„წებოცემენტი“	ქ. „მშენებლობა“ №2(37)2015		6
28	ა.ჩიქოვა	ტემპერატურის და ტენიანობის გავლენა ბეტონის სიმტკიცის ფორმირებაზე	ქ. „მშენებლობა“ №2(37)2015		იბეჭდება
29	ა.ჩიქოვანი დ. თევზაძე	თხევადი შპალერი	ქ. „სამთო ჟურნალი“ №2(75)2015		7
30	Sh.Tserodze E.Medzmariashvili M.Nikoladze N.Tsignadze M.Sanikidze A.Chapodze A.Gudushauri	Analysis of critical and system transformacion resistance forces in straght deployable spatial element from longitudinal stability condition	International scientific journal „Problems of mechanics“.	გამომცემლობა „ბარკონი“ თბილისი,2015	

31	Sh.Tserodze E.Medzmariashvili A.Sarchimelia N.Tsignadze M.Nikoladze T.Chalauri	Definition of interdependencies of forces acting on transformable pantograph ring for different variants of kinematical schemes of deployment	International scientific journal „Problems of mechanics	გამომცემლობა „ბარკონი	
32	Sh.Tserodze V. Gogilashvili M.Nikoladze N.Tsignadze T.Chalauri	New property of a closed-chain system with V-folding rods	International scientific journal „Problems of mechanics	გამომცემლობა „ბარკონი№2(59) 2015	
33	Sh.Tserodze M.Nikoladze K.Chkhikvaidze T.Chalauri	Analysis of new design of a transformable mechanical conical system with V-folding rods.	International scientific journal „Problems of mechanics	გამომცემლობა „ბარკონი№2(59) 2015	
34	ზ. ავალიშვილი შ. წეროძე მ. წეროძე ი. ძიძიშვილი ნ. ლოლაძე	ალმაზკომპოზიციური მასალების ზოგიერთი ფიზიკო-მექანიკური პარამეტრების გაველენა ალმასური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობაზე	საქართველოს საინჟინრო სიახლეები 3, 2015	გამომცემლობა Copyright@by GENLTD	

ანოტაციები

1. ნაშრომში განხილულია შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მიერ გამოშვებული რკინაბეტონის შპალების დამზადების ტექნოლოგია დანამატების გამოყენებით. შესწავლილი იქნა ნაკეთობების შემადგენელი მასალები და გაანგარიშებული იქნა ბეტონის შედგენილობები.  
ნაშრომში განხილული იქნა რკინაბეტონის შპალების უპირატესობები ხის შპალებთან შედარებით. დამზადებული ნაკეთობების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები მთლიანად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ნანოცეცხლგამძლე მასალების ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიას წარმოადგენს ნანოტექნოლოგია, რომელიც ცეცხლგამძლე მასალების წარმოების განვითარების საწყის ეტაპზეა. ნანოღისპანსერული ნატრიუმის პოლისილიკატურ შემკერებელზე დამზადებულ მსურვალმედემა ბეტონებმა თვისებების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი აჩვენა, ჩვეულებრივ მსურვალმედემა ბეტონებთან შედარებით, რომელიც დამზადებულია სილიკატ-ნატრიუმის მჭიდაზე.
3. მკვეთრი ტემპერატურული ცვლილებები, ატმოსფერული ტენი, მჟავები და სხვა

- აგრესიული წყლები იწვევენ მასალებში ბზარების გაჩენას და მათ ნაწილობრივ ან სრულ რღვევას. მასალაზე (ბეტონზე) აგრესიული ზემოქმედება იწვევს კოროზიას, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუარესებას. ბეტონის კოროზიასგან დაცვის ზოგადი პრინციპები დაფუძნებულია მკვრივი ბეტონის მიღებაზე მინიმალური ჟონადობით (ფილტრაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით) და ღია ფორიანობით (წყალშთანთქმა), რაც რეგლამენტირებულია სამშენებლო ნორმების დაწესებით.
4. ნაშრომში განხილულია ბეტონის დეფორმაციისა და რღვევის პროცესის თანამედროვე მიდგომები. აღწერილია მიკრობზარების ჩასახვის, კრისტალიტების მიკროდონეზე ჩამოყალიბება, ბეტონის რღვევის თანამედროვე კინეტიკური კონცეფცია.
  5. მოცემულია ახალი ტიპის ფარი, რომელიც უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობათა მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების ცალკეული შრეებს შორის ადგილის ამალვებას. განხილულია ორსამაგრიანი და სამ სამაგრიანი საყალიბე ფარის კონსტრუქციული გაანგარიშება. განისაზღვრა ფარის ელემენტებში შინაგანი ძალოვანი ფაქტორების მნიშვნელობები, რომლის საფუძველზე შეირჩა კვეთები. დადგინდა, რომ სამსამაგრიანი საყალიბე კონსტრუქციები უფრო ეკონომიკურია ვიდრე ორსამაგრიანი საყალიბე ფარები.
  6. განხილულია ბუნებრივი კალთების მდგრადობის უზრუნველყოფი გრუნტულნაკერებიანი რკინაბეტონის საყრდენ კედლებში გრუნტული ანკერების განთავსების ორი ვარიანტი: ერთ იარუსად, საყრდენი კედლის ზემო ნაწილში და 2 იარუსად – ანკერების განთავსებით როგორც კედლის ზემო ნაწილში, ასევე სახირკველში მათი ჩამაგრების ადგილზე. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე გამოვლენილია ხელსაყრელი კონსტრუქციული გადაწყვეტა.
  7. განხილულია ტრადიციული მეწყერსაწინააღმდეგო საყრდენი კედლების რამდენიმე ტიპი. მათი კონსტრუქციული გაანგარისების შედეგების საფუძველზე შესრულებულია ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების გაანგარიშება. გამოვლენილია ხელსაყრელი ტექნოლოგიური გადაწყვეტა.
  8. შემოთავაზებულია მონოლითური რკინაბეტონის გრუნტულნაკერებიანი მეწყერსაწინააღმდეგო კედლის შემდეგნაირი კონსტრუქციული გადაწყვეტა: გრუნტული ანკერები განთავსებულია 2 იარუსად, როგორც კედლის ზედა ნაწილებში, ასევე სახირკველებში მისი ჩამაგრების დონეზე. გრუნტული ანკერები თავის თავზე იღებენ, როგორც კედელზე გრუნტის დაწნევისაგან გამოწვეულ გადაბრუნებულ მომენტს, ასევე მოცურების ძალებს. შესაძლებელია ზემოარნიშნული კონსტრუქციული გადაწყვეტის 2 ვარიანტი: პილიასტრების (სვეტების) გარეშე და სვეტებით. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების საფუძველზე გამოვლენილია ხელსაყრელი კონსტრუქციული გადაწყვეტა.
  9. წყნეთი-კოჯორის და წყნეთი-ახალდაბის საავტომობილო გზების ტრასების მეწყერებთან გადაკვეთის მონაკვეთებზე მეწყერული მოვლენების აცილების მიზნით შემოთავაზებულია სამშენებლო ღონისძიებები შემდეგი ტექნოლოგიების გამოყენებით:
    - 1) მეწყერული მასალების დამაგრება გრუნტული ანკერებით;
    - 2) არამდგრად მდგომარეობაში მყოფი გრუნტის მასების მოშორება მეწყერული ფერდიდან;
    - 3) მეწყერული ფერდის გაწმენდა მსხვილი ბლოკებისაგან.
  10. თანამედროვე, პროგრესული მეთოდი რომელმაც სასუალება მისცა სამშენებლო

- კომპანია „ანაგს“ საყრდენი კედლების მოწყობის და სამუშაოების შესრულებაში შესაბამისი წინააღმდეგობის გარეშე ეწარმოებინათ მშენებლობა.
11. რთული საყალიბე სისტემის ასაგებად წვრილფარებიანი ყალიბების გამოყენებით აუცილებელი გახდა 1/10 მოდელის შექმნა რის მიხედვით ადვილად მოხდა ყალიბის აგება.
  12. რკინაბეტონის გარსების დაბეტონებისას თანაბარი სისქის ფენის მისაღებად მარტივი გადაწყვეტა იქნა მიღებული ფანერის გამოყენებით.
  13. ძალიან რთული წრიული ყალიბი დაიწყო ორ თანაბარ ნაწილად და სიმძიმის ცენტრების განსაზღვრით მოხდა მათი მონტაჟი.
  14. ახლებური მიდგომების აუცილებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დროს.
  15. საქართველოში მსუბუქი ბეტონების გამოყენების შესაძლებლობები და პერსპექტივები.
  16. განხილულია სატენდერე შესყიდვების რეგულაციების და ჩატარების დახვეწის აუცილებლობა.
  17. გუმბათის საყალიბე სისტემების აგება წვრილი ფარების გამოყენებით, რაც ძალიან ამარტივებს ამ სამუშაოებს.
  18. არმატურის ნაშევრების მნიშვნელობა და მათი აღდგენა.
  19. Приведены состав нового биоковра для противоэрозионной защиты откосов и количественные и качественные показатели входящих компонентов. Описан механизм работы биоковра, его особенности и эффективность. Приведены технология изготовления биоковра и перспективы использования.
  20. В статье рассмотрены вопросы, связанные с устройством экологически перспективных, эстетически высокого качества и энергоэффективных зеленых покрытий зданий и сооружений, даются рекомендации по использованию различных насаждений на таких покрытиях.
  21. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შენობებსა და ნაგებობებზე ეკოლოგიურად პერსპექტიული, ესთეტიურად მაღალი ხარისხისა და ენერგოეფექტური მწვანე საფარების მოწყობასთან. აგრეთვე, მოცემულია რეკომენდაციები ასეთ გადახურვებზე სხვადასხვა სახის ნარგავების მოწყობაზე.
  22. სტატიაში აღწერილია TOP-DOWN და UP-DOWN მშენებლობის ტექნოლოგიების მეთოდები, რომლებიც თანამედროვე სამშენებლო მანქანებისა და ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენებით ქალაქის შეზღუდულ პირობებში უხიფათო მშენებლობის განხორციელების საშუალებას გვაძლევს. აღწერილი მეთოდები სასუალებას გვაძლევს ვაწარმოთ მიწისქვეშა მიწისზედა სამშენებლო სამუშაოები არსებული ისტორიული ძეგლებისა და მოქმედი საცხოვრებელი და საზოგადო შენობების უშუალო სიახლოვეში მათ დაუზიანებლად.
  23. ბოლო წლებში ისტორიულ-კულტურული ძეგლების რესტავრაციის პრაქტიკაში შეინიშნება მათი ტექნიკური მდგომარეობის კომპლექსური შეფასების ტენდენცია გარემო-პირობების ცვალებადობასთან ურთიერთდამოკიდებულებაში. სავსებით მართლზომიერი გახდა რესტავრაციის ობიექტი განვიხილოთ, როგორც ელემენტი რთული ბუნებრივ-ტექნიკური სისტემისა „ძეგლი-გარემო“, რომელშიც არქიტექტურული ძეგლი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ქვესისტემა, შეიცავს რა ურთიერთდამაკავშირებელ კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ელემენტებს ნაშრომში. გაკეთებულია ძეგლების კონსტრუქციული გადაწყვეტების ანალიზი, რათა მოხდეს



ისტორიულ-კულტურული ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის კომპლექსური კვლევა და სწორი მიმართულებით რეკომენდაციების ჩამოყალიბება რესტავრაციის წარმართვისათვის.

30. ჩატარებულია სწორხაზოვანი რეგულარული მექანიკური სისტემის (დამსხივებლის საყრდენი) ძალოვანი ანგარიში. განსაზღვრულია კვეთები. გრძივი ტრანსფორმირებადი პანტოგრაფული ტიპის ელემენტში მინიმალური კვეთის ინერციის მომენტის განსაზღვრის შემდგომ დადგენილია კავშირი გასლის სიგრძესთან მიმართებაში. ანუ ტრანსფორმაციის პროცესში დროის ნებისმიერ ინტერვალში შეგვიძლია კვეთის მახასიათებელი მივიღოთ. ანალოგიურად წარმოდგენილია გრაფიკული სურათი კრიტიკული ძალის მნიშვნელობისა გაშლის პროცესში, ხოლო მამოძრავებელი და წინააღმდეგობის ძალების სიმძლავრეების ტოლობიდან გამომდინარე გაანგარიშებულია საყრდენის წინააღმდეგობის ძალა.
31. პანტოგრაფული სისტემების გაშლისას რგოლზე მოქმედ ძალთა შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა ფრიად მნიშვნელოვანია. ნაშრომში განხილულია სამი განსხვავებული გაშლის კინემატიკური სქემა. პირველ შემთხვევაში პანტოგრაფის მამოძრავებელი ძალები წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა წყვილების სახით, რომლებიც მოდებულია ბერკეტების გადაბმის წერტილებში გამშლელი ბაგირების ზემოქმედების სანაცვლოდ, ანალოგიურად, მეორე შემთხვევაში – ჩასატეხი ღეროების სახსრულ შეერთებებში ჩამონტაჟებული მკუმშავი ზამბარებით. წარმოდგენილი სქემებისათვის ნაშრომში გრაფიკულადაა წარმოჩენილი ძალოვანი დიაგრამები დიამეტრთან მიმართებაში. გათვალისწინებულია ხახუნი.
32. ტრანსფორმირებადი სტრუქტურის მასის ოპტიმიზაციითა და კონსტრუქციის სივრცული სიხისტის გაზრდის თვალსაზრისით შემუშავებულია ახალი მიდგომა ძალოვანი რგოლის ფორმატწარმოქმნისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისა სხვადასხვა დატვირთვების ზემოქმედების გათვალისწინებით. ჩატარებულია რეგულარული ჯაჭვური სისტემის კინემატიკური კვლევა და დადგენილია სასაზღვრო პირობების ოპტიმალური ვარიანტი.
33. ჩატარებულია რეფლექტორული სტრუქტურის თეორიული კვლევა მთლიანობაში – ძალოვანი და ცენტრალური ნაწილების რეალური ურთიერთზემოქმედების გათვალისწინებით. ზუსტი მოდელი აგებულია სასრული ელემენტების პროგრამაში ნსყს-ში. მოდელი პარამეტრულია და კინემატიკური ჯაჭვის შემაერთებელი ცილინდრული სახსრები დამოღებულა ლოკალურ კოორდინატთა სისტემებში. ჩატარებულია კვლევები როგორც სტატიკურ ასევე დინამიკურ და ტემპერატურულ დატვირთვებზე.
34. ნაშრომში მოყვანილია ექსპერიმენტული მონაცემები, სადაც ნაჩვენებია ლითონური შემკვრელი მასალის თვისებების გავლენა ალმასური ინსტრუმენტის ჭრისუნარიანობაზე და მედეგობაზე არმირებული ბეტონის ბურღვის ოპერაციის პირობებში. დადგენილია პირდაპირი დამოკიდებულება ინსტრუმენტის მუშაუნარიანობასა და შემკვრელი მასალის სისაღეზე.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზ. ქარუმიძე	ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი ფორიანი შემვსებები ენერგოდამზოვ ტექნოლოგიებში	24.10.2015-25.10.2015 III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, საქართველო JS 978-9941-448-37-9
2	შ. წეროძე მ. ნიკოლაძე	ტრანსფორმირებადი კოსმოსური რეფლექტორის მექანიკური სისტემის თეორიული კვლევა	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია.თბილისი, 29.09- 04.10.2015
ანოტაცია			
<p>1. „ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი ფორიანი შემვსებები ენერგოდამზოვ ტექნოლოგიებში“. ნაშრომში განხილულია ვულკანური ფერფლი, როგორც იაფი, მაღალი თბოსაიზოლაციო თვისებების მქონე მასალა. მისი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობაში. წარმოდგენილია ფიზიკურ-მექანიკური მანვენებლები და დადგენილია მისი გამოყენების სფეროები.</p> <p>2. სახსრულ-დეროვანი კინემატიკური ჯაჭვის თეორიული გაანგარიშებისათვის გამოყენებულია სახსრულ ელემენტთა მეთოდი. გაანგარიშებამ აჩვენა, რომ ცენტრიდან რადიალური დაჭიმვის შემთხვევაში ადგილი აქვს დგარებში მდუნავი მომენტების წარმოშობას, რაც საგრძნობლად ზემოქმედებს რეფლექტორის ამრეკლი ზედაპირის სიზუსტეზე. გამომდინარე აქედან საჭირო შეიქნა კონსტრუქციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა..</p>			

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	სტუ – მშენებლობის პროექტირებისა და ექსპერტიზის ცენტრი. ხელშეკრულება 2013-2 აბრაზიული მასალის კვლევა	პროფ. მ. წიქარიშვილი	პროფ. ზ. ქარუმიძე	
ანოტაცია				
1. გამოკვლეული აბრაზიული მასალა მისი პარამეტრები. გაკეთებულია ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური ანალიზები და შესაბამისი დასკვნები.				

**სხვა აქტივობა**

1	შ.წეროძე ჯ.სანტიაგო პროვალდი ლ.შალინო ე.მეძმარიაშვილი ნ.წიგნაძე მ.ნიკოლაძე	განაცხადი გამოგონებაზე „კოსმოსური რეფლექტორის მექანიკური საყრდენი რგოლი და მისი გაშლის მეთოდი“ საიდ.№13785/01	11.03.2015 განაცხადი არსობრივი ექსპერტიზის სტადიაზე
2	Sh. Tserodze N. Tsignadze E.Medzmariashvili L. Datashvili J.Santiago Prowald	„Mechanical support ring structure“Publication number of the invention US2015060605(A1)	05.03.2015 Int.cl. 04 1/344; 01 15/16 პატენტი გამოცემულია ამერიკაში
<p>1.გამოგონება განეკუთვნება ტრანსფორმირებად სახსრულ-დეროვან მექანიკურ სისტემას, რომელიც ხასიათდება ბუნებრივი სინქრონიზაციით. ეფექტი მიიღწევა ახალი ტიპის სახსრის შემოდებით, რომელიც ფაქტიურად ასრულებს სინქრონიზატორის როლს. კონსტრუქცია ხასიათდება გაშლის საიმედოობით და შედარებით მსუბუქია.</p> <p>2.წარმოდგენილია ორპანტოგრაფიანი ძალოვანი რგოლი როგორც ცილინდრული ასევე კონუსური შესრულებით. კონუსური რგოლისთვის აღსანიშნავია ახალი კვანძების შემოტანა კონსტრუქციაში, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურის ერთეობიან გაშლას ყოველგვარი</p>			

დამატებითი სექციებისა და დამატებითი გამწვლელი მოწყობილობების გარეშე. ხასიათდება, მაღალი სიხისტით.

**ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტი (104)**

დეპარტამენტის უფროსი პროფესორი - ლალი ღოღელიანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

**სრული პროფესორები:**

- ლალი ღოღელიანი
- იური ქადარია
- ნოდარ კოდუა
- შალვა გაგოშიძე
- მირიან ყალაბეგიშვილი
- ამირან საყვარელიძე
- გიორგი დალაქიშვილი
- ზურაბ დანელია

**ასოცირებული პროფესორები:**

- თამაზ ამბროლაძე
- პეტრე ჭიჭაღუა
- ალექსანდრე ახვლედიანი
- იუნონა მარგალიტაძე
- ავთანდილ გოგოლაძე
- ვახტანგ ნანიტაშვილი
- კონსტანტინე ხაზალია
- გიორგი ზალიკაშვილი
- მარინე თოფურია

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულება	დაფინანსებელი	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	ბის მითითებით	ორგანიზაცია		
1	№ 210/3-109/11 2012-15 3-109 ჰიდრაულიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია; “წყალსაცავების მოსილვის შესწავლა და მისი ზეგავლენის შეფასება ევტროფიკაციის პროცესებზე (ჟინვალის წყალსაცავის მაგალითზე)	რუსთაველის ფონდი	ზაალ ასკურავა	ღალი ღოღელიანი  ელიზბარ ხატიაშვილი  ნოდარ კავთუაშვილი

განხილულ იქნა წყალსაცავების მოსილვისა და ევტროფიკაციის შემთხვევ ადაწყებული ევტროფიკაციის პროცესების შემთხვევაში (ფიტო და ზოოპლანქტონების რიცხოვნების პროგრესული ზრდა), რასაც ადგილი აქვს საქართველოს მრავალწყალ საცავში. წყალსაცავების მოსილვა და შესაბამისად მისი მოცულობისა და სიღრმის შემცირება გავლენას ახდენს ევტროფიკაციაზე, აჩქარებს მას რადგან სინათლის შეღწევადობა ხდება წყლის მთელ სისქეში (ეს ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროცესს) და ამასთან ერთად მოცულობის შემცირების გამოიზრდება წყლის საშუალო ტემპერატურა, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ბიოპოპულაციაზე.

წყალსაცავების მოსილვის მექანიზმი დადგინდა ორფაზა ნაკადის დინამიკისა და მასის ბალანსის განტოლებების ამონახსნების შედეგების საფუძველზე. რაც შეეხება ევტროფიკაციის პროცესებს, ისინი აღიწერ აფიტო და ზოოპლანქტონის პოპულაციების ცვლილების ამსახველი ვოლტერა-ლოტკის ტიპის განტოლებებით, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს სინათლისა და წყლის ტემპერატურის ზრდის გავლენას ბიოპოპულაციის განვითარებაში. ევტროფიკაციის აღმწერ განტოლებებში დადგინდა აღნიშნულ პროცესებს შორის ურთიერთკავშირი.

მიღებული შედეგების საფუძველზე დაისახა მოსილვისა და ევტროფიკაციის განვითარების საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელთა გატარება გაახანგრძლივებს წყალსაცავის საექსპლუატაციო დროს.

**I. 4.**

პროექტის დასახე- ლება მეცნიერების	დამფინანსებელი	პროექტის	პროექტის
--------------------------------------	----------------	----------	----------

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	ორგანიზაცია	ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1	სანაპირო არეებში ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების გამოყენებითი ანალიზური მეთოდები	რუსთაველის ფონდი	შალვა გაგოშიძე	შალვა გაგოშიძე მანონ კოდუა ავთანდილ გოგოლაძე
2	2014-2016 N FR/240/3-109/13 3-109 ჰიდრაულიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია; წყალსატევებში კატასტროფიული მოვლენებით გენერირებული ტალღების მახასიატებლების პროგნოზირება.	რუსთაველის ფონდი	ლალი ლოღელიანი	ზაალ ასკურავა ელიზბარ ხატიაშვილი ნოდარ კავთუაშვილი
3	FR/360/3-105/13 ახალი ტიპის მოტივტივე-მოცურავე ტალღა-შემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის შემუშავება სანაპირო ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად	რუსთაველის ფონდი	ზაურ ციხელაშვილი	ზაურ ციხელაშვილი იური ქადარია გ. ბერძენაშვილი მ.კოდუა

4	<p>№AR/22/3-109/14 გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში და მათი გაანგარიშების ჰიდროდინამიკური მეთოდები</p>	რუსთაველის ფონდი	ივანე სალინაძე	ივანე სალინაძე შალვა გაგოშიძე იური ქადარია
---	--	------------------	----------------	--

1. დამთავრებულია პირველი საანგარიშო პერიოდი:  
 მოპოვებულ იქნა და კრიტიკული ანალიზი ჩატარდა ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების არსებულ თეორიულ მეთოდებს და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას. ქალაქ ბათუმსა და დაბა ანაკლიაში მივლინებების შედეგად მოპოვებულ იქნა ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, და ტალღური რეჟიმების ამსახველი მასალები; შერჩეულ იქნა ნებისმიერი კუთხით დახრილ სანაპირო ფერდობებთან ტალღური მოძრაობის გაანგარიშების ახალი მათემატიკური მოდელი.

მათემატიკური მოდელი გულისხმობს ცილინდრულ საკოორდინატო სისტემაში ჩაწერილი ჰიდროდინამიკის სამგანზომილებიანი წრფივი განტოლებების ამოხსნას პირდაპირი, (კერძოდ გალიორკინ-კანტოროვიჩის) მეთოდის გამოყენებით. ტალღურ მოძრაობათა თეორიაში პირველად იქნა შერჩეული ისეთი საბაზისო ფუნქცია, რომელიც განსხვავებით ბერკჰოფის საბაზისო ფუნქციიდან, ზუსტად აკმაყოფილებს ამოცანის ყველა სასაზღვრო პირობას ზომერფელდის გამოსხივების პირობის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული მიდგომის საფუძველზე სამგანზომილებიანი ტალღური მოძრაობების განტოლებები დაყვანილ იქნა კვანტური მექანიკის შრედინგერის ტიპის ერთგანზომილებიან ევოლუციურ განტოლებაზე. დასახულ იქნა ამ განტოლების ამოხსნის მეთოდები.

2. განიხილება სხვადასხვა სახის წყალსატევებში: ტბებში; ჰიდროენერგეტიკულ და მელიორაციულ დანიშნულების წყალსაცავებში; ზღვის სანაპირო ზოლში, ყურეებში, ესტუარიებში და სხვა, სხვადასხვა სახის კატასტროფიული მოვლენებით ინდუცირებული ტალღების წარმოშობის პირობები.

დადგენილ იქნება აღძრული ტალღური პროცესების თავისებურებები კონკრეტული წყალსაცავებისათვის. განისაზღვრებ აიძულებითი ტალღების მახასიათებლების (სიმაღლე, სიგრძე, ფაზური და ორბიტალური სინქარები, პერიოდი და სხვა) მნიშვნელობები. შესწავლილი იქნება მათი ტრანსფორმაცია ცვლადი სიღრმის წყალსაცავებში გავრცელებისას და მათი ზემოქმედება წყალსაცავის დახრილ ფერდობებზე და კაშხალზე. თაღოვან კაშხალზე ზემოქმედებისას დადგენილი იქნება კაშხალზე გადადინებული იძულებითი ტალღის მახასიათებლები (სიმაღლე, ხარჯი და სხვა). მიწანაცარ კაშხლების შემთხვევაში გაითვლება ტალღების ზემოქმედებით გამოწვეული კაშხლის გარეცხვის

სიღრმეები და მისი გარღვევის შემთხვევაში დადგინდება ხეობაში გარღვევი სტაღლის ნაკადის პარამეტრები. განისაზღვრება გარღვევის ტაღლის ტრანსფორმაცია ქვემო ბიევის ხეობის გასწვრივ.

იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული მოვლენების შედეგად განვითარებულ კატასტროფულ ტაღლურ პროცესებზე დროული რეაგირება და აისახოს ღონისძიებები შესაძლო ზარაღის მინიმუმამდე დაყვანისათვის, აუცილებელია შემუშავდეს საანგარიშო-საპროგნოზო მეთოდიკები აღძრული ტაღლური მოვლენების, ფერდობებზე და კაშხლებზე გადაღინებული ნაკადების, კაშხლის გარღვევის ტაღლის და ხეობაში გარღვევის ტაღლის ტრანსფორმაციის პარამეტრების დასადგენად.

### 3. ანოტაცია შესრულდა III ეტაპი:

განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

- 1) სამ განზომილებიანი (3D) პოტენციური მოძრაობის ტაღლური ამოცანის ფორმულირება და რიცხვითი ამოხსნა;
- 2) შერჩეულია გამოთვლითი სქემა ტაღლური ამოცანის რიცხვითი ამოხსნისათვის;
- 3) ამოხსნილია ტაღლური ამოცანა მართკუთხა თანაბარ არეზე სასრული სხვაობების ფორმით, განსაზღვრულია: ა) ძირითადი არის შიდა (რეგულარული) წერტილები, ბ) საზღვრის სიბრტყის წერტილები, გ) საზღვრის ორი სიბრტყის კვეთის წერტილები, დ) საზღვრის სამი სიბრტყის კვეთის წერტილები, ე)თავისუფალი ზედაპირის არასტაციონალური პირობა;
- 4) ჩამოყალიბებულია ტაღლური ამოცანა აღგებრული ოპერატორული ფორმით, ა) მიღებულია იტერაციული ამონახსნი; ბ) განხორციელებულია მოტივტივე ტაღლაჩამშობი კონსტრუქციის სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელირება რიცხვითი სასრულ სხვაობიანი მეთოდის გამოყენებით;
- 5) შესრულებულია ამოცანის ფორმულირება და ამოხსნა, შედგენილია სანაპირო ზოლის გამოთვლითი სქემა და გადაწყვეტილია ამოცანის ამოხსნა რიცხვითი სასრულ სხვაობის მეთოდით.

### 4. ანოტაცია: დასრულებულია I საანგარიშო პერიოდი

შემუშავებულ იქნა დეტალური სამოქმედო გეგმა. მოპოვებული და გაანალიზებულია ქ. ფოთისა და კურორტ ანაკლიის სანაპირო არეების არსებული ტოპოგრაფიული და ბატიმეტრული რუკები, ქარებისა და ტაღლური რეჟიმების მონაცემები, ჰიდროლოგიური და ჰიდრომეტრიული ხასიათის მასალები. მოპოვებული მასალები დამუშავებული და სისტემაშია მოყვანილი კომპიუტერის მეშვეობით.

შესწავლილია ფოთისა და ანაკლიის რეგიონის ზღვის სანაპირო არეებში ტაღლური და ნატანის მოძრაობათა გაანგარიშების არსებული ანალიზური და რიცხვითი მეთოდები. განხილულია ფოთის სანაპირო ზოლში ტაღლურ მოძრაობების შემდეგი მოდელები:

1. მოდელი “Hindcast”; 2. მოდელი “HISWA”; 3. მოდელი “UNIBEST”; 4. მოდელი “SOBEK-River”.



სარეაბილიტაციო სამუშაოებს ანაკლიის სანაპირო ზოლში ამჟამად აწარმოებს სამხრეთ კორეული საინჟინრო კომპანია “DOHWA“, რომელიც გაანგარიშებებისას ძირითადად იყენებს SWAN მოდელს. დასმულია ძირითადი საკვლევი ამოცანები:

ნატურული დაკვირვებების ჩასატარებლად და არსებული მასალების მოსაპოვებლად გრანტის მონაწილე თანამშრომლები 2015 წლის 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე გაემგზავრა შავი ზღვის ფოთისა და ანაკლიის სანაპირო ზოლში. გამგზავრების მთავარი მიზანი იყო შავი ზღვის ფოთისა და ანაკლიის სანაპირო ზოლში, მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში, მდინარე რიონის მე-7 კმ-ზე მდებარე წყალგამყოფ პიდროკვანძზე არსებული ვითარების შესწავლა და ნატურული დაკვირვებები მიმდინარე პროცესებზე. ამასთანავე სანაპირო ზოლში არსებულ დღევანდელ მდგომარეობაზე ინფორმაციებისა და მასალების მოპოვება, შეგროვება და დამუშავება. ანაკლიაში დათვალიერებულ იქნა ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობა შესწავლილ იქნა ნაპირის წარეცხვის ძირითადი მიზეზები.

## II.1. პუბლიკაციები:

### ა) საქართველოში

#### მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Lali Gogeliani	Hydraulics of stratified density flows in hydraulic engineering	წარდგენილია სტუ-ს გამომცემლობაში	210

#### სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ამირან საყვარელიძე	სამშენებლო ინდუსტრია –წიგნში: “საქართველო 2050, ქვეყნის განვითარების სტრატეგია”.		

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	პეტრე ჭიჭაღუა მირიან ყალაბეგიშვილი მანონ კოდუა	ენგურჰესის კაშხლის ექსპლუატაციის პერიოდის თბური რეჟიმის ანალიზი, სტუ- შრომები	№2 (496), 2015	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	96-106.12
2	იუნონა მარგალიტაძე, ზ. ციხელაშვილი, თ. გველესიანი, მ. მჭედლიძე	მოტივტივე ტალღაშემარბილებელი პ/ტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების ლაბორატორიული გამოცდის პროცესის დაგეგმვის სისტემური ასპექტები.	№2, 2015	თბილისი	5
3	იუნონა მარგალიტაძე, ლაშა გაბიძაშვილი	საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა.  თბილისის დამოუკ. უნივერსიტეტი ”გორგასალი“  სამეც. შრომების კრებული	№1. 2015	თბილისი	5
4	შ.გაგოშიძე, მ.ლორთქიფანიძე, ე.ხატიაშვილი, ი.სალინაძე	ფოთის პორტსა და საქართველოს შავიზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების საბაზისო მონაცემების მოპოვებისა და შესწავლის მოკლე მიმოხილვა , ჟურნალი „ენერჯია“	№4(76). 2015.	თბილისი	44-57
5	გ. დალაქიშვილი კ.ხაზალია	ბეტონზე ტემპერატურული ზემოქმედების შედეგად	№4(76). 2015.		

		განვითარებული ძაბვების მიერ წარმოქმნილი დეფორმაციული ველების დადგენა. ჟურნალი „ენერჯია“			
6	გიორგი დალაქიშვილი ალექსანდრე დანელია მიხეილ სანიკიძე კობა ყალიჩავა	ბეტონის კაშხლებში შეკვებისა და ბზარწარმოქმნის პროცესის მონიტორინგი და დიაგნოსტიკა ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდის გამოყენებით ჟურნალი „ენერჯია“	№4(76). 2015.		
7	ა. საყვარელიძე	მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტანგამტარობის პარამეტრების დადგენა ჟ. მშენებლობა (იბეჭდება)	№3 (38)	თბილისი	150-156
8	ა. საყვარელიძე, ნ. ღუღუშაური, ნ. ნარიშვიანი	სხვადასხვა ასაკის ბაზალტ-ფიბრობეტონის სიმტკიცის მახასიათებლები კუმშვისას „ენერჯია“	№3 (75)	თბილისი	68-71
9	ა. საყვარელიძე	თვითშემჭიდროებადი ბეტონის ტენგამტარობის პარამეტრების განსაზღვრა ჟ. „ჰიდროინჟინერია“	№1-2 (19-20)	თბილისი	94-100
10	ა. საყვარელიძე, ნ. ღუღუშაური	კუმშვისას, მასალის ასაკის გავლენა მაღალი სიმტკიცის ბეტონის მექანიკურ მახასიათებლებზე ჟ. მშენებლობა	№2 (37)	თბილისი	158-161
11	ე.ხატიაშვილი, ლ.ლოღელიანი	საწყალოსნო სისტემებში დამაბინძურებელ	1-2(19-20) 2015	თბილისი, სტუ	

	ზ.ასკურავა	მინარეგების გადატანა ISSN 1512-410X სამეცნ.-ტექნიკ.ჟურნალი “ჰიდროინჟინერია		გამომცემლობა	
12	ღალი ლოღელიანი	Integral form of a hydraulic equation of a stratified-density flow, when the lower flow is the collapsed rock mass intruding into a water reservoir under the action of seismic forces ISSN 1512-410X სამეცნ.-ტექნიკ.ჟურნალი “ჰიდროინჟინერია	1-2(19-20) 2015	თბილისი, სტუ გამომცემლობა	7
13	ღ.ლოღელიანი	წყალსაცავის ევტროფიკაციის დონის დადგენა ISSN 1512-410X სამეცნ.-ტექნიკ. ჟურნალი “ჰიდროინჟინერია“	1-2(19-20) 2015	თბილისი, სტუ გამომცემლობა	5

ანოტაციები

**1.ენგურჰესის კაშხლის ექსპლუატაციის პერიოდის თბური რეჟიმის ანალიზი, სტუ-შრომები.** ნაშრომში მოცემულია ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ექსპლუატაციის პერიოდის არასტაციონარული თერმორეჟიმის ანალიზი ორგანზომილებიანი სასრულ-ფელემენტული მოდელის გამოყენებით, ტემპერატურული გაზომვების შედეგების გათვალისწინებით.

ამ გამოკვლევების მიხედვით, გარემომცველი ჰაერისა და წყალსაცავში წყლის ტემპერატურების სეზონური ცვალებადობის გავლენით, თაღოვან კაშხალში წელიწადის ცივ პერიოდებში წარმოიშობა დიდი ტემპერატურული სხვაობები „ბირთვი-წახნაგი“, რომლებიც გარკვეულწილად შეიძლება გაწონასწორებული იქნას თბილ პერიოდში წარმოშობილი ტემპერატურული სხვაობებით „წახნაგი - ბირთვი“, მაგრამ, ზამთარში ტემპერატურის მკვეთრი შემცირებისას იქმნება საშიშროება კაშხალში ნაკერების გახსნისა და ბზარების წარმოშობა-განვითარების თვალსაზრისით. უკანასკნელს ადასტურებს აღნიშნული და ბეტონის სხვა კაშხლებზე ჩატარებული ნატურული დაკვირვებების შედეგები.

**2.მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰ/ტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელის ლაბორატორიული გამოცდის პროცესის დაგეგმვის სისტემური ასპექტები**

განხილულია მოტივირებული ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების ლაბორატორიული გამოცდის პროცესის დაგეგმვის სისტემური ასპექტები. მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელების გამოყენება, რომელიც ექსპერიმენტების დამგეგმავ პერსონალს საშუალებას აძლევს აქტიურად გამოიყენოს სპეციალისტ-ექსპერტთა ფსიქო-ფიზიკური ხასიათის ლოგიკური “არამკვეთრი მსჯელობები” ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის მსვლელობის შესაძლო საგეგმო-რეალურ მდგომარეობათა სიმრავლის ასახვაში უგანზომილებო ხარისხობრივ-კრიტერიალური შეფასების სკალებში, შემდეგი გრადაციების შესაბამისად: “ცუდი მდგომარეობა”, “შუალედური მდგომარეობა”, “კარგი მდგომარეობა”.

### **3.საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა.**

საქართველო ისტორიულად საზღვაო ქვეყანაა. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარებაში. დიდია საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში.

საქართველო, რომელიც ერთიან ევრაზიულ სივრცეში ფორმირებისაკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის - ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გვევლინება. „ახალი აბრეშუმის გზის“ განხორციელება იქნება სრულიად ახალი ეტაპი ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების, მისი მსოფლიო აღიარებისა და საბოლოოდ დამკვიდრების საქმეში. ამით ევრაზიული მარშრუტი სრულიად ახალ ტრანსკონტინენტურ კავშირს დაუდებს სათავეს წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანემდე.

### **4. ფოთის პორტსა და საქართველოს შავი ზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების საბაზისო მონაცემების მოპოვებისა და შესწავლის მოკლე მიმოხილვა**

**ანოტაცია:** პუბლიკაციაში მიმოხილულია ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო – კვლევითი პროექტის “Integrated Coastal Monitoring of Environmental Problems in the Sea Region and the Ways of their Solution” ფარგლებში ქართველი პარტნიორების მიერ 2013 – 2015 წლებში გაწეული საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა შედეგები. წარმოდგენილია ფოთის პორტსა და საქართველოს შავი ზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონებში მოპოვებული და შეფასებული ზღვის წყლის დაბინძურების მაჩვენებლები. ამავე რეგიონებისთვის (ანაკლიის ნაპირის ჩათვლით) დასახულია გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების გადაჭრის გზები. მიმოხილულია ქართველ პარტნიორთა მიერ პროექტში დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად შემუშავებული მათემატიკური მოდელები.

### **5.ბეტონზე ტემპერატურული ზემოქმედების შედეგად განვითარებული ძაბვების მიერ წარმოქმნილი დეფორმაციული ველების დადგენა**

შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ბეტონის დეფორმაცია, ბზარწარმოქმნა მატრიცისა და მსხვილი შემკვების საკონტაქტო ზონაში, რომელიც გამოწვეულია ტემპერატურული ზემოქმედებით ცემენტის ქვის გამყარების დროს.

ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდით კვლევის შედეგად მიღებული იყო

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები შეკლების დეფორმაციების და დაძაბული მდგომარეობის ფორმირების განვითარების შესახებ, რომელიც წარმოიქმნება ბეტონში შემდგომის ნაწილაკებსა და „მატრიცა-შემდგომის“ საკონტაქტო ზონაში.

**6. ბეტონის კაშხლებში შეკლებისა და ბზარწარმოქმნის პროცესის მონიტორინგი და დიაგნოსტიკა ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდის გამოყენებით**

განხილულია ექსპერიმენტული კვლევები ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში კერძოდ, ბეტონის კაშხლებში ისეთი ხანგრძლივი პროცესებისა, როგორც არის შეკლება და ბზარწარმოქმნა. კვლევა ჩატარდა ურღვევი მეთოდის, ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა კაშხალმშენებლობაში გამოყენებული იქნას მონიტორინგის და დიაგნოსტიკის სახით. ჩატარებულია სათანადო ლიტერატურული მიმოხილვა და მოცემულია ექსპერიმენტული მონაცემები.

**7. მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტენგამტარობის პარამეტრების დადგენა**

რეზიუმე: შესრულებულია მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტენგამტარობის მახასიათებლების (ტენის დიფუზიის, ტენგადაცემისა და ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების) განსაზღვრის ექსპერიმენტულ-თეორიული გამოკვლევა. დადგენილია ცილინდრული ფორმის ნიმუშების ტენშემცველობის და წონის ცვლილება დროში – გამოშრობისას. რეალიზებულია უსასრულო ცილინდრის ამოცანა მესამე რიგის სასაზღვრო პირობებში. განსაზღვრულია მასალის დროში ტენშემცველობის ცვლილების ექსპერიმენტული მრუდი. თეორიულად გამოთვლილია ცილინდრის ტენშემცველობა დროის ნებისმიერ მომენტში. მიღებულია დროში ტენის ცვლილების თეორიული მრუდები.

თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების შედარებით და ანალიზით დადგენილია მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტენგამტარობის მახასიათებლები: ტენის დიფუზიის, ტენგადაცემისა და ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების სიდიდეები.

**8. სხვადასხვა ასაკის ბაზალტ-ფიბრობეტონის სიმტკიცის მახასიათებლები კუმშვისას**

გამოკვლეულია სხვადასხვა ასაკის მოდიფიცირებული ბაზალტ-ფიბრობეტონის მექანიკური მახასიათებლები კუმშვისას. დადგენილია ადგილობრივი მასალების (იმირის გრანიტის ღორღი და ქვიშა, კასპის პორტლანდცემენტი, საქართველოში წარმოებული ბაზალტის ბოჭკოები) გამოყენებით და შევიცარული კომპანია “სიკას” წარმოების სუპერპლასტიფიკატორის გამოყენებით მიღებული მაღალი სიმტკიცის მოდიფიცირებული ბაზალტ-ფიბრობეტონის ტექნოლოგიური პარამეტრები.

ჩატარებულია  $t_0=7; 28; 60; 90; 120$  და  $180$  დღის ნიმუშების (კუბები  $10 \times 10 \times 10$  სმ, პრიზმები  $7 \times 7 \times 28$  სმ) გამოცდები კუმშვისას. ექსპერიმენტით დადგენილია: სუპერპლასტიფიკატორის (viskokret SF-18”) და ბაზალტის ბოჭკოების გამოყენებით ბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე იზრდება  $110$  მპა-მდე. სიმტკიცე იზრდება მასალის ასაკის ზრდის პროპორციულად. შემუშავებულია მოდიფიცირებული ბაზალტ-ფიბრობეტონის სიმტკიცის მახასიათებლების მასალის ასაკზე

**9. თვითშემჭიდროებადი ბეტონის ტენგამტარობის პარამეტრების განსაზღვრა**

შესრულებულია თვითშემჭიდროებადი ბეტონის ტენგამტარობის მახასიათებლების (ტენის დიფუზიის, ტენგადაცემისა და ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების) განსაზღვრის ექსპერიმენტულ-თეორიული გამოკვლევა. დადგენილია ცილინდრული ფორმის ნიმუშების ტენშემცველობის და წონის ცვლილება დროში – გამოშრობისას. რეალიზებულია უსასრულო ცილიდრის ამოცანა მესამე რიგის სასაზღვრო პირობებში. განსაზღვრულია მასალის დროში ტენშემცველობის ცვლილების ექსპერიმენტული მრუდი. თეორიულად მიღებულია მრუდების მთელი ოჯახი.

თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების შედარებით და ანალიზით დადგენილია თვითშემჭიდროებადი ბეტონის ტენგამტარობის მახასიათებლები: ტენის დიფუზიის, ტენგადაცემისა და ტენგადაცემის კუთრი კოეფიციენტების სიდიდეები.

**10. კუმშვისას, მასალის ასაკის გავლენა მაღალი სიმტკიცის ბეტონის მექანიკურ მახასიათებლებზე**

გამოკვლეულია სხვადასხვა ასაკის მაღალი სიმტკიცის ბეტონის მექანიკური მახასიათებლები კუმშვისას. დადგენილია ადგილობრივ მასალებზე (იმირის გრანიტის ღორღი და ქვიშა, კასპის პორტლანდცემენტი) და შვეიცარიის ფირმა „სიკას“ წარმოების სუპერპლასტიფიკატორის გამოყენებით მიღებული მაღალი სიმტკიცის ბეტონის ტექნოლოგიური პარამეტრები.

კუმშვაზე გამოცდილია სხვადასხვა ასაკის  $t_0=7; 28; 60; 90; 120$  და  $180$  დღის ნიმუშები კუბები ( $10X10X10$  სმ) და პრიზმები ( $7X7X28$  სმ) ექსპერიმენტით დადგენილია: სუპერპლასტიფიკატორის (viskokret SF-18“) გამოყენებით ბეტონის სიმტკიცე იზრდება  $80$  მპა-მდე; მასალის სიმტკიცე იზრდება ასაკის ზრდის პროპორციულად.

**11. მიღებულია წყლის ნაკადების მიერ კონსერვატიული და არაკონსერვატიული**

დამაბინძურებელი მინარევების კონვექციური და ტურბულენტური დიფუზიის მექანიზმებით გადატანის ერთგანზომილებიანი განტოლების ამონახსნები. ამონახსნები მიღებულია ლაპლასის ოპერაციული აღრიცხვის მეთოდების გამოყენებით. საანგარიშო

დამოკიდებულებებით შესაძლებელია წყლის ნაკადებში განისაზღვროს დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები, როდესაც ადგილი აქვს წყლის ობიექტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაზრდილ მოდინებას.

**12.** იმ აქტუალური მიზეზის გამო, რომ არსებულ ფუნდამენტალურ ნაშრომებში განხილულ სხვადასხვა სიმკვრივის მქონე ნაკადების დიფერენციალურ განტოლებებში, შემთხვევისთვის, როდესაც ქვედა ფენა წარმოადგენს ჩამოქცეულ-დაცურებულ მთის ქანების მასას, არ არის მხედველობაში მიღებული სეისმური ძალები, რომელნიც წარმოადგენენ ამ ნაკადის წარმოქმნის ძირითად მიზეზს, მოცემულ ნაშრომში განხილულია აღნიშნული განტოლებები ჰოზონტალური სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით და მოყვანილია მათი მიახლოებითი ინტეგრირება.

**13.სტატიაში განიხილება წყალსაცავის ევტროფიკაციის პროცესები. შექმნილია**

მათემატიკური მოდელი. მასში განიხილება ბიოგენური ელემენტების მოდინება

წყალშემკრები აუზის ტერიტორიიდან მიმდინარე ბუნებრივი პროცესების (ატმოსფერული ნალექები, ნატანისშეტანა, ქარისმიერიეროზია) და ტერიტორიაზე წარმოებული ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად. შეისწავლება ბიოგენური ელემენტების ტრანსფორმაცია წყალსატევში. ბიოგენური ელემენტების კონცენტრაციების მიხედვით განისაზღვრება წყალსატევის ევტროფირების ხარისხი და ხდება მისი პროგნოზირება.

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შალვა გაგოშიძე ნიკოლოზ ხონელიძე	К расчету локального размыва нижних бьефов плотин с трещиноватым скальным основанием , სომხეთის სახელმწიფო საინჟინრო უნივერსიტეტის შრომების კრებული, სერია „ჰიდროლოგია და ჰიდროტექნიკა“	1 (18). 2015	ერევანი	5
<p>1. სტატიაში განვითარებულია ახალი მიდგომა კაშხლებიდან ვარდნილი წყლის ჭავლით განპირობებული დაბზარული კლდოვან ფუძეების ლოკალური გამორეცხვების საანგარიშოდ. არსებული მეთოდებისგან განსხვავებით წარმოდგენილი მეთოდი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა კაშხლის ჭავლის შეჭრა ფუძის ბზარებში, კლდოვანი ფუძის ბლოკური აგებულება, ბზარების გახსნა კლდოვანი ელემენტის დრკადის თვისებები. მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებლად შეესაბამება კლდის გამორეცხვაზე ნატურული დაკვირვებებისა და ექსპერიმენტალური კვლევების არსებულ მასალებს.</p>					



### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ივანე საღინაძე იური ქადარია მანონ კოდუა	შავი ზღვის ფოთის რეგიონის ქარებისა და ტალღური რეჟიმების ძირითადი მონაცემები	V საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის ტანამედროვე პრობლემები“ 16-19 ივლისი, 2015, თბილისი
მომხსენებათა ანოტაციები			
1. ნაშრომში თავმოყრილია შავი ზღვის ფოთის რეგიონის ქარებისა და ტალღური რეჟიმებზე მრავალწლიანი დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგები. გაანალიზებულია მათი გავლენა სანაპირო დინებებსა და წყლის დონის აწევაზე.			

#### ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	შალვა გაგოშიძე	ტალღურ მოძრაობათა მდგრადობის შესახებ წრიული კვეთის უდაწნეო წყალსატარებში	ევროკავშირის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერთა გენერალურიანსამბლეა, EGU2015 ვენა, ავსტრია 12-27 აპრილი 2015
2.	შალვა გაგოშიძე მანონ კოდუა	The Main Results of Compilation of Basic Data of Seawater Pollution and Sediment Migration in the Poti Port Region of Georgia and Development of Appropriate	ევროკავშირის პროგრამა „BLACK SEA BASIN 2007-2013“ (BLACK SEA) „სახდვაო საპორტო

	Mathematical Models for their Calculation ქალაქ ფოთის რეგიონში ზღვის დაბინძურებისა და ნატანის მიგრაციის ძირითადი მონაცემები და მათი გაანგარიშების მათემატიკური მოდელები	რეგიონებსი გარემოსდაცვითი პრობლემების გაერთიანებული მონიტორინგი და მათი გადაჭრის გზები“ ICME-ს III ვორკშოფი, ერევანი
<p>1. მოხსენებათა ანოტაციები მიღებულია სანგარიშო გამოსახულება ნებისმიერი რადიუსისა და შევსების წრიული კვეთის წყალსატარში უდაწნეო ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე ზედღებული ტალღებისას, შესწავლილია ამ ტალღების მდგრადობის საკითხები;</p> <p>2. წარმოდგენილია ფოთის პორტსა და საქართველოს შავი ზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონებში მოპოვებული და შეფასებული ზღვის წყლის დაბინძურების მაჩვენებლები. ამავე რეგიონებისთვის (ანაკლიის ნაპირის ჩათვლით) დასახულია გეომორფოლოგიური და ჰიდროსაინჟინრო პრობლემების გადაჭრის გზები. მიმოხილულია ქართველ პარტნიორთა მიერ პროექტში დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად შემუშავებული მათემატიკური მოდელები.</p>		

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	იაკუბლოს კაშხლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩასატარებელი საპროექტო კვლევები (ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა)	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მ.ყალაბეგიშვილი	ადგილობრივი
2	ვარძიის ფერდზე ჩამონადენი წყლის მართვა აცილების	ნ. ვაჩიშვილი ილიას	მ.ყალაბეგიშვილი	ადგილობრივი

	სისტემის პროექტი	სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი		
3	ნამახვანძვის ორ საფეხურიანი კასკადის საექსპერტო შეფასება	სს ნამახვანი	მ.ყალაბეგიშვილი	უცხოური
4	ნენსკრაჰესის საექსპერტო შეფასება	<b>JSC</b> საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდი	მ.ყალაბეგიშვილი	უცხოური
5	გორის ელექტროსადგურების სამშენებლო ნაწილის ექსპერტიზა	<b>JSC</b> საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდი	მ.ყალაბეგიშვილი	ადგილობრივი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

1. ჩატარებული იქნა იაკუბლოს კაშხლის საპროექტო გადაწყვეტის, ასევე ექსპლუატაციაში განვითარებული პროცესების ანალიზი. დამუშავებული იქნა კაშხლის სარეაბილიტაციო ვარიანტები სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით.
2. დამუშავებული იქნა პროექტი ვარძიის ფერდზე ჩამონადენი წყლის აცილების უზრუნველყოფისათვის.
3. ნამახვანძვის ორ საფეხურიანი კასკადისათვის ჩატარდა საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზე მოხდება გარკვეული კონსტრუქციული ცვლილება.
4. ჩატარდა ნენსკრაჰესის ნაგებობათა საექსპერტო შეფასება.
5. ჩატარდა გორის ელექტროსადგურების სამშენებლო ნაწილის, მათ შორის კოშკის ფუძის კონსტრუქციის ექსპერტიზა.

#### IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური
---	---	-----------------------	------------------------	--

	მიმართულების მიითებით			გრანტი
1	სტუ-სა და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი: „აგრარული პროგრამების განვითარება საქართველოში“	ა.ფრანგიშვილი	ლ.ლოღელიანი	სგმს, სტუ
2	თეძამის ჰიდროკვანძის პროექტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა	რ. ხუროძე	ლ. ლოღელიანი; მ.ყალაბეგიშვილი; ზ. ასკურავა; ი. ქადარია; ზ. ეზუგბაია; ე. კაცაძე; ნ. ქევხიშვილი; ნ. ფოფორაძე.	
3	არხაშენის ჰიდროკვანძის პროექტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა	რ. ხუროძე	ლ. ლოღელიანი; მ.ყალაბეგიშვილი; ზ. ასკურავა; ი. ქადარია; ზ. ეზუგბაია; ე. კაცაძე; ნ. ქევხიშვილი; ნ. ფოფორაძე	

**სხვა აქტივობა**

**კონსტანტინე ხაზალიას აქტივობები:**

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სერტიფიკატი: პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოღვაწე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობისათვის.
2. შპს „ეკოტექნოლოჯია“ დაპროექტება: გარდაბანის რაიონი, სოფ.ახალისამგორი-ვაზიანი და ნორიო-მარტყოფი-ახალსოფელის კომპლექსური წყალმომარაგების სქემის დაპროექტება; დედოფლისწყაროს რაიონის სოფ.გამარჯვება წყალმომარაგების სქემა.
3. შპს „აკვარიუსი“ დმანისი-განთიადის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ზედამხედველობა.

**გიორგი დალაქიშვილის აქტივობები:**

1. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გვიდით მომზადდა „ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი“, პროფესიული სტანდარტის პროექტი სასწავლო კურსში 1. ჰიდროტექნიკური ნაგებობათა მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. 2. ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის წარმოება. სერთიფიკატი.

**ამირან საყვარელიძის აქტივობები:**

სამშენებლო ინდუსტრია – წიგნში: “საქართველო 2050, ქვეყნის განვითარების სტრატეგია”. (თავი 3.5, გვ.56-92).

**წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგების და შენობების  
საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტი №105**

დეპარტამენტის უფროსი- პროფ. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

1.	ლევან კლიშიაშვილი	პროფ.
2.	ნიკოლოზ ნაცვლიშვილი	პროფ.
3.	გურამ სოსელია	პროფ.
4.	ზაურ ციხელაშვილი	პროფ. (ემერიტუსი 1 ნოემბრიდან)
5.	დავით გურგენიძე	პროფ.
6.	ირაკლი ყრუაშვილი	პროფ.
7.	ალექსანდრე დავითაშვილი	პროფ.
8.	ირმა ინაშვილი	პროფ.
9.	ოთარ ფურცელაძე	პროფ.
10.	მამული გრძელიშვილი	პროფ.
11.	იური ქადარია	პროფ.
12.	ირაკლი შეყრილაძე	პროფ.
13.	შოთა მესტვირიშვილი	პროფ.
14.	ვაჟა ნაჭყებია	ასოც.პროფ.
15.	ზურაბ ზალიკაშვილი	ასოც.პროფ.(გარდაიცვალა ნოემბერში)
16.	მარინა ნაცვლიშვილი	ასოც პროფ.
17.	ლიმიტრი კუჭუხიძე	ასოც.პროფ.
18.	ოთარ გიორგობიანი	ასოც.პროფ.

19.	ხათუნა ხატიური	ასისტ.პროფ.
20.	კარინა მელიქიძე	ასისტ.პროფ.
21.	ალექსი კოპალიანი	მასწავლებელი
22.	ნანა მეფარიშვილი	ასოც.პროფ. (მოწვეული)
23.	გიორგი ელიავა	უფრ.სპეციალისტი
24.	ლია სოსელია	სპეციალისტი
25.	ნათია მახარობლიძე	ლაბორანტი
26.	ირაკლი მუსერიძე	ლაბორანტი

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

**I. 4**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“ეროზიულ-დვარცოფული მოვლენების თეორიული კვლევა” ინჟინერია, ჰიდროინჟინერია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ი. ყრუაშვილი	ი. ინაშვილი ე. კუხალაშვილი კ. ბზიავა
2	№ FR/360/3-105/ახალი ახალი ტიპის მოტივტივე-მოცურავე ტალღა-შემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის შემუშავება სანაპირო ზოლის და ღია პორტების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზ.ციხელაშვილი	
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული				

შედგენები

1. დვარცოფსაცავების პარამეტრების ცვლილების კანონზომიერების დადგენა და გაანგარიშების მეთოდების სრულყოფა ისეთ ოპერატიულ საშუალებებს მოითხოვს, რომლის გამოყენებით სრულყოფილად აღწერილი იქნება მასში განთავსებული დვარცოფული მასის მდგრადობის რღვევისა და დაძვრის პროცესის მექანიზმი. ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით მიღებულია დვარცოფსაცავში დაგროვილი დვარცოფული მასის სიმაღლის, დვარცოფის ხარჯისა და მისი გადაადგილების სიჩქარის საანგარიში დამოკიდებულებები. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ თეორიულად და ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე მიღებულ **K**-ს მნიშვნელობებს შორის განსხვავება არ აღემატება 10%-ს.

2. შესრულდა III ეტაპი. განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

სამ განზომილებიანი (3 ) პოტენციური მოძრაობის ტალღური ამოცანის ფორმულირება და რიცხვითი ამოხსნა; შერჩეულია გამოთვლითი სქემა ტალღური ამოცანის რიცხვითი ამოხსნისათვის; ამოხსნილია ტალღური ამოცანა მართკუთხა თანაბარ არეზე სასრული სხვაობების ფორმით, განსაზღვრულია: ა) ძირითადი არის შიდა (რეგულარული) წერტილები, ბ) საზღვრის სიბრტყის წერტილები, გ) საზღვრის ორი სიბრტყის კვეთის წერტილები, დ) საზღვრის სამი სიბრტყის კვეთის წერტილები, ე) თავისუფალი ზედაპირის არასტაციონალური პირობა; ჩამოყალიბებულია ტალღური ამოცანა ალგებრული ოპერატორული ფორმით, ა) მიღებულია იტერაციული ამონახსნი; ბ ) განხორციელებულია

მოტივტივე ტალღაჩამხშობი კონსტრუქციის სამგანზომილებიანი (3 ) მათემატიკური მოდელირება რიცხვითი სასრულ სხვაობიანი მეთოდის გამოყენებით; შესრულებულია

ამოცანის ფორმულირება და ამოხსნა, შედგენილია სანაპირო ზოლის გამოთვლითი სქემა და გადაწყვეტილია ამოცანის ამოხსნა რიცხვითი სასრულ სხვაობის მეთოდით.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ.კლიმიაშვილი მ.ნაცვლიშვილი	მტყუნებათა შეფასება წყლის მიწოდების და განაწილების სისტემებში	თბილისი სტუ-ს გამომცემლობა 2015 წ.	139

ანოტაციები

1. განხილულია დეფექტების წარმოქმნის, დეფორმაციის და დაშლის, კოროზიის მიზეზები და მათი აღმოფხვრის საშუალებები. მოცემულია დიაგნოზის ალგორითმები და მათი რეალიზაცია. გაანალიზებულია კოროზიული პროცესები, მოყვანილია კოროზიის სინქარის განაწილება ნიმუშის სიღრმის მიხედვით, აგრეთვე საკონტროლო ნიმუშები ლითონის ნიადაგური კოროზიის კვლევისთვის. რეკომენდირებულია მიღსადენების დიაგნოსტიკის გამოყენება ურღვევობის კონტროლის მეთოდით, სადაც მოცემულია კორელაციური ანალიზატორის ქმედების პრინციპები.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ფურცელაძე გ. რატიანი	„ჰაერის კონდიციონირება და სიცივით მომარაგება“	სტუ-ს გამომც.	360
2.	ო.ნათიშვილი ი.ყრუაშვილი გ.გავარდაშვილი ი.ინაშვილი	მეთოდური რეკომენდაციები ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის (ჰიდრაულიკური გაანგარიშებები)	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2015 წ.	49
3.	გ.სოსელია ს.ინჯია	მეთოდური მითითებები ” შრომის უსაფრთხოების დაცვა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში	გადაცემულია. “გლობალური და ლოკალური საფრთხეების შეფასებისა და კვლევის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი”	78

ანოტაციები

1. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ჰაერის კონდიციონირების და სიცივით მომარაგების თეორიის და ტექნიკის საფუძვლები. განხილულია ტენიანი ჰაერის თვისებები და მისი მდგომარეობის ცვლილებების პროცესები. მოცემულია ჰაერის კონდიციონირების სისტემების გაანგარიშების, მუშაობის რეჟიმის და რეგულირების მეთოდები. ნაჩვენებია ჰაერის კონდიციონირების სისტემების სითბო-სიცივით მომარაგების მეთოდები, ენერჯის ხარჯვის შემცირების, სითბოს და სიცივის უტილიზაციის გზები.

2. „მეთოდურ რეკომენდაციებში“ განხილულია ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების



პროექტირების პრინციპები, ბმული ღვარცოფული ნაკადის დამრტყმელი ძალის განსაზღვრა ყრუ და გამჭოლ ღვარცოფგადამღობ ნაგებობაზე, ბმული ღვარცოფის გამოტანის კონუსზე გაფართოება და გაჩერება, ღვარცოფული ნაკადის ამმალღებელი უკუტალღის სიმაღლის განსაზღვრა განივ ყრუ ზღუდარზე და ზვავისებრი ბმული ღვარცოფული ნაკადის დინამიკური მახასიათებლების პროგნოზი.

„მეთოდურ რეკომენდაციებში“ გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა სრულდებოდეს ღვარცოფსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების პროექტირების, ღვარცოფულ რეგიონებში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და ასევე, მშენებლობისთვის ჩატარებული საინჟინრო კვლევების დროს.

3.მეთოდური მითითებები გათვალისწინებულია გადამზადების თრენინგ-კურსების ჩასატარებლად წყალმომარაგებისა და წყალარინების სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდუ ბის რაოდენობა
1	მ.გრძელიშვილი ო. გიოგობიანი ა. კოპალიანი	„მზის თბომომარაგების სისტემები და მათი გამოყენების პერსპექტივები“  ჟურნალი „მშენებლობა“	№4(35), 2014	სტუ	4
2.	ო.ფურცვლაძე ნ.მეფარიშვილი ი.დენისოვა	“თბილი იატაკის გათბობის სისტემების შესახებ ძველ ცივილიზაციებში”		სტუ (გადაცემულია დასაბეჭდათ)	
3.	კ.მელიქიძე ვ.მელიქიძე	„მუნიციპალური ენერგეტიკული პასპორტის“ ელექტრონული პროგრამის შემუშავება მუნიციპალური ენერგომომარაგების შესაფასებლად	ევროპული გეოგრაფიული ასოციაციის ჟურნალი (ჩაბარებულია დასაბეჭდათ)	ევროპული გეოგრაფიული ასოციაცია (ელექტრონული) www.eurogeographyjournal.eu	4
4.	ი.შეყრილაძე.	“თბურამძრავიანი	№1-2 (19-20),	სტუ	9

	მ.მეფარიშვილი ე.მაჭავარიანი გ.გიგინეიშვილი	მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლის ანალიზი	2015	ჟურნალი “ჰიდროინჟინერია”	
5.	ი.შეყრილაძე. მ.მეფარიშვილი ე.მაჭავარიანი გ.გიგინეიშვილი ჯ.რუსიშვილი დ.შეყრილაძე	“თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტული მოდელის შექმნა და თერმოჰიდროდინამიკური პროცესების გამოკვლევა”	№1-2 (19-20), 2015	სტუ ჟურნალი “ჰიდროინჟინერია”	9
6.	ნ.ფოფორაძე ი.ახვლედიანი ი.შეყრილაძე ო.სესკურია	“ყაზბეგ-ომალოს რეგიონის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ნალექების თავისებურებები”	№30.2015.	ჟურნალი “ინტელექტუალი”	3
7	ი.ყრუაშვილი ი. ინაშვილი ი. კლიმიაშვილი	“ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერები საპროექტო პარამეტრების კომპიუტერული მოდელირება”. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნე ბა”		თბილისი	4 გვ.
8	ე. კუხალაშვილი ი. ინაშვილი კ. ბზიავა ი.ყრუაშვილი დ.ლორთქიფანიძე	“ღვარცოფსადინარში ტალღურად მოძრავი ბმული ღვარცოფის მასხასიათებლების დადგენა”. ჰიდროინჟინერია	№ 1-2 (19-20)	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვ.
9	ლ.კლიმიაშვილი დ.გუბელაძე ი.ყრუაშვილი დ.გურგენიძე	კალაპოტური პროცესების თავისებურება	№1-2(19-20)	ჰიდროინჟინერია	5
10	ლ.კლიმიაშვილი დ.გუბელაძე დ.გურგენიძე მ.ნაცვლიშვილი	მდინარეებში ტრანზიტული ნაკადის მოძრაობის კანონ- ზომიერებები	№1-2(19-20)	ჰიდროინჟინერია	6
11	ლ.კლიმიაშვილი	წყალმომარაგების	№1-2(19-20)	ჰიდროინჟინერია	5

	მ.ნაცვლიშვილი	სისტემებში მექანიკური ზემოქმედებისას დეფექტების წარმოქმნის შესახებ			
12	დ.კლიმაშვილი ნ.ნაცვლიშვილი დ.გურგენიძე	ექსპერტული სისტემების აგების შესახებ	№1-2(19-20)	ჰიდროინჟინერია	5
13	ზ.ციხელაშვილი ი.მარგალიტაძე, თ. გველესიანი, მ. მჭედლიძე	მოტივივე ტალღაშემარბილებელი კონსტრუქციული ნაგებობების ბმული მოდელების ლაბორატორიული გამოცდის პროცესის დაგეგმვის სისტემური ასპექტები. შრომათა კრებული, საქართველოს საინჟინრო სიახლეები -	№2, 2015	თბილისი	5
14	ზ. ციხელაშვილი პ. გიორგაძე დ. გურგენიძე გ. ჭიჭინაძე მ. ონეზაშვილი	ქართული მაღალხარისხოვანი „ბიოლოგიურად აქტიური“ ბუნებრივი სასმელი წყლის მიწისქვეშა საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების ნაწილის ეფექტური გამოყენების შესახებ, შრომათა კრებული, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“.	№2 (37), 2015	თბილისი	
15	ზ.ციხელაშვილი პ. გიორგაძე დ. გურგენიძე გ. ჭიჭინაძე მ. ონეზაშვილი	საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მიხედვით წყლის ხარისხის განაწილების კარტოგრაფიული პროგრეტის აგების შესახებ. შრომათა კრებული, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი	№2(37), 2015	თბილისი	5

		„მშენებლობა“.			
ანოტაციები					
<p>1. სტატიაში განხილულია მზის თბომორაგების სისტემების მოწყობა და მათი გაანგარიშება, მზის ენერჯის მოდინება სხვადასხვა გეოგრაფიულ განედზე და მზის ელემენტების განლაგების გავლენა თბომორაგების სისტემების დატვირთვებზე. საქართველოს პირობებში მზის ენერჯის გამოყენება გათბობის და განსაკუთრებით კი ცხელწყალმომარაგების სისტემებში მოგვცემს მილიონობით კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის დაზოგვის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისითაც.</p> <p>2. სტატიაში მიმოხილულია ძველ ცივილიზაციებში არსებული თბილი იატაკის გათბობის სისტემები. ამ სისტემების ჩასახვა და განვითარება, როგორც ევროპაში, ასევე აზიის ქვეყნებში. აღწერილია საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაქალაქარი ძაღლისის ჰიპოლაუსტის სისტემა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით I-IV საუკუნეებით თარიღდება</p> <p>3. საქართველოში ენერგოეფექტურობი სამოქმედო გეგმის, ალტერნატიული ენერჯო პროგრამების, ინვესტიციების და ღონისძიებების შესაფასებლად შემუშავდა ელექტრონული პროგრამა, „მუნიციპალური ენერჯეტიკული პასპორტი“. პროგრამა წარმოადგენს ენერჯომოხმარების შეფასების, დაგეგმვის ინსტრუმენტს მცირე მუნიციპალიტეტების მხარდაჭერისთვის, ენერგოეფექტურობისა და სავარაუდო ღონისძიებების დასაგეგმად. ელექტრონული პროგრამა აპრობირებული იყო საქართველოს 7 მუნიციპალიტეტებში და დაიმსახურა დადებითი შეფასება თანამშრომლებისაგან.</p> <p>4. გაანალიზებულია თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს რეალური თერმოდინამიკური ციკლი. მიღებულია მარგი ქმედების კოეფიციენტის საანგარიშო განტოლება. დამუშავებულია ციკლის რიცხვითი მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ციკლის პარამეტრები სხვადასხვა საწყისი პირობებისთვის. ოყვანილია მოდელირების შედეგები.</p> <p>5. მოცემულია თბურამძრავიანი მემბრანული ტუმბოს ექსპერიმენტული მოდელისა და მისი თერმო-ჰიდროდინამიკური პარამეტრების საკვლევი სტენდის აღწერა, კვლევის მეთოდიკა და შედეგები. ნახვენებია ახალი მოდიფიკაციის ექსპერიმენტული მოდელის ძირითადი ახალი კვანძის, თხევადდგუშიანი მუშა საკნის ქმედითუნარიანობა კონდენსაციის სასურველ ორსინქარიან რეჟიმში. ოცემულია ექსპერიმენტული მოდელის მქკ-სა და დაწნევას შორის დამოკიდებულების ექსპერიმენტალური მრუდები, წარმადობის დიაპაზონი.</p> <p>6. ყაზბეგ-ომალის რეგიონის თიხაფიქლების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია შეილგაზის (ბუნებრივი აირის) შემცველობის თვალსაზრისით პერპექტიული ლოკალური უბნები, რომელთა მცირე ნაწილის პროდუქტიულობის დადგენის შემთხვევაშიც კი საქართველო ბუნებრივი აირით მდიდარ ქვეყნებს შორის აღმოჩნდება.</p> <p>7. ნაშრომში მიღებული დამოკიდებულებებით და კომპიუტერული პროგრამა DEBFLOW-ს გამოყენებით შესაძლებელია დრეკადი ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერების საპროექტო პარამეტრების გაანგარიშება კონსტრუქციის მახასიათებლების, მასზე მოსული დატვირთვის,</p>					

სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტისა და ღვარცოფული კერიდან დაძრული მასის მახასიათებლების დროსთან კავშირში გათვალისწინებით.

8. მთის რელიეფის პირობებში კაშხლის გარღვევა იწვევს დიდი გამრეცხი ენერჯის მქონე გამრღვევი ტალღის წარმოქმნას, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება ღვარცოფულ ნაკადად. ნაშრომში მიმდინარეობს მცდელობა გადაწყვიტოს იქნას ღვარცოფული ნაკადის ერთი მიმართულების გრძივი ტალღების გაანგარიშების საკითხი. მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას ნაკადის სიმაღლე ტალღის სიმაღლის გათვალისწინებით, როგორც რეოლოგიური მახვენებლის გათვალისწინებით, ისე მათ გარეშე.

9. წყლით გამოწვეული ეროზიული პროცესების კვლევისას ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ნაკადის ჰიდროდინამიკური სტრუქტურის შესწავლაა ფსკერულ და მის მიმდებარე შრეში, რადგან ძირითადად ის განაპირობებს კალაპოტის დეფორმაციას, სიძქარის ველის ტრანსფორმაციას და ტურბულენტური აღრევის ინტენსიურობას.

10. განხილულია ზედაპირული და კალაპოტის შემადგენელი გრუნტის ნაკადის მოძრაობა. დადგენილია ინდუცირებული დინების ზეგავლენა ზედაპირული ნაკადის ჰიდრაულიკურ მახასიათებლებზე. მიღებულია დამოკიდებულება კალაპოტის გამტარუნარიანობის ინტეგრალური მახასიათებლების გამოსათვლელად.

11. განხილულია წყალმომარაგების სისტემებში გამოყენებული ლითონის მილებში ბზარებისა და წერტილოვანი დეფექტების წარმოქმნის პროცესი მექანიკური ზემოქმედებისას. გაანალიზებულია ლითონის ელემენტების სიმტკიცის დაკარგვის დისლოკაციური მექანიზმი, რომელთა მოძრაობამ ორ გადამკვეთ დაცურების სიბრტყეში შეიძლება გამოიწვიოს ბზარის წარმოქმნა.

12. განხილულია ექსპერტული სისტემის შექმნის და პრობლემური სფეროს საკვანძო კონცეპტების გამოვლენის პროცესი. გაანალიზებულია ექსპერტისგან ცოდნის ამოღების, გადაცემის, წარმოდგენის, მართვის სტრატეგიის, აგრეთვე მომხმარებელთან ურთიერთქმედების ქვესისტემისა და სისტემის რეალიზაციის ადეკვატური ხერხების არჩევა.

13. განხილულია მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების ლაბორატორიული გამოცდის პროცესის დაგეგმვის სისტემური ასპექტები. მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელების გამოყენება, რომელიც ექსპერიმენტების დამგეგმავ პერსონალს საშუალებას აძლევს აქტიურად გამოიყენოს სპეციალისტ-ექსპერტთა ფსიქო-ფიზიკური ხასიათის ლოგიკური „არამკვეთრი მსჯელობები“ ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის მსვლელობის შესაძლო საგეგმო-რეალურ მდგომარეობათა სიმრავლის ასახვაში უგანზომილებო ხარისხობრივ-კრიტერიალური შეფასების სკალებში, შემდეგი გრადაციების შესაბამისად: „ცუდი მდგომარეობა“, „შუალედური მდგომარეობა“, „კარგი მდგომარეობა“.

14. მსოფლიოში არსებული სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის ფონზე, „საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარების პროგრამა-კონცეფციის“ მიხედვით აგებული ლოგისტიკურ-ინოვაციური

პროექტის – “წყალი ეროვნული სიმდიდრე”-ს შესაბამისად შესაძლებელია ქვეყანაში სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ინდუსტრიის შექმნა და საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგის ნაწილის (2 მ<sup>3</sup>/წმ) მზა პროდუქციის სახით ჩამოსხმა და მისი კომერციული რეალიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, რაც მომგებიანი იქნება როგორც საქართველოს ეკონომიკისათვის, ასევე მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების მოზიდვის საქმეში.

15. შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის საექსპლუატაციო-დასაშვები მარაგების მიხედვით წყლის ხარისხის განაწილების კარტოგრაფიული პორტრეტის აგება (წყლის ხარისხის განაწილების კარტოგრაფიული რუკა) როგორც ცალკეულად აღებული საკვლევი წერტილების, ასევე წერტილთა ერთობლივობის მიხედვით. ამასთან წყლის ხარისხის განაწილების შესაბამისად რეგიონალურად (ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით) დაიგეგმება მზა პროდუქციის წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოების მშენებლობა. მიზნის მისაღწევად პრაქტიკულად საჭირო იქნება საქართველოს არეალში არსებული მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მზა პროდუქციის საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების რესურსული პოტენციალის წყლის ხარისხის განაწილების დადგენა სასურველობის მიხედვით (საკადასტრო რუკების შედგენა) და მის საფუძველზე რეგიონალურად (მუნიციპალიტეტების მიხედვით) სასმელი წყლის მზა პროდუქციის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოების და შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობის დასაბუთება.

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	I.G. Shekriladze	“Tabooed Universal Characteristic Length and Mised Boiling Heat Transfer Research”.	V.5, № 5, 2015	“Journal of Physical Science and Application”	10

ანოტაცია

1.The paper presents the next step in international discussion aimed at overcoming the absurd situation in boiling heat transfer research. The focus is made on the problem of the characteristic length of the process most clearly exhibiting the consequences of half a century ignoring the basic model "theater of director" (MTD), the universal correlation (UC) and some other boiling fundamentals. Inefficiency of the generally accepted, so called model "theater of actors" (MTA) is particularly pronounced just in the confusion with the characteristic length.

<p>დ.უგულავა 2015 წელს იკვლევდა ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ ფუნქციათა კლასების აპროქსიმაციის საკითხებს. ჩატარებული კვლევის შედეგად, უწყვეტი პერიოდული ფუნქციების ფურიეს მწკრივების შეჯამებადობის შესახებ ცნობილი შედეგები განზოგადებულია ლოკალურად კომპაქტურ აბელისჯგუფებზე განსაზღვრული თითქმის პერიოდული ფუნქციებისათვის. შედეგები ასახულია ნაშრომში “Суммирование рядов Фурье почти-периодических функций на локально компактных Абелевых группах”, რომელიც მიღებულია დასაბეჭდად ჟურნალში Известия ВУЗ, Математика.</p>				

№8

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
---	---------------------	----------------------------	-----------------------	------------------------

8	სიმრავლეთა და ფუნქციონირების ზომადობის მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები გრანტი №31/25 საანგარიშო პერიოდი: 15.04.2013-15.04.2016	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გოგი ფანცულაია	გოგი ფანცულაია, ალექსანდრე ხარაზიშვილი, ალექსი კირთაძე, მარიამ ბერიაშვილი
---	---	---	----------------	---

ა) შესწავლილია სიგმა-სასრულო ინვარიანტული ზომის მეტრიკული ტრანზიტულობის და სუსტად მეტრიკული ტრანზიტულობის თვისებები და დადგენილია მათ შორის ურთიერთკავშირი.

ბ) შესწავლილია ყველაშესაძლო ნამდვილ რიცხვთა სივრცეში სივრცეში სხვადასხვა ტიპის ფაზური მოძრაობის აღწერა ორდინალური და სტანდარტული "ლებეგის ზომის" ტერმინებში.

№9

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9	ზომები ალგებრულ-ტოპოლოგიურ სტრუქტურებზე და მათი გამოყენებები FR/116/5-100/14 (04.05.2015---04.05.2018)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ალექსი კირთაძე	ალექსი კირთაძე, გოგი ფანცულაია გივი გიორგაძე, ნინო რუსიაშვილი, მურმან კინწურაშვილი

ა) შესწავლილია ადიტიური ფუნქციების ზომადობის თვისებები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ არსებობს ისეთი ნამდვილი ცვლადის ნამდვილმნიშვნელობიანი ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ზომათა გარკვეული კლასების მიმართ და რომლის გრაფიკიც არის მასიური სიმრავლე.

ბ) შესწავლილია უსასრულო-განზომილებიან მართკუთხედზე უნიფორმულად განაწილებულ სასრულ სიმრავლეთა ზრდადი მიმდევრობის თვისებების გამოყენებით შემუშავებულია ახალი მიდგომა უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირებისათვის და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული ტიპის თეორემების მართებულობა.

№10

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10	ზოგიერთი არაწრფივი კერძო-წარმოებულებიანი	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა	ზ. კიდურაძე	ზ. კიდურაძე

<p>ინტეგრირებული დიფერენციალური განტოლებათა სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (FR/100/5-106/13, ხელშეკრულება 10/04, 15 აპრილი, 2014 – 15 აპრილი, 2015)</p>	<p>ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში</p>		
<p>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p>			
<p>პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრირებული დიფერენციალური განტოლებათა დიფუზიური სისტემებისთვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანებისათვის დადგენილი იქნა ამონახსნთა ასიმპტოტური ყოფაქცევა არაწრფივობის უკვე შესწავლილზე შედარებით ფართო კლასებისთვის. გამოკვლეული იქნა შესაბამისი სხვაობიანი სქემების მდგრა დობა და კრებადობა. შეიქმნა პროგრამული პაკეტი და მათი გამოყენებით ჩატარდა მრავალრიცხოვანი რიცხვითი ექსპერიმენტი. განხორციელდა მიღებული რიცხვითი შედეგების ანალიზი და კომპიუტერული ექსპერიმენტების შედარება თეორიულ დასკვნებთან.</p>			

№11

№	პროექტის დასა ხელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11	<p>მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრირებული დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (CNRS / SRNSF 2013, ხელშეკრულება 04/26, 10 აპრილი, 2014 – 10 აპრილი, 2016)</p>	<p>საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი და შ. რუსთავე ლის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში</p>	<p><u>თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)</u>  <u>ფ. ჰექტი (საფრანგეთის მხრიდან)</u></p>	<p><u>თ. ჯანგველაძე</u> <u>ზ. კილურაძე</u>  <u>საფრანგეთის მხრიდან:</u> <u>ფ. ჰექტი</u> <u>ო. პირონაუ</u> <u>ი. დანაილა</u></p>
<p>ანოტაცია</p>				
<p>განხილულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრირებული დიფერენციალური მოდელებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისებრივი და სტრუქტურული მახასიათებლები. შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების</p>				



არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. დამტკიცებულია ალგორითმების კრებადობის თეორემები. აგებულ ალგორითმებზე დაყრდნობით შექმნილია პროგრამული პაკეტები. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი.

№12

№	პროექტის დასა ხელემა	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12	ზოგიერთი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა და მიახლოებითი ამოხსნა ერთი არაწრფივი ინტეგრირ-დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის (YS/23/5-106/14, ხელშეკრულება YS/23/5-106/14, 7 ივნისი, 2015 – 31 აგვისტო, 2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება (ახალგაზრდთა მეცნიერთა სტაჟირების გრანტი) ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	ზ. კილურაძე	ზ. კილურაძე
დასრულებული პროექტის (ეცაპის) შედეგები (ანოტაცია)				
შესწავლი ღია ერთი არაწრფივი გასაშუალებული დიფუზიური სისტემის როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი მახასიათებლები. აღნიშნული სისტემა წარმოიშობა ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირებისას. შესწავლი ღია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები. აგებულია და გამოკვლეულია მოდელის შესაბამისი სასრულ-სხვაობიანი სქემები. დამტკიცებულია მდგრადობისა და კრებადობის თეორემები. აგრეთვე განხილულია მრავალგანზომილებიანი შემთხვევა. შემუშავებულია სარეალიზაციო ალგორითმები და შექმნილია პროგრამული პაკეტები, რომელთა საშუალებითაც ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი. კვლევები ჩატარებულ იქნა ჩეხეთში, ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბრნოში.				

№13

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
13	შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება ურანგო ტერმებზე და მათ მიმდევრობებზე აღმწერი ოპერატორებით (DI/16/4-120/11, ხელშეკრულება 13/08, 10 aprili, 2012 – 10 აპრილი, 2015)	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. (უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სა ხელ მ წიფო გრანტი)	თ. კუცია (იოჰან კეპლერის უნივერსიტეტი, ლინცი, ავსტრია), თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)	თ. კუცია, თ. ჯანგველაძე, ს. რუხაია, ლ. ტიბუა, გ. ჭანკვეტაძე, ბ. დუნდუა, გ. მიქანაძე, ს. ფხაკაძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
ჩამოყალიბებულია შეზღუდვების გადაწყვეტადობის და ამოხსნის პროცედურა ურანგო ტერმებისთვის და მათი მიმდევრობებისთვის, აღწერის ოპერატორების გარეშე. დამ ტკი-ცე ბუ ლია პროცედურის გაჩერების, კორექტულობის და სისრულის თეორემები.				

№14

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
14	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში ხელშეკრულების ნომერი FR/406/5-106/12 (15 აპრილი, 2013 – 15 აპრილი, 2016 )	შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.	გივი ბერიკელაშვილი	გივი ბერიკელაშვილი ბიძინა მიდლოაშვილი

პროექტის მიზანს წარმოადგენს ორსაფეხურიანი სასრულ-სხვაობიანი მეთოდის დაფუძნება ელიფსური ტიპის განტოლებებისა და განტოლებათა სისტემებისათვის დასმული სხვადასხვა ამოცანისათვის. მეთოდის არსი ასეთია: დიფერენციალური ამოცანის აპროქსიმაცია ხდება მარტივი, ორდინალური სიზუსტის სხვაობიანი სქემით; მიღებული ამონახსნით ვახდენთ სხვაობიანი სქემის მარჯვენა მხარის სათანადო კორექციას და იმავე ბაღეზე ვხსნით კორექტირებულ სქემას. შედეგად მიღებული ამონახსნი მაღალი რიგის სიზუსტისაა.

საანგარიშო პერიოდში აგებული და გამოკვლეული იყო სხვაობიანი სქემები სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე (ხისტი კონტაქტის) სასაზღვრო ამოცანისათვის და პუასონის განტოლებისათვის დასმული ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური ამოცანის შემთხვევაში. მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის შეფასებები სობოლევ-სლობოდეცის სივრცეებში.

**პუბლიკაციები:**

1) საქართველოში

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. ლობჯანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	პრეკალკულუსი	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი	203
ანოტაცია				
სახელმძღვანელოში გადმოცემულია არითმეტიკის ძირითადი კანონები, უმარტივეს რიცხვით ფუნქციათა თვისებები, განტოლებათა და უტოლობათა ამოხსნადო ბასთან და კავშირ ბუღი მნიშვნელოვანი საკითხები, მათემატიკური ინდუქციის პრინციპი და ლოგიკის საწყისები. თითო-ეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.				
2	გ. ლობჯანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	კალკულუსი	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი	396
ანოტაცია				
სახელმძღვანელო მოიცავს მათემატიკური ანალიზის საკვანძო საკითხებს. წიგნში გადმოცემულ თეორიულ მასალას თანახლავს არაერთი საილუსტრაციო მაგალითი დეტალური ამოხსნითურთ. თითოეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.				
3	გ. ლობჯანიძე, ნ. მჭედლიშვილი,	წრფივი ალგებრა	თბილისი, კავკასიის	154

	ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე		უნივერსიტეტი	
ანოტაცია				
სახელმძღვანელო მოიცავს წრფივი ალგებრის საკვანძო საკითხებს. წიგნში გადმოცემულ თეორიულ მასალას თან ახლავს არაერთი საილუსტრაციო მაგალითი დეტალური ამოხსნითურთ. თითოეული პარაგრაფის ბოლოს მოცემულია თეორიული კითხვები და პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაო ბი სათვის.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	O. Chkadua, D. Natroshvili	Localized boundary-domain integral equations approach for Robin type problem of the theory of piezo-elasticity for inhomogeneous solids. Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics.	Vol. 65, 2015, 57-91.	Razmadze Mathematical Institute, Tbilisi	45
ანოტაცია					
ნაშრომში შესწავლილია დრეკადობის სამგამზომილებიანი თეორიის რობინის ტიპის ამოცანა არაერთგვაროვანი პიეზოელექტრული სხეულებისათვის, როდესაც მატერიალური პარამტრები ივრცული ცვლადის ფუნქციებია. გამოკვლეულია ამონახსნის ერთადრეთობის საკითხი და დამტკიცებულია მონახსნის არსებობის თეორემა სობოლევ-სლობოდეცკის ფუნქციურ სივრცეებში განზოგადებული სასაზღვრო-სივრცული ნტეგრალური განოლებების მეთოდით, რომელიც ეფუძნება ვიშიკ-ესკინის თეორიას.					
2	G. Manelidze, D. Natroshvili	Direct Boundary Integral Equations Method for Acoustic Problems in Unbounded Domains. Bulletin of TICMI,	Vol. 19, No. 1, 2015, 3-25	I. vekua Institute of Applied Mathematics	23

ანოტაცია

ჰელმჰოლცის განტოლებისათვის ღირისლეს და ნეიმანის გარე სასაზღვრო ამოცანების შემთხვევისათვის გამოკვლეულია პირდაპირი სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი. ცნობილია, რომ გარე სასაზღვრო ამოცანები მარტივი და ორმაგი პოტენციალების საშუალებით არ დაიყვანება ცალსახად ამოხსნად ეკვივალენტურ ინტეგრალურ განტოლებებზე. ეს ხდება ე.წ. რეზონანსული სიხშირეების შემთხვევაში. ამიტომ თავსებადობის შემთხვევაში შესაბამის არაერთგვაროვან ინტეგრალურ განტოლებებს გააჩნიათ უამრავი ამონახსენი. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ამონახსნთა უსასრულო სისტემაში არსებობს მხოლოდ ერთი ამონახსენი, რომელიც შეესაბამება ფიზიკურ შინაარსს, კერძოდ იგი შეესაბამება მონახსნის ნორმალთ წარმოებულის კვალს ღირისლეს ამოცანის შემთხვევაში, ხოლო თვით ამონახსნის კვალს ნეიმანის სასაზღვრო ამოცანის შემთხვევაში. ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია მეთოდი, რომელსაც ღირისლეს და ნეიმანის გარე სასაზღვრო ამოცანები დაყავს ეკვივალენტურ ფსევდოდიფერენციალურ განტოლებებზე.

3	Ю. БeжyашвилИ	Решение плоских динамических задач сопряженной теории эластотермодиффузии  საქართველოს საინჟინრო სიახლენი	NO.1.VOL.73, 2015, 31-39	Georgian Federacion for Informacion and Documentacion (GFID), NGO Georgian Engineering News (GEN) LTD Tbilisi 0179, Kostava 47	5
---	---------------	---	-----------------------------	---	---

ანოტაცია

განხილულია თერმოდინამიკის მბული თეორიის ორგანზომილებიანი დინამიკური ამოცანები. პოტენციალთა მეთოდის, სინგულარული ინტეგრალური განტოლებების და ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით, დამტკიცებულია ამოხსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რეგულარულ ფუნქციათა კლასში.

4	დ. შულაია, დ.გულუა, მ. ბიბილური	On one Singular Integral Equation Arising from the Radiative Transfer Theory , Bulletin of the Georgian National Academy of Sciences	T.9, N1,	თბილისი საქართველოს აკადემიის გამომცემლობა	6
---	---------------------------------------	---	----------	---	---

ანოტაცია

ნაშრომში მიღებულია გამოსხივების გადატანის თეორიიდან წარმოქმნილი ერთი ინტეგრალური განტოლების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები

ჰელდერის ფუნქციათა კლასში.					
5	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	Multilinear fractional integrals in weighted grand Lebesgue spaces	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, ტომი 169	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	11
ანოტაცია					
დადგენილია ერთწონიანი და კვალის უტოლობები ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვის გრანდ ლეებეგის სივრცეებში.					
6	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	Multilinear maximal functions and singular integrals in weighted grand Lebesgue spaces	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, ტომი 167	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	9
ნოტაცია					
მიღებულია ერთწონიანი უტოლობები მრავლადწრფივი ჰარდი-ლიტლუუდისა და კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორებისათვის გრანდ ლეებეგის სივრცეებში. ოპერატორები და სივრცეები განსაზღვრულია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე ზომაზე გაორმაგების პირობით.					
7	A. Meskhi	Criteria for the boundedness of potential operators in grand Lebesgue spaces	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, ტომი 169	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	13
ნოტაცია					
სტატიაში აღწერილია გრანდ ლეებეგის სივრცის მეორე პარამეტრის მნიშვნელობები, რომლისთვისაც ადგილი აქვს პოტენციალის შემოსაზღვრულობას აღნიშნულ სივრცეებში. კერძოდ ნაჩვენებია, რომ ადგილი არ აქვს წილადური ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობას ორ გრანდ ლეებეგის სივრცეს შორის თუ მათი მეორე პარამეტრები ტოლია. დადგენილია ერთწონიანი კრიტერიუმი პოტენციალებისათვის წონიან გრანდ ლეებეგის სივრცეებში.					
8	V.Paatashvili	Smirnov classes of analytic functions with variable exponent in multiply connected domains	Bull. Georgian National Academy of Sciences, v. 9, №1, 2015, 16-23.	თბილისი, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა	8
ანოტაცია					
შემოდებულია მრავლადბმულ არეში სმირნოვის კლასების ერთი შესაძლო ვარიანტი. ანონსირებულია ამ კლასების ფუნქციათა რიგი თვისებები, მათ შორის დადგენილია					

კომის ინტეგრალით წარმოდგენადობის პირობა.					
9	V. Paatashvili V. Kokilashvili	On variable exponent Hardy classes of analytic and harmonic functions	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, v 169, 93-103	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	11
ანოტაცია					
განხილულია ჰარდის ტიპის ცვლადმაჩვენებლიანი ანალაზურ და ჰარმონიულ ფუნქციათა კლასები, როცა ცვლადი მაჩვენებლის მინიმუმი 1-ის ტოლია. ტრადიციულად განიხილება შემთხვევა როცა ეს მინიმუმი მეტია ერთზე. შემოღებული შემთხვევისათვის განზოგადდა ფიხტენგოლცის, სმირნოვის, ტუმარკინის კარგად ცნობილი შედეგები.					
10	V. Paatashvili V. Kokilashvili	Riemann boundary value problem in variable exponent Smirnov class of generalized analytic functions	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, v 169, 105-118	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	14
ანოტაცია					
შესწავლილია რიმანის სასაზღვრო ამოცანა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში. დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. ამოხსნადობის შემთხვევაში აგებულია ამოხსნები.					
11	V. Paatashvili V. Kokilashvili	On the Occasion of Boris Khvedelidze 100 <sup>th</sup> Birthday Anniversary	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, v 169, 1-6	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	6
ანოტაცია					
გადმოცემულია ბორის ხვედელიძის ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა მიმოხილვა, საიდანაც ჩანს ის დიდი ღვაწლი რაც ამ ნაშრომებმა შეიტანეს ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანათა თეორიაში და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში. გადმოცემულია აგრეთვე ბორის ხვედელიძის ბიოგრაფიის არსებითი მომენტები.					
12	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On a Zaremba type problem for nonlinear wave equations in the angular domains. <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 167	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	130-135 (6)
13	S.Kharibegashvili	The existence of solutions of one nonlocal in time	Volume 66	ივანე ჯავახიშვილის სახელობის	83-101 (19)

		problem for multidimensional wave equations with power nonlinearity. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i> 66 (2015), 83-101.		თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი	
--	--	--	--	---	--

ანოტაციები

1. კუთხოვან არეში არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის გამოკვლეულია ზარემბას ტიპის სასაზღვრო ამოცანა არამახასიათებელ მზიდებზე. განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა და ფეთქებადი ამონახსნის არსებობა.

2. შესწავლილია ერთი დროით არალოკალური ამოცანა რობენის ტიპის სასაზღვრო პირობით მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით. დადგენილია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანის ამონახსნის არსებობას. როგორც კერძო შემთხვევა ამ განტოლებისათვის განხილულია პერიოდული ამოცანა.

14	L.Giorgashvili, D.Metreveli	Problems of Statics of Two- component Elastic Mixtures for a Half-Space	Vol. 167	Proc.A.Razmadze Math. Inst. Tbilisi, 2015.	20
----	-----------------------------	---	----------	--	----

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ორკომპონენტიანი დრეკადი ნარევის სტატიკის სასაზღვრო ამოცანები ნახევარ-სივრცისათვის, როდესაც საზღვარზე მოცემულია კერძო გადაადგილებების ნორმალური მდგენელებისა და ძაბვის ვექტორების მხები მდგენელების ზღვრული მნიშვნელობები, ასევე ამოცანა, როდესაც საზღვარზე მოცემულია კერძო გადაადგილებების მხები მდგენელებისა და ძაბვის ვექტორების ნორმალური მდგენელების ზღვრული მნიშვნელობები. შემუშავებულია ახალი მეთოდი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისა, რომლის საშუალებითაც ნაშრომში განხილული ამოცანების შესწავლა დაყვანილია ლაპლასის განტოლებისათვის ნახევარ-სივრცის შემთხვევაში, დირიხლესა და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნაზე. დამტკიცებულია ერთადერთობის თეორემები. ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში.

15	T.Jangveladze	Long-Time Behavior of Solution and Semi-Discrete Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation, <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>	168	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	13
----	---------------	---	-----	-------------------------------------	----

ანოტაცია

ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრირ-დიფერენციალური განტოლებისთვის შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული სქემა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა



<p>შერეული სასაზღვრო პირობებით. ყურადღება გამახვილებულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევაზე. განხილული მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი.</p>					
16	D.Ugulava, D.Zarnadze	On a new mathematical model of computerized tomography. Intern. Conf.devoted to the 85 th anniversary of acad. I.V. Prangishvili	Conference's Proceedings, 3-5 November, 2015	Tbilisi, Georgia	4
<p>ანოტაცია</p> <p>კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის აგებულია წრფივი განზოგადებულად ცენტრალური სპლაინური ალგორითმი. გამოკვლევა ეყრდნობა რადონის ოპერატორის ცნობილ სინგულარულ გაშლას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ეს ოპერატორი მოქმედებს მთელს მრავალგანზომილებიან ევკლიდეს სივრცეზე განსაზღვრულ და გარკვეული წონით ინტეგრებად ფუნქციათა სივრცეში.</p>					
17	D.Ugulava , D.Zarnadze	On a linear generalized central spline algorithm of computerized tomography. Proceedings of A.Razmadze Math. Inst.	v.168, 2015	Tbilisi, Georgia	21
<p>ანოტაცია</p> <p>შესწავლილია ოპტიმალური და ძლიერად ოპტიმალური (ცენტრალური) სპლაინური ალგორითმების კონსტრუირების საკითხი არაკორექტული ამოცანებისათვის განუზღვრელობის (ცდომილების) უარესი დასმის შემთხვევისათვის. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გამოკვლეულია კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანა მრავალგანზომილებიანი ევკლიდეს სივრცის ერთეულოვან ბირთვზე განსაზღვრულ და გარკვეული წონით ინტეგრებად ფუნქციათა სივრცეში.</p>					
18	J.Peradze	An iteration method of solution of a nonlinear integral equation for a Kirchhoff type beam. Proc. Tbilisi International Conference on Computer Science and Applied Mathematics		Tbilisi, 2015	6
<p>ანოტაციები</p>					

ნაშრომში განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს კირჰოფის (ირცჰოფფ) სტატიკური ძელის მდგომარეობას. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი, შესწავლილია მისი კრებალობის პირობები, შეფასებულია კრებალობის სიჩქარე.

19	A.Jaghmaidze, R.meladze	Solution nonclassical Problems Of Statics Of Microstretch Materials with Microtemperatures Applied Mathematics Informatics and Mechanics	2015	Tbilisi University Press, Tbilisi	15
----	----------------------------	---	------	---	----

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის სტატიკის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისთვის მიკროგაჭიმვების მქონე სხეულისათვის, მიკროტემპერატურების გათვალისწინებით. შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენების საშუალებით დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

20	V. Tsutskiridze, L. Jikidze	The conducting liquid flow between porous wells with heat transfer	Vol. 167, 2015, pp.73-89, (Engl)	PROCEEDINGS of A. Razmadze mathematical nstitute, Tbilisi.	16
----	--------------------------------	--	--	---	----

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის პულსაციური დინება ფოროვან კედლებს შორის, როდესაც მოქმედებს გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. სითხის დინება გამოწვეულია ფოროვანი კედლების პულსაციური მოძრაობით და წნევის პულსაციური დაცემით. ტემპერატურის ცვლილება ფოროვანი მილის კედლებზე და თვით მილში მიმდინარეობს პულსაციურად. სითბოგადაცემის განტოლებებში გათვალისწინებულია, როგორც ხახუნის შედეგად გამოწვეული ენერჯის დისიპაცია, ასევე ჯოულის სითბო. მიღებულია დასმული ამოცანის ზოგადი ამონახსნი და მისი კერძო შემთხვევები.

21	A. Kirtadze	<i>On nonmeasurability of additive functions, Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>	Proc. A. Razmadze Math. Inst. 167, 2015	A. Razmadze Mathematical Institute	2
----	-------------	---	--	--	---

ანოტაცია

განხილულია ადიტიური ფუნქციების თვისებები ზომის თეორიის თვალსაზრისით. კერძოდ, დადგენილია, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ლებეგის ზომის ყველა იმ გაგრძელებათა კლასის მიმართ, რომლებიც ინვარიანტულნი არიან ძვრების მიმართ. აგრეთვე დადგენილია, რომ არსებობს

ადიტიური ფუნქცია, რომლის გრაფიკიც არის მასიური სიმრავლე ნამრავლი ზომის მიმართ.					
22	Z.Kiguradze, M.Kratsashvili	On One Two-Dimensional Model Based on Maxwell System, <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	29	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>განხილულია ერთი ორგანზომილებიანი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. აღნიშნული განტოლება მიღებულია მაქსველის ცნობილი სისტემის რედუცირებით ინტეგრო-დიფერენციალურ სახეზე. შესწავლილია დირიხლეს საწყის-სასაზღვრო ამოცანა ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. გამოკვლეულია ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულო ზრდისას. დადგენილია სტაბილიზაციის რიგი.</p>					
23	Z.Kiguradze	On One Two-Dimensional Nonlinear Integro-Differential Equations, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE-2015 (ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>განხილულია ერთი ორგანზომილებიანი კერძოწარმოებულებიანი გასაშუალებული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გაერცელების პროცესს. გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა როცა . დადგენილია სტაბილიზაციის რიგები სხვადასხვა ფუნქციონალურ სივრცეებში. განხილულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევები.</p>					
24	Sh. Tetunashvili	On some properties of sets of uniqueness of functional series	Vol.9(2015), No1	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	4 გვ.
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>დადგენილია ფუნქციათა მწკრივების ერთადერთობის სიმრავლეების სტრუქტურა და მათი</p>					

ზოგიერთი თვისება.					
25	T.Jangveladze	On Two Systems of Nonlinear Partial Differential Equations, <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	29	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
ანოტაცია					
განხილულია ორი ტიპის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ზო გიერთი თვისება და მიახლოებითი ამოხსნა.					
26	T.Jangveladze	Investigation and Approximate Resolution of One Nonlinear Integro-Differential Parabolic Equation, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE-2015 (ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
ანოტაცია					
პარაბოლური ტიპის ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობა და შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული და სხვაობიანი სქემების კრებადობა.					
27	G. Berikelashvili B. Midodashvili	On the improvement of convergence rate of difference scheme for one mixed boundary-value problem. <i>Memoirs on Differential Equations and Math. Phys.</i>	Vol. 65 , 2015, 23 - 34	A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi	12

ანოტაცია

ერთეულოვან კვადრატში განხილულია პუასონის განტოლებისათვის დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანა, რომელიც აპროქსიმებულია სასრულ-სხვაობიანი ორსაფეხურიანი კორექციის მეთოდით. დამტკიცებულია კორექტირებული ამონახსნის კრებადობა  $m$  რიგით, როცა დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება  $m \in (2, 4]$  მახვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს. მიღებული თეორიული დასკვნების საილუსტრაციოდ ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები.

28	Pantsulaia G.	SOLOVAY MODEL AND DUALITY PRINCIPLE BETWEEN THE MEASURE AND THE BAIRE CATEGORY IN A POLISH TOPOLOGICAL VECTOR SPACE $H(X, S, \mu)$	Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics Volume 29, 2015	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4
----	---------------	---	---	--	---

ანოტაცია

სოლოვეის მოდელში ნაჩვენებია, რომ სრულდება ორადულობის პრინციპი ზომასა და კატეგორიას შორის შემდეგ წინადადებასთან მიმართებით-”ვექტორ-ფუნქციის ყოველი განზოგადოებული ინტეგრალის განსაზღვრის არე არის პირველი კატეგორიის სიმრავლე”.

29	G. PANTSULAIA AND T. KIRIA	ON STATISTICAL STRUCTURES IN A POLISH NON- LOCALLY- COMPACT GROUP ADMITTING AN INVARIANT METRIC	Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 168 (2015), 117–127	A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi State University	11
----	-------------------------------	--	--	---	----

ანოტაცია

ბალკა, ბუკოლიჩისა და ელექეშის მიერ 2012 წელს შემოტანილი ჰაარის ემბივალენტის გამოყენებით ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ პოლონურ არალოკალურად-კომპაქტურ პოლონურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურების რომელთაც გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალღებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალკეობადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალღებული შეფასების არსებობის საკითხი

გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში. ეს შედეგები აძლიერებს ფანცულაიასა და კინწურაშვილის მიერ 2014 წელს მიღებულ შედეგებს.

2) უცხოეთში

მონოგრაფიები

1	T.Jangveladze, Z.Kiguradze, B.Neta	Numerical Solution of Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations.	Elsevier, ACADEMIC PRESS, ISBN: 978-0-12- 804628-9	254
---	--	--	--	-----

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდები ს რაოდენობა
1*	C. E. Athanasiadis, D. Natroshvili, V. Sevrouglou and I. G. Stratis	Mixed impedance transmission problems for vibrating layered elastic bodies. // Mathematical Methods in the Applied Sciences.	wileyonlinelibrary.com DOI: 10.1002/mma.3295 (2015)	Wiley	31

ანოტაცია

ტალღათა გაბნევის სამგანზომილებიანი ამოცანები ნაწილობრივ შეფუთული უბნობრივ ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი დრეკადი ფენოვანი სხეულებისათვის დაიყვანება შერეულ იმპედანსურ ტრანსმიის მოცანებზე მდგრადი რხევის განტოლებებისათვის. უბნობრივ ერთგვაროვანი იზოტროპული სხეულებისათვის, პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით ეს ამოცანები დაყვანლია ეკვივალენტურ ფსევდოდიფერენციალურ განტლებათა სისტემაზე. დეტალურადაა გამოკვლეული შესაბამისი ფსევდოდიფერენციალური ოპერატორების თვისებები და დამტკიცებულია მათი შებრუნებადობა რხევის პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის, რასაც არსებითია

შექცეული ამოცანების შესწავლაში. სტატიაში გამოკვლეულია ასევე ამონახსნების სიგლუვის თვისებები სინგულრობი წირების მახლობლობაში და დადგენლია თითქმის საუკეთესო ჰელდერის სიგლუვე. ეს სიგლუვის მანვენბელი ფატობრივად განსაზღვრავს ძაბვების სინგულარობის მანვენბელებს. აღმოჩნდა, რომ ეს მანვენბელები არსებითადაა დამოკიდებული ხეულის მარეტიალურ პარამატრბზე.

ნაშრომში მოკლედაა გაანალიზებული ლიპშიცური არეების შემთხვევა. არაერთგვროვანი კომპოზიტური სხეულების შემთხვევა გამოკვლეულია ე.წ. არალოკალური მიდგომით, რასაც ამოცანა დაყავს ვარიაციულ განტოლებამდე, რომლის შესაბამისი სესქვილინეარული ფორმა კოერციტიულია.

2	C. E. Athanasiadis, D. Natroshvili, V. Sevroglou and I. G. Stratis	A Mixed Impedance Scattering Problem for Partially Coated Obstacles in Two-Dimensional Linear Elasticity, // In: Integral Methods in Science and Engineering, Theoretical and Computational Advances, C. Constanda, A. Kirsch, Eds., Birkhäuser, Heidelberg-New York-Dordrecht-London, 2015, 29-41.	Integral Methods in Science and Engineering, Theoretical and Computational Advances, C. Constanda, A. Kirsch, Eds., 2015, 29-41	Birkäuser, Heidelberg-New York-Dordrecht-London	13
---	---	---	---	---	----

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ჰარმონიული ტლდების გაბნევის ორგანზომილებიანი პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ნაწილობრივ შეფუთული უბნობრივ ერთგვაროვანი დრეკადი ფენოვანი სხეულებისათვის. ირადპირი ამოცანა ნავიეს განტოლებებისათვის ფორმულირებულია დიადიკური ფორმით და დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობის, არსებობის და რეგულარობის საკითხები. შემდეგ გამოკვლეულია შებრუნებული ამოცანის ამონახსნის ერთადერთობა. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ შეუღწევადი ნაწილობრივ შეფუთული სხეულის გეომტრიული ფორმა და საკონტაქტო ზედაპირები ცალსახად შეიძლება განისაზღვროს ტალღის კვალით. დამტკიცება ემყარება ბრტყელი ტალღებისა და წერტილოვანი

წყარობისათვის გამოყვანილ ინტეგრალურ თნფარდობებს. ნაშრომში საიდუსტრაციოდ განხილულია ორფენოვანი სხეული, თუმცა იგივე მეთოდი შეიძლება გამოყენებული იყოს მრგალფენიანი და ასევე სამგანზომილებიანი სხეულებისათვის.

3	D. Shulaia	On One Two-Dimensional Linear Integral Equation with a Coefficient that has Zeros  Journal of Mathematical Sciences	August 2015 ,Volume 208, Issue 6	USA Springer	12
---	------------	---	----------------------------------	--------------	----

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია შესწავლა ჰელდერის ფუნქციათა კლასში წრფივი ორგანზომილებიანი ინტეგრალური განტოლებების რომელთა, კოეფიციენტს გააჩნია მარტივი ნული. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის საფუძველზე დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები განტოლების გულზე ზოგიერთი შეზღუდვებით.

4	D. Shulaia, P. Ghurtskaia	On One Linear Integral Equation with a Coefficient that has Zeros  Journal of Mathematical Sciences	August 2015, Volume 208, Issue	USA Springer	16
---	---------------------------	---	--------------------------------	--------------	----

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია შესწავლა ჰელდერის ფუნქციათა კლასში წრფივი ინტეგრალური განტოლებების რომელთა კოეფიციენტს გააჩნია ორი მარტივი ნული. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის საფუძველზე დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები განტოლების გულზე ზოგიერთი შეზღუდვებით. ამოხსნა დაიყვანება მეორე გვარის ინტეგრალურ განტოლებამდე.

5*	Mesghi, H. Rafeiro and M. A. Zaighum	Interpolation on variable Morrey spaces defined on quasi-metric measure spaces,	<i>Journal of Functional Analysis</i> , <a href="https://doi.org/10.1016/j.jfa.2015.11.013">doi:10.1016/j.jfa.2015.11.013</a> , Available online 4 December 2015.	Elsevier	15
----	--------------------------------------	---	---	----------	----

ანოტაცია

დამტკიცებულია რისი-ტორინის თეორემა ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში მოქმედი წრფივი ოპერატორებისათვის. ამოცანა შესწავლილია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეში. სივრცის მაჩვენებლები კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე განსაზღვრული



ზომადი ფუნქციებია, რომლებიც თავისუფალია ყოველგვარი დამატებითი ლოგარითმული პირობისაგან.

6*	V. Kokilashvili and A. Meskhi	On weighted Bernstein type Inequality in grand variable exponent Lebesgue spaces,	<i>Mathematical Inequalities and Applications</i>  Vol. 18, No.3	Element d.o.o. publishing house, Croatia	12
----	-------------------------------	---	--	--	----

ანოტაცია  
შემორებულია გრანდ ცვლადმახვენებლიანი ლებეგის სივრცე და დამტკიცებულია ბერნშტეინის ტიპის უტოლობა აღნიშნულ სივრცეში.

7*	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	Two-weight norm estimates for multilinear fractional integrals in classical Lebesgue spaces	<i>Fractional Calculus and Applied Analysis</i>  Vol. 18, No. 5	Springer	18
----	---	---	---	----------	----

ანოტაცია  
დამტკიცებულია ორწონიანი უტოლობები მრავლადწრფივი წილადური მაქსიმალური და წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვის. მიღებული პირობები წონათა წყვილზე ერთდროულად აუცილებელი და საკმარისია როცა წონა მარჯვენა მხარეს აკმაყოფილებს შებრუნებულ გაორმაგების პირობას. ანალოგიური ამოცანა შესწავლილია მრავლადწრფივი ჯერადი წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვისაც. აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარეობს კვალის ამოცანის ამოხსნა მრავლადსუბწრფივი წილადური მაქსიმალური ფუნქციებისათვის.

8*	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	Fractional integral operators between Banach function lattices	<i>Nonlinear Analysis, Theory, Methods and Applications</i>  Vol. 117	Elsevier	11
----	---	--	---	----------	----

ანოტაცია  
სრულად აღწერილია ზომა, რომლის მიმართაც განსაზღვრული განზოგადებული

წილადური ინტეგრალური ოპერატორი შემოსაზღვრულია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეზე განსაზღვრულ ლებეგის სივრცეებში. დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს წილადური ტიპის გულიანი ოპერატორის შემოსაზღვრულობას ლორენცის სივრციდან მარცინკევიჩის სივრცეში.

9*	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	The multisublinear maximal type operators in Banach function lattices,	<i>Journal of Mathematical Analysis and Applications</i>  Vol. 421, No.1	Elsevier	14
----	---	--	--	----------	----

ანოტაცია  
დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები წონათა წყვილზე, რომლებიც უზრუნველყოფს ზრდადი ფუნქციით განსაზღვრული მრავლადსუბწრფივი მაქსიმალური ტიპის ოპერატორის შემოსაზღვრულობას ბანახის ფუნქციურ მესრებს შორის. ბანახის პუნქციურ მესრებზე გარკვეული გეომეტრიული პირობების ქვეშ შესწავლილია როგორც სუსტი ასევე ძლიერი ტიპის ორწონიანი უტოლობები აღნიშნული ოპერატორებისათვის. მიღებულია ორწონიანი კრიტერიუმები მრავლადსუბწრფივი წილადური მაქსიმალური ოპერატორებისათვის კონკრეტულ ფუნქციურ სივრცეებში.

10*	V. Paatashvili	Smirnov classes of analytic functions with variable exponent in multiply connected domains.	Complex Variable and Elliptic Equations, DOI 1080/17476933.2015.1053474, Available online 22 June 2015.	Taylor & Francis	11
-----	----------------	---	---	------------------	----

ანოტაცია  
მრავლადბმულ არეებში ანალიზურ ფუნქციათა სმირონოვის ცვლადმაჩვენებლიანი კლასებისათვის დადგენილია ასეთი კლასებისათვის ცვლადბმულ არეებში ცნობილი შედეგების განზოგადებანი. გამოკვლეულია კომის ტიპის ინტეგრალთა აღნიშნული კლასებისადმი მიკუთვნების საკითხი.

11*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On the Cauchy and Cauchy-Darboux problems for semilinear wave equations. <i>Georgian Math. J.</i>	Volume 22 No.1	Academic publisher <b>De Gruyter Berlin</b>	81-104 (24)
12*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	The time-periodic problem for weekly nonlinear telegraph equation with oblique derivative in the boundary condition <i>Differential Equations</i> 51 (2015), No.10, 1369-1386.	Volume 51 No.10	Spinger New York City	1369-1386 (18)

13*	S.Kharibegashvili, B. Midodashvili	On the solvability of a problem nonlocal in time for a semilinear multidimensional wave equations. <i>Ukrainian Math. J.</i>	Volume 67 No.1	Spinger Berlin	82-105 (24)
ანოტაციები					
<p>11. გამოკვლეულია ერთი კომის და შერეული ამოცანა არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის დირიხლესა და ნეიმანის ტიპის არაწრფივი სასაზღვრო პირობებით. განტოლებაში და სასაზღვრო პირობაში შემავალი არაწრფივი წევრების გათვალისწინებით შესწავლილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის შემთხვევები.</p> <p>12. ტელეგრაფის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით შესწავლილია პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. განხილულია ამონახსნის არსებობის, არარსებობისა და ერთადერთობის საკითხები.</p> <p>13. შესწავლილია ერთი დროით არალოკალური ამოცანა დირიხლეს სასაზღვრო პირობით მრავალგანზომილებიანი არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის. დადგენილია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანის ამონახსნის არსებობას. ამ განტოლებისათვის როგორც კერძო შემთხვევა განხილულია პერიოდული ამოცანა.</p>					
14*	A. Гаччиладзе, P. Гаччиладзе,	Односторонние контактные задачи с трением, возникающим вдоль нормали. Дифференциальные Уравнения,	Volume 67 No.1 DOI: 10.1134/ SO 3740641150	Москва, 2015,	ст. 1-19
ანოტაციები					
<p>გამოკვლეულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა მიკროპოლარული ერთგვაროვანი დრეკადი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ ამოცანაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება დრეკადი სხეულის არა მხები მიმართულებით გადაადგილებისას, არამედ ნორმალის მიმართულებით გადაადგილებისას. განხილულია ორი შემთხვევა: კოერციტიული (როდესაც დრეკადი სხეული თავისი საზღვრის რომელიღაც დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებული) და არაკოერციტიული (როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს). სტეკლოვ-პუანკარეს ოპერატორის გამოყენებით ეს ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობაზე. ვარიაციულ უტოლობათა ზოგად თეორიაზე დაყრდნობით შეისწავლება სუსტი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხი. კოერციტიულ შემთხვევაში ამოცანა ამოხსნადია ცალსახად და უპირობოდ და ამონახსნი უწყვეტად არის დამოკიდებული ამოცანის მონაცემებზე, ხოლო არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით იწერება ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა. ეს პირობა გარკვეულ დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.</p>					
15	L.Giorgashvili,	Boundari Value	Vol.22	Georgian	14

	A.Jaghmaidze, G.Karseladze, G.Sadunishvili	Pro- Blems of Stationary oscillation of the Thermoelasticity of Microstretch materials with Microtempera- tures		Mathematical Journal, Tbilisi, 2015	
--	--	---	--	---	--

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მიკრო დაჭიმულობის მქონე თერმოდრეკადობის სტაციონარული რხევის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები მიკროტემპერატურის გათვალისწინებით. მიღებულია შესაბამისი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ამონახსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა, გამოსახული რვა მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. განხილულია დირიხლესა და ნეიმანის ტიპის სასაზღვრო ამოცანები სფერული ზედაპირებით შემოსაზღვრული არეებისათვის. დამტკიცებულია ამ ამოცანების ამონახსნების ერთადერთობის თეორემები. ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

16*	N.Shavlakadze ,	The effective solution of two-dimensional integral-differential equations and their applications in the theory of viscoelasticity. Journal of Applied Mathematics and Mechanics. ZAMM. Z. Angew. Math. Mech.	95, No.12, 1548-1557 (2015)/DOI 10.1002/zamm.201400091.	WILEY-VCH	10
-----	-----------------	--	---	-----------	----

ანოტაცია

განიხილება ეფექტური ამოხსნები ორგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისა, რომლებიც დაკავშირებულია დრეკადი თხელი არაერთგვაროვანი სასრული ჩართვისა და დრეკადი ფირფიტის ურთიერთქმედებასთან, როდესაც ჩართვისა და ფირფიტის მასალები ექვემდებარებიან ცოცვალობის თვისებას. დრეკადი ჩართვის გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების პარაბოლური და წრფივი კანონით ცვლილების პირობებში, ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდითა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევის გზით მიღებულია ზუსტი

ამოსსნები ცხადი სახით და დადგენილია უცნობი საკონტაქტო ძაბვების ასიმპტოტური ყოფაქცევა დრეკადი ჩართვის ბოლოების მიდამოებში.

17	N. Shavlakadze	The boundary value contact problems of electroelasticity for piezo-elastic half space with elastic inclusion. Proceedings of IV International Conference "Topical problems of continuum mechanics".	2015, 21-26 , 491-495.	National academy of sciences of Armenia Institute of Mechanics	5
----	----------------	---	------------------------	--	---

ანოტაცია

განხილულია მექანიკური და ელექტრული ველების მოძებნის ამოცანა დრეკადი ჩართვის მქონე პიეზო-ელექტრულ ნახევარსივრცეში. ჩართვაზე მოქმედებს მუდმივი ინტენსივობის დატვირთვა. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოცანა დაიყვანება სინგულარულ ინტეგრალ-დიფერენციალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით სასრული ინტეგრალის გასწვრივ. ინტეგრალური გარდაქმნის გამოყენებით მიიღება რიმანის ამოცანა, რომლის ამონახსნი წარმოდგინება ცხადი სახით. განსაზღვრულია ტანგენციალური საკონტაქტო ძაბვა საკონტაქტო წირის გასწვრივ და დადგენილია საკონტაქტო ძაბვის ყოფაქცევა სინგულარული წერტილების მიდამოში.

18*	G.Berikelashvili, B.Midodashvili	Compatible convergence estimates in the method of refinement by higher-order differences. Differential Equations	Vol. 51 , # 1 2015 107-115	Springer	9
-----	----------------------------------	--	----------------------------------	----------	---

ანოტაცია

მუდმივ კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია მეორე რიგის სიზუსტის სასრულ-სხვაობიანი სქემა. მიღებული მიახლოებითი ამონახსნით ვახდენთ სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია, რომ თუ დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება მახვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს, მაშინ კორექტირებული სქემის ამონახსნის კრებადობის რიგია  $m$ .

19*	G.Berikelashvili B.Midodashvili	On increasing the convergence rate of difference solution to the third boundary value problem of elasticity theory. <i>Boundary Value Problems</i>	2015: 226 doi:10.1186/s13661-015-0492-4	Springer	11
-----	------------------------------------	---	--	----------	----

ანოტაცია

სტატიკური დრეკადობის თეორიის მესამე (ხისტი კონტაქტის) ამოცანისათვის შესწავლილია მაღალი რიგის სიზუსტის ამონახსნების მიღების მეთოდი. საბაზისოდ მეორე რიგის სიზუსტის სხვაობიანი სქემა გამოიყენება, რომლის ამონახსნით ვახდენთ სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია კორექტირებული ამონახსნის კრებადობა -ური რიგით, თუ დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება მახვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს. ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები ადასტურებენ ალგორითმის საიმედობას.

20	G.Berikelashvili M.M. Gupta B.Midodashvili	On the improvement of convergence rate of difference schemes with high order differences for a convection-diffusion equation. AIP Conference Proceedings	Vol. 1648, p.470002 2015 doi:10.1063/1.4912679	AIP Publishing. Melville, New York	4
----	--	---	--	--	---

ანოტაცია

განხილულია კონვექცია-დიფუზიის სამგანზომილებიანი ამოცანა ცვლადი კოეფიციენტებით კონვექციურ წევრებთან. მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია ორსაფეხურიანი სხვაობიანი მეთოდი, რომელიც იყენებს 7-წერტილიან შაბლონს. დამტკიცებულია მიახლოებითი ამონახსნის  $m$  რიგით ( $2 < m \leq 4$ ) კრებადობა, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება  $m$ -მახვენებლიან სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეს.

21	Murman Kintsurashvili, Tengiz Kiria,	On objective and strong objective	Journal of Statistics: Advances in Theory and Applications, Volume 13,	Scientific Advances Publishers	15
----	--	-----------------------------------	--	--------------------------------	----

	Gogi Pantsulaia	consistent estimates of unknown parameters for statistical structures in a Polish group admitting an invariant metric	No. 2 (2015) 179-233	71/52 Bhusoli Tola Khuldabad Allahabad 211 006 (INDIA)	
--	-----------------	---	----------------------	--	--

ანოტაცია

ბალკა, ბუკხოლიჩისა და ელეკეშის მიერ 2012 წელს შემოტანილი ჰაარის ემბივალენტის გამოყენებით ინვარიანტული მეტრიკით აღჭურვილ პოლონურ არალოკალურად-კომპაქტურ პოლონურ ჯგუფებზე აგებულია არსებითად ახალი კლასი სტატისტიკური სტრუქტურების რომელთაც გააჩნიათ უცნობი პარამეტრის ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებები. აგებულია სუსტად განცალკეადი სტატისტიკური სტრუქტურის ისეთი მაგალითი, რომლისთვისაც ძალდებული შეფასების არსებობის საკითხი გადაუჭრელია (ZF) & (DC) აქსიომათა სისტემაში. აგებულია ობიექტური და ძლიერად ობიექტური ძალდებული შეფასებების მქონე სტატისტიკური სტრუქტურების მაგალითები კომპაქტურ პოლონურ ჯგუფში.

22	Gogi Pantsulaia	Infinite-Dimensional Monte-Carlo Integration	Monte Carlo Methods and Applications. ISSN (Online) 1569-3961, ISSN (Print) 0929-9629, DOI: <a href="https://doi.org/10.1515/mcma-2015-0108">10.1515/mcma-2015-0108</a> , Volume 21, Issue 4 (Oct 2015)	Walter de Gruyter GmbH Genthiner Strasse 13 D-10785 Berlin Germany	17
----	-----------------	--	---	--	----

ანოტაცია

$R^\infty$  სივრცის უსასრულო-განზომილებიანი მართკუთხედის სასრულ ქვესიმრავლეთა ზრდადი უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დაფუძნებულია უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირება და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული კანონის ტიპის თეორემები. ერთეულოვან ინტერვალზე განსაზღვრული უნიფორმული მიმდევრობების გამოყენებით მოცემულია კოლმოგოროვის დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ახალი დამტკიცება, რომელიც არსებითად განსხვავდება კოლმოგოროვისეული დამტკიცებისაგან.

23	Gogi Pantsulaia	On structure of uniformly distributed sequences in	Cornely University Library <a href="http://arxiv.org/abs/1506.07009">http://arxiv.org/abs/1506.07009</a>	Cornely University, USA	11
----	-----------------	--	--	-------------------------	----

		[-1/2,1/2] from the point of view of shyness			
ანოტაცია					
<p>[-1/2,1/2] ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების სტრუქტურის აღწერა იამასაკის <math>\lambda</math> ზომის ტერმინებში შესწავლილი იყო [G.Pantsulaia, On Uniformly Distributed Sequences on [-1/2,1/2], Georg. Inter. J. Sci. Tech.,4(3) (2013), 21--27] ნაშრომში და ნახვენები იყო რომ <math>R^\infty</math> სივრცის <math>\lambda</math>-თითქმის ყველა ელემენტი არის უნიფორმულად განაწილებული [-1/2,1/2] ინტერვალზე. იგივე სტრუქტურა შესწავლილია ჰაარის ნულ სიმრავლის თვალსაზრისით და დად-გენილია, რომ ის წარმოადგენს ჰაარის ნულ სიმრავლეს <math>R^\infty</math> სივრცეში. ასევე ნახვენებია, რომ სოლოვეის მოდელში, [-1/2,1/2] ინტერვალზე უნიფორმულად (მოდულით 1) განაწილებული მიმდევრობები წარმოადგენენ ჰაარის ნულ სიმრავლის დამატებას <math>R^\infty</math> სივრცეში.</p>					

24	G. Pantsulaia	Construction of invariant non-separable extensions of the measure defined by H-valued measurable $\mathbb{G}$ -process on $H \setminus \text{sp } G$ .	<i>Palest. J. Math.</i> <b>4</b> (2015), no. 2, 258--262.	<a href="#">Palestine Polytechnic University</a> , Hebron, Palestine.	5 გვერდი
----	---------------	--	---	---	----------

ანოტაცია

ყოველი უსასრულო ადიტიური  $G$  ჯგუფისა და ყოველი არათვლადი ჰაუსდორფის კომპაქტური ტოპოლოგიური  $H$  ჯგუფისათვის, რომლისთვისაც სრულდება პირობა  $card(H) = card(H^{\mathbb{N}}) = card(H^G)$   $H^G$  ჯგუფზე აგებულია  $H$ -მნიშვნელობიანი  $G$ -პროცესი და გამოთვლილია სხვადასხვა სიმრავლურ-თეორიული მახასიათებლები მათი სხვადასხვა  $F_{H^G}$  ინვარიანტული გაგრძელებებისათვის, სადაც  $F_{H^G}$  აღნიშნავს  $H^G$  ჯგუფის გარდაქმნების ჯგუფს, წარმოქმნილს  $G$  ჯგუფის ყველა გადანაცვლებებისა და  $H^G$  ჯგუფის ყველა ფინიტური ერთეულოვანი გარდაქმნების ჯგუფებით. უფრო ზუსტად, აგებულია  $H^G$  ჯგუფზე განსაზღვრული ჰაარის-ბერის ზომის მარცხნიდან  $F_{H^G}$  -ინვარიანტულ გაგრძელებათა ისეთი ორთოგონალური ოჯახი, რომ ამ გაგრძელებებთან ასოცირებული მეტრიკულ სივრცეთა ტოპოლოგიური წონები არიან მაქსიმალური. დამატებით,  $H^G$  -ზე განსაზღვრულ ასეთ ზომათა ოჯახისათვის შესწავლილია  $F_{H^G}$  -ინვარიანტულ ზომის გაგრძელების ამოცანა.

25	G.Pantsulaia	Satisfaction	Cornell University Library	Cornell	13 გვერდი
----	--------------	--------------	----------------------------	---------	-----------



	G.Giorgadze	Problem of Consumers Demands measured by ordinary “Lebesgue measures” in $R^\infty$	<a href="http://arxiv.org/pdf/1510.06251v1.pdf">http://arxiv.org/pdf/1510.06251v1.pdf</a>  DOI:10.13140/RG.2.1.1044.0404	University, USA	
--	-------------	---	--	-----------------	--

ანოტაცია

შესწავლილია  $R^\infty$  სივრცეზე განსაზღვრული ორდინალური “ლებეგის ზომების” საშუალებით აწონილი სამომხმარებლო მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემა სხვადასხვა მათემატიკურ მოდელში

26	G. Pantsulaia	Infinite-dimensional Monte-Carlo integration	<i>Monte Carlo Methods Appl.</i> <b>21</b> (2015), no. 4, 283--299	Walter de Gruyter GmbH Genthiner Strasse 13 D-10785 Berlin Germany	17 გვერდი
----	---------------	--	--	--	-----------

ანოტაცია

$R^\infty$  სივრცის უსასრულო-განზომილებიანი მართკუთხედის სასრულ ქვესივრცეებზე ზრდადი უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დაფუძნებულია უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირება და მიღებულია უსასრულო-განზომილებიანი გაძლიერებული კანონის ტიპის თეორემები.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. ნატროშვილი	Acoustic scattering by inhomogeneous anisotropic obstacle: Boundary-domain integral equation approach.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 29 სექტემბერი-4 ოქტომბერი, 2015

მომხსენების ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აკუსტიკური ტალღების გაბნევის მათემატიკური ამოცანები,

\* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ლერი გვასალია

\* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ზაირა ბარდაჩიძე;
2. ნუნუ ბუჩუკური;
3. გიორგი დანელია;
4. მარლენ მჭედლიშვილი;
5. ევგენია შენგელია;
6. თამარ ფალავანდიშვილი;
7. მათა წვერავა.

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

**სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლერი გვასალია	ტექნოლოგიური პროცესების თეორიის საფუძვლები	თბილისი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2015	132 გვ
ანოტაციები				
<p>სახელმძღვანელოში მოცემულია ტექნოლოგიური პროცესების თეორიის საფუძვლები. იგი მოიცავს ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესის შეფასებას ქიმიური, თერმოდინამიკური და გამოყენებითი კინეტიკის თვალსაზრისით, აგრეთვე კატალიზისა და სამრეწველო კატალიზატორის ტექნოლოგიის საკითხებს.</p> <p>სახელმძღვანელო განკუთვნილია ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური დეპარტამენტების სტუდენტებისათვის.</p>				

**სტატიები**

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

					ბა
1	გ.ანდრიაძე, ე. შენგელია, ლ.გვასალია	ბოსტნეულში ნიტრატ- ნიტრიტის ტრანსფორმაციის მექანიზმზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა	ISN-0132-6074, ტ.41, # 1-2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, თბილისი	4
ანოტაცია					
დაჭრილი მწვანეხეხულის და ზოგიერთი ბოსნეულის (კომბოსტო, პომიდორი, ძველი კარტოფილი) ჰაერზე გარკვეული დროით დაყოვნებისას უანგბადის გავლენით მიმდინარეობს ნიტრატ-ნიტრიტების შემცველობის ზრდა. ბოსტნეულში ნიტრატ-ნიტრიტის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება შესაძლებელია მათი ოთახის ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში თავდასურულ ჭურჭელში მოთავსებით.					
2	ლ.გვასალია ი.ახვლედიანი ე. ნაყოფია	დიფუზიური წველების ანტიოქსიდანტური მახასიათებლების ცვლილების შესწავლა და პროცესის მათემატიკური მოდელის შექმნა	05. 2015	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მომამბე, თბილისი	5
ანოტაცია					
შესწავლილია დიფუზიური წველების ანტიოქსიდანტური მახასიათებლების ცვლილება და შექმნილია ამ პროცესის მათემატიკური მოდელი.					

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	E.Shengelia, L. Gvasalia	Cleaning natural and river water using low cost sorbents and their further use	INNOVATIVE TECHNOLOGIES IN METALLURGY AND MATERIALS SCIENCE International Conference, Georgian Technical University, Tbilisi, 2015 16-18 July
ანოტაცია			

შესწავლილია ტყიბულის ქვანახშირის გამდიდრების კუდების (ქ.გ.კ) ფიზიკო-ქიმიური და ადსორბციული მახასიათებლები. ჩატარებულია რენტგენოფაზური, რენტგენოგრაფული და სპექტრალური გამოკვლევები და დადგენილია, რომ ქ.გ.კ. მიეკუთვნება ორგანო-მინერალურ სორბენტებს. დადგენილია ქ.გ.კ.-ს გამოყენებით წყლიდან ამონიუმის, ფოსფატების, რკინის, კადმიუმის, სპილენძის ადსორბციის ოპტიმალური პარამეტრები.

2	მ. გვიანიძე, ე. შენგელია	ბათუმის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა და მისი გარემოსდაცვითი მნიშვნელობა	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ . სტუ, 16-17 ოქტომბერი 2015
---	--------------------------	--	--

ანოტაცია

ბათუმის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე მიმდინარეობს წყლის მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდა ევროსტანდარტების შესაბამისად. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაიწმინდა 66.577.243მ<sup>3</sup> წყალი ზღვრული ნორმების დაცვით და მოხდა ამ წყლის შავზღვაში ჩაშვება. ბათუმის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის გარემოსდაცვითი ფუნქცია ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ქალაქ ბათუმის დაშემოგარენი სოფლების ჩამდინარე წყალი სრულად იწმინდება და არხდება შავი ზღვის დაბინძურება ფეკალური წყლებით.

**6. ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულება**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი თამაზ აგლაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: 5

**სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დაფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	არაპირდაპირი ელექტროქიმიური აღდგენისა და დაუანგვის მეთოდით ცეოლიტების მოდიფიცირების ტექნოლოგიის დამუშავება;	შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	ჯემალ შენგელია	შენგელია ჯემალ აგლაძე თამაზ დონაძე მარინე გაბრიჩიძე მაია კიკაბიძე შალვა

ქიმიური ტექნოლოგია; ელექტროქიმია			ბენაშვილი არჩილ ბერიაშვილი ლევან
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>შემუშავებულია ახალი ტიპის მატრიცის - ცეოლიტის ფოროვანი კერამიკის მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ცეოლიტის, თიხებისა და ხის ნახერხის ნარევის მაღალტემპერატურულ გამოწვას. მატრიცაში შენარჩუნებულია ცეოლიტის იონმიმოცვლითი უნარი და იგი შერწყმულია კერამიკისათვის დამახასიათებელ მექანიკურ სიმტკიცესთან, რაც ქმნის მაღალი ქიმიური და მექანიკური მდგრადობის აქტიური ნივთიერებებით მოდიფიცირებული მფილტრავი მასალის მიღებისათვის აუცილებელ პირობას.</p> <p>შემუშავებულია მატრიცის - ცეოლიტის ფოროვანი კერამიკული მასალის ლითონური ვერცხლით ან მანგანუმის დიოქსიდით მოდიფიცირების ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო არაპირდაპირი ელექტროქიმიური აღდგენის ან დაუანგვის მეთოდი. ნაჩვენებია ამ მეთოდის ეკონომიკური და სოციალური ეფექტი აღდგენისა და დაუანგვის ქიმიურ მეთოდებთან შედარებით.</p> <p>დადგენილია, რომ ლითონური ვერცხლით მოდიფიცირებული ცეოლიტის ფოროვანი კერამიკული ფილტრი უზრუნველყოფს ფაკულტატიური ანაერობული (მათ შორის E.coli) და აერობული ბაქტერიებისაგან სასმელი წყლის გაწმენდის მაღალ ხარისხს.</p> <p>დადგენილია, რომ მანგანუმის დიოქსიდით მოდიფიცირებული ცეოლიტის ფოროვანი კერამიკული მფილტრავი მასალა უზრუნველყოფს <math>Mn^{+2}</math> იონებისაგან სასმელი წყლის გაწმენდის მაღალ ხარისხს.</p> <p>საგრანტო პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე საქპატენტში წარდგენილია ორი განაცხადი, მათგან ერთ-ერთზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საქპატენტის დადებითი გადაწყვეტილება გამოგონებაზე: ლითონური ვერცხლით მოდიფიცირებული ბუნებრივი ცეოლიტის მიღების ხერხი. ავტორები: ჯემალ შენგელია, თამაზ აგლაძე, გიგლა წურწუშია, მარინე დონაძე, მაია გაბრიჩიძე, თამარ ტყეშელაშვილი, ვახტანგ თედიაშვილი. განაცხადის საიდენტიფიკაციო ნომერი 13740/01, განაცხადის შეტანის თარიღი 20.02.2015.</li> <li>2. განაცხადი გამოგონებაზე: ანტიბაქტერიული მფილტრავი მასალის მიღების ხერხი. ავტორები: ჯემალ შენგელია, ირაკლი სულაძე, გიგლა წურწუშია, თამარ ტყეშელაშვილი, ვახტანგ თედიაშვილი. განაცხადის საიდენტიფიკაციო ნომერი 13862/01, განაცხადის შეტანის თარიღი 17.06.2015.</li> </ol> <p>მზადდება განაცხადი გამოგონებაზე: <math>Mn^{+2}</math> იონებისაგან წყლის გამწმენდი მასალის მიღების ხერხი. ავტორები: ჯემალ შენგელია, ვახტანგ თედიაშვილი, თამარ ტყეშელაშვილი, ირაკლი სულაძე, ლევან ბერიაშვილი, შალვა კიკაბიძე.</p>			

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე. ჩხიკვაძე, მ. გაბრიჩიძე, მ. დონაძე	ჰიდროელექტრო მეტალურგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	161
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>დამხმარე სახელმძღვანელო ჰიდროელექტრომეტალურგია მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოშვება განკუთვნილია ელექტროქიმიისა და ფერადი ლითონების სპეციალობების სტუდენტებისათვის როგორც ბაკალავრის, ისე უმაღლესი ხარისხის (მაგი სტრი, დოქტორი) მაძიებელი პირებისათვის. ასევე სასარგებლო და საინტერესო იქნება სამთო საქმის სპეციალისტებისთვის, სახელდობრ, „სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების“ სპეციალობის სტუდენტებისთვის.</p> <p>ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შედეგები მიუთითებს მანგანუმის ქიმიური ინდუსტრიის პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობაზე.</p> <p>გლობალური ბაზრის რყევების ფონზე დივერსიფიცირებული, ადგილობრივ ნედლეულზე ორიენტირებული მანგანუმის ქიმიური ინდუსტრიის განვითარება, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის ზრდას, ქვეყანაში მყარი ვალუტის უწყვეტ შემოდინებას და მოსახლეობის დასაქმებას.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბოლნისის სპილენძის საბადოზე მოპოვებული პოლიმეტალური მადნების გადამუშავება მხოლოდ ფლოტაციური გამდიდრებით და კონცენტრატის სახით ექსპორტირებით არ შემოიფარგლოს. ამჟამად მეცნიერულ დონეზე არსებობს ამ მადნების ქიმიური გადამუშავებით პროდუქტების მიღების ტექნოლოგიები, სასურველია მომავალში მათი საწარმოო მასშტაბით განხორციელება. ამავე საბადოზე არსებული ძვირფასი ლითონების შემცველი ქვიშები ჰიდრომეტალურგული მეთოდით, ანუ ციანირებით მუშავდება, გამოლექილი ოქრო, ვერცხლი დორეს შენადნობის სახით იმპორტირდება. მიზანშეწონილია ადგილზე დორეს შენადნობის ელექტროლიზური რაფინირებით სუფთა ოქროსა და ვერცხლისა მიღება და მათი ექსპორტი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ზრდას.</p> <p>ჰიდროელექტრომეტალურგული მეთოდების განვითარება ეკონომიკურად მიზანშეწონილს გახდის კავკასიაში პოლიმეტალური მადნების, მათ შორის კვანძის თუთიის პოლიმეტალური საბადოს აღორძინებას. ჰიდრომეტალურგული მეთოდების ფართო მასშტაბით განხორციელებას ესაჭიროება კვალიფიციური კადრები, რასაც წინამდებარე სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს.</p> <p>დახვეწილი ჰიდროელექტრომეტალურგული მეთოდებით მადნების გადამუშავების პროცესი ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ, ნედლეულის ბაზის შეცვლით – მნიშვნელოვნად შემცირებულია ლითონშემცველი მდიდარი მადნების მოპოვება, ხოლო გამდიდრებისას კონცენტრატები ხშირად მიიღება არაერთგვაროვანი და მდიდარი თანაური მინარევებით, რაც არარენტაბელურს ხდის მაღალტემპერატურულ პირომეტალურგულ გადამუშავებას. ამასთან, საჭირო ხდება ღარიბი მადნების კომპლექსური გადამუშავება. აღსანიშნავია, რომ</p>				

პირომეტალურგიული პროცესები უფრო ენერგოტევადია და მავნე გავლენას ახდენს გარემოზე, ჰიდრომეტალურგიული პროცესები კი დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს, რაც ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას და ზრდის ღარიბი მადნების გადამუშავების რენტაბელობას.

საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება (Mn, Cu, Au და სხვა ლითონების შემცველი მადნები) უმთავრესად პირო-ჰიდრომეტალურგიული კომბინირებული მეთოდით ხორციელდებოდა. ჭიათურის მადანი, რომელსაც მარაგის სიდიდისა და მადნის თვისებების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში (მეორე - მსოფლიოში), მუშავდებოდა როგორც მეტალურგიული მეთოდით (მიიღებოდა ფერო- და სილიკომანგანუმი), ისე ჰიდროელექტროქიმიური მეთოდით (მიიღებოდა ლითონური მანგანუმი, მანგანუმის დიოქსიდები, ოქსიდები, პერმანგანატები, მარილები და სხვ.)

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. ბერიაშვილი, მ. გაბრიჩიძე, თ. ავლაძე	მანგანუმის ელექტროდის კინეტიკა წყალხსნარებში; საქართველოს ქიმიური ჟურნალი	№1 (15)	თბილისი, “უნივერსალი”	9

ანოტაცია

მანგანუმის ამონიუმის მარილების წყალხსნარებში მიღებული მანგანუმის გამოლექვის და გახსნის პარციალური მრუდების ანალიზის საფუძველზე დადგენილია მანგანუმის ელექტროდის კინეტიკური პარამეტრები წონასწორობის და კათოდური და ანოდური პროცესების მცირე გადაძვის პირობებში. მიღებულია მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ მანგანუმის ელექტროდის წონასწოვრული პოტენციალზე უფრო დადებით პოტენციალებზე  $\gamma$ -მოდულირების მეტასტაბილური მანგანუმის ჰიდრიდის წარმოქმნის ჰიპოტეზას. გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უარყოფითი პოტენციალის ზრდით გამოწვეული მეტასტაბილური ჰიდრიდის ფაზის გადასვლა მანგანუმის სტაბილურ  $\alpha$ -ფაზაში გამოწვეულია ერთის მხრივ ჰიდრიდული ფაზის დაშლით, ხოლო მეორეს მხრივ, კრისტალიტების გამსხვილებით განპირობებული ზედაპირული ენერჯის შემცირებით.



## II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. დონაძე, მ. გაბრიჩიძე, ს. კალვაჩე, თ. აგლაძე	Novel method for preparation of the hybrid Metal (I)-Metal (II) Oxide Nanoparticles. Transactions of the Institute of Metal Finishing	94	2015 Institute of Materials Finishing Published by Maney on behalf of the Institute	8
ანოტაცია					
<p>უკანასკნელ ათწლეულებში ბირთვი-გარსის ტიპის ლითონის ნანონაწილაკები ინტენსიურად შეისწავლება მათი უნიკალური კატალიზური, ბიოსამედიცინო, მაგნიტური და ელექტრული თვისებების გამო. ლითონის ნანონაწილაკების შეუღლება განსხვავებული ლითონის ოქსიდის ნანოკლასტერებთან იძლევა მიზნობრივი ფუნქციის მქონე ჰიბრიდული ნანომასალების დამზადების საშუალებას. ნაშრომში წარმოდგენილია AB (A-ინდივიდუალური ლითონის ნანონაწილაკი, B-განსხვავებული ლითონის ნანოოქსიდი) ტიპის ნანოჰიბრიდების სინთეზის ახალი სტრატეგია, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ინდივიდუალური ბირთვი-გარსის ტიპის ნანონაწილაკების ელექტროსინთეზს, ხოლო მე-2 ეტაპზე ნანონაწილაკის გარსის ჩანაცვლებას განსხვავებული ლითონის ოქსიდით, გარსის ორგანული მილექულების ოქსიდის პრეკურსორით დაუანგვის გზით. აღწერილია აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება Ag/MnO<sub>2</sub> ტიპის ჰიბრიდული მასალების სინთეზის და მათ მიერ CO-ს კონვერსიის რეაქციის კატალიზი.</p>					

## III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მ. დონაძე, მ. გაბრიჩიძე, ს. კალვაჩე,	Selective Oxidation Technology for Preparation of Functional Metal (I)-Core/Metal (II) Oxide-Shell Nanocomposites.	25-26 ივლისი, ლუნდი (შვედეთი)

თ. აგლაძე	ფუნქციური მეტალ (I)-ბირთვი- მეტალ (II) ოქსიდი-გარსი ტიპის ნანოკომპოზიტების დამზადების ტექნოლოგია.	
ანოტაცია		
<p>მოსხენებაში აღწერილია ბინანოკომპოზიტის მანგანუმის ოქსიდით დაფარული (206მ ზომის) ვერცხლის ნანონაწილაკების სინთეზის ინოვაციური მეთოდი.</p>		

**7. გარემოს დაცვა და ეკოლოგია**

\* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფ. ნოდარ ჩხუბიანიშვილი

\* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- პროფესორები: ნ. ჩხუბიანიშვილი  
 შ. ანდლულაძე  
 გ. მჭედლიშვილი  
 დ. ერისთავი  
 მ. გვერდწითელი  
 ნ. მუმლაძე
- ასოც.პროფ. : ჯ. ქერქაძე  
 ი. ბაზდაძე  
 მ. დემეტრაძე  
 მ. გუგუშიძე
- ასისტ.პროფ. : მ. ქავთარაძე  
 რ. კოკილაშვილი  
 ე. მაცაბერიძე

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

**სახელმძღვანელოები**

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი. ბაზდაძე.	ქიმიური ნაერთების გავლენა ბიოფეროზე და ცოცხალ ორგანიზმებზე	თბილისი, საქართველო, 2015 “ტექნიკური უნივერსიტეტი”	183
ანოტაცია				

სახელმძღვანელოში: “ქიმიური ნაერთების გავლენა ბიოფეროზე და ცოცხალ ორგანიზმებზე” განხილულია ქიმიური ელემენტებისა და მათი ნაერთების მოხვედრის გზები ბიოსფეროსა და ცოცხალ ორგანიზმებში. მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, დისბალანსის მიზეზები.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<p>ა. სარუხანიშვილი                      დ. ერისთავი;                      შ. ანდლულაძე                      ნ. კუციავა;                      ა. გოგიშვილი;                      მ. გუგეშიძე;                      ე. მაცაბერიძე</p>	<p>მე-2 საერთაშორისო კონფერენცია – არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები</p>	<p>თბილისი, საქართველო, “საჩინო”</p>	3
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში “ტექნოგენური ნედლეულის თერმოდინამიკური და პეტროქიმიური შეფასების უახლესი მეთოდის საკითხისადმი” მითითებულია მანგანუმისა და მეტალურგიული წარმოების ნარჩენების რაციონალური გადამუშავებისა და გამოყენებისადმი ავტორებისეულ მიდგომაზე, რომელიც ეფუძვნება ფიზიკო-ქიმიური ურთიერთქმედების შეფასების თერმოდინამიკურ და პეტროქიმიურ გადაანგარიშების მეთოდებს, შესაბამის სისტემებში ფაზური წონასწორობის მონაცემთა აქტიური გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ საწარმოო ნარჩენების თეორიული საფუძვლების შექმნა, ხელს შეუწყობს მათი როგორც ტექნოგენური ნედლეულის განხილვისა და გამოყენების სფეროების დადგენაში, რაც საბოლოო ჯამში სამომავლოდ მოგვცემს ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად დიდ ეკონომიკურ ეფექტსაც.</p>				
2	<p>დ. ერისთავი;                      შ. ბიბილური;                      შ. ანდლულაძე                      ა. გოგიშვილი;                      მ. გუგეშიძე;                      ე. მაცაბერიძე;                      მ. მამულაშვილი.</p>	<p>მე-2 საერთაშორისო კონფერენცია – არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები</p>	<p>თბილისი, საქართველო, “საჩინო”</p>	2
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში ”წყლის გაუსნებოვნება ნანო-ტექნოლოგიის მეთოდით” განხილულია ნანოტექნოლოგიის გამოყენებით კოლოიდური ვერცხლის ხელსაწყოს პროექტირება-დამზადება, რომლის საშუალებითაც მიიღება კოლოიდური ვერცხლის სხვადასხვა</p>				

კონცენტრაციის წყალხსნარები და გამოიყენება საჭირო დანიშნულებით.				
3	დ. ერისთავი; შ. ბიბილური; ნ. კუციავა; მ. ქავთარაძე; მ. გუგუშიძე;	სტუ; ინოვაციური ტექნოლოგიები მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში	თბილისი, საქართველო.	2
ანოტაცია ნაშრომში “საქართველოს მადნეულის პოლიმეტალური საბადოს გრუნტული წყლების მძიმე მეტალების სულფატებისაგან გაწმენდის მეთოდი, მათი შემდგომი სელექტიური ამოღებით” შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას იძლევა: სულფატების სრული ნეიტრალიზების, გადაყავს მძიმე მეტალები ნალექში, ნალექის გაფილტვრისა და გაწმენდის შედეგად მიიღება გასუფთავებული წყალი, რომელიც იღვრება მდინარეში.				
4	გ. ხიდირი; ი. ჩიკვაძე; რ. კოკილაშვილი;	სტუ; ინოვაციური ტექნოლოგიები მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში	თბილისი, საქართველო.	2
ანოტაცია ნაშრომში “მაღალეფექტური ლუმინოფორის მირების ინოვაციური ტექნოლოგია”, შემუშავებულია მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ახალი ტექნოლოგია.				
5	რ. კოკილაშვილი; ნ. გასვიანი;	სტუ; ინოვაციური ტექნოლოგიები მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში	თბილისი, საქართველო.	2
ანოტაცია ნაშრომში “ინტერმეტალიტების მაღალტემპერატურული ელექტროქიმიური კვლევა” განიხილება აღმუშინების ინოვაციური მიღების ტექნოლოგია.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ბაგრატიონი; ვ. გვახარია; ა. ჭირაქაძე; ლ. გვერდწითელი.	რაჭის და ქვემო სვანეთის დაბინძურებული ტერიტორიის ნიადაგის ეკოქიმიური კვლევის შედეგების ზოგადი	ტ.16, №2 2015	თბილისი, საქართველო	6

		ანალიზი. საქართველოს ქიმიური ჟურნალი			
ანოტაცია					
განსაზღვრულია რაჭისა და ქვემო სვანეთის დაბინძურებული ტერიტორიის ნიადაგში დარიშხანის შემცველობა და ამ რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობა.					
2	ი. გელეიშვილი; ი. ბაზლაძე;	მადნეულის პირიტის კონცენტრატისა და ჭიათურის მანგანუმშემცველი ნედლეულის ერთობლივი ავტოკლავური მუხანგავი გამოტუტვის პროცესის კინეტიკა და მექანიზმი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი"	№29 2015	თბილისი, საქართველო სტუ	8
ანოტაცია					
შესწავლილია მადნეულის პირიტის კონცენტრატის და ჭიათურმანგანუმის შემცველი ნედლეულის ერთობლივი ავტოკლავური მუხანგავი გამოტუტვის პროცესისი ოპტიმალური პარამეტრები.					
3	შ. ანდლულაძე.	ეკოლოგიური პოლიტიკა და ბუნებრივი რესურსების დაცვა- რაციონალური გამოყენება. ჟურნალი "ქართული პოლიტიკა"	№5 2015	თბილისი, საქართველო	2
ანოტაცია					
მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობას, ბუნებრივი რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას განაპირობებს ეფექტური ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის არსებობა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს არამარტო საწარმოს, ქალაქის, რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, არამედ ზრდის მათ ფინანსურ სტაბილურობას.					
4	გ.ხიტირი; რ.კოკილაშვილი;	მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ინოვაციური ტექნოლოგია. სტუ-ს "შრომები"	№4(498) 2015	თბილისი, საქართველო, "გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი"	5
ანოტაცია					
შემუშავებულია მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც ხდება ლუმინოფორის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ამაღლება და თვითღირებულების 26% შემცირება.					
5	რ. ლაბაძე; გ. ხიდირი;	რაჭის და ქვემო სვანეთის დაბინძურებული	ტ.16, №2 2015	თბილისი, საქართველო,	5

	რ. კოკილაშვილი ა. სულამანიძე; ჟ. ქერქაძე.	ტერიტორიის ნიადაგის ეკოქიმიური კვლევის შედეგების ზოგადი ანალიზი. საქართველოს ქიმიური ჟურნალი		“გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
სტუ-ს სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ”უტილიზაციის” მიერ დამუშავებულია ამორტიზებული საბურავების გადამუშავების პირობიზური მეთოდი, რომლის დროსაც საბურავები ტემპერატურის ზეგავლენით უპირო სივრცეში იშლება მყარ, თხევად და აირად პროდუქტებად, რაც მიმდინარეობს 300 °C ტემპერატურაზე.					
6	ნ. მუმლაძე. ი. გელეიშვილი; მ. გუგეშიძე; მ. დემეტრაძე; ი. ბაზლაძე	მადნეულის პირიტის კონცენტრატისა და ჭიათურის მანგანუმშემცველი ნედლეულის ერთობლივი ავტოკლავური მუხანგავი გამოტუტვის პროცესის კინეტიკა და მექანიზმი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი	№29 2015	თბილისი, საქართველო	3
ანოტაცია					
ნაშრომში წარმოდგენილია გარემოში ტყვიის მიგრაციის გზები და ფორმები, გაგლენა ცოცხალ ორგანიზმებზე, რაც უკანასკნელ ათწლეულებში ანთროპოგენურ ფაქტორებთან დაკავშირებით გარემოში მისი კონცენტრაციის დონის ამაღლებას უკავშირდება.					
7	L.V. Gverdsiteli, S. Andguladze, T. Sharashidze.	ეკოლოგიური პოლიტიკა და ბუნებრივი რესურსების დაცვა-რაციონალური გამოყენება. ჟურნალი “ქართული პოლიტიკა”	№5 2015	თბილისი, საქართველო	4
ანოტაცია					
თერმოდინამიკური ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მანგანუმით შემცველი ნედლეულის და პირიტის კონცენტრატის ერთობლივი ავტოკლავური მუხანგავი გამოტუტვის პროცესში მიმდინარე ძირითადი ქიმიური რეაქციები, როგორც სტანდარტული, ასევე მაღალი ტემპერატურებისა და წნევის პირობებში შეუქცევადია და შესაბამისად მათი წინასწარობები ძლიერად არის გადახრილი მარჯვნივ.					
8	ლ.ქრისტესაშვილი ნ.ჩხუბიანიშვილი	მაღალეფექტური ლუმინოფორის მიღების ინოვაციური ტექნოლოგია. სტუ-ს “შრომები”	№4(498) 2015	თბილისი, საქართველო	5
ანოტაცია					
განსაზღვრულია მდინარე არაგვის წყლის მინერალიზაცია და ელექტროგამტარობა სეზონური ცვლილებების მიხედვით.					

9	ნ. ჩხუბიანაშვილი, მ. ქავთარაძე, ბ. მჭედლიშვილი ლ.ქრისტესაშვილი	ამორტიზებული საბურავების უტილიზაციის ახლებური ხედვა. სტუ-ს “შრომები”	№4(498) 2015	თბილისი, საქართველო	3
ანოტაცია					
<p>ნაშრომში წარმოდგენილია ეთილენის და ტრიქლორმმარმჟავა ეთილის ეთერის რადიკალური ტელომერიზაციის რეაქციის კვლევა, თერმოდინამიკა, ოლეფინის ხსნადო ტელოგენში, ტემპერატურის, ოლეფინის კონცენტრაციის გავლენა ტელომერების შედგენილობაზე. რეკომენდირებულია რეაქციის ჩატარების ოპტიმალური პირობები.</p>					

**II. 2. პუბლიკაციები:**

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	N. Chkhubianishvili, L. Kristesashvili.	Investigation of reaction of telomerization of ethylene and trichloroacetic acid ethyl ester. New york, state nova science publishes „natural science steady technologies”	ამოდის 2015 წლის ბოლოს	აშშ	2

ანოტაცია

ჩატარდა ავტოკლაავური ცდების სერია სპეც. დანადგარზე პერიოდულად მოქმედ ავტოკლაავში. დადგინდა გამოყოფილი ტექნოლოგიების ინდივიდუალურობა. განისაზღვრა რეაქციისატვის სტანდარტული ტბური ეფექტები და ენტროპიის სიდიდე მოლეკულური სტრუქტურის მიხედვით, ჯგუფური შესწორების მეთოდით. შესწავლილია ეთილენის ხსნადობა ტელოგენში სპეც. ანადგარზე. დადგენილია ეთილენის კონვერსიის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, ასევე ინიციატორის გავლენა ტელომერების გამოსავალზე, როგორც ბპ-სათვის, ისე აიბნ-სათვის.

**გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ  
მასწავლებლების აქტივობები – 2015 წელს**

პროფესორი ნინო მუმლაძე:

1. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) – კონსულტანტი, (2015 წ., სექტემბერ-ნოემბერი) “მეთილბრომიდის განადგურების შესაძლებლობები საქართველოში” (კვლევის ჩატარება).
2. მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივითა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციაში “ავტორანსპორტიდან გამონაბოლქვის შემცირების ინოვაციური მიდგომები”
3. გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მარინე არაბიძის შეხვედრის ორგანიზება სტუ-ს გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან .
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის თეიმურაზ მურდულიას შეხვედრის ორგანიზება სტუ-ს გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტებთან, სადაც სამინისტროს ხედვები, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, პრიორიტეტები და დაგეგმილი აქტივობები იქნა განხილული.
5. საჯარო ლექცია სტუდენტებისათვის “NEA სფეროში”
6. მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული “გარემოსდაცვითი მმართველი” – ახალი სასწავლო პროგრამის პრეზენტაციაზე “ექსპო ჯორჯიაში”, რომელიც ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კადრების მომზადებას ითვალისწინებს.
7. მონაწილეობა პროგრამის “ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR)“ ორგანიზებით გამართულ “საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციის” (WMA) პრეზენტაციაზე.
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სტუდენტურ კონფერენციაზე “ოზონის შრე – სიცოცხლის ფარი”, სტუ-ს გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტების მიერ წარდგენილი, კონკურსის წესით შერჩეული სამი მოხსენების (“ოზონის წარმოქმნისა და დაშლის ციკლები ატმოსფეროში”, “ოზონის ხერხელების წარმოქმნა”, “გადავარჩინოთ ოზონის შრე”) ხელმძღვანელი.

ასოცირებული პროფესორი ჯიმშერ ქერქაძე:

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ჩატარდა ევროკავსირისა და იუნიდოს ერთობლივი სადემონსტრაციო პროექტის



პრეზენტაცია თემაზე: ”რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების განვითარება საქართველოში”. ამ პრეზენტაციის ფარგლებში, ჯ. ქერქაძის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება თემაზე: ”რესურსეფექტური და სუფთა წარმოების განხორციელების ძირითადი პრინციპები ერთი ქართული საწარმოს მაგალითზე”.

2. ჯ.ქერქაძე ამავე დროს არის რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ადგილობრივი სერტიფიცირებული ექსპერტი.

პროფესორი ლეილა გვერდწითელი:

1. ჩატარდა ერთობლივი სემინარი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამსრომელის ფიზ-მათ. მეც. დოქტორის ალექსანდრე სურმაგასთან ერთად გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის თემაზე: ”მდინარე მტკვარში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გავრცელების მოდელირება”.
2. ჩატარდა ერთობლივი სემინარი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის “Climate Reality Project” წევრის მაგისტრი გიორგი მეგრელიშვილთან ერთად გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულების პროფესორ მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის თემაზე: “გლობალური კლიმატის ცვლილება, მისი მიზეზები, შედეგები და გამოსავალი”.
3. შპს “გარდაბნის თბოსადგურში” (204კვ.სთ.ქვესადგური) აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ პერსონალისათვის საკვალიფიკაციო სწავლების ჩატარება წყალმომზადებისა და წყალქიმიური რეჟიმის მნიშვნელობა თბოელექტროსადგურის ექსპლოატაციის საიმედობისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით.

**გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულებით ამჟამად სრულდება ექვსი სამუშაო აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად:**

1. “ღარიშხანის სამრეწველო ნარჩენების განთავსების პირობების შესწავლა და მათი გავრცელების არეალის ეკოლოგიური შეფასება”. დოქტორანტი ნ. ბაგრატიონი. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი
2. “პალიასტომის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობაზე პათოგენური ბაქტერიების ზემოქმედების შესწავლა, მოდელირება და მისი აღკვეთის პრევენციული ღონისძიებები”. დოქტორანტი გ. აბრამია. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. დ. ერისთავი.
3. “ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დამუშავება მასობრივად გამრავლებადი ორგანიზმების წინააღმდეგ”. დოქტორანტი ა. მაისურაძე. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. ე. აბაშიძე.
4. “პირიტის კონცენტრატის და მანგანუმშემცველი ნედლეულის ერთობლივი ავტოკლაავური ჟანგითი გამოტუტვა”. დოქტორანტი ი. გელეიშვილი. ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ი. ბაზღაძე.

5. “რეციკლირება როგორც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუავა კარიერული წყლების გაწმენდის ტექნოლოგიის განხორციელების საშუალება”. დოქტორანტი ა. ბერეჟიანი. ხელმძღვანელი პროფ. შ. ანდლულაძე.
6. “მოლეკულურ-იონური სისტემების დებარირება დექტორირების ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანასისტემების დამუშავება-შექმნითა და საწარმოო დანერგვით.” დოქტორანტი გ. ბიბილეიშვილი. ხელმძღვანელი პროფ. ნ. მუმლაძე.

**გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის მიმართულებით ამჟამად სრულდება ოთხი სამუშაო მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად:**

- 1.“შპს”თოლიას” ნაყინისა და ვაფლის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.  
მაგისტრანტი ანა კვინიკაძე. ხელმძღვანელი პროფ. ლ. გვერდწითელი და პროფ. დ. ერისთავი.
- 2.“სპილენძის ნაერთების ზემოქმედება ბიოსფეროზე და ცოცხალ ორგანიზმებზე”  
მაგისტრანტი ს. ცოცხალაშვილი. ხელმძღვანელი პროფ. ც. ბაზდაძე.
- 3.“ზოგიერთი მძიმე მეტალებისა და ბიოგენური ელემენტების მიგრაცია ბიოსფეროს კომპონენტებში, ნაგავსაყრელების გავლენა მათ შემცველობაზე ნიადაგსა და წყალში”.  
მაგისტრანტი გ. კარგარეთელი. ხელმძღვანელი პროფ. ნ. მუმლაძე და ასოც. პროფ. მ. დემეტრაძე.
- 4.“გაზის და ბენზინის საწვავის ავტოგასამართი სადგურის ეკოლოგიური გამოკვლევა.”  
მაგისტრანტი გ.მდინარაძე. ხელმძღვანელი პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილი და პროფ. გ. მჭედლიშვილი.

**8. ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის მიმართულება**

- \* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფ. მამუკა მაისურაძე
- \* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

მამუკა მაისურაძე-პროფესორი;  
 გიორგი ფალავანდიშვილი-პროფესორი;  
 მანანა სირაძე-პროფესორი;  
 მზია ანდლულაძე-ასოც. პროფესორი;  
 ანასტასია დიდიძე-ასოც. პროფესორი;  
 ლალი ქრისტესაშვილი- ასოც. პროფესორი;  
 გიული ჯიხაძე- ასოც. პროფესორი;  
 ნინო მეძმარიაშვილი- ასოც. პროფესორი;  
 მანანა მათნაძე- ასოც. პროფესორი;

ნინო ნეფარიძე-ასისტ. პროფესორი;  
 ნანა გახიკიძე-ასისტ. პროფესორი;  
 ეკა ჩხაიძე- ასისტ. პროფესორი.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. დიდიძე	РЕЛИКТОВЫЕ АЛКАНЫ И НАФТЕНЫ В НЕФТЯХ ГРУЗИИ	სტუთბილისი	151
ანოტაცია				
<p>აირ-თხევად ქრომატოგრაფიისა და ქრომატომას-სპექტომეტრიის მეთოდებით შესწავლილია საქართველოს ნავთობების სართიჭალა, პატარძეული, ნორიო, თელეთი, მირზაანი, შრომის უბანი, პარაფინული და ციკლოპარაფინული ნახშირ წყალბადები (დუღილის საწყისიდან - დუღილის ბოლომდე და ფრ. 420°C -ზე ზე მით); თითოეული ნავთობისათვის განსაზღვრულია &lt;math&gt;\leq 200&lt;/math&gt; ინდივიდუალური ნაჯერი ნახშირწყალბადი, ძირითადი რელიქტური.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, შურნალის/კრებულის დასახელება	შურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ. სირაძე	საპნის ფუძის შრობის პროცესის ანგარიში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე	2015, № 1 – 2	თბილისი	3
ანოტაცია					
<p>დადგენილი თანაფარდობა შეიძლება გამოყენებული იქნას საპნის შრობის ვაკუუმ-საშრობი კამერის კონსტრუირებისა და ანგარიშისათვის, აგრეთვე მოცემული ტენშემცველობის საპნის მიღების პროცესის ავტომატური</p>					

რეგულირებისათვის.					
2	მ. სირაძე	სინთეზური რთულეთეროვანი ცვილის სტრუქტურა და თვისებები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე	2015, № 1 – 2,	თბილისი	2
ანოტაცია					
დადგენილია, რომ სინთეზური და ნატურალური ცვილის ძირითადი მაჩვენებლები ახლოსაა ერთმანეთთან. მათი რეოლოგიური თვისებები კარგად კორელირდებიან მათ მიკროსტრუქტურასთან. ცვილის ბუნებიდან დამოუკიდებლად ისინი წარმოქმნიან მაღალსტრუქტურულ სისტემებს.					
3	მ. სირაძე	მზესუმზირის და ბამბის ზეთების რაფინირების პროცესი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე	2015, № 3.	თბილისი	3
ანოტაცია					
დამუშავებულია მზესუმზირისა და ბამბის ზეთების ტუტე ნეიტრალიზაციის ტექნოლოგია ტუტეწყალსპირტიანი ხსნარების გამოყენებით. სპირტებად გამოყენებულია ნორმალური აგებულების ალიფატური სპირტები.					
4	მ. სირაძე	სტაციონარული კატალიზატორი ბამბის ზეთის ჰიდროგენი-ზაციისათვის. Georgian Engineering news	2015, №4.	თბილისი	3
ანოტაცია					
ნიკელ-სპილენძ-ალუმინის სტაციონარულ კატალიზატორზე კალისა და სპილენძის ფარდობის შერჩევამ შეიძლება უზრუნველყოს ბამბის ზეთის ჰიდროგენიზაციის პროცესის მაღალი სიჩქარე და სელექტიურობა.					
5	მ. სირაძე ი. ბერძენიშვილი	ხსნარებში ტუტის შემცველობის გაზომვის მეთოდი. საქართველოს ქიმიური ჟურნალი	2015, № 5.	თბილისი	3
ანოტაცია					
ხსნარებში ტუტის შემცველობის გაზომვისათვის ყველაზე მეტ სიზუსტეს იძლევა გაზომვა სიმკვრივის მიხედვით. ეს მეთოდი ნაკლებად შრომატევადია, არ საჭიროებს გასატიტრ ხსნარებს, არანაირ ხელსაწყოებს არეომეტრის გარდა და შეიძლება გამოყენებულ იქნას გაზომვებისათვის საწარმოო პირობებში.					

6	მ. სირაძე ი. ბერძენიშვილი	საკვები მზესუმზირის ფქვილის წარმოება. საქართველოს ქიმიური ჟურნალი	2015, № 5.	თბილისი	4
ანოტაცია					
მზესუმზირის ნედლეულის პროტეინის მაღალი ხარისხისა და კვებითი ღირებულების გამომზესუმზირის ფქვილი გამოყენებულია საკვები მიზნებისათვის. ნაწილობრივ ცხიმგამოცლილი მზესუმზირის ფქვილი წარმოადგენს საკვებ ნედლეულს საკონდიტრო წარმოებისთვის.					
7	ლ. ქრისტესაშვილი ნ. ჩხუბიანიშვილი	რადიკალური ტელომერიზაციის რეაქციის შესწავლა საქართველოს ქიმიური ჟურნალი	2015, №1	თბილისი	3
ანოტაცია					
ნაშრომში წარმოდგენილია ეთილენისა და ტრიქლორმმარმჟავა ეთილის ეთერის რადიკალური ტელომერიზაციის რეაქციის კვლევა, თერმოდინამიკა, ოლეფინის ხსნადობა ტელომერში, ტემპერატურის, ოლეფინის გავლენა ტელომერების შემადგენლობაზე, ჯაჭვის გადაცემის კონსტანტები. რეკომენდებულია რეაქციის ჩატარების პირობები.					
8	ლ. ქრისტესაშვილი ნ. ჩხუბიანიშვილი მ. ქავთარაძე გ. მჭედლიშვილი	ელექტროდიალიზის მეთოდით კარიერული წყლების გაწმენდა და ელექტრული ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. საქართველოს ქიმიური ჟურნალი	2015, №2	თბილისი	4
ანოტაცია					
კარიერული წყლების გაწმენდა-უტილიზაციის მიზნით დადგენილია ხსნარის გაწმენდისა და ლითონთა კონცენტრირების ელექტროდიალიზის პროცესის ოპტიმალური ელექტრული პარამეტრები.					

**II. 2. პუბლიკაციები:**

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულის	გამოცემის ადგილი,	ბეჭდვების რაოდენობა
---	---------------------	---------------------------------------	-----------------------	----------------------	------------------------

	დასახელება	ნომერი	გამომცემლობა		
1	L.Kristesashvili, N.Chkhubianishvili	Investigation of reaction of telomerization of ethylen and trichloroacetic acid athyl aster. Natural Science Steady Technologies.	2015, #1	აშშ	4
ანოტაცია					
ჩატარდა ავტოკლავური ცდების სერია სპეც. დანადგარზე პერიოდულად მოქმედ ავტოკლავში. დადგინდა გამოყოფილი ტელომერების ინდივიდუალობა. განისაზღვრა რეაქციისათვის სტანდარტული თბური ეფექტები და ენტროპიის სიდიდე მოლეკულური სტრუქტურების მიხედვით. დადგინდა ეთილენის კონვერსიის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, ასევე ინიციატორის გავლენა ტელომერების გამოსავლიანობაზე.					

**9. ბიონანოსამედიცინო, კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგიის, ინსპექციის, კონტროლის მიმართულება**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ზვიად კოვზირიძე.

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. ზვიად კოვზირიძე, პროფესორი; საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის (სკა) დამფუძნებელი და პრეზიდენტი. კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის საბჭოს წევრი 2007 წლიდან, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების საბჭოს წევრი 2002 წლიდან და ამ ორგანიზაციის, როგორც არამომგებიანი საზოგადოების თანადამფუძნებელი 2013 წლიდან, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალ “კერამიკის” დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, საერთაშორისო, იმპაქტ ფაქტორიანი ჟურნალის “Journal of Ceramic Science and Technology” თანადამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი, ჟურნალი გამოდის ქ. ბადენ-ბადენში 2010 წლიდან.
2. ნათელა ნიჟარაძე, პროფესორი; ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების და მსოფლიო კერამიკოსთა საზოგადოების წევრი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალ “კერამიკის” სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი;
3. მაია მშვილდაძე, პროფესორი; სკა წევრი, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების წევრი.
4. გულნაზი ტაბატაძე, ასოცირებული პროფესორი; ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების და მსოფლიო კერამიკოსთა საზოგადოების წევრი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალ “კერამიკის” სარედაქციო კოლეგიის წევრი; სკა წევრი.

5. ეკა ნიკოლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი; სკა წევრი
6. ზვიად მესტვირიშვილი, მოწვეული პედაგოგი; სკა წევრი, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების საბჭოს წევრი 2014 წლიდან. ჟურნალის „კერამიკა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.
7. ვერიკო ქინქლაძე უფ. ლაბორანტი; სკა წევრი.
8. მაია ბალახაშვილი, ლაბორანტი; სკა წევრი.
9. ნინო დარახველიძე ლაბორანტი (0,5 ს.ე.); სკა წევრი.

## II. 1. პუბლიკაციები:

### ა) საქართველოში

#### მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. კოვზირიძე ნ. ნიჟარაძე გ.ტაბატაძე ჯ.ანელი	ნანოტექნოლოგიებით მიღებული მრავალკომპონენტიანი გაუმჯობესებული სტრუქტურის კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციები	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი, კოსტავას 77 2015 წ.	12 თაბახი
<p>მონოგრაფიაში განხილულია კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიები და მათში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები. მოცემულია მასალათა თვისებები და მათი გამოყენების სფეროები, მათი მასალათმცოდნეობის საკითხები, თვისებათა გაუმჯობესების გზები. შესწავლილია მასალათა მორფოლოგიური თვისებები, გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედება მასალათა თვისებებზე, მათ სტრუქტურულ ცვლილებებზე.</p> <p>მონოგრაფია განკუთვნილია სტუ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს: სამშენებლო, სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისათვის</p>				

#### სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათაური, ჟურნალის	ჟურნალის/	გამოცემის ადგილი,	გვერდების

	ავტორები	ღის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	გამომცემლობა	რაოდენობა
1	ზ.კოფჩირიძე ნ. ნიჟარაძე, მ.ბალახაშვილი	მაღალცეცხლგამძლე დოლომიტ- სერპენტინიტური ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება ცემენტის და მეტალურგიული ღუმელების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს საინჟინრო აცადემია, ბიზნეს – ინჟინერინგი, №1,2015, გვ 134-138.	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	5

ანოტაცია

შესწავლილია საქართველოში მაღალ ტემპერატურაზე (>14500C) მომუშავე საწარმოების მუშაობის პირობები და მაღალტემპერატურულ ზონებში ამონაგის სახით გამოყენებული მასალები, მოთხოვნები, რომლებიც ამ მასალებს წაყენებათ.

შესწავლილია საქართველოში არსებული დოლომიტისა და სერპენტინიტის საბადოები და დადგენილია მათ ბაზაზე მაღალცეცხლგამძლე კლინკერის მიღების შესაძლებლობა.

გათვლილია უცხოეთიდან შემოტანილი ცეცხლგამძლეების ადგილობრივი ნაკეთობის შეცვლით მიღებული ეკონომიკური ეფექტი ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელებისათვის.

ჩატარებულია მიღებული კლინკერის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა და მოცემულია დოლომიტისა და სერპენტინიტის ქიმიური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგები.

2	ზ.კოფჩირიძე გ.მენტეშაშვილი, პ. ხორავა	მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კანის და კანქვეშა სიმსივნური დაავადების სამკურნალო აპარატი	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” მოც. 17 1(33), 2015,გვ. 15-22	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	7
---	---	---	---	---	---

ანოტაცია

სამუშაოს მიზანია კანის და კანქვეშა ზედაპირული სიმსივნური დაავადებების მკურნალობა მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით. შესწავლილია ჰიპერთერმიის მონოთერაპიული ეფექტი კიბოს დაავადებების წინააღმდეგ. მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდის განვითარებისათვის, ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ლაბორატორიული ხელსაწყო ”ლეზი“, რომელიც შეიქმნა სტუ-ის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი. დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი ლოკალური ჰიპერთერმია და მაგნიტური ჰიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). შედეგად დადგენილია, რომ ყველა ცხოველში (3 თვის ალბინოსი თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკროზი. 7–10 სეანსის შემდეგ სიმსივნე დაწყულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მიუთითებს (პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორია



“პათჯეოს” დასკვნა. გამოკვლევა №3119-12 და ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა №15272-13. ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით სტუის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში შეიქმნა კლინიკური აპარატურა „ლეზი 1“, ვოლუნტარი პაციენტებისათვის მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კანის და კანქვეშა სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ. დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა-6193, “მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კანის და კანქვეშა სიმსივნური დაავადებების სამკურნალო აპარატი”.

3	ზ.კოფჩირიძე ნ.ნიჟარაძე, მ.ბალახაშვილი, ზ.მესტვირიშვილი	გრაფიტის ნანოფხვნილის გაგლეხა დოლომიტ- სერპენტინიტური კომპოზიტის თვისებებზე	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა”, მოც. 17 1(33), 2015, გვ. 22-31	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	11
---	---	---	--	---	----

ანოტაცია

განხილულია დოლომიტ-სერპენტინიტური კომპოზიტი ნახშირბადშემცველი დანამატისა და შემკვრელის გამოყენებით. ნახშირბადშემცველი დანამატის სახით შერჩეულია გრაფიტის ნანოფხვნილი, შემკვრელის სახით გშ 4-ის 20%-ანი ხსნარი. შესწავლილია მათი გაგლეხა კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკურ თვისებებზე, ასევე დანამატის რაოდენობისა და დაყალიბების წნევის ცვლილების გაგლეხა. კვლევა ჩატარებულია დიფერენციალურ-თერმული და ელექტრონული მიკროსკოპიის ანალიზის მეთოდით. შედგენილია კომპოზიტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა.

4	ზ.კოფჩირიძე, ნ.ნიჟარაძე, მ.ბალახაშვილი, გ.ტაბატაძე, მ.მშვილდაძე	სქურის ადგილმდებარეობის დოლომიტის შესწავლა მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტების წარმოებისათვის	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა”, მოც. 17 2(34), 2015, გვ. 5-14	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი, კოსტავას 77	9
---	---	--	---	---	---

ანოტაცია

ჩატარებულია სქურის საბადოს დოლომიტის სინჯების დეტალური კვლევა ქიმიური, თერმოგრაფიული, მიკროსტრუქტურული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეშვეობით.

დადგენილია, რომ სქურის საბადოს დოლომიტი მაღალხარისხოვანი ნედლეულია მაღალცეცხლგამძლე დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის მისაღებად, ხასიათდება ერთგვაროვნებით, მიეკუთვნება I კლასის დოლომიტებს და კირმაგნეზიალური მოდულის მნიშვნელობა თეორიულთან (1,39) შედარებით ბევრად მაღალი აქვს (1,62).

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Z. Kowziridze, N. Nijaradze, G. Tabatadze, N. Darakhvelidze, Z. Mestvirishvili	Smart Materials in the Sialon-SiC-Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> System	Journal of Material Science and Engineering,	International Conference and Expo on Ceramics. August 17-18, 2015 Chicago, USA	3

## III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Z. Kowziridze, N. Nizharadze, M. Balakhashvili. Z. Mestvirishvili	Effect of graphite nanopowder on the properties of dolomite-serpentinite composite	Innovative Technologies in Metallurgy and Materials science, International conference 16-18 July, 2015, Tbilisi, Georgia. Georgian Technical University
ანოტაცია			
<p>ჩატარებულია საქართველოს დოლომიტების სამი საბადოს (აბანო, სკური, მუსური) და სერპენტინიტების (წნელისი, სახხერე) შედარებითი კვლევა მათი ვარგისობის დადგენის მიზნით მაღალცეცხლგამძლე კლინკერის მისაღებად.</p> <p>კვლევა ჩატარებულია ქიმიური, თერმული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდებით. შესწავლილია დოლომიტ-სერპენტინიტური კომპოზიტი ნახშირბადშემცველი დანამატისა და შემკვრელის გამოყენებით. ნახშირბადშემცველი დანამატის სახით შევარჩიეთ გრაფიტის ნანოფხენილი, მარკა TIMREX KS 6, შემკვრელის - MgSO<sub>4</sub>-ის 20%-ანი ხსნარი 10% დამატებით. შევისწავლეთ მათი გავლენა კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკურ თვისებებზე. აგრეთვე ამ თვისებებზე დანამატის რაოდენობისა და დაყალიბების წნევის ცვლილების გავლენა. კომპოზიტის შემცველი ნახშირბადის დაჯანგვის თავიდან აცილების მიზნით კაზმში ანტიდამუანგავის სახით შეყვანილია სილიციუმი და შერჩეულია გამოწვის რეჟიმი. ასევე კაზმში შეყვანილია კომპლექსური მოქმედების პლასტიფიკატორი.</p>			

კვლევა ჩატარებულია დიფერენციალურ-თერმული და ელექტრონული მიკროსკოპის ანალიზის მეთოდით.  
 ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს დაწნევის წნევა 100მპა, დამატებული გრაფიტის ნანოფხვნილი 15% და შემკვრელი შეიძლება იყოს მაგნიუმის სულფატის 20% ხსნარიც და წყალი, რადგან ამ უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაშიც მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგი.

2	Z. Kowziridze, N. Nijaradze, G. Tabatadze, N. Darakhvelidze, Z. Mestvirishvili	Application of Alum-Thermal and Nitrogen methods for obtaining Nano-composites in the systems of SiC-Sialon and Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> -Sialon	Innovative Technologies in Metallurgy and Materials science, International conference 16-18July, 2015, Tbilisi, Georgia. Georgian Technical University
---	--	--	--

ანოტაცია

რეაქციული შეცხოვის მეთოდით 1450<sup>0</sup>C-ზე, გეოპოლიმერის (კაოლინი) , ალუმინის ნანო-ფხვნილის, სილიციუმის, ალუმინის ოქსიდის, სილიციუმის კარბიდის, იტრიუმის, მაგნიუმის ოქსიდების და მინისებური პერლიტის (არაგაცი, სასომხეთი) მცირე დანამატებით მიღებულია სიალონ შემცველი ნანო-კომპოზიტი. **მეთოდი** - კომპოზიტი მიღებულია რეაქციული შეცხოვის მეთოდით 1450<sup>0</sup>C-ზე ალუმოთერმული და აზოტირების პროცესით აზოტის გარემოში. **შედეგები** - ამ მეთოდის უპირატესობაა ის, რომ ფხვნილში, რომელიც ახალ დაყალიბებულია თერმული დამუშავების პროცესში ურთიერთქმედების შედეგად: Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>, Si, ALN რეაქციულები არიან და წარმოქმნიან SiAlON –ს შედარებით დაბალ 1300 – 1350<sup>0</sup>C ტემპერატურაზე. აღსანიშნავია, რომ α-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> და ALN ჩანერგვა β-Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>–ის კრისტალურ მესერში შედარებით ადვილია აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში, როდესაც Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>–ის მესერი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ SiAlON – ის სიმაგრე და კოროზიული მედეგობა იმატებს სილიციუმის კარბიდის და კორუნდის შემცველობით კომპოზიტში.

ნაშრომში წარმოდგენილია SiC- SiAlON Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiAlON და β-SiAlON- ის ფორმირების პროცესები კომპოზიტში და აღწერილია მათი ფიზიკური და ტექნიკური თვისებები. ღია ფორიანობა მიღებული მასალებისა ტოლია 15-16%. სიმაგრე როკველით HRA=94; HV=18 გპა; მექანიკა ღუნვაზე 500-550 მპა. ფაზური შედგენილობა შესწავლილია რენტგენოსტრუქტურული ანალიზით, ოპტიკური და ელექტრონულ-მიკროსკოპიული ანალიზებით.

3	Z. Kowziridze, G. Menteshashvili, P. Khorava, Kh. Bluashvili	Controlled local Hyperthermia and Magnetic Hyperthermia of Surface (skin) cancer Diseases	Innovative Technologies in Metallurgy and Materials science, International conference 16-18July, 2015, Tbilisi, Georgia. Georgian Technical University
---	---	---	--

ანოტაცია

ბიონანოკერამიკული სუპერპარამაგნეტიკების და ბიონანოკომპოზიტების მიღების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ძეგა პოტენციალის ხელსაწყოში, სადაც ელექტროლიტის სახით იყენებენ რკინის ქლორიდის 5%-იან წყალხსნარს, ხოლო მის ზემოთ ათავსებენ ტოლუოლს 0,6-0,7% ოლეინის მჟავის დანამატით, ელექტროლიტში 0,5 /დმ2 სიმკვრივის დენის

გატარებით ანოდიდან რკინის იონების გამოყოფას და მათ დაფენას კათოდის ზედაპირზე. კათოდის ბრუნვის შედეგად ტოლუოლის ფენაში მისი ამოტანით აცილებენ მისგან რკინის ნაწილაკებს და ტოლუოლის დაბურვისთანავე ამთავრებენ ელექტროლიტურ პროცესს. ტოლუოლის ფენას განაცალკევებენ, აშრობენ და ნარჩენის შემდგომი გამოწვით მუფელის ელექტროლუმელში კიურის ტემპერატურის ზევით (770-800°C) და დაჟანგვით, იღებენ ალფა რკინის უნგს პარამაგნიტურ მდგომარეობაში და ბიონანოკერამიკული სუპერპარამაგნიტიკების გამოყენება ჰიპერთერმისათვის ავთვისებიანი დაავადებების სამკურნალოდ.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.	Z. Kowziridze, N. Nijaradze, G. Tabatadze, N. Darakhvelidze, Z. Mestvirishvili	Smart Materials in the Sialon-SiC- Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> System	Conference and Expo on Ceramics. August 17-18, 2015 Chicago, USA
<p>ანოტაცია</p> <p>რეაქციული შეცხოების მეთოდით 1450°C-ზე, გეოპოლიმერის (კაოლინი) , ალუმინის ნანო-ფხვნილის, სილიციუმის, ალუმინის ოქსიდის, სილიციუმის კარბიდის, იტრიუმის, მაგნიუმის ოქსიდების და მინისებური პერლიტის (არაგაცი, სასომხეთი) მცირე დანამატებით მიღებულია სიალონ შემცველი ნანო-კომპოზიტი. <b>მეთოდი</b> - კომპოზიტი მიღებულია რეაქციული შეცხოების მეთოდით 1450°C-ზე ალუმოთერმული და აზოტირების პროცესით აზოტის გარემოში. <b>შედეგები</b> - ამ მეთოდის უპირატესობაა ის, რომ ფხვნილში, რომელიც ახალ დაყალიბებულია თერმიული დამუშავების პროცესში ურთიერთქმედების შედეგად: Si<sub>3</sub>N<sub>4</sub> , Si , ALN რეაქციულები არიან და წარმოქმნიან SiAlON –ს შედარებით დაბალ 1300 – 1350°C ტემპერატურაზე. აღსანიშნავია, რომ α-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> და ALN ჩანერგვა β-Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>–ის კრისტალურ მესერში შედარებით ადვილია აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში, როდესაც Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>–ის მესერი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ SiAlON – ის სიმაგრე და კოროზიული მედეგობა იმატებს სილიციუმის კარბიდის და კორუნდის შემცველობით კომპოზიტში.</p>			
2.	Z. Kowziridze, N. Nijaradze, G. Tabatadze, N. Darakhvelidze, Z. Mestvirishvili	Obtaining of SiAlONs via alum- thermal and nitrogen processes	14 <sup>th</sup> International Conference of European Ceramic Society, 21-25 June, Toledo, Spein Poster 2348. 2015

ანოტაცია			
<p>შესწავლილია სიალონების მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები 800-1500°C ტემპერატურულ ინტერვალში. შერჩეულია კაზმის შედგენილობები და გამოწვის რეჟიმი. მიღებულია კომპოზიტები SiC-SiAlON და Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiAlON სისტემაში. დადგენილია, რომ კაოლინ-ალუმინის პუდრას ნარევის გამოწვისას 1500°C-ზე მიიღება X-სიალონი, ხოლო SiC-ალუმინის პუდრა, სილიციუმი და Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ალუმინის პუდრა-სილიციუმის ნარევის გამოწვით 1500°C-ზე წარმოიქმნება β-სიალონი. შესწავლილია მასალათა კოროზიული თვისებები. კვლევა ჩატარებულია რენტგენოსტრუქტურული და მიკროსკოპული ანალიზის მეთოდებით.</p>			
3.	<p>Z. Kowziridze, G. Menteshashvili,** P. Khorava,** Kh. Bluashvili*</p>	<p>CONTROLLED LOCAL HYPERThERMIA AND MAGNETIC HYPERThERMIA OF SURFACE (SKIN) CANCER DISEASES</p>	<p>14<sup>th</sup> International Conference of European Ceramic Society, 21-25 June, Toledo, Spain Poster 2348. 2015</p>
ანოტაცია			
1. მოხსენებაში განხილულია საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე განვითარებული მოვლენები საჯარო სამსახურის რეფორმის თვალთახედვით. ყურადღებაა გამახვილებული, შეცდომებზე, პრობლემებსა და მომავლის გამოწვევებზე. მოცემულია საქართველოს სამივე ხელისუფლების განვითარების რეტროსპექტივა, თუმცა ძირითადი ყურადღება აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელებულ ცვლილებებსა და მომავალ პერსპექტივას ეხება, ამ თვალზაზრისით სერიოზული შენიშვნებია გამოთქმული 2015 წელს მიღებულ კანონთან “საჯარო სამსახურის შესახებ” დაკავშირებით.

2. მოცემულ ნაშრომში განიხილება საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმები – ინტეგრირებული და კოოპერაციული სტრუქტურები, რომლებიც ახდენენ ბიზნესის სტრატეგიული მიზნების რეალიზაციას.

3. მოხსენებაში განხილულია საჯარო მმართველობის სხვადასხვა სისტემები და მეთოდები. ნაჩვენებია, თუ როგორ შეძლება მართვის მეთოდების სრულყოფა დემოკრატიული სახელმწიფო მართვის პირობებში.

4. მოხსენებაში ნაჩვენებია სამოქალაქო გაერთიანებებს მნიშვნელობა, რაც განსაკუთრებით 1980-იანი წლებიდან გაიზარდა და სამოქალაქო სექტორს ადგილი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. ასევე, განხილულია არასამთავრობო ორგანიზაციების არსი, ტიპები, ფუნქციები, ზრდის დინამიკა, აქტივობები და ის ფაქტორები, რომლებიც მათ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ნაშრომში ასევე განხილულია სხვადასხვა კვლევის შედეგები.

5. მოხსენებაში გაანალიზებულია ის თეორიული მოთხოვნები, რომლებიც განაპირობებს ბიზნეს-მოტივაციის გამოყენების შესაძლებლობებს კომპანიათა ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, ნაჩვენებია, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით ბიზნეს-მოტივაციის რეკომენდაციების გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული რეალობა კონკრეტული ბიზნეს და კულტურული გარემოსთვის. ამ კუთხით დანახულია მოტივაციის შესაძლებლობები საქართველოს ბიზნეს სივრცეში.

6. მოხსენებაში განხილულია პროგნოზირების მეთოდოლოგია კიბერნეტიკული მიდგომით, რომლის მეშვეობით ახსნილია ის გლობალური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს თანამედროვე სამყაროში.

7. დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხის განხილვა საჯარო ადმინისტრირებისა და მმართველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. საერთოდ,

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნებს შორის. რის მიზეზადაც თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სხვადასხვა საზოგადოებასა და რეგიონს პოლიტიკურ ჭრილში ტერმინი „ადგილობრივის“ თავისებური გაგება გააჩნიათ. დღეს რეალურად საფრანგეთში, ფაქტიურად არ არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი ძალაუფლება, რომელიც გარკვეულწილად რაიმე შეხებაში არ არის ცენტრალურ მთავრობასთან. რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების უმრავლესობა მაინც ცენტრალური ხელისუფლების მითითებებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ახორციელებენ. რეალურად, საფრანგეთის მმართველობის განაწილება რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე, უფრო ადმინისტრაციულ მიზნებს ემსახურება, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკის გატარებას. მიუხედავად ამისა, ცხადია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სხვადასხვა მთავრობების მიერ საფრანგეთის ადმინისტრაციული სისტემის რაციონალიზაციისთვის გაწეულმა მცდელობამ, უფრო თანამედროვე და ადგილობრივად დემოკრატიული სისტემა ჩამოაყალიბა, ვიდრე მანამდე არსებობდა.

8. „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტი შანსს აძლევს საქართველოს – გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, დაიბრუნოს სატრანზიტო ქვეყნის ისტორიული ფუნქცია და მისი საშუალებით დასახოს განვითარების ახალი პერსპექტივები. ბიზნესის კეთების სიმარტივითა და კორუფციის დაბალი მაჩვენებლის საფუძველზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, საქართველოს შეუძლია გაზარდოს საინვესტიციო პოტენციალი. „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტი შექმნის ბევრ შესაძლებლობას, რაც საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აქცევს.

9. მდინარეთა აუზების დაბინძურების კვლევის მეთოდი, დაბინძურების ანალიზის და შეფასების მეთოდი, გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია და მოდელი.

10. ნიადაგების ანალიზისა და შეფასების მეთოდი, სარებილიტაციო პროგრამის და სამუშაოების განსაზღვრა.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გენადი იაშვილი	ელექტრონული დემოკრატია, ელექტრონული მთავრობა და ელექტრონული საზოგადოება	საფრანგეთი, პარიზი 21-22 იანვარი 2015

2	თონა ბაქანიძე	სტრატეგიული და კორპორაციული მართვა.	უკრაინა, ლვოვი 14-15 სექტემბერი
<p>2. სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე ორგანიზაციისათვის აქტუალური მართვის ორი სახე: სტრატეგიული და კორპორაციული მართვა. განხილულია სტრატეგიული მართვა, როგორც სამეწარმეო საქმიანობა. ორგანიზაციის შესაძლებლობები წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, რომელიც მიმართულია სტრატეგიული მიზნების მიღწევისაკენ. მთლიანობაში, სტრატეგიული პრობლემებით დაკავებული მენეჯერის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მომგებიანობის მუდმივი პოტენციალის უზრუნველყოფა. ამრიგად, სტრატეგიული მართვის მიზანია გაზარდოს ორგანიზაციის პოტენციალი, თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით. სტატიაში ასევე განხილულია კორპორაციული მართვა, როგორც კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურა. იგი არის კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი, კორპორაციული მართვა მოიცავს ურთიერთობებს კომანიის მენეჯმენტს, მის სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტი დაკავშირებულია კორპორაციებში გარე კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფასთან.</p>			

**IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	<p>”Regional Cooperation for Black Sea River Basins Environmental Protection from Agricultural Poluters”</p> <p>ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა</p>	ბესარიონ ფარცვანია	ABC, PRI, RECM, BDCA, ECCG, AHDER	EU BSB CBC
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>- საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანების ხელშეწყობა;</li> </ul>				

- მდინარეების: რიონი (საქართველო), პრუტი (რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა), ზაქარია (თურქეთი), ქაშია (ბულგარეთი), აუზების გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამების შემუშავება.

**IV. 2.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	"სასტუმრო მეურნეობის მართვის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში"	ალექსანდრე ედიბერიძე	თეონა ბაქანიძე მიხეილ ქანთარია	ევროგაერთიანების ტემპუსის № 544191 პროექტი
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები</p> <p>1. პროექტის ხანგრძლივობა 3 წელი, 01.12.13 – 01.12.2016.  ევროპიდან წარმდგენი ორგანიზაცია – ესპინიოს უნივერსიტეტი (პორტუგალია).  საქართველოდან პარტნიორი ორგანიზაციები:  საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (წამყვანი უნივერსიტეტი)  გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  თბილისის "გორგასლის" უნივერსიტეტი. პროექტში ამ უნივერსიტეტებში შემუშავდება და დაინერგება 1 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო სპეციალობა ტურიზმის მომსახურების მართვის სფეროში.</p>				

**სხვა აქტივობა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტისთვის 2015 წელი თანმიმდევრული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით აღინიშნა.

დეპარტამენტში დასაბამი მიეცა სამეცნიერო-თეორიული სემინარების ჩატარების პრაქტიკას. პროფესორ-მასწავლებლები კვარტალში ერთხელ დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების წინაშე მოხსენებით გამოდიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მიღწეული შედეგებით. პირველი სემინარი შედგა 2015 წლის 10 დეკემბერს. მოსმენილ იქნა პროფესორ იორგი ბაღათურიას მოხსენება “კიბერნეტიკული პრინციპების გამოყენება პოლიტიკური პროცესების პროგნოზებისთვის: ავლანეთიდან ისლამურ სახელმწიფომდე”. მეცნიერმა გამოთქვა ჰიპოთეზა პოლიტიკური პროგნოზირების კიბერნეტიკული მეთოდოლოგიით დამუშავების თაობაზე. საილუსტრაციოდ წარმოადგინა მის მიერ ამ მეთოდოლოგიით დამუშავებული პროგნოზი სირიის კონფლიქტის პროგრესირებისა და მსოფლიოსთვის მისი ნეგატიური შედეგების თაობაზე. დამსწრე მეცნიერებმა გამოთქვეს თავისი პრინციპული მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2015 წლის 28 ნოემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა მე-9 საერთაშორისო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება -2015”, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა - 114 პროფესორმა, ახალგაზრდა მეცნიერმა და მკვლევარმა. (კონფერენციის სამუშაო ენებია – ქართული, ინგლისური, რუსული). კონფერენციაზე მუშაობდა შემდეგი სექციები: „საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის თეორია, პრაქტიკა, მეთოდოლოგია“; „დიპლომატია“; „ისტორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური გაკვეთილები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის ეკონომიკური საკითხები“; „პოლიტიკა და კულტურა“; „სახელმწიფო და რელიგია“.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში „ხელისუფლება და საზოგადოება (თეორია, ისტორია, პრაქტიკა)“ და „სკრიპტა მანენტი“, ასევე კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორის - ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე (აღსანიშნავია, რომ ასოციაციის წევრთა შორის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორა და სტუდენტები ჭარბობენ).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წელს განხორციელდა საჯარო მმართველობაში დოქტორის აკადემიური ხარისხის პირველი მინიჭება საქართველოში. ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ საჯარო მმართველობის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭა საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ 7 დოქტორანტს:

1. დავით შამოვევი

დისერტაციის თემა - ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ხარისხის ამაღლების ფაქტორი;

2. დავით ლელაძე

დისერტაციის თემა: ელექტრონული მთავრობა;

3. ვანო ზარდიაშვილი  
დისერტაციის თემა - აღმასრულებელი ხელისუფლების როლი და ადგილი ხელისუფლების თანამედროვე ორგანიზაციაში;

4. კონსტანტინე საბიაშვილი  
დისერტაციის თემა -საქართველოს სახელმწიფო მართვისა და დიპლომატიური სამსახურის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა თანამედროვე ეტაპზე;

5. ნათია გოცაძე  
დისერტაციის თემა - საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი თანამედროვე საქართველოს საჯარო მმართველობაში;

6. ნათიაქოიავა  
დისერტაციის თემა: პრაგმატული იდეალიზმის მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე დემოკრატიის მშენებლობისათვის.  
ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში მესამე წელია ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია. შექმნის დღიდანვე ლაბორატორიის საქმიანობა წარიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების კვლევის მიმართულებით, რაც ფრიად აქტუალური და მნიშვნელოვანია თანამედროვე ვითარებაში.

ლაბორატორიის უმთავრეს ამოცანაა მეცნიერულად გაანალიზებული და კვლევის თანამედროვე მეთოდის გამოყენებით ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების შესწავლა, ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მომავალი საჯარო მოხელეების სათანადო ცოდნით აღჭურვა.

კვლევებში ჩაბმულია საჯარო მმართველობის სტუდენტები, მაგისტრები, დოქტორანტები მომზადდა და მზადდება პუბლიკაციები, საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე. სტუდენტები მოხსენებებით წარსდგენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე „ხელისუფლება და საზოგადოება“ (2013, 2014, 2015 წწ.).

ლაბორატორია აქტიურადაა ჩაბმული იმ სამუშაოში, რომელიც უკავშირდება დეპარტამენტში 14 სადოქტორო და 2 სამაგისტრო დისერტაციის მზადებას ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკის ირგვლივ. გამოქვეყნდა 12 სამეცნიერო სტატია, მარტო მიმდინარე წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება - 2015“ აღნიშნულ პრობლემატიკას მიეძღვნა პროფესორ-მასწავლებელთა 2 და დოქტორანტთა 4 გამოსვლა.

მიმდინარე ეტაპზე მუშავდება შემდეგი თემები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საჯარო მმართველობაში;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანად განხორციელება-წარმატებული თვითმმართველობის საფუძველი;
3. მუნიციპალიტეტის ორგანოების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილი და როლი საჯარო ხელისუფლების სისტემაში;
5. საარჩევნო სისტემების გავლენა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზე;
6. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური სისტემის შედარებით ანალიზი საფრანგეთსა და საქართველოში;
7. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ინსტიტუციონალური ფაქტორი;
8. ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური მართვის საკითხები;
9. თვითმმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები;
10. პოლიტიკური და ადმინისტრაციული მმართველობის გამიჯვნის პრინციპები საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობაში;
11. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება – ეფექტიანი საჯარო მმართველობის საფუძველი საქართველოში;
12. სახელმწიფო მართვის სისტემაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემა და მათი გადაჭრის გზები;
13. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ინსტიტუციონალური ფაქტორი;
14. თვითმმართველობის განსაკუთრებული სტატუსის რეალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები ქალაქ თბილისში;

ამ მიმართულებით დამუშავებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (ქართული და უცხოური წყაროები), გაანალიზებულია არსებული საკანონმდებლო ბაზა; მომზადდა სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მოხსენებები. ჩატარდა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სემინარები და კოლოკვიუმები.

2015 წლის 1 მარტს გაიმართა „მრავალი მაგიდა“ რომელშიაც მოქმედი მოხელეები და მეცნიერები მონაწილეობდნენ.

საკუთარი ტექნიკური რესურსებით აღჭურვილია ლაბორატორია და შეკრებილია სოლიდური ელექტრონული (450-მდე ელექტრონული წიგნი და სტატია) და ნაბეჭდი მასალა (წიგნები, სტსტიები, ანალიზები, ნორმატიული აქტები და სხვა).

ამჟამად დოქტორანტურაში “საჯარო მმართველობის” პროგრამაზე სამკურსზე სწავლობს 112 სტუდენტი. მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციების

მომზადება საჯარო მმართველობის სპეციალობით, კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს სახელმწიფო მართვის არა ერთ მნიშვნელოვან პრობლემას.

დეპარტამენტმა მოამზადა და წარუდგინა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას პროექტი, რომელიც გამიზნულია უფროსკლასელება შორის სამოქალაქო თვითშეგნებისა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრება-გადრმაგებისათვის. ასეთი საგანმანათლებლო პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყანაში საერთო სამოქალაქო თვითშეგნებისა და სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის კულტურის ამაღლებას, რაც დადებითად წაადგება ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ განვითარებას.

2016 წლის იანვრიდან მოყოლებული, წილის ბოლომდე განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფების მომზადება სახელმწიფო მართვის, სამოქალაქო თვითშეგნებისა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრება-გადრმაგების მიმართულების ტრენერებად, რათა მათ შემდგომში ჩაატარონ შესაბამისი სწავლება საქართველოს სკოლების უფროსკლასელთა შორის. ამგვარად მომზადებულ ტრენერებსა და შემდეგ უფროსკლასელებს ეცოდინებათ რა არის რეალურად სახელმწიფო მართვა, როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში ფართო საზოგადოებრიობამ და როგორ უნდა დაეხმარონ ისინი სახელმწიფოს დაძლიოს მის წინაშე არსებული გამოწვევები და სირთულეები, საბოლოო ანგარიშით უპასუხონ ზემოთ განხილულ უპასუხო კითხვებს არა შაბლონურად, არამედ მათ მიერ გააზრებული სამოქალაქო თვითშეგნების საფუძველზე.

დეპარტამენტის პროფესურა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს სახელმწიფო მართვის, საჯარო პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, როგორც თეორიული-აკადემიური, ისე პრაქტიკული, ჩაუტარებს სპეციალურად შერჩეულ სტუდენტთა ჯგუფებს სათანადო სწავლებას, ხოლო შემდეგ მომზადებული სტუდენტური ტრენერთა ჯგუფები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში უფროსკლასელებისთვის (მე-11, 12 კლასები) მსურველთათვის საქართველოს განათლების სამინისტროსა და სკოლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ჩაატარებს მოკლევადიან (1 თვე, 15-20 მეცადინეობა) სწავლება-ტრენინგს სახელმწიფო მართვისა და სამოქალაქო თვითშეგნების ანბანის დასაუფლებლად.

#### დეპარტამენტში დამუშავდა

ამავე დროს არსებობს მეტად სერიოზული მოთხოვნა, რათა საჯარო მმართველობა ისწავლებოდეს უცხო ენებზეც - ინგლისურად და რუსულად. რუსულენოვანი პროგრამა სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდობისთვის, რომლებისთვისაც მშობლიური ენა რუსულს წარმოადგენს, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნების აბიტურ-იენტებისთვის. ასევე, რუსეთში, უკრაინაში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებისთვის, რომელთა საბაზისო განათლება რუსულ ენას უკავშირდება. ამ ახალგაზრდების საქართველოს



საგანმამართლებლო სივრცეში შემოყვანა თავის დადებით როლს ითამაშებს როგორც საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეც, რადგანაც ეს პროცესი ხელს შეუწყობს საქართველოს გეოპოლიტიკური როლის განმტკიცებას. ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამა კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და სტუდენტთა კიდევ უფრო მეტ დაახლოებას საზღვარგარეთელ თანატოლებთან, რაც, საბოლოო ანგარიშით აამაღლებს უმაღლესი განათლების ხარისხს საქართველოში და ხელს შეუწყობს ბოლონის პროცესით გათვალისწინებული ამოცანების სრულ რეალიზებას. 2015/2016 სასწავლო წლიდან ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა რუსულ ენაზე. ამჟამად მზადების პროცესშია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ინგლისურ ენაზეც.

დეპარტამენტს გარკვეული გამოცდილება აქვს დაგროვილი უცხოურ ენებზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზისა და გამოქვეყნების თვალსაზრისით. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე სუცხოურ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ცენტრთან. განსაკუთრებული თანამშრომლობა აკავშირებს დეპარტამენტს უკრაინის სამეცნიერო ცენტრებთან. დეპარტამენტის სამეცნიერო მეთვალყურეობით გამოცემული სამეცნიერო ჟურნალის “ხელისუფლება და საზოგადოება” მიმდინარე წლის მე 3 გამოცემა მთლიანად დაეთმო უკრაინელ მეცნიერთა ნაშრომებს, რომელთა უმრავლესობა რეცენზირებული იყო დეპარტამენტის პროფესორების მიერ.

2015 წლის მარტში სამაგისტრო პროგრამამ „ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები“ გაიარა აკრედიტაცია (პროგრამის ხელმძღვანელი – ალექსანდრე ედიბერიძე). აღნიშნულის ფარგლებში შეიქმნა მაგისტრატურის კიდევ ერთი ჯგუფი. *სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტი გამოიმუშავებს შემდეგ კომპეტენტურობებს:* ელექტრონული ბიზნესის სისტემების, ობიექტების, პროცესების და ტექნოლოგიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში ქმნის კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტისა და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საფუძველს;

ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და მის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ასპექტების სიღრმისეული ცოდნა;

ბიზნეს პროცესების და გლობალური ქსელების მომხმარებელთა აუდიტორიის, საქონლის ასორტიმენტის და კონკურენტუნარიანობის კვლევის და ანალიზის უნარი;

კვლევების და მოდელირების მეთოდების გამოყენების უნარი ელექტრონული ბიზნესის სისტემების და ობიექტების ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;

თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით.

**საზინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფესორი ანტონ ინგოროყვა;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- გიორგი ცაავა;
- ალეკო ქუთათელაძე;
- რატი ბურდიაშვილი;
- მერაბ ვანიშვილი.
- ვალერი მოსიაშვილი;
- გიორგი ხანთაძე;
- მზევინარ ნოზაძე;
- ლილი გვენეტაძე.
- გიორგი სულაშვილი.

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მერაბ ვანიშვილი, ბადრი გეჩბაია	სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა	თბილისი: საზოგადოება ცოდნა	438 გვ.
2	მერაბ ვანიშვილი, კახაბერ ქლენტი	მენეჯერული ეკონომიკა	თბილისი: საზოგადოება ცოდნა	318 გვ.
3	მერაბ ვანიშვილი, დათა ფარულავა	ფინანსების საფუძვლები	თბილისი: საზოგადოება ცოდნა	668 გვ.
4	მერაბ ვანიშვილი, ნაზი ჭიკაიძე, ნინო ვანიშვილი	სოციალური ეკონომიკა	თბილისი: საზოგადოება ცოდნა	418 გვ.
5	მოსიაშვილი ვალერი, ჭელიძე მედეა	ნუმისმატიკა და ბონისტიკა	თბილისი, „დანი“	389 გვ.
6	გ. ცაავა, გ. ხანთაძე	საბანკო მენეჯმენტი	ქ. თბილისი, “დანი”	800 გვ.

## ანოტაციები

**1.** წიგნში თანმიმდევრულადაა განხილული სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორიცაა: სოციალური სფეროს ეკონომიკისა და მართვის შესწავლის საგანი და კვლევის მეთოდოლოგია; სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა როგორც საზოგადოებრივი თეორია და პრაქტიკა; საზოგადოების სოციალური სტრუქტურა; სოციალური ტრანსფორმაციის არსი და თანამედროვე ტენდენციები; სოციალური უსაფრთხოება და მის უზრუნველყოფაზე მიმართული პოლიტიკა; შრომის ბაზარი და მისი ფუნქციონირების თავისებურებანი; უმუშევრობა და დასაქმების პოლიტიკა; შრომის ანაზღაურება – სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემაში; შრომის მწარმოებლურობა – სოციალური სფეროს ეფექტიანობის საფუძველი; სოციალური დაზღვევა – სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემაში; მოსახლეობის ცხოვრების დონე – სოციალური სფეროს ეფექტიანობის ინდიკატორი; სოციალური პარტნიორობა – სოციალური სფეროს ეფექტიანობის უზრუნველყოფის საკვანძო მიმართულება; სოციალური სფეროს ფორმირებისა და ფუნქციონირების საზღვარგარეთული გამოცდილება; სოციალური სფეროს განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები თანამედროვე საქართველოში.

**2.** წიგნში თანმიმდევრულადაა განხილული მენეჯერული ეკონომიკა ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორიცაა: შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში; მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება; მოთხოვნა – მიწოდების ელასტიკურობის მნიშვნელობა მენეჯერულ გადაწყვეტილებათა მიღებისას; მომხმარებლის რაციონალური ქცევის თეორია; საწარმოო ფუნქცია და წარმოების ხარჯები; ფირმის ქცევა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში; ფირმის ქცევა არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში; რესურსების (წარმოების ფაქტორთა) ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი; ინფორმაციის გაურკვევლობისა და რისკის ხარისხის ეკონომიკური ანალიზი; საერთო წონასწორობა და ეკონომიკური ეფექტიანობა; საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პრობლემები; საზოგადოებრივი არჩევანის თეორია და თანამედროვეობა.

**3.** წინამდებარე სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორიცაა: ფინანსების არსი და ფუნქციები; საფინანსო სისტემა და ფინანსური ბაზარი; ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური მექანიზმი; ფინანსების მართვა და მისი სისტემა; გადასახადები და საგადასახადო სისტემა; ფინანსური კონტროლი და მისი ორგანიზაცია; საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესი; სახელმწიფო კრედიტი, მისი ორგანიზაცია და მართვა; სახელმწიფო სპეციალური ფონდები; სამეწარმეო (კომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; ფინანსური ბაზრის პროფესიონალურ მონაწილეთა ფინანსები; არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების ფინანსები; საოჯახო მეურნეობების (შინამეურნეობების) ფინანსები; საერთაშორისო ფინანსები და ფინანსური პოლიტიკა; საერთაშორისო (გლობალური და რეგიონული) საფინანსო ორგანიზაციები.

**4.** წიგნში თანმიმდევრულადაა განხილული სოციალური ეკონომიკა ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიხედვით, როგორიცაა: სოციალური ეკონომიკის შესწავლის საგანი და კვლევის მეთოდოლოგია; სოციალური ეკონომიკა როგორც საზოგადოებრივი თეორია და პრაქტიკა; საზოგადოების სოციალური სტრუქტურა; სოციალური ტრანსფორმაციის არსი და

თანამედროვე ტენდენციები; სოციალური უსაფრთხოება და მის უზრუნველყოფაზე მიმართული პოლიტიკა; შრომის ბაზარი და მისი ფუნქციონირების თავისებურებანი; უმუშევრობა და დასაქმების პოლიტიკა; შრომის ანაზღაურება – სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემაში; შრომის მწარმოებლურობა – სოციალური ეკონომიკის ეფექტიანობის საფუძველი; სოციალური დაზღვევა – სოციალურ-შრომით ურთიერთობათა სისტემაში; მოსახლეობის ცხოვრების დონე – სოციალური ეკონომიკის ეფექტიანობის ინდიკატორი; სოციალური პარტნიორობა – სოციალური ეკონომიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფის საკვანძო მიმართულება; სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების საზღვარგარეთული გამოცდილება; სოციალური განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები თანამედროვე საქართველოში.

5. პირველი ფულადი ნიშნების, ზოგადად საკრედიტო სისტემის წარმოშობისა და განვითარების თავისებურების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ცენტრშია. ფაქტია, რომ დღევანდელი ფულადი სისტემა ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: ნუმიზმატიკის და ბონისტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები, ფულის წარმოშობა, პირველი ფულის ნიშნები და სამონეტო ბაზარი საქართველოში, პირველი ქართულწარწერიანი მონეტები, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა არაბულ სამყაროსთან, ქართულ-ბიზანტიური მონეტები და ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“ საქართველოში, ვერცხლის კრიზისის დასარული და ქართული სამონეტო ბაზარი XIII-XIV საუკუნეებში, XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან XVI-XVIII საუკუნეებში, რუსულ-ქართული ფულის ემისია 1804-1834 წლებში, რუსული ფული საქართველოში 1834-1917 წლებში, ძველებური ევროპული მონეტები, ქაღალდის ფული საქართველოში 1918-1924 წ.წ., საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფული, საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები, საქართველოს ეროვნული ვალუტა, მსოფლიოს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების ვალუტები და სხვა.

6. ნაშრომი დამუშავებულია საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად. მასში განხილულია: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია და მართვა, საბანკო მენეჯმენტის არსი და შინაარსი; სტრატეგიული მართვისა და ფინანსური დაგეგმვის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში; კომერციული ბანკის კაპიტალის, აქტივების ხარისხის შეფასება და ანალიზი და ფასიანი ქაღალდების პორტფელის მენეჯმენტი; მოგებისა და ლიკვიდობის ანალიზი; ჰეჯირების მეთოდის შეფასება, ფორვარდები, სავალუტო სვოპები და ოპციონები; გარესაბალანსო ოპერაციების ანალიზი, აკრედიტივები, საღაროს ნაშთები და ძვირფასი ლითონები; საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება და საბანკო აქცეპტები; საბანკო მარკეტინგის არსი და თავისებურებების საკითხები, და სრულიად ახალი ინოვაცია საქართველოში – ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის თავისებურებები.

სახელმძღვანელოში მოცემულია საბანკო მომსახურების გაწევის თანამედროვე მოთხოვნების თავისებურებები, როგორცაა: კომერციული ბანკის მიერ მომხმარებლებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში მოცემული პრაქტიკული მაგალითები გაუადვილებს

მკითხველებს თეორიული საკითხების შესწავლა-გაცნობიერებას.

გამოცემა მომზადებულია უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, გამიზნულია ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისათვის. სახელმძღვანელო სასწავლო-პრაქტიკული სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული მენეჯერ-მკვლევარების, კომერციულ ბანკებში დასაქმებული სპეციალისტების, სახელმწიფო მოხელეების და საბანკო საქმის სიღრმისეული და მრავალმხრივი გაცნობით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრისათვის.

### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მერაბ მიხაილოვიჩ ვანიშვილი, ირმა გაბრიელოვანა ლომადზე, ნიკოლოზ გვივიევიჩ ნაცვლიშვილი	ОСОБЕННОСТИ ТРУДОВОЙ МИГРАЦИИ И ДЕНЕЖНЫХ ПЕРЕВОДОВ В ГРУЗИИ	<a href="#">SEU and Science</a> = სეუ და მეცნიერება / 2015. – N2(2) გვ.129-133. - რეზ. ინგლ. ენ. - გამოყენებული ლიტ. გვ.133	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. - თბილისი	5 გვ.
2	მერაბ მიხაილოვიჩ ვანიშვილი, კახაბერ ანზოროვიჩ ჯგენტი, ნინო მერაბოვანა ვანიშვილი	Основные направления миграционной политики в Грузии	<a href="#">SEU and Science</a> = სეუ და მეცნიერება / 2015. – N2(2) გვ. 361-367. - რეზ. ინგლ. ენ. - გამოყენებული ლიტ. გვ.367	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. - თბილისი	7 გვ.
3	მერაბ ვანიშვილი, დათა ფარულავა	ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტების ეფექტურობა და პრობლემები	ბიზნეს- ინჟინერინგი/ 2015. - № 3, გვ. 141-143	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. - თბილისი	3 გვ.
4	მერაბ ვანიშვილი,	საჯარო-კერძო პარტნიორობის	გორის სახელმწიფო	გორის სახელმწიფო	5 გვ.

	დავით ხაჭაპურიძე, ნინო ვანიშვილი	პოტენციური სარგებელი და რისკები	სასწავლო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის - „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“ – მასალების კრებული. – გორი, 2015, გვ. 234-238	სასწავლო უნივერსიტეტი. – გორი	
5	გიორგი ცაავა	<p>“საბანკო საქმიანობის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები.”</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110 – ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია.</p>	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობის სტამბა	354 – 356 გვ.	
6	გიორგი ცაავა	<p>ვენჩურული ბიზნესის განვითარება ინოვაციების დაფინანსების მნიშვნელოვანი საშუალება.</p> <p>საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.</p>	თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”	246 – 251 გვ.	
7	გიორგი ცაავა	<p>ფულის თეორიების ევოლუცია და ირვინგ ფიშერის “ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში” კორექტივის აუცილებლობის შესახებ.</p>	თბილისი, თსუ -ს გამომცემლობის სტამბა	9 – 29 გვ.	

		ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”			
8	გიორგი ცაავა	ფინანსური მენეჯმენტი ბანკში: კაპიტალის, აქტივებისა და პასივების, შემოსავლიანობის, რისკების, ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემები და ოქროს საბანკო წესი.  ახალციხე, სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები”	ახალციხე, უნივერსიტეტის გამომცემლობა.	108 – 114 გვ.	
9	გიორგი ცაავა	სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის პრობლემების თეორიული ასპექტები.  თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი “მეცნიერება და ცხოვრება”	თბილისი, გამომცემლობა “მწიგნობარი”	38 – 42 გვ.	
10	მედეა ჭელიძე	მსოფლიოს პირველი მონეტები, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“	№2	თბილისი, სტუ	8
11	ლილი	კომპანიის მართვის ეფექტიანობის შეფასების	2015წ.	თბილისი,	

	გვენეტაძე	ზოგიერთი თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე	№8	„უნივერსალი“	
12	ლილი გვენეტაძე	ფინანსური შუამავლობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები, ბიზნეს ინჟინერინგი, ყოველ კვარტალური რეფერებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი	2015წ. №3	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
13	ვალერი მოსიაშვილი	„ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზი და შედეგი ეკონომიკაზე“  ჟურნალი „ათინათი“	N 1.	თბილისი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერთა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია	5 გვ.
14	ვალერი მოსიაშვილი, ნათია ახალკაცი	საქართველოს საბანკო სექტორში მოქმედი უნაღლო ანგარიშსწორების ფორმები.  ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი	N 1	თბილისი, სტუ	6 გვ.
15	გ. ხანთაძე	კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები	ჟურნალი “მეცნიერება და ცხოვრება” №1 (11)	ქ. თბილისი, თსაუ, გამომც. “მწიგნობარი”	6
16	გ. ხანთაძე	კომერციული ბანკების ფინანსური მდგარადობის მართვის გამოწვევები	“მეცნიერება და ცხოვრება” №2 (12)	ქ. თბილისი, თსაუ, გამომც. “მწიგნობარი”	5



17	გ. ხანთაძე დ. ულენტი	კომერციული ბანკის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის თანამედროვე მიდგომები	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”  №1, 2015	ქ. თბილისი, სტუ	5
18	გ. ხანთაძე	მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ცვლილებების თავისებურებები	ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”  №1, 2015	ქ. თბილისი, სტუ	5
19	გ. ხანთაძე დ. ულენტი	კომერციული ბანკის მენეჯმენტის საქმიანობის სრულყოფის საკითხები	ჟურნალი “ბიზნეს- ინჟინერინგი”  №1, 2015	ქ. თბილისი, სტუ	4
20	გ. ხანთაძე	კომერციული ბანკების სესხების გაცემის ვალდებულებებისა და აკრედიტივების გახსნის თავისებურებები	ჟურნალი “ბიზნეს- ინჟინერინგი”  №2, 2015	ქ. თბილისი, სტუ	7
21	გ. ხანთაძე ბ. ცაავა	კომერციული ბანკების აქცეპტებისა და დებიტორული დავალიანების დაფინანსების მეთოდების თავისებურებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  სამეცნიერო შრომების კრებული  №3(497), 2015	ქ. თბილისი, სტუ	7
22	გ. ხანთაძე	საჯარო ფინანსების დაგეგმვის თავისებურებები საქართველოში	ჟურნალი “სეუ და მეცნიერება”  №2 (2), 2015	ქ. თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი	8

ანოტაციები

1. სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად არის განხილული შრომითი მიგრაციისა და ფულადი გზავნილების თავისებურებანი საქართველოში.
2. სტატიაში, არსებული რეალიების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მიგრაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში.
3. სტატია აღწერს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ევოლუციას მის ისტორიულ

კონტექსტში. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები (IIA – სსშ) არ არის ყოველთვის ეფექტური რიგ ქვეყნებში ინვესტიციების შემოდინებისთვის. ინვესტიციების მოზიდვა უმეტეს ქვეყნებში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში არის მთავრობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეკონომიკის განვითარებისთვის. ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტები კი, თავის მხრივ, არ არის ხშირ შემთხვევებში საფუძვლიანად შესწავლილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიღწეულია სსშ, თუმცა ინვესტირებას რეალურად არ აქვს ადგილი პროექტის განხორციელების ეტაპზე. წარუმატებელი საინვესტიციო შეთანხმებები, როგორც წესი, არის ქვეყნის არაჯანსაღი საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების შედეგი. საქართველოს მსგავსი განვითარებული ქვეყნები მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს იღებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (FDI), თუ ეს ინვესტიციები ეფექტურად არის დაგეგმილი და განხორციელებული ქვეყნის პრიორიტეტებისა და ინვესტორის კომერციული ინტერესების გათვალისწინებით. ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტების არაეფექტურად გამოყენებამ პროექტის განხორციელების ეტაპზე შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

4. სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა განხილული საჯარო-კერძო პარტნიორობის პოტენციური სარგებელი და რისკები.
5. სტატიაში ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემის ოთხი ძირითადი ფუნქცია და დაზუსტებულია ცნებების : სტაბილურობა, მდგრადობა, საიმედოობა - ს გამოყენების სფეროები.
- 6.სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველო ადამიანური რესურსებით მდიდარი ქვეყანაა და მას ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია, რომლის გონივრული გამოყენება სერიოზული წარმატების მიღწევის საწინდარია. ამ მხრივ, ქვეყანაში მოქმედი „საპარტნიორო ფონდი“ ეკონომიკის აუცილებელი დარგებისა და სფეროების წარმატებული დაფინანსებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი სუბიექტია და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საფუძველია.
- 7.სტატიაში გაანალიზებულია მსიფლიოში აღიარებული ფულის თეორიების ევოლუცია, განხილულია საბანკო ფულის ერას დადგომისა და საბანკო სისტემაში ფულადი რესურსების მულტიპლიცირებით ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობები, რომლის გათვალისწინებით, ირვინგ ფიშერის „მიმოქცევაში ფულის რაოდენობრივი გაანგარიშების“ ცნობილი ფორმულის სრულყოფის ავტორისეული ვარიანტია შეთავაზებული.
- 8.სტატიაში განხილულია კაპიტალის, აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მეთოდები, ჩამოყალიბებულია „ოქროს საბანკო წესის“ ძირითადი მახასიათებლები.
- 9.სტატიაში აღნიშნულია, რომ ფიზიკური პირების შემოსავლების გადასახადით დაბეგვრა საგადასახადო დატვირთვის არათანაბარი განაწილებით ხასიათდება, რაც მოსახლეობის „საგადასახადო პატიოსნების“ საფუძველს არყევს. არსებული ფისკალური პოლიტიკა მეურნე სუბიექტებს ფინანსური რესურსების ინვესტირებას და ბალანსის არა ეკონომიკური, არამედ საგადასახადო მიზნების მიხედვით აგებას აიძულებს, რაც კაპიტალდაბანდებისა და რესურსების განაწილების სტრუქტურაზე ნეგატიურად აისახება და იგი შესაბამის კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს.

**10.** პირველი ფულადი ნიშნების, ზოგადად საკრედიტო სისტემის წარმოშობისა და განვითარების თავისებურების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრშია. აღნიშნულ საკითხებს ეძღვნება მრავალი მეცნიერული ნაშრომი, სადაც მეტნაკლები სიზუსტითაა გაშუქებული მოცემული სფეროს ცალკეული ასპექტები. ფაქტია, რომ ფულადი სისტემა ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება.

ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის საკითხების შეფასებისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ძველებური მონეტების მეცნიერულ შესწავლას. ერთი შეხედვით ამ ციფ. ზოგჯერ უხეშად დამუშავებულ ლითონის ნაჭრებს, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში გარკვეულობის შეტანა შეუძლია. ეს თუ ის ლითონის მონეტა წერილობით წყაროებთან ერთად, გარდასულ დროთა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია. მაგრამ როგორც წყაროს, მას გარკვეული თავისებურება და, შეიძლება ითქვას, უპირატესობაც ახასიათებს.

**11.** კომპანიის უპირველესი მიზანია, ხანგრძლივი (განუსახდვრელი) დროის განმავლობაში კომპანიის გადარჩენა და მდგარი ფუნქციონირება. კომპანია, რომელიც აღწევს თავის მიზნებს შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. წარმატების ერთ-ერთ მაჩვენებელი კომპანიის მართვის ეფექტიანობაა. მისი შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება და სრულყოფა კი მუდმივ აქტუალობას ინარჩუნებს. ნაშრომში, კომპანიის მართვის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, დაკვირვების ობიექტად შერჩეული იქნა ალკოჰოლური კომპანიები: სააქციო საზოგადოება (სს) „თელიანი ველი“ და სს „სარაჯიშვილი“. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ფინანსური ანალიზის პროცენტული და კოეფიციენტური მეთოდები, რომელიც კომპანიის საქმიანობის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრისა და დროის სხვადასხვა პერიოდში მართვის შედეგების სწრაფი შეფასების საშუალებას იძლევა. კომპანიების მართვის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა ლიკვიდურობის, მომგებიანობისა და ნასესხები საშუალებების გამოყენების ფარდობითი კოეფიციენტები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა ის, რომ არსებობს პრობლემები, რომელიც კომპანიის ეფექტიანად მართვას აფერხებს, რაც მის შედეგობრივ მაჩვენებლებში აისახა. ეს ადეკვატური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. კომპანიის მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსური ანალიზის მეთოდები და ფინანსური აღივსის ხელოვნება.

**12.** ფინანსური შუამავლობა, ეკონომიკური სუბიექტების არაპირდაპირი დაფინანსება და საფინანსო ბიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. საქართველოში ფინანსური შუამავლობის განვითარება საფინანსო საშუამავლო სექტორის განვითარებას მოითხოვს. ეს სექტორი საფინანსო საშუამავლო ინსტიტუტებისაგან შედგება. ნაშრომში: შესწავლილი და გაანალიზებულია - კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების შედეგობრივი მაჩვენებლები, მათი ადგილი და როლი ფინანსურ შუამავლობაში. ანალიზის შედეგად გამოვლინდა საფინანსო საშუამავლო სექტორში არსებული ზოგიერთი ტენდენციები, პრობლემები და გაკეთებულია დასკვნები.

**13.** საქართველოში არსებობს მრავალი საკითხი, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, განსაკუთრებით თუ განვიხილავთ ბოლო 2-წლიან პერიოდს ადგილი შესამჩნევია თემა „ლარის გაუფასურებაზე“. რომელიც ხშირად გვეხმის, როგორც სატელევიზიო გადაცემებიდან აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებიდან და თითოეული ადამიანის სასაუბრო თემაც

სწორედ ესაა. სწორედ ამიტომ განვიხილავ აღნიშნულ საკითხს.

საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა. გაუფასურება განსაკუთრებით მაღალი ტემპით 2014 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყო და 6 დეკემბერს 1.95 ლარს მიაღწია, თუმცა კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადასაცემელ პუნქტებში 1 აშშ დოლარის კურსი 2,40 ლარს შეადგენს, ლარის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა ევროს მიმართაც, ერთი ევროს ფასი 2.71 ლარამდე გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია იყო სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართაც, გარდა რუბლისა.

საქართველოს განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. სწორედ ამიტომ საჭიროა დაბალანსებული ნაბიჯების გადადგმა, რათა საქართველომ არ გადაუხვიოს განვითარების გზიდან.

**14.** დღევანდელ დღეს საბანკო სექტორი შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მზარდი და ძლიერი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. ქართული ბანკების მსოფლიო საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ისეთი თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა, როგორცაა უნაღლო ანგარიშსწორება. წინამდებარე სტატიაში გავაკეთეთ საქართველო საბანკო სექტორში მოქმედი უნაღლო ანგარიშსწორების ფორმების ანალიზი და შედარებითი დახასიათება, გადმოვეცით მათი უპირატესობების და ნაკლოვანების შესახებ მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული უნაღლო ანგარიშსწორების წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს ანგარიშსწორების ორგანიზებისადმი საერთო მიდგომას, აწესრიგებს უნაღლო ანგარიშსწორებას, ერთიან საბუთბრუნვას, საგადახდო საბუთების გამოყენებას, მათი შევსების, გაფორმების წესებს, ფორმატებს, არქივების წარმოებას, ადგენს საბანკო ანგარიშებით ოპერაციების წარმოების წესებს. მთლიანობაში განხილული გვაქვს უნაღლო ანგარიშსწორების შემდეგი სახეები: საგადახდო დავალება; საინკასო დავალება; დოკუმენტალური აკრედიტივი; დოკუმენტალური ინკასო; საბანკო პლასტიკური ბარათი; საანგარიშსწორებო ჩეკი.

**15.** საკრედიტო პორტფელის და საკრედიტო ფუნქციის მიმოხილვა და შეფასება ბანკის შიგნით წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნას ბანკის აქტივების ხარისხის და ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასებისას. ბანკში წარმოშობილი საკრედიტო რისკის უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია საკრედიტო პორტფელთან. მცირე გამონაკლისების გარდა, სუსტი მართვის ან სხვა პირობების შედეგად, საკრედიტო პორტფელში არსებული პრობლემები განაპირობებენ ბანკების წარუმატებლობას.

საკრედიტო პორტფელის შეფასება უფრო ფართო ამოცანაა ვიდრე ცალკეული სესხების მიმოხილვა. მთლიანი სასესხო ანგარიშების გონივრულ მართვას და ადმინისტრირებას, სესხის გაცემის და ამოღების პოლიტიკების ჩათვლით, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბანკის დამაკმაყოფილებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

**16.** სტატიაში განხილულია ბანკი, როგორც აქტივებისა და პასივების პორტფელი, ოპტიმალურ შემთხვევაში, დაბალანსებული ფულადი რესურსების ცალკეული აქტიური და პასიური ჯგუფის მოცულობების, ვადებისა და ღირებულების მიხედვით.

საბანკო პორტფელის რისკი თავისთავაში მოიცავს:

პორტფელურ (საბალანსო) რისკს; პროცენტულ რისკს; ლიკვიდობის დაუბალანსებლობის ან რესურსების სტრუქტურის ვადებისა და მოცულობების მიხედვით შეუსაბამობის რისკს ან ბანკის ლიკვიდობის დაბალანსებულობის, ანუ საბანკო პორტფელის რისკის გამოვლენის სხვადასხვა

მხარის რისკს; მიმდინარე ლიკვიდობის რისკს.

**17.** სტატიაში მიმოხილულია საბანკო საქმიანობის ეფექტურობის ზრდის სხვადასხვა შესაძლებლობები და მათი განხორციელების მეთოდები. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი მიზანია ბანკის პრეზიდენტისთვის/გენერალური დირექტორისთვის ბანკის მართვის შესახებ მკაფიო ამოცანების და პოლიტიკის მიწოდება, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების კუთხით. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ზოგად ამოცანებთან და პოლიტიკასთან. აღნიშნული ხშირად მიიღწევა ბანკის საქმიანობის ძირითადი სფეროების შესახებ პოლიტიკის ფორმირების, სტრატეგიული გეგმის და ბიუჯეტის გამოყენებით. სტრატეგიულ გეგმაში განხილულ უნდა იქნეს გრძელვადიანი და, ზოგ შემთხვევაში, მოკლევადიანი მიზნები და ამოცანები, ასევე ის, თუ როგორ შეფასდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი.

**18.** საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს, რომლის მთავარ ინსტრუმენტს რეფინანსირების, ანუ იგივემონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი (ერთკვირიანი) საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს. აღნიშნული განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, რაც აისახება კერძო პირებისა თუ ფირმების ქცევაზე ფულადი სახსრების დახარჯვისა თუ დაზოგვის შესახებ. საბოლოოდ კი გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ინფლაციაზე. იმ არხების ერთობლიობას, რომელთა საშუალებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება აისახება ინფლაციაზე, „მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის” სახელითაა ცნობილი.

**19.** სტატიაში მიმოხილულია საბანკო მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტურობის ზრდის სხვადასხვა შესაძლებლობები და მათი განხორციელების მეთოდები. ბანკის მენეჯმენტის შეფასება იწყება სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, რომელიც პასუხისმგებელია ადეკვატური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაზე ბანკის აქციონერების წინაშე, მათი ინტერესების დაცვის მიზნით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უნდა იყოს დამოუკიდებელი ბანკის საქმიანობის მართვის პროცესში, რადგან სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მენეჯმენტის სათანადოდ ფუნქციონირებაზე. ამიტომ, მან მხოლოდ მარტივად კი არ უნდა დაამტკიცოს მენეჯმენტის რეკომენდაციები, არამედ ყურადღებით უნდა განიხილოს ისინი.

**20.** გარესაბალანსო ოპერაციები წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა შეიძლება არ აისახოს საბალანსო უწყისში, იგი მაინც ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი. ასეთ ოპერაციათა შედეგად, ბანკი შეიძლება პირობითი ვალდებულებების წინაშე დადგეს. პირობითი ვალდებულება, რომელიც დამოკიდებულია მეორე მხარის ქმედებებზე, ან მომავალ მოვლენებზე. ტიპურ გარესაბალანსო ანგარიშებს, რომლებიც სესხების შემოწმებისას მოწმდება, წარმოადგენენ ვალდებულებანი სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები მომავალი კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება შეიცვალოს მსესხებლის მდგომარეობა ვალდებულების გაცემასა და უშუალო დაფინანსებას შორის. ამასთან, ვალდებულებებმა შეიძლება ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკიც გამოიწვიოს.

**21.** სტატიაში მიმოხილულია კომერციული საწარმოებისთვის საბრუნავი კაპიტალის სახით გაცემული მოკლევადიანი კრედიტები, ძირითადად, გამოიყენება ვაჭრობიდან გამომდინარე სასაქონლო მარაგებისა და დებიტორული დავალიანების დასაფინანსებლად.

საშუალოვადიანი (ერთიდან ხუთ წლამდე) სესხები, ძირითადად, წარმოადგენს კაპიტალური საქონლის დაფინანსების, საქონლის გადაზიდვებისა და სხვადასხვა სპეციალური მიზნით გაცემულ კრედიტებს. გრძელვადიანი სესხები, რომლებიც ხუთ წელს აღემატება, ძირითადად, გამოიყენება ტრანსნაციონალური კორპორაციების, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და სახელმწიფო საწარმოების დიდი პროექტების დასაფინანსებლად.

სტატიაში მოცემულია უცხოური დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ყველაზე მარტივი მეთოდი - ღია ანგარიში. ამგვარი მეთოდით ვაჭრობისას მყიდველი და გამყიდველი თანხმდებიან, რომ ანგარიშსწორება მოხდება კონკრეტულ დღეს, ყოველგვარი გადასაყვანი ფულად-საკრედიტო დოკუმენტის გარეშე.

**22.** ფინანსური დაგეგმვის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ იგი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ფულად ფორმაში და ღირებულების ფულადი ფორმის მოძრაობაზე კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა, რომელიც არ ემთხვევა ღირებულების განაწილებას ნატურაში. ფინანსური დაგეგმვის უშუალო ობიექტია შემოსავლების და დაგროვების შექმნა და განაწილება, ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირება და გამოყენება.

ფინანსური დაგეგმვის მთავარ ობიექტად ფინანსური რესურსები გამოდის, რომლის წყაროებია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, უპირატესად კი, ეროვნულ ეკონომიკაში ფულადი დაგროვება, საამორტიზაციო ანარიცხები, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობიდან შემოსულობანი და მოსახლეობის შემოსავლები.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვალერი მოსიაშვილი	„ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“ საქართველოში“	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ თბილისი 2015
2	ლილი გვენეტაძე	ფინანსური შუამავლობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და ტენდენციები	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ თბილისი 2015
3	გ. ხანთაძე დ. ჟღენტი	კომერციული ბანკის რისკ- მენეჯმენტის სისტემის თანამედროვე მიდგომები	ქ. თბილისი, სტუ, მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC-2015

			„ერონული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“
4	გ. ხანთაძე ლ. მურჯიკნელი	ფისკალური რისკები და გამოწვევები თანამედროვე ეტაპზე	ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, აკ. პ. გუგუშვილის დაბადებდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
5	გ. ხანთაძე დ. ულენტი	კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის მიმართულებები	ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ, აკ. პ. გუგუშვილის დაბადებდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
6	გ. ხანთაძე ა. ცერცვაძე	აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითადი ასპექტები სადაზღვევო კომპანიაში	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება XXI საუკუნეში“

მოსხენებათა ანოტაციები

1. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“ ქართული ნუმისმატიკის მეკეთრად გამოხატული „სპილენძის ხანა“ ემთხვევა. დავით IV აღმაშენებლის ვაჟის, დემეტრე I-ის (1125-1156 წ.წ.) გამეფებიდან ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ვერცხლის ფული არ მოჭრილა. ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“ მოედო მესოპოტამიას, სირიას, ირანსა და ცენტრალურ აზიას. ყველა ამ ქვეყანაში მიმოქცევიდან ამოიღეს ვერცხლის ფული და მისი ადგილი სპილენძის ფულმა დაიკავა.

„ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში მეკეთრად შეიცვალა მონეტის გარეგნული სახეც, მაგრამ „უწესოდ მოჭრილი“ სხვადასხვა ფორმისა და წონის ფულის ნიშნების პარალელურად საქართველოში ჩვეულებრივი მონეტაც იჭრებოდა. რადგანაც სპილენძის ფული საკრედიტო მონეტა იყო და „იძულებითი კურსით“ მიმოქცეოდა, ხელისუფლება ბრუნვაში არსებულ ფულად მასას მონეტებზე დამდის დასმით დროდადრო ანახლებდა. ცნობილია დამდის 11 სახეობა.

2. ფინანსური შუამავლობა, ეკონომიკური სუბიექტების არაპირდაპირი დაფინანსება და საფინანსო ბიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს. საქართველოში ფინანსური შუამავლობის განვითარება საფინანსო საშუამავლო სექტორის განვითარებას მოითხოვს. ეს სექტორი საფინანსო საშუამავლო ინსტიტუტებისაგან შედგება. ნაშრომში: შესწავლილი და გაანალიზებულია - კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების შედეგობრივი მაჩვენებლები, მათი ადგილი და როლი ფინანსური შუამავლობაში. ანალიზის შედეგად გამოვლინდა საფინანსო საშუამავლო სექტორში არსებული ზოგიერთი

ტენდენციები, პრობლემები და გაკეთებულია დასკვნები.

3. რისკ-მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემა წარმოადგენს სტრატეგიული ფინანსური მართვის ქვესისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული შესაბამისობის უწყვეტ განსაზღვრას და თანმიმდევრულ მხარდაჭერას ბანკის საქმიანობის რისკებს, ლიკვიდურობასა და ეფექტურობას შორის, ასევე, რისკებსა და მათ დასაფარად გამოყოფილ რისკ-კაპიტალის შესაბამის მოცულობას შორის.

მართვის სისტემის შექმნისათვის შეიძლება განისაზღვროს რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური ელემენტები. მათ საფუძველს წარმოადგენს უნივერსალური ფინანსური სტრუქტურა. ამ სტრუქტურის სუბიექტები რისკ-მენეჯმენტის პროცესებში ურთიერთქმედებენ დამტკიცებულ რეგლამენტებთან შესაბამისობაში და ამ დროს იყენებენ რისკების შეფასების უნივერსალურ და ინტეგრირებულ მეთოდებს.

4. იმის გამო, რომ ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო გარდაქმნების მთავარი ეკონომიკური მექანიზმი საჯარო ფინანსებია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებას. უფრო მეტიც, ფინანსური რესურსები, წარმოადგენს რა ეროვნული მეურნეობის საფინანსო შედეგს, ერთდროულად მისი განვითარების წყაროც არის.

საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევისათვის მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ფინანსური რესურსების მუდმივი ზრდა, რაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკის გაჯანსაღების, წარმოების გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

5. ლიკვიდობის პოზიციის მართვისთვის ბანკებმა უნდა განახორციელონ ფულის მიმოქცევის პროგნოზირება. მოსალოდნელი შემოდინება და გადინება შეიძლება აუცილებელი არ არის ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული. ბანკები ახდენენ პროგნოზირებას და დასაშვებად თვლიან მათ ხელთ არსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ნასესხები სახსრების მცირე ზრდას ან შემცირებას, როცა მათ აქვთ ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება. როცა ხდება წმინდა გადინება, მაშინ ბანკები უშვებენ ფულის ნაშთების შემცირებას და შეიძლება დროებით გაზარდონ ნასესხები სახსრები. ერთი თვიდან მეორემდე ბანკებმა ისე უნდა დაგეგმონ ფულის შემოდინება და გადინება, რომ მათი მთლიანი ფულის ნაშთები და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები შედარებით უცვლელი დარჩეს.

6. დაგეგმვა არის მომავალში საწარმოს განვითარების პროგნოზის შედგენა, რომელიც ემყარება წინა სამი ფორმის მიერ წარმოდგენილი შიდასაფირმო აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენებას. სამეურნეო საქმიანობის საერთო გეგმის ფარგლებში სადაზღვევო კომპანია შეადგენს საფინანსო, სარეკლამო საქმიანობის ჩატარებისა და რეალიზაციის გეგმებს. სიტყვა „კონტროლინგი“ არის თარგმანი ინგლისურიდან „to control“ (კონტროლირება) და თვლიან, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ცნების არსი. თუმცა ფაქტიურად კონტროლინგი ნიშნავს არა კონტროლს, არამედ მართვას, დაგეგმვასა და მონიტორინგს. კონტროლინგი ორიენტირებულია არა წარსულზე, როგორც მაგალითად საბუღალტრო აღრიცხვა, არამედ მომავალზე. მისი ამოცანა მდგომარეობს კომპანიის საქმიანობის უზრუნველყოფაში გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლით.



**საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი**

- \* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ა.სიჭინავა
- \* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

რევაზ შენგელია  
 პაატა კოლუაშვილი  
 გურამ ჯოლია  
 ალექსანდრე სიჭინავა  
 დავით იაკობიძე  
 ტარიელ კიკვაძე  
 ვალერი ქირია  
 შოთა ვეშაპიძე  
 აკაკი გვარუციძე  
 გუგუბლი ყურაშვილი  
 ელენე მენაბდე-ჯოხაძე  
 ნაზი ჭიკაიძე  
 დემნა კვარაცხელია  
 დალი სეხნიაშვილი  
 ირინე მამალაძე  
 ლია კვარაცხელია  
 მარინა ბაღათურიან  
 ნატო გეგენავა  
 თამარ აბუაშვილი

**II. 1. პუბლიკაციები**

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	კ. ყიზილაშვილი	თუშეთი და ტურიზმი	თბ; გამ. "გეორგიკა" 2015წ.	100
ანოტაციები				

მონოგრაფიაში განხილულია ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების ძირითადი საკითხები თუშეთში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვეშაპიძე შ.	ეკონომიკის საფუძვლები. სახელმძღვანელო, სამეცნიერო რედაქტორი, აკადემიკოსი ა. სილაგაძე	ელექტრონული სახელმძღვანელო, თბილისი, 2015. Nplg.gov.ge ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“	345

**„ეკონომიკის საფუძვლები“** სალექციო კურსის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლების ღრმად შესწავლისთვის, სინამდვილის ობიექტური, მიუკერძოებელი ანალიზისთვის საჭირო მეთოდოლოგიური საფუძვლების შემეცნება; ფუნდამენტის ჩაყრა მრავალი (მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პრინციპების, მენეჯმენტის, მარკეტინგის და სხვა მრავალი) ეკონომიკური დისციპლინების შესწავლისთვის, რომლებიც იყენებენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ეკონომიკური მხარის ზოგადი ცნებების, კანონზომიერებების, მათი ურთიერთკავშირისა და მახვენებელთა სისტემას; ეკონომიკური სისტემების ტიპებისა და მოდელების, საბაზრო მექანიზმის ძირითადი ელემენტების შესწავლა; მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალების, ელასტიკურობის, შემოსავლების, ხარჯების, მოგების, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის საფუძვლების, საწარმოს ფინანსების, კონკურენციისა და მონოპოლიის არსის, სახელმწიფოსა და მთავრობის როლის, ფულისა და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკის როგორც მთლიანობის ზოგადი საფუძვლების შემეცნება.

2	ვეშაპიძე შ.	ლოგისტიკა, ლექციების კურსი	ელექტრონული სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.	216
---	-------------	----------------------------	--	-----

**ლოგისტიკის სახელმძღვანელოში** განხილულია ლოგისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, კერძოდ, გადმოცემულია ლოგისტიკის არსი, ამოცანები, ლოგისტიკური ჯაჭვი, მატერიალური ნაკადები და ოპერაციები, ლოგისტიკის კონცეფცია და ფუნქციები, სერვისი და მომსახურების დონის მაჩვენებლები ლოგისტიკურ სისტემაში, შესყიდვების ლოგისტიკა, საწყობი ლოგისტიკურ სისტემაში, სატრანსპორტო, ინტერმოდალური და მულტიმოდალური გადაზიდვების, განაწილების, მარაგების ლოგისტიკა, შუამავლები ლოგისტიკაში, აუტოსორსინგი, ინფორმაციული ლოგისტიკა, ლოგისტიკური ადმინისტრირება.

3	ნაზი ჭიკაიძე მერაბ ვანიშვილი	სოციალური ეკონომიკა	თბილისი,საზოგადოე ბა„ცოდნა”	426
---	---------------------------------	------------------------	--------------------------------	-----

საქართველოს ეკონომიკაში, მის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებმა ადეკვატური ასახვა უნდა ჰპოვოს საბაზრო ეკონომიკის თეორიასა და მეთოდოლოგიაში. ქედან გამომდინარე, „სოციალური ეკონომიკის” კურსის ძირითადი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ფორმის შესწავლა, რომელშიც მეურნეობრიობის საბაზრო თავისუფლება შერწყმულია სოციალური გამოთანაბრების,სოციალური პროგრესის პრინციპებთან. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მიზანი დაიყვანება იმაზე, რომ კონკურენტული მეურნეობის საფუძველზე თავისუფლება და ინიციატივა გაერთიანდეს მეურნეობრიობის საბაზრო მეთოდებით უზრუნველყოფილ სოციალურ პროგრესთან.ამასთან დაკავშირებით, „სოციალური ეკონომიკის” კურსის შესწავლის საგანია არა მხოლოდ ბაზარი თავისთავად, არამედ ასევე ის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტებიც,რომლებიც ანხორციელებენ მის კოორდინირებას სოციალურ მიზნებთან.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ჯოლია გურამ	კრეატიული ეკონომიკა და განვითარება	თბილისი,  ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი, 2015	288

პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მრავალ თეორიათა შორის კრეატიული ეკონომიკისა და განვითარების კონცეფცია ერთ-ერთი პირველთაგანია, როგორც მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის ახალი ნიშან-თვისებების მატარებელი.

სასწავლო კურსის სტრუქტურა მრავალფეროვანია და თანა-მიმდევრულად ასახავს შესასწავლი მასალის რიგითობას. მკითხველი თავდაპირველად გაეცნობა კრეატიული ეკონომიკისა და განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებს, შემდეგ ყურადღებას გადაიტანს განათლებასა და ცოდნაზე, როგორც კრეატიული განვითარების საფუძველზე, მომდევნო ნაწილში გაერკვევა ქალაქის, როგორც კრეატიული განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალაში, შემდეგ კი, – ახალი იდეების წარმოშობისა და განვითარების მეთოდებში, ხოლო დასკვნითი ნაწილის თემა-ტიკის კრიტიკული გააზრდებით გააცნობიერებს მოსალოდნელ გლობალურ პრობლემებსა და სირთულეებს.

ნაშრომი განკუთვნილია მათთვის, ვინც ცდილობს გაერკვეს საზოგადოების კრეატიული განვითარების რთულ საკითხებში და დაინტერესებულია მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში.

5	ტარიელ კიკვაძე,	ეკონომიკურ- მათემატიკური მოდელირების	თბილისი, სტუ, (ელექტრონული ვერსია), სტუ-ს	201
---	-----------------	--	---	-----

	დავით გეგია	მეთოდები	ცენტრალური ბიბლიოთეკის კატეგორი – CD-2674	
<p>სახელმძღვანელოში გაანალიზებულია ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების მოდელირებასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრე. კერძოდ, მოყვანილია ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კლასიფიკაცია, განხილულია მათემატიკური პროგრამირების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის ამოცანები, დინამიკის ეკონომიკური მწკრივები, დარგთაშორისი ბალანსის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და სხვ.</p> <p>სახელმძღვანელოს დანართში დეტალურად არის აღწერილი თემატური ლაბორატორიული სამუშაოები კომპიუტერული პროგრამული ინდტრუმენტების გამოყენებით.</p> <p>სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრის საფეხურის სტუდენტთათვის ეკონომიკის სპეციალობაში.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბმპრდების რაოდენობა
1	ჯოლია გურამ, გუგუშვილი ლაშა	მენეჯმენტის ინსტრუმენტების გამოყენების აუტოსორსინგის შეფასება	ჟურ. “სოციალური ეკონომიკა”, 2015, №1	თბილისი	6
<p>1. შეფასებულია თანამედროვე აუტოსორსინგის მეთოდოლოგიის გამოყენების პროგრესული პროცესი და მიჩნეულია ბიზნესპრაქტიკაში მისი აქტიური დამკვიდრება.</p> <p>განსაზღვრულია აუტოსორსინგის გამოყენების მიზეზები, რომლის ძირითადი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა კონკურენცია. რაიმე ფუნქციის აუტოსორსერზე გადაცემის შემთხვევაში მრავალი კითხვა წარმოიშობა.</p> <p>პარეტოს ცნობილი პრინციპის (20/80) გათვალისწინებით, ყოველი კომპანია დილემის წინაშე დგება: არაპერსპექტიული მიმართულების მოშორება, ხოლო აუცილებელი, მაგრამ არაპროფილური ბიზნესპროცესების აუტოსორსერზე გადაცემა. ამ პროცესში ვერნონის</p>					

ცნობილი სასიცოცხლო ციკლის თეორიის ის პოსტულატი ერთგვარაა, თუ განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება კომპანია. მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარების დამატებითი შესაძლებლობების ძიებაც (პრევენციული ზემოქმედება).

ბიზნესპროცესის აუტოსორსერზე გადაცემა განიხილება როგორც მრავალეტაპიანი კომპლექსური პროცესი, რომელშიც მნიშვნელოვანია აუტოსორსერზე გადასაცემა ფუნქციის ანალიზის ალგორითმი. ეს უკანსაკნელი რისკ-მენეჯმენტის პოზიციიდან ფასდება. თუმცა, აუტოსორსინგი, როგორც რისკების მართვის პროგრესული მეთოდი, საშუალებას იძლევა კომპანიისათვის მოსალოდნელი რისკები მინიმუმამდე შემცირდეს.

გამოყენებულია აუტოსორსინგის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სამსაფეხურიანი ალგორითმი:

პირველი საფეხური: განთესვის კრიტერიუმები, რომელსაც 6 ქვეკრიტერიუმი აქვს; მეორე საფეხური: შეფასების ხარისხობრივი კრიტერიუმები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს კონტროლს, მომსახურების ფასსა და ხარისხს, პრობლემებზე რეაგირების ოპერატიულობას; მესამე საფეხური ყურადღებას ამახვილებს შეფასების რაოდენობრივ კრიტერიუმებზე, რომელიც აერთიანებს ღირებულებით (საჭიროა ფუნქციის თვითღირებულებისა და აუტოსორსინგული კომპანიის მომსახურების ღირებულებითი შედარება) და რისკის შემადგენლობას (ღირებულებითი გამოსახულებას), როცა საჭიროა ორი ვარიანტის (ფუნქციის შესრულება საკუთარი ძალებით და ფუნქციის აუტოსორსინგზე გადაცემა) შედარება.

შემოთავაზებული მეთოდიკა აპრობირებულია სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებისათვის მათი მოღვაწეობის სფეროსა და საკუთრების ფორმის მიუხედავად.

აუტოსორსინგზე რაიმე ბიზნესპროცესის გადაცემის მიზანშეწონილობის შეფასება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. თუმცა, მის გარეშე აუტოსორსინგის გამოყენება შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს.

2	ჯოლია გურამ	ორიენტაცია ეკოპოლისური ურბსოციუმისაკენ	ჟურ. "ეკონომიკა", 2015, №3-4	თბილისი	34
---	-------------	--	------------------------------	---------	----

ქალაქად აღამიანთა ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო. ვითარება მსოფლიოში განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როცა მოსახლეობის უმეტესობა საცხოვრებლად ქალაქად გადავიდა და ამ პროცესის დაჩქარების ტემპმა მეტად საყურადღებო ნიშნულს მიაღწია. თანდათან ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: მეგაპოლისი – აღამიანთა განსახლების ყველაზე უსაფრთხო ადგილი, რომელმაც დედაბუნება განადგურებისაგან გადაარჩინა, თვით გახდა, ერთი მხრივ, ბუნების აშკარა მტერი, რომელმაც გაანადგურა საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი კულტურული ფასეულობები, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების ყველაზე მიმზიდველი ადგილი, სადაც დღენიდაღ იბადება კულტურისა და ხელოვნების ახალ-ახალი შედეგები, რეალიზდება აღამიანთა

შემოქმედებითი ოცნებები და პროგრესული იდეები.

ქალაქად მოსახლეობის მასობრივად ცხოვრებამ, ბუნებისადმი ადამიანთა დაუდევრობამ და მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ ეკოლოგიური მდგომარეობა ძალზე გაართულა და მეტად საგანგაშო ვითარება შეიქმნა. დღის წესრიგში მთელი სიმწვავეით დადგა ეკოპოლისური განაშენიანების პროგრესული იდეა. შემუშავდა ქალაქგანაშენიანების მრავალი საყურადღებო პროექტი (მაგ., “გაერო-ჰაბიტატი”), განისაზღვრა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის გზები (მაგ., გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფცია), შეფასდა ქალაქების უზრუნველყოფის რესურსული პოტენციალი, რეგიონულმა გაერთიანებებმა განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში გაამკაცრეს ეკოლოგიური მოთხოვნები და სხვა მრავალი.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ქალაქების ზრდა-განვითარების ზრდის ტემპები და არსებული ვითარება მეტად საგანგაშოა და საყოველთაო ყურადღების გამახვილებას გადაუდებლად მოითხოვს.

3	ბაბუაძე ნ., ვეშაპიძე შ.	შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია: გაუწევს თუ არა ჩინეთი მეტოქეობას აშშ-ს	„საისტორიო ვერტიკალები“, №1, 2015		8
---	----------------------------	---	---	--	---

**შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია: გაუწევს თუ არა ჩინეთი მეტოქეობას აშშ-ს**

„შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ“ (STO), განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ შესაძლოა აშშ-ს სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს. ამის საფუძველს გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების საერთო ძალისხმევა იძლევა, მაგრამ ამ რეგიონის ქვეყნებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი დღემდე გრძელდება. არის სხვა პრობლემებიც. ჩინურ ვალუტა იუანს არ შეუძლია თავისუფალი კონვერტირება და მკაცრადაა მიბმული ამერიკულ დოლარზე. ზრდის დაცემის და ექსპორტის კლების გამო ჩინეთი სულ უფრო ცდილობს თავისი ვალუტა არ გახადოს თავისუფლად კონვერტირებადი, ვინაიდან იგი მაშინვე გაძვირდება, 1 დოლარი დაახლოებით 2 იუანის ტოლი გახდება, ეს კი ექსპორტისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნება. უახლოეს წლებში ვერ გამოჩნდება ამერიკული დოლარის ვერც ერთი რეალური კონკურენტი. ჩინეთი თუკი მოინდომებს იუანის კონვერტირებას, 100-ჯერ დაფიქრდება ამაზე, რათა პრობლემები არ შეექმნას, ვინაიდან მისი წარმატებების საკმაოდ ნაწილი ამერიკასთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შედეგია. სხვა რეალური ვალუტა, პრინციპში, არ არსებობს. უახლოესი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთი შეძლებს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ერთობლივი ძალისხმევით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას და აშშ-სადმი სერიოზულ მეტოქეობაზე იფიქროს.

4	ბაბუაძე ნ., ვეშაპიძე შ., კვაჭაძე ნ.	კონფუციანელობა და ტაოიზმი: პოსტულატები, პრინციპები, მცნებანი, ღირებულებები	„ბიზნეს- ინჟინერინგი“, №1, 2015		10
---	---	---	---------------------------------------	--	----

**კონფუციანელობა და ტაოიზმი: პოსტულატები, პრინციპები, მცნებანი, ღირებულებები**

კონფუციანელობა და ტაოიზმი ჩინეთსა და ზოგადად მთელს აზიაში, მიჩნეულია როგორც ფილოსოფიად, ასევე რელიგიად. კონფუციანელობამ და ტაოიზმმა სათავე დაუდო ღირებულებებს რომლითაც გამსჭვალულია ჩინეთის და აზიის სხვა ქვეყნების კულტურა.

კონფუციანელობა ხაზს უსვამს რწმენისმიმდევარი ადამიანების ქცევებს. ტაოიზმი კი კაცობირობისა და ბუნების ურთიერთობებს. კონფუციანელობა და ტაოიზმი ორივე უძველესი, ჩინური ცხოვრების წესია. კონფუციანელობის რწმენით, ადამიანებმა ხუთი მთავარი ურთიერთობების მეშვეობით, სხვებს მაგალითები უნდა მისცენ. ეს ურთიერთობებია: მმართველი და მართული, ცოლი და ქმარი, უფროსი და უმცროსი, მეგობარი და მეგობარი, მამა და ვაჟიშვილი.

ტაოიზმი არის ცხოვრების გზა ნაკლები წესებით, სადაც უბრალოდ უნდა მიჰყვე უმოქმედობის ფილოსოფიას. ბუნებისა და ჰარმონიის მეშვეობით შენ შეგიძლია მიაღწიო ბედნიერებას. სწორედ აქედან მოდის ინის და იანის თეორია. განმარტების მიხედვით ტე(დე) არის ძალა, ღირსება და ერთიანობა. ტე(დე) არის ტაომდე მისასვლელი გზა.

ჩინელებმა კონფუციის პოსტულატები გადაიტანეს მმართველობაში, ხოლო კულტურასა და ხელოვნებაში ტაოიზმი.

საკვანძო სიტყვები: კონფუციანელობა, ტაოიზმი, რელიგია, ფილოსოფია, პოსტულატი, პრინციპი, ღირებულება.

5	ვეშაპიძე შ.	ეკონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგია: რა უნდა მივიჩნიოთ ცხოვრებაში ჩარვეის სწორ მიმართულებად, ანუ რა შეიძლება და რა არ შეიძლება ვაკეთოთ	ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №2, 2015		10
---	-------------	--	--	--	----

**ეკონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგია: რა უნდა მივიჩნიოთ ცხოვრებაში ჩარევის სწორ მიმართულებად, ანუ რა შეიძლება, და რა არ შეიძლება ვაკეთოთ**

იმის გამორკვევა, რა შეიძლება ვაკეთოთ ეკონომიკაში და რა არ შეიძლება, მოითხოვს მთლიანობაში გაგიაზროთ კონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები: ეკონომიკის საგანი და ფუნქციები, ანალიზის დონეები. ეკონომიკური თეორიის სისტემა, საგნის სხვადასხვა განმარტებანი, ძირითადი ფუნქციები, ეკონომიკური ანალიზის დონეები, ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი, დაშვებათა როლი, პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი, სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი, ძირითადი ეკონომიკური პრობლემა, ანუ განსაზღვრელი სურვილები და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეზღუდულობა, ეკონომიკის მეთოდები, ასევე მნიშვნელოვანია. ეკონომიკურისწავლება დაგვეხმარება სწორად განვსაზღვროთ ღირს თუ არა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა, რომ “ეფექტიანობისა” და “სამართლიანობის” რაღაცნაირად დაყოფა ილუზია იქნება. საჭიროა მივაღწიოთ ყველაზე მთავარს, ეკონომიკის მონაწილეთა თავისუფლებას. ამისათვის უნდა ვიყოთ, ვთქვათ, “კვოტების” ანუ ეკონომიკაში ჩარევის წინააღმდეგი, მაგრამ, ამასთანავე ერთდროულად თანასწორობის მომხრე. თუ ვხედავთ რომ თანასწორობა კვოტების გარეშე ვერ მიიღწევა, მაშინ მხარიუნდა დაუჭიროთ ”კვოტირებას” ანუ ეკონომიკაში ჩარევას. მსგავსად ნეოლიბერალების მიერდასაბუთებული პრინციპისა: “კონკურენცია ყველგან, სადაც შესაძლებელია, რეგულირება-იქ, სადაც აუცილებელია”, მთავარ სამოქმედო პრინციპად უნდა გავიხადოთ: “კვოტირება ყველგან სადაც აუცილებელია, მისთვის გვერდის ავლა ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია”.

6	დემნა კვარაცხელია	“რეფინანსირების სესხები და გაცვლითი კურსი”  სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი: “ბიზნეს-ინჟინერინგი”	2015  N 2	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ.: 32-35
---	-------------------	---	-----------------	------------------------------------	------------

**“რეფინანსირების სესხები და გაცვლითი კურსი”**

დოლართან თანაფარდობაში ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამ გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მოქალაქეები, რომლებსაც სასესხო ვალდებულებები გააჩნიათ დოლარებში, შემოსავლები კი ლარებში.

არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს ლარის გაცვლითი კურსის ცალსახად არაკანონზომიერი და არაპროგნოზირებადი ცვლილება, გაცვლითი კურსის დაცემა-ამაღლების ხშირი მონაცვლეობა, რაც მეწარმეებსა და ინვესტორებს დამატებით სიძნელეებს უქმნის კონტრაქტების გაფორმების პროცესში, რაც ხელს უშლის წარმოების განვითარებას.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, თუ რამ განაპირობა ლარის ასეთი მკვეთრი გაუფასურება. სახელდება სხვადასხვა ობიექტური (გარეშე შოკებით განპირობებული) და სუბიექტური მიზეზები (მ. შ.



განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდას).  
 სტატიაში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებულია რომ რეფინანსირების სესხების მეშვეობით შესაძლებელია გაცვლითი კურსების მართვა, უფრო მეტიც შესაძლებელია გაცვლითი კურსებით მანიპულაცია.

7	დემნა კვარაცხელია	“საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემების შეფასება”  სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი: “ბიზნეს-ინჟინერინგი”	2015 №3	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ.: 144-147
---	-------------------	---	---------	------------------------------------	--------------

**“საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემების შეფასება”**  
 სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემები. დასაბუთებულია, რომ ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა ცივილური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რასაც ადასტურებს ელიტის სასარგებლოდ ინსტიტუტების ფორმირების ხშირი შემთხვევა, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, განსაზღვრულია ინსტიტუციური ცვლილებების პრიორიტეტები.

8	ირინე მამალაძე	სარისკო კაპიტალის განვითარების ეტაპები; ჟურნალი “ეკონომისტი”	№2 2015	ქ.თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4
---	----------------	--	---------	--	---

სარისკო კაპიტალის დანიშნულებაა ისეთი კომპანიის ამოქმედება და ზრდა-განვითარება, რომელიც ორიგინალურობისა და უნიკალურობის მატარებელია. სარისკო კაპიტალი აქტუალურია იქ, სადაც ერთგვარი ექსპერიმენტი და რისკია.  
 არისკო კაპიტალი მჭიდრო კავშირშია ტექნოლოგიურად ნოვატორულ, ინოვაციურ საწარმოებთან. მათი უმრავლესობა იწყება ისეთი მცირე და კერძო საწარმოების სახით, რომლებმაც მიმოიღველ იდეებს უნდა შეასხან ხორცი.  
 ოდესაც სარისკო (ვენჩურულ) საქმიანობაზე საუბრობენ, გულისხმობენ ვენჩურულ ინვესტორებს, ვენჩურულ ფონდებს, ვენჩურულ მმართველ კომპანიებსა და ვენჩურულ საწარმოებს.

9	ნაზი ჭიკაიძე	სახელმწიფოებრივი რეგულირება და ინოვაციური მენეჯმენტი	ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“	№ 1	3
---	--------------	--	-----------------------------	-----	---

მცირე საწარმოების ინოვაციური ბიზნესის რეგულირების პროცესში სახელმწიფომ ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების მეშვეობით უნდა შეძლოს მათ შორის ჯანმრთელი კონკურენციის მხარდაჭერა, ასევე ხელი შეუწეოს მათ ქმედით ინტეგრაციას, რომლებიც ხორციელდება რესურსების გაერთიანების და ინოვაციური პროცესების სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, ფინანსური-სამეურნეო პრობლემების დასაძლევად.

10	Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, (რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია)	რისკის ტიპები და ჰეჯირების ტექნიკა ფინანსურ მენეჯმენტში	ჟურ. “ეკონომიკა”, 2015, №1-2	თბილისი	8
----	--	---	------------------------------	---------	---

ფინანსურ მენეჯმენტს, შეუძლია რა გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბიზნესის არსებობასა და განვითარებაში, იგი ისეთი მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, როგორც წარმოება, PR და მარკეტინგი. მოკლედ, ფინანსური მენეჯმენტი ნიშნავს საწარმოს ფინანსური რესურსებისა და ზოგადად საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვას, ორგანიზებას, მართვასა და კონტროლს.

ფინანსურ რისკ-მენეჯმენტს კი შეუძლია ბიზნესს აარიდოს და დაიცვას იგი სხვადასხვა მოსალოდნელი საფრთხეებისაგან, მაგალითად, როგორცაა: საკრედიტო, საბაზრო, უცხოური სავალუტო, ინფლაციის, ლიკვიდურობის, სექტორის და სხვა რისკები. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხოური სავალუტო რისკების ჰეჯირების მეთოდებს, მათ შორისა: საკრედიტო-სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტებით ჰეჯირება, საფორვარდო კონტრაქტები და საბალანსო ჰეჯირება.

11	რევაზ შენგელია, ნათია შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური	ინვესტიცია ხალხისთვის თუ მხოლოდ ინვესტორისა და “ელიტისთვის”	ჟურ. “ეკონომიკა”, 2015, №3-4	თბილისი	15
----	---	---	------------------------------	---------	----

ცნობილია, რომ უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ ქვეყანაში, სადაც შიდა ინვესტიციური პრაქტიკა მოშლილია. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციური კრიზისის დაძლევის, და, მაშასადამე, უცხო ური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორად შეიძლება მივიჩნიოთ შიდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, გამოცოცხლება. ამისათვის კი საჭიროა მოგვარდეს როგორც უცხოელი ინვესტორის

პრობლემები (ქვეყნის რეგიონისა და კომპანიის დონეზე სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა), ისე რეციპიენტი ქვეყნის, ე.ი. ინვესტიციის მიმღები მხარის პრობლემები (საქართველოს კომპანიების მზადყოფნა უცხოური კაპიტალის მიღებისა და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად რისკების შემცირება). ამ პრობლემების გადაჭრის პარალელურად თუ არ მოხდა ინვესტიციებისა და რეციპიენტის, და, რაც მთავარია, საზოგადოების ინტერესთა თანხვედრა, დაბალანსება, ისე ვერ დაჩქარდება ინვესტიციური საქმიანობა. საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მიზნით ინვესტიციებს (როგორც უცხოური ისე ადგილობრივი) შეღავათი უნდა მიეცეს საბაჟო, საგადასახადო სფეროში, თუ იგი თავის ინვესტიციებს ჩადებს: რეციპიენტი ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში (მაგალითად, ძირითად კაპი ტალში); მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ პრიორიტეტულ დარგებში; ჩამორჩენილ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ რეგიონებში და ა.შ.

12	Jujuna Tsiklauri-Shengelia, Revaz Shengelia, Natia Shengelia, (ქუქუნა წიკლაური-შენგელია, რევაზ შენგელია, ნათია შენგელია)	THE IMPORTANCE AND ROLE OF AUDIT AND AUDIT REPORT IN BUSINESS DECISION-MAKING  (აუდიტისა და აუდიტორული დასკვნის მნიშვნელობა და როლი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში)	ქურ. "ეკონომიკა", 2015, №7-9	თბილისი	8
----	--	--	------------------------------	---------	---

ფინანსური ანგარიშგება, მისი აუდიტი და განსაკუთრებით აუდიტორული დასკვნა, რომელიც ზრდის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ინვესტიციებისათვის, ფინანსური ინსტიტუტებისთვის (მაგ. სესხის გაცემის შემთხვევაში), და ფინანსური ანგარიშგების სხვა მომხმარებლებისათვის. თუ აუდიტორი მტკიცებულებების ბაზაზე გამოსატყუარ მოსაზრებას, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მაშინ გაიცემა არამოდიფიცირებული (დადებითი) უპირობო აუდიტორული დასკვნა; ხოლო არსებითი უზუსტობების აღმოჩენის ან არასაკმარისი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში კი იწერება უკვე მოდიფიცირებული დასკვნა, მათ შორის: პირობითი დასკვნა, უარყოფითი დასკვნა ან უარი დასკვნის გაცემაზე. ამრიგად, აუდიტი უზრუნველყოფს საზოგადოებას (სხვა მომხმარებლებს) დამატებითი სანდო გარანტიით - კომპანიის მენეჯმენტის მტკიცებულების მიღმა, რომ ფინანსური ანგარიშგება ნამდვილად არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, რომელიც გავლენას მოახდენდა მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. აუდიტის რეგულირების ძირითადი ამოცანაა, უზრუნველყოს ერთი მხრივ, რომ აუდიტორმა შეძლოს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი შეცდომების

გამოვლენა (კომპეტენტურობა), მეორე მხრივ კი, აცნობოს ამის შესახებ საწარმოს ინვესტორებსა და აქციონერებს (დამოუკიდებლობა).

13	<p>Жанна Толордава, Вахтанг Антия, Реваз Шенгелия, Жужуна Циклаური - Шенгелия (ქანა თოლორდავა, ვახტანგ ანთია, რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური)</p>	<p>Консалтинг в сфере информационных технологий  (კონსალტინგი ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში)</p>	<p>ჟურ. “ეკონომიკა”, 2015, №7-9</p>	<p>თბილისი</p>	<p>10</p>
----	--	---	---	----------------	-----------

სტატიაში განხილულია შედარებით ახალი და პერსპექტიული სფერო - ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) კონსალტინგი. მის პერსპექტიულობას განაპირობებს ინფორმაციულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე სწრაფად მზარდი მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნის მიზეზებია მმართველობითი ამოცანების სირთულისა და მათი რაოდენობის ზრდა, რისკებისა და განუსაზღვრელობის არსებობა მეწარმეობის სხვადასხვა სფეროში. გარდა ამისა, ბიზნესის, ბაზრების ინტერნაციონალიზაციამ და გლობალიზაციამ, სტრუქტურულმა ცვლილებებმა საწარმოებში დიდად შეუწვევს ხელი კონსალტინგურ მომსახურებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. ცნობილია, რომ ინფორმაციული სისტემები ბიზნესის ეფექტიანობის ზრდას უწყობენ ხელს, ვინაიდან წარმოების ყველა საწარმოო პროცესზე ინფორმაციის ფლობა დროულად და ოპერატიულად სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. IT - სისტემების პერმანენტული განვითარების პირობებში პროფესიონალი კონსულტანტების და IT-კონსალტინგის როლი მნიშვნელოვნად იზრდება და აუცილებელიც ხდება.

14	<p>ზურაბ ჯორბენაძე, რევაზ შენგელია, ნათია შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური- შენგელია</p>	<p>ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების საკითხისათვის</p>	<p>ჟურ. “ეკონომიკა”, 2015, №10-12</p>	<p>თბილისი</p>	<p>10</p>
----	---	--	---	----------------	-----------

დღეს ეკონომიკური ანალიზი თვისობრივად მაღალ დონეზე ავიდა: დამკვიდრდა საერთაშორისო სტანდარტი და ერთიანობაში წარმოჩინდა ფინანსური, მმართველობითი, საგადასახადო, ინოვაციური, საინვესტიციო და სტატისტიკური ანალიზი. ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე და მომავლის პერსპექტივიდან გამომდინარე ეკონომიკური პროფილის სტრუქტურისათვის ანალიტიკური ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხი ძალზე მოთხოვნადი გახდა. ამ ფონზე საქართველოში ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების დონე და ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს: ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებში ეს საგანი უბრალოდ არ ისწავლება(!), და იქ სადაც ის ისწავლება საკითხი თვითდინებაზე არის მიშვებული – დარღვეული არის საგნის და თვით მეცნიერების სტრუქტურა, აღრუელია თეორიული და პრაქტიკული მხარეების თანაფარდობა, ამა თუ იმ საკითხის განხილვის პარალელიზმის შიშით ამ საგანს უზღუდავენ არეალს, თვით

განხილული საკითხები კი აშკარად ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნებს, საგნის ხელმძღვანელთა და კურსის სწავლების ლექტორთა მოხერხებულობის ფონზე მიმდინარეობს სწავლის პროცესი, და ბოლოს ქართულ ენაზე ეკონომიკური ანალიზის სახელმძღვანელოს ან დამხმარე ლიტერატურის არ არსებობა, და კიდევ სხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები ერთმლთიანობაში უცილობლად მოითხოვს ეკონომიკური ანალიზის სწავლების საკითხის ძირეულად გადახედვას და სწავლების შინაგანი სტრუქტურის გაჯანსაღებას. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ეკონომიკური ანალიზის საგნით დაინტერესებულ პირთათვის სემინარების, კონფერენციების, ან ტრეინინგების და ა.შ. ორგანიზება და მოწყობა. ასევე მათ უნდა გამოიჩინონ მეტი პედაგოგიური სწრაფვა და ჟინი რათა მაღალკვალიფიციური კადრების (სპეციალისტების) მომზადების პროცესმა სრულყოფილი სახე მიიღოს.

15	რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური	მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის დაბალი დონე - ეკონომიკური ზრდის უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი კრეატიული ეკონომიკის პირობებში	ჟურ. "ეკონომიკა", 2015, №7-9	თბილისი	13
----	---------------------------------	---	------------------------------	---------	----

ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კრეატიული ეკონომიკის პირობებში ქვეყნის განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი საშუალებაა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიმართული სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ხოლო ასეთი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი- მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, მისი განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე. გასაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ახალ სამ ფორმაზე, მათი პრაქტიკაში გათვალისწინების მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი შრომის დანაკარგების შემცირების თვალსაწიერით და წარმოჩენილია განათლების სფეროში, ცოდნის ფორმირების პროცესში მოღვაწე მუშაკთა როლი ეკონომიკაში არსებული არასასურველი მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყნის შემდგომი წინსვლის საქმეში. მოცემულია ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების პირობითად ორ- პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დაყოფის არგუმენტაცია და გაკეთებულია დასკვნა, რომ პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები – ახანგრძლივებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას.

16	ელენე მენაბდე-ჯობაძე	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად – საკრედიტო მექანიზმი	ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი”, 2015 წელი, №3	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
----	----------------------	---	---	---	---

სტატიაში: ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად – საკრედიტო მექანიზმი - აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფულად – საკრედიტო ურთიერთობებზე ზემოქმედებაა, რაც ფულად – საკრედიტო პოლიტიკით ხორციელდება. ფულად საკრედიტო პოლიტიკა – ხელისუფლების მიერ, მაკროეკონომიკური პროცესების საჭირო მიმართულებით განვითარებაზე ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც იგი ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების სფეროში ატარებს. მისი უმაღლესი მიზანი – ეროვნული მეურნეობის გაწონასწორებული და მყარი განვითარების უზრუნველყოფაა. კონკრეტული მიზნებია: ფულადი სისტემის გამყარება, კაპიტალის ინვესტირების პროცესზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე და ფასწარმომქმნაზე ზემოქმედება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ცენტრალურ ბანკს მთავარი როლი მიეკუთვნება, იგი ძირითადი სუბიექტია. ცენტრალური ბანკის გადასაწყვეტი ამოცანებია: უზრუნველყოს ეროვნული სავალუტო სისტემა, რადგან მყარი ეროვნული ვალუტა ბაზრის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კერძო (კომერციული) ბანკების მოქმედებაზე ისეთი ზემოქმედება, რომ სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველყოს. საკრედიტო პოლიტიკის ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება: ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე; სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა; მინიმალური რეზერვების პოლიტიკა; ფულად – საკრედიტო სფეროში ჩარევის პირდაპირ ფორმად, საკრედიტო დაბანდებების ზრდის შეზღუდვა ითვლება. ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია (როგორც საშინაო ასევე საგარეო) სახელმწიფო რეგულირებაში აქცენტების კეინზიანური მეთოდებიდან მონეტარულზე და პირიქით გადატანას განაპირობებს.

17	თამარ აბუაშვილი სიჭინავა ალექსანდრე	რეცენზია რატი აბულაძის მონოგრაფიაზე: „საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია“;	ჟურ. “ბიზნეს-ინჟინერინგი”, 2015, №1	თბილისი	2
----	-------------------------------------	---	-------------------------------------	---------	---

მეცნიერთა ყურადღების ცენტრში, ციფრულ გარემოში, გლობალური გამოწვევების პასუხს წარმოადგენს ციფრული პროცესები და მისი მართვის სისტემა– ელექტრონული მთავრობის სისტემა. ციფრული რეგულაციის პირობებში ელექტრონული მთავრობა გახდა ინოვაციის, ინფორმაციულობის, განვითარების, სოციალური-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობის საშუალება შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს.

18	ირინე მამალაძე, თამარ აბუაშვილი	კომპანიის ექსპრეს-ანალიზი და მისი ღირებულების მართვა	ჟურ. "ბიზნეს-ინჟინერინგი", 2015, №2	თბილისი	4
<p>ქალაქად ადამიანთა ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო. ვითარება მსოფლიოში განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როცა მოსახლეობის უმეტესობა საცხოვრებლად ქალაქად გადავიდა და ამ პროცესის დაჩქარების ტემპმა მეტად საყურადღებო ნიშნულს მიაღწია. თანდათან ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: მეგაპოლისი – ადამიანთა განსახლების ყველაზე უსაფრთხო ადგილი, რომელმაც დედა-ბუნება განადგურებისაგან გადაარჩინა, თვით გახდა, ერთი მხრივ, ბუნების აშკარა მტერი, რომელმაც გაანადგურა საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი კულტურული ფასეულობები, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების ყველაზე მიმზიდველი ადგილი, სადაც დღენიადაც იბადება კულტურისა და ხელოვნების ახალ-ახალი შედეგები, რეალიზდება ადამიანთა შემოქმედებითი ოცნებები და პროგრესული იდეები.</p> <p>ქალაქად მოსახლეობის მასობრივად ცხოვრებამ, ბუნებისადმი ადამიანთა დაუდევრობამ და მომხმარებელურმა დამოკიდებულებამ ეკოლოგიური მდგომარეობა ძალზე გაართულა და მეტად საგანგაშო ვითარება შეიქმნა. დღის წესრიგში მთელი სიმწვავეით დადგა ეკოპოლისური განაშენიანების პროგრესული იდეა. შემუშავდა ქალაქგანაშენიანების მრავალი საყურადღებო პროექტი (მაგ., "გაერო-ჰაბიტატი"), განისაზღვრა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის გზები (მაგ., გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფცია), შეფასდა ქალაქების უზრუნველყოფის რესურსული პოტენციალი, რეგიონულმა გაერთიანებებმა განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში გაამკაცრეს ეკოლოგიური მოთხოვნები და სხვა მრავალი.</p>					
19	თამარ აბუაშვილი თეა ბიძინაშვილი	საქართველოს ექსპორტ-იმპორტის მდგომარეობა 2004-2013 წლებში	ჟურ. "სოციალური ეკონომიკა", 2015, №1	თბილისი	8
<p>დღეს, მსოფლიოში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ცალკეული ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის ფონზე, განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება როგორც საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების, უცხოური დაბანდებების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენას, ისე არსებული მდგომარეობის ანალიზს. საქართველოსთვის, რომელიც დღეს თანდათან იკიდებს ფეხს მსოფლიო თანამეგობრობაში, თავის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, რომლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას საგარეო ვაჭრობა წარმოადგენს. საგარეო ვაჭრობაში ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის</p>					

<p>აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმებია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტის განვითარებისთვის გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი ჩვენს ქვეყანაში შეიძლება პირველ ნაბიჯებად ჩაითვალოს, რომელიც უნდა გაფართოვდეს და ამ თვალსაზრისით მსოფლიო გამოცდილების საფუძვლიანი გაცნობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა პრაქტიკული მოქმედებისათვის.</p>					
20	მ.ბალათურია მ.ბერუაშვილი	საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პერსპექტივები. ე.ბიზნეს-ინჟინერინგი	№1	თბილისი2015  ბიზნეს-ინჟინერინგი	42-44
<p>მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კონცეფციამ შეცვალა არსებული წარმოდგენები საერთოდ განვითარების, კეთილდღეობისა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. ეს პროცესები უნდა განვითარდეს თანმიმდევრულად. გეგმაზომიერად, ბუნებრივი ბალანსის დაურღვევლად, არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით.</p>					
21	მ.ბალათურია მ.ბერუაშვილი	ინფლაციური პროცესების თავისებურება და მისი დაძლევის გზები საქართველოში. ე.ბიზნეს-ინჟინერინგი.	№ 2	თბილისი2015  ბიზნეს-ინჟინერინგი	11-12
<p>ინფლაციის ტემპის მკვეთრი ამაღლება, მისი ხშირი ცვლილებები, უარყოფითად აისახება პროდუქციის რეალური გამოშვების მოცულობაზე, რაც გამოწვეულია ძველი, ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობების რღვევითა და მთელი რიგი ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯების წარმოშობით. ამიტომ ინფლაციის ტემპის შემცირება, კონკრეტული ეკონომიკური ვითარების შესაბამისად, ოპტიმალურ დონეზე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ ძირითად პირობას.</p>					
22	მ.ბალათურია მ.ბერუაშვილი	ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული სტრატეგია და ტაქტიკა. ე.ბიზნეს-	№3	თბილისი2015  ბიზნეს-ინჟინერინგი	132-133



		ინჟინერინგი			
<p>სამეწარმეო ბიზნესის სუბიექტები კონკურენციული ქცევის სტრატეგიის გარეშე ვერ შეძლებენ შეიმუშაონ ამა თუ იმ სახის მოქმედებისათვის მოტივირებული მიზანდასახულობა. კონკურენციული მოქმედების სტრატეგიული მართვა ნებისმიერ სამეწარმეო ფორმაში იწყება მიზნობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირებიდან. ნაშრომში განხილულია კონკურენციული ქცევის სტრატეგიების გამოყენების სახეები. აგრეთვე ბიზნესში შესვლისა და ბიზნესიდან გასვლის სტრატეგია.</p>					
23	მ.ბალათურია მ.ბერუაშვილი	მენეჯმენტი- ქართული სინამდვილე.  შრომების კრებული	№1	ბათუმი 2015  შრომების კრებული	ბეჭ- დვის პრო- ცესშია
<p>ბიზნესისათვის ყველაზე ძნელია- შეცვალოს ადამიანები და არა სისტემა, მაგრამ კარგი სისტემის მეშვეობით შეიძლება ადამიანები აიძულო შეიცვალონ თავისი ნიშან-თვისებები და ჩვეულებები. მენეჯერების უმრავლესობა მუდმივად წუწუნებენ იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ სათანადო ხალხის პოვნას, ეძებენ მებრძოლებს, რომლებიც მოვლენ და სიმადლებს დაიპყრობენ. სინამდვილეში კი თითოეული ადამიანი ამოუწურავი შესასაძლებლობების მქონე, უსასრულო სამყაროა, რომელსაც შეუძლია წარმოუდგენლად ძვირფასი იდეა ჰქონდეს.</p>					
24	ტარიელკიკვაძე, დავით გეგია	ინფლაციის სტრატეგიული მართვის პრობლემები	ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი “ბიზნეს- ინჟინერინგი”, №3, 2015	თბილისი, სტუ	166-171
<p>სტატიაში ინფლაცია განიხილება როგორც სისტემური ფენომენი, რომელშიც ჩართულია საზოგადოების სხვადასხვა ფენები, ჯგუფები და ინდივიდები. ინფლაციის მართვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ასპექტი - ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური (საკუთრივი, ვიწრო მნიშვნელობით), ფსიქოლოგიური, მასშედური, აგრეთვე, სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციული არქიტექტურა (პარლამენტი, ეროვნული ბანკი, მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო სისტემა). მისი ეფექტური მართვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საექსპერტო, კვლევითი და მმართველობითი, სისტემის, ცოდნის მომაცემთა ბაზის, თეზაურუსის შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადეკვატური საჯაროობის უზრუნველყოფას. მიდგომა აერთიანებს ინფლაციის ისტორიულ და უახლეს პრობლემებთან დაკავშირებულ კვლევებსა და კონცეფციებს.</p>					
<p>სტატიაში ინფლაციის მართვის პრობლემატიკა დაკავშირებულია საინფორმაციო-</p>					

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, რომელებიც ინტეგრირებული უნდა იყვნენ პროგრამულ-მიზნობრივი ან მართვის სხვა თანამედროვე კონცეფციებთან, რაც უფრო ეფექტურს გახდის ინფლაციის მართვის სისტემურ პროცესს და შეამსუბუქებს საზოგადოებაზე მისი ზეგავლენით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ და მატერიალურ წნეხს.

25	ტარიელკიკვაძე, ირინე ფარსელაშვილი	აუდიტის დაგეგმვა და რეგულირება	ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი “ბიზნეს- ინჟინერინგი”, N4, 2015	თბილისი, სტუ	138-142
----	--------------------------------------	-----------------------------------	--	--------------	---------

გაანალიზებულია აუდიტორული შემოწმების ზოგადი სტრატეგიის შემუშავების და დეტალური პროგრამის შედგენის საკითხები. მოყვანილია განსახორციელებელი აუცილებელი აუდიტორული პროცედურების ჩამონათვალი.

აუდიტორული შემოწმება უნდა პასუხობდეს საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს, უნდა სრულდებოდეს ეფექტურად კლიენტის მიერ დათქმულ დროში. ამ მიზნით ხდება აუდიტის დაგეგმვა და რეგულირება.

პასუხისმგებლობა აუდიტის საერთო გეგმისა და აუდიტორული პროგრამის შემუშავებაზე ეკისრება აუდიტორს.

26	აკაკი გვარუციძე, პარმენ ლემონჯავა	ბუნების რაციონალური გამოყენების პროცესში მეცნიერულ- ტექნიკური პროგრესის მენეჯმენტის სრულყოფის მნიშვნელობა	სოციალური ეკონომიკა №3	გამომცემლობა სტუ.	18
----	--------------------------------------	--	---------------------------	----------------------	----

სამეცნიერო სტატიაში აღნიშნულია რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება ბუნებაზე ქმედით გავლენას ახდენას, სწორედ მისი არამიზანმიმართული გამოყენება განაპირობებს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, ამიტომ ქვეყნის მთელი სამეურნეო საქმიანობა უნდა წარიმართოს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებისა და ბუნების პარმონიული ურთიერთმოქმედება.

სამეურნეო პროცესები დიდი ხანია რაც მენეჯმენტის ობიექტია მაგრამ ბუნების დაცვა მისი რესურსების გამოყენება, მხოლოდ ბოლო წლებში დაექვემდებარა ამ პროცესს.

სამეცნიერო სტატიაში მითითებულია, რომ ბუნების და ეკონომიკური მენეჯმენტის

პრობლემები განხილული უნდა იქნეს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე.

ბუნების რაციონალურად გამოყენების პროცესში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მენეჯმენტის მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ამ უკანასკნელის განხორციელების დროს ეკოლოგიური სისტემების მენეჯმენტი მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მივარწიოთ რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუნჯობესებას.

ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთ შედწეული პროცესის რაციონალურმა მეთოდებმა და სისტემებმა უნდა იზრუნველყონ ბუნების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნება და კვლავწარმოება. ამ უკანასკნელის მიღწევა კი შესაძლებელია ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, მეცნიერულ საფუძველზე შედგენილი მენეჯმენტის გამოყენების გზით.

27	აკაკი გვარუციძე ნანი მამფორია	სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს საქმიანობის მდგომარეობა თანამედროვე პირობებში	ქურ. სოც.ეკონომიკა № 2. 2015წ.	გამომცემლობა სტუ	14
----	----------------------------------	---	--------------------------------------	---------------------	----

ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანაა მისი ინოვაციურ ტრექტორიაზე გასვლა, პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პრინციპულად ახალი ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება. ეს ამოცანა ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოსთვის, სადაც ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მძლავრ აქტივიზაციას, პირველ რიგში სამეურნეო სუბიექტების, საწარმოს დონეზე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების, საინვესტიციო და სხვა პირობებს. ეს ეროვნული მეურნეობის რეორგანიზაციის შესაძლებლობას იძლევა. მეცნიერებატევად წარმოების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქართველოს დიდი და ტრადიციულად მზარდი ჩამორჩენის დაძლევა (მეურნეობრიობის სხვადასხვა სფეროში მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით). თანამედროვე პირობებში იჩენი ქვეყანა საკმაოდ დონის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ფლობს, თუმცა ეკონომიკური კრიზისის გამო გარდამავალი პერიოდის პირობებში ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩა წარმოების ინოვაციური განვითარების მსოფლიო დონეს. ამასთან დაკავშირებით ხელახლა გააზრებას საჭიროებს როგორც წარმოების ინოვაციური განვითარების დასახასიათებლად საჭირო ტერმინები და კატეგორიები, ასევე წარმოების ინოვაციური განვითარების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგია. ამასთან, მეურნეობრიობის ეფექტიანობაზე ზემოქმედების ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა განაპირობებს წარმოების მართვის ახალი მექანიზმების ფორმირებისა უცილებლობას, როგორც მთლიანად, ასევე ინოვაციური განვითარების მიმართ. შემდგომ კვლევებს მოითხოვს ასევე ინოვაციების და ინტელექტუალური კაპიტალის შეფასების პრობლემები, მათი ზემოქმედება წარმოების საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

რომლებიც სამეცნიერო ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებისა და ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ორიენტაციის გაძლიერების შედეგად ახლის შექმნისა და არსებული სამრეწველო და სასოფლო საწარმოების ტექნიკური გადაიარაღების რესურსული უზრუნველყოფის დომინირებადი წყარო უნდა გახდეს. აღნიშნული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა განაპირობებს ეკონომიკაში ინოვაციური, ინტელექტუალური, საინვესტიციო საქმიანობის აქტუალობას

28	ნატო გეგენავა თეონა ბაქანიძე	ინოვაციების მნიშვნელობა რეგიონის განვითარებისთვის	ჟურ. № 2	გამომცემლობა სტუ	3
----	---------------------------------	--	----------	---------------------	---

სტატიაში განხილულია ინოვაციათა მნიშვნელობა რეგიონების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. ნაჩვენებია, რომ ქვეყნის რეგიონების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის წინამძღვრების შექმნა შეუძლებელია ინოვაციური პროცესების აქტივიზაციისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების გარეშე, რამაც აქცენტი გადაიტანა ინოვაციური პროგრამების მართვის სფეროში ფედერალურიდან რეგიონულ დონეზე. ჩატარებულია რეგიონულ დონეზე ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების თანამედროვე მიდგომების ანალიზი. გამოვლენილია რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების ძირითადი ფუნქციები. სტატიაში ასევე ნაჩვენებია, რომ ინოვაციური პროგრამებისა და ცალკეული მსხვილი პროექტების რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ეფექტური რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურების, როგორც ეროვნული ინოვაციური სისტემის ქვესისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობით.

29	თეონა ბაქანიძე, ნატო გეგენავა	ორგანიზაციის მართვის სახეები	ჟურ. ბიზნეს- ინჟინერინგი, №2. 2015	გამომცემლობა სტუ	3
----	----------------------------------	---------------------------------	--	---------------------	---

სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე ორგანიზაციისათვის აქტუალური მართვის ორი სახე: სტრატეგიული და კორპორაციული მართვა. განხილულია სტრატეგიული მართვა, როგორც სამეწარმეო საქმიანობა. ორგანიზაციის შესაძლებლობები წარმოადგენს სტრატეგიული მართვის საფუძველს, რომელიც მიმართულია სტრატეგიული მიზნების მიღწევასაკენ. მთლიანობაში, სტრატეგიული პრობლემებით დაკავებული მენეჯერის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მომგებიანობის მუდმივი პოტენციალის უზრუნველყოფა. ამრიგად, სტრატეგიული მართვის მიზანია გაზარდოს ორგანიზაციის პოტენციალი, თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით.

სტატიაში ასევე განხილულია კორპორაციული მართვა, როგორც კომპანიების მართვის და კონტროლის სტრუქტურა. იგი არის კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი, კორპორაციული მართვა მოიცავს ურთიერთობებს კომანიის მენეჯმენტს, მის სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტი დაკავშირებულია კორპორაციებში გარე კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფასთან. კორპორაციული მართვა ასევე ითვალისწინებს იმ გზების გამონახვას, რომლის საშუალებითაც შეძლებს დააინტერესოს დაკავშირებული მხარეები, რათა მათ განახორციელონ სოციალურად ეფექტიანი ინვესტიციები სპეციფიკურ ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალში.

30	შ. ყიზილაშვილი კ. ყიზილაშვილი	რენტაბელური საოჯახო მეურნეობები-საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების უტყუარი გზა	სტუ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციის მასალები, თბ; 2015წ.		
----	----------------------------------	--	--	--	--

სტატიაში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამდროვე მდგომარეობა და სამომავლოდ მის აღორძინებაში და განვითარებაში რენტაბელური საოჯახო მეურნეობების მნიშვნელობა.

31	ნატო ჩიკვილაძე პარმენ ლემონჯავა, აკაკი გვარუციძე,	ბუნების რაციონალური გამოყენების პროცესში მეცნიერულ – ტექნიკური პროგრესის მენეჯმენტის სრულყოფის მნიშვნელობა, ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები”	№3 2015წ	თბილისი, კოსტავას ქუჩა №77. სტუ	39-48
----	---	---	----------	---------------------------------	-------

სამეცნიერო სტატიაში აღნიშნულია რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება ბუნებაზე ქმედით გავლენას ახდენას, სწორედ მისი არამიზანმიმართული გამოყენება განაპირობებს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, ამიტომ ქვეყნის მთელი სამეურნეო საქმიანობა უნდა წარიმართოს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებისა და ბუნების

ჰარმონიული ურთიერთმოქმედება.

სამეურნეო პროცესები დიდი ხანია რაც მენეჯმენტის ობიექტია მაგრამ ბუნების დაცვა მისი რესურსების გამოყენება, მხოლოდ ბოლო წლებში დაექვემდებარა ამ პროცესს.

სამეცნიერო სტატიაში მითითებულია, რომ ბუნების და ეკონომიკური მენეჯმენტის პრობლემები განხილული უნდა იქნეს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე.

ბუნების რაციონალურად გამოყენების პროცესში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მენეჯმენტის მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ამ უკანასკნელის განხორციელების დროს ეკოლოგიური სისტემების მენეჯმენტი მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მივარწიოთ რესურსების რაციონალურ

გამოყენებას და ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

ეკონომიკისა და ბუნების ურთიერთშედარებით პროცესის რაციონალურმა მეთოდებმა და სისტემებმა უნდა უზრუნველყონ ბუნების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნება და კვლავწარმოება. ამ უკანასკნელის მიღწევა კი შესაძლებელია ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, მეცნიერულ საფუძველზე შედგენილ მენეჯმენტის გამოყენების გზით.

32	ნატო ჩიკვილაძე ვახტანგ დათაშვილი თინა მელქოშვილი	ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგია უკონომიკა-  “სოციალური ეკონომიკა-  XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები”	№3 2015წ	თბილისი, კოსტავას ქუჩა №77. სტუ	10-28
----	--	---	----------	---------------------------------	-------

სადღეისოდ შემუშავებულია უამრავი მეთოდოლოგია, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია გავზომოთ და ერთმანეთს შევუდაროთ ელექტრონული მთავრობის სფეროში არსებული საქმის ვითარება. ამიტომ თავდაპირველად აუცილებელია ჩავატაროთ ცნობილი მიდგომების ანალიზი და გამოვიკვლიოთ არსებული უცხოური თუ ქართული მეთოდოლოგიების შესაძლებლობები საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებაში.

ელექტრონული მთავრობის პროექტების მდგომარეობის შეფასებისათვის ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია თავის საკუთარ მაჩვენებლებს იყენებს. ყველაზე უფრო გავრცელებულია ელექტრონული მთავრობისათვის ქვეყნების მზადყოფნის ის ინდექსი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს გამოთვლილი.

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის (the UN Department of Economic and Social Affairs (UNDESA)) სახელმწიფო ადმინისტრაციული საქმიანობისა და განვითარების მართვის განყოფილებამ (the Division for Public Administration and Development Management (DPADM)) შეიმუშავა ელექტრონული მთავრობისათვის ქვეყნების მზადყოფნის შეფასების საკუთარი მეთოდიკა. მზადყოფნა იმ დონის ამსახველი მაჩვენებელია, რომლითაც სახელმწიფო მომზადებულია ქსელურ სამყაროში მონაწილეობისათვის და რომელიც იძლევა შესაძლებლობებისა და პრობლემების შეფასების საშუალებას.

ამ კვლევას იმის დასადგენად ატარებენ, თუ რამდენად არიან მთავრობები მზად საინფორმაციოსატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობათა გამოსაყენებლად და ორიენტირებულები ძირითადი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## II. 2. პუბლიკაციები

### ბ) უცხოეთში

#### მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა.სიჭინავა, დ.სეხნიაშვილი, მ. ჩიქავა	Challenges for Higher Education in Central and Eastern Europe	Challenges for Higher Education in Central and Eastern Europe	კრაკოვი, Adam Marszalek

ოფიციალური მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ უმაღლეს განათლებაში ჩადებული ინვესტიცია საქართველოში ამ ეტაპისათვის გარკვეულ უკუგებას იძლევა, უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია; სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით ორჯერ მაღალია, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის ხუთჯერ; ასევე უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში დაახლოებით იგივე დროის მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე სხვა ქვეყნებში.

უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების პოტენციურად ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა საქართველოში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდული რჩება მოწყვლადი ჯგუფებისათვის. ასევე, უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის

შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა თვითდასაქმებისა და სპეციალობით დასაქმების დაბალი მაჩვენებლები.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე სიჭინავა, შოთა ვეშაპიძე	თანამედროვე ეკონომიკური მოდელები: ღირებულებები, მიღწევები,  თავისებურებები	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები”  გუშინ დღეს, ხვალ”  თბილისი, 17-18 ოქტომბერი
<p>სტატიაში კონკრეტულად განხილულია მსოფლიოში ისეთი ეკონომიკური მოდელების თავისებურებები და დამახასიათებელი ნიშნები, როგორცაა: აშშ ეკონომიკური მოდელი; ევროპული მოდელი (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია); აზიური მოდელი (იაპონია, ინდოეთი, სამხრეთ კორეა); ლათინოამერიკული და აფრიკული მოდელი.</p> <p>საქართველომ გულდასმით უნდა მიაღწევოს თვალყური მსოფლიოს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მოდელებს. მისგან სასარგებლო გაკვეთილების მიღებით შესაძლებელი გახდება ქართული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ფორმირების ფართოდ გაშლა და მისი უფრო სრულყოფილი, თანამედროვე და ეფექტიანი ჩამოყალიბება.</p>			
2	ჯოლია გურამ	კრეატიული ეკონომიკის ფენომენის შემეცნებითი გააზრებისათვის	პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები”



			2015, 24-26 ივნისი, ბათუმი
<p>XX საუკუნის ბოლო მეოთხედში განვითარებულ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებმა საზოგადოების ყურადღება კრეატიული სექტორის განვითარებისაკენ წარმართა.</p> <p>ეკონომიკის კრეატიული ინდუსტრიის პოტენციური შესაძლებლობები საზოგადოების განვითარების შეუზღუდავი წყაროა, თუმცა ამ სექტორის მრავალი დებულება, პოსტულატი თუ შეფასების კრიტერიუმი, დღემდე დადგენილი არ არის და მეცნიერთა ფართო დისკუსიის საგანია.</p> <p>მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც: ბუნებამ ადამიანი შექმნა არა მარტო კრეატიული აზროვნების უნარით, არამედ თავის ქმედებებში შეცდომების დაშვების შესაძლებლობებითაც. ამ ხარვეზის გამოსწორებით შესაძლებელია უფრო ძლიერი და საიმედო ტექნიკურ-ეკონომიკური საშუალებების შექმნა, რითაც შემცირდება რუტინული ოპერაციების შესრულების რისკი.</p> <p>კრეატიული ეკონომიკა, როგორც ინტეგრირებული მეცნიერება, აერთიანებს ეკონომიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და კულტუროლოგიის საკითხებს.</p> <p>კრეატიული ეკონომიკა არის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სფეროთა ერთობლივი ეკონომიკა. იგი ეფუძნება მაღალი სამუშაო ძალას, რომელიც სიახლეების დამუშავების სულისჩამდგმელი და მამოძრავებელია.</p> <p>კრეატიული ეკონომიკის ზრდის ძირითადი ფაქტორია ადამიანისეული კაპიტალი.</p> <p>კრეატიული ეკონომიკის ნიშანია რაიმეს შესახებ შემოქმედებითი მიდგომა, ახალი, ადრე არარსებული იდეების დანერგვა, საზოგადოების უწყვეტი ინოვაციური განვითარება, რომლის საფუძველია ორიგინალური იდეები დასაქმების ნებისმიერ სფეროში.</p> <p>კრეატიული ეკონომიკის მთავარი თავისებურებაა ის, რომ მისი ძირითადი ინსტრუმენტია ცოდნა, რესურსი – ინფორმაცია, ხოლო პროდუქტი – ინოვაცია.</p> <p>ეკონომიკური ზრდის ახალი თეორიები იძულებული იქნებიან მომავალში კრეატიულობის ფენომენი გაითვალისწინონ, რადგან კრეატიული ეკონომიკის განვითარება შეუზღუდავი რესურსების გამოყენებას გულისხმობს.</p>			
3	ჯოლია გურამ	თანამედროვე განათლების მიღების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი	<p>მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები”</p> <p>გუშინ დღეს, ხვალ”</p> <p>თბილისი, 17-18 ოქტომბერი</p>
<p>განვითარებული სამყარო თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, პოსინდუსტრიული საზოგადოების მეორე საფეხურზე – ცოდნის საზოგადოების შექმნისა და განვითარების</p>			

სტადიაზე – გადადის, რომელიც ყოველი ინდივიდისა და მოლიანად საზოგადოების წინაშე თვისებრივად განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს. დღის წესრიგში დგება თანამედროვე ცოდნის მიღებისა და მისი უწყვეტი განახლების საყოველთაო აუცილებლობა. აქტიურად ვითარდება და ვრცელდება ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც ახალი ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობას აიოლებს და აჩქარებს კიდევ.

ასეთ ვითარებაში მსოფლიო განათლების სისტემაში კრიზისი შეინიშნება, რაც ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება. აღნიშნული, ძირითადად ორი მიზეზითაა გამოწვეული: 1. განათლების სისტემა თავისი ბუნებით ინერტულია; 2. მისდამი ყურადღება და მზრუნველობა ნაკლებია.

ამ შეუსაბამობის დასაბალანსებლად აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების დროული გატარება, კერძოდ, საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლიანი მოდერნიზაცია და მისდამი ყურადღების გაძლიერება.

4	ა.სიჭინავა, დ.სეხნიაშვილი	რელიგია და ბიზნესი: წინააღმდეგობა თუ ერთიანობა	5-6 სექტემბერი, 2015, ბათუმი
---	---------------------------	--	------------------------------

სტატიაში განხილულია ქართული ეროვნული იდეის მორალური და ეთიკური ასპექტები. მისი რეალიზაციის გზების ძიება დამყარებულია მართლმადიდებელი ქრისტიანების სულში საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ცნების - რელიგიისა და ბიზნესის განუყოფლობაზე.

5	დ. სეხნიაშვილი	HR-ბრენდინგი პერსონალის მართვის სისტემაში	26-27 ივნისი, 2015, თბილისი
---	----------------	---	-----------------------------

HR-ბრენდინგი არის ღრმა პროცესები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანურ კაპიტალს და მასთან მუშაობის ხარისხს. მუშაკები ახდენენ კომპანიის სტრატეგიის რეალიზებას და სწორედ ისინი არიან შიდა და გარე ბრენდის მატარებლები. კომპანიები HR-ბრენდინგით ახორციელებენ უფრო მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევას, მცირდება ვაკანსიებისთვის შეუსაბამო რეზიუმეების ნაკადი, ხოლო იმ ადამიანების ნაკადი, რომლებიც ნამდვილად მოტივირებული არიან სწორედ მოცემულ კომპანიაში მუშაობაზე - იზრდება. კანდიდატები, თავის მხრივ, იღებენ მაქსიმალურ ინფორმაციას, სწორი გადაწყვეტილების ამორჩევისთვის და იმ დამსაქმებლების მოძიებისთვის, რომელიც მათ შეესაბამება.

მაღალკონკურენტულ ბაზარზე HR-ბრენდი არის არა მხოლოდ მიმზიდველი დამსაქმებელის სავიზიტო ბარათი, მისი ძირითადი რეპუტაციური აქტივი, არამედ კომპანიის კაპიტალიზაციის ზრდის მეტად ეფექტური ინსტრუმენტი. დღეს ამბიციური და პერსპექტიული კანდიდატები უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას კომპანიის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ბიზნესის დინამიკაზე, პერსონალური სრულყოფის შესაძლებლობაზე.

ძლიერი HR-ბრენდი სჭირდება არა მხოლოდ აქტიურად მზარდ კომპანიებს თანამშრომლების მოზიდვისათვის, არამედ იმათაც, ვინც მიზნად ისახავს კარგი შედეგის

მიღებას მუშაკთა რიცხოვნების ზრდის გარეშე - მუშაკთა ეფექტური ჩართულობისა და თანამშრომელთა შენარჩუნებისათვის.

ასე, რომ ძლიერი HR-ბრენდის შექმნა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და ყველა ეტაპზე პროცესების შეთანხმებას: შრომის ბაზარზე კომპანიის თავდაპირველი პოზიციონირებიდან საბოლოო ინტერვიუმდე იმ თანამშრომელთან, რომელიც ტოვებს კომპანიას.

HR-ბრენდინგში ნებისმიერ ორგანიზაციაში მიმდინარე თითქმის ყველა პროცესი და მოვლენა აისახება, HR-ბრენდი ხელს უწყობს პერსონალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას და ამ ფაქტის უგულებელყოფა არც ერთ ორგანიზაციას არ უქადის კარგს.

6	დ. სეხნიაშვილი, ზ. სიჭინავა	თანამედროვე მიდგომები კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრისა და ფორმირების საკითხებისადმი	16-17 ოქტომბერი, 2015, თბილისი
---	-----------------------------	--	--------------------------------

თანამედროვე ორგანიზაციების მართვის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება და ძირითადი აქცენტები მართვის სტრატეგიული ასპექტების მიმართულებით გადანაცვლდა. მკვლევართა ინტერესი და კომპანიების მოთხოვნილება დაკავშირებულია სწრაფად ცვალებად გარე გარემოში ბიზნესის მდგრადი განვითარების პრობლემის გადაწყვეტასთან. ამგვარად, კომპანიების ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მართვის უპირატესობების გამოყენება, ასევე, ყოველ ცალკეულ მომენტში კომპანიის სტილის (ქცევის) შერჩევა ხდება. ეს არჩევანი კი კომპანიის სტრატეგიით განისაზღვრება, რომლის ფორმირებისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს.

სტრატეგიის კონცეფციის დახასიათებისათვის თეორიული მიდგომების ანალიზი საშუალებას იძლევა, ბიზნესის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის შესაბამისად, მეთოდოლოგიურად დასაბუთდეს კომპანიის მრავალკრიტერიუმიანი მრავალდონიანი სტრატეგიული განვითარების ხედვით კვლევების ჩატარების აუცილებლობა. სწორედ ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას ორგანიზაციის მართვის ყველა ამოცანა განაწილდეს მრავალდონიანი სისტემის მართვის სპეციალიზებულ ელემენტებად, რაც იწვევს მართვის პროცესზე დანახარჯების შემცირებას და იმ შეცდომების მინიმიზებას, რომლებიც კომპანიისთვის მნიშვნელოვანი დანაკარგების წყაროა.

7	დ. სეხნიაშვილი	ქალთა სამეწარმეო აქტივობის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში	23-24 ოქტომბერი, 2015, თბილისი
---	----------------	--	--------------------------------

თანამედროვე სამყაროს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია განათლებულ ქალთა კოჰორტის ახალი ინიციატივების რეალიზაცია და ქალთა მეწარმეობის დინამიური განვითარება. მეწარმე ქალები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, საზოგადოებას სთავაზობენ მმართველობითი, ორგანიზაციული და ბიზნეს-პრობლემების გადაჭრის სრულიად ახლებურ გადაწყვეტილებებს და აქვთ რეალური პოტენციალი გახდნენ ეკონომიკურად აქტიური ძალა და სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციის გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ როგორც საკუთარი ოჯახების

კეთილდღეობის გაზრდაში, ასევე ერის განვითარებაში. ავტორის აზრით, საქართველოში, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ქალთა სამეწარმეო აქტიურობის ხელშეწყობის მთავარ მიმართულებად მიჩნეულ უნდა იყოს მეწარმეობის დაწყების მსურველი თუ მოქმედი ქალ მეწარმეთა ცოდნის ამაღლება და მათთვის ფინანსური მხარდაჭერის ორგანიზება.

8	დემნა კვარაცხელია	“საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემების შეფასება”	16-17 ოქტომბერი, 2015 წელი  საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
---	-------------------	--	--

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ინსტიტუციურ სფეროში არსებული პრობლემები. დასაბუთებულია, რომ ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა ცივილური საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რასაც ადასტურებს ელიტის სასარგებლოდ ინსტიტუტების ფორმირების ხშირი შემთხვევა, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, განსაზღვრულია ინსტიტუციური ცვლილებების პრიორიტეტები.

9	ირინე მამალაძე	ვენჩურული ფონდების ინვესტირების თავისებურებანი	მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “განათლება XXI საუკუნეში”, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 13-14 ნოემბერი 2015წ.  ქ.გორი.
---	----------------	--	---

დღეს ვენჩურული ინვესტირება სამეცნიერო კვლევების, გამოყენებითი ხასიათი დამუშავებებისა და საინვესტიციო საქმიანობის არასაბიუჯეტო დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ვენჩურული ინვესტირების სახსრების დაბანდება უმტესწილად იმ ახალი მცირე და საშუალო საწარმოების საწესდებო კაპიტალში ხდება ხოლმე, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების ან მეცნიერებად-ტევადი პროდუქტების შექმნაზე არიან ორიენტირებული.

ვენჩურული ინვესტირება საბანკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით არ მოითხოვს რაიმე სახის გირაოს ან საწინდარს. პრაქტიკაში ყველაზე ხშირია კომბინირებული ფორმის ვენჩურული ინვესტირება, რომლის დროსაც სახსრების ნაწილი სააქციო კაპიტალში შეაქვთ, ნაწილს კი საინვესტიციო კრედიტის სახით გასცემენ. ამასთან, ვენჩურული ინვესტორი არ ესწრაფვის აქციათა საკონტროლო პაკეტის დაუფლებას, რითაც იგი ძირეულად განსხვავდება სტრატეგიული ინვესტირებისაგან.

ვენჩურული ფონდები დაინტერესებული არიან არა მოგების განაწილებით დივიდენდების ფორმით, არამედ ბიზნესში მისი რეინვესტირებით. მეწარმეებსა და საინვესტიციო ფონდებს შორის რისკების განაწილება და ორივე მხარის მიერ მათი მიზნების ღიად დეკლარირება ვენჩურული ინვესტირების ის თავისებურებებია, რომლებშიც საბანკო დაკრედიტებისაგან

და სტრატეგიული პარნიორობისაგან გამოარჩევს მას.

10	ირინე მამალაძე	ინოვაციების კომერციალიზაცია	ქ.თბილისი 16 ოქტომბერი, ქ.ქუთაისი 17 ოქტომბერი. მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია
----	----------------	-----------------------------	---

განვითარებული ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის 75-ზე მეტს დღეს ინოვაციების გამოყენებით აღწევენ. გარდა ამისა, კრიზისული ეკონომიკების გამოცდისგან და აღორძინების მთავარი „წამალიც“, როგორც წესი, ინოვაციური პროცესების გააქტიურებაა. ამის გათვალისწინებით დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური გზით განვითარების გარეშე საქართველოს ეკონომიკას პერსპექტივა არა აქვს.

ქვეყანაში ინოვაციური პროცესების დაძვრისა და დაჩქარების სასიკეთო პირობების შექმნა პირველ რიგში მისი ხელისუფლების ორგანოების საზრუნავია. თვალსაჩინო შედეგებს აშშ-მ, გერ-მა, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა იმის წყალობით მიღწიეს, რომ თავიანთი ქვეყნების მდგრადი განვითარება სწორედ ძლიერი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკით უზრუნველყვეს.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთ მიღებული იმ გამოცდილების გაცნობას, რომელიც ამ პროცესის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფილის დარგშია დაგროვილი.

11	ირინე მამალაძე	სადაზღვევო ბაზრის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში	ქ.თბილისი 16 ოქტომბერი, ქ.ქუთაისი 17 ოქტომბერი. 2015წ მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია
----	----------------	---	---

სადღესოდ მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია სოციალური დაცვის ორგანიზებული სისტემები. მოსახლეობის სოციალური დაცვა უკვე XX-ს ბოლოს იქცა განვითარებული ქვეყნების სოციალური პოლიტიკის მთავარ ატრიბუტად. აღნიშნული სისტემები ხელს უწყობენ მოსახლეობის შემოსავლების სტაბილურობას, უზრუნველყოფენ ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების მიღებასა და აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევას. სოციალური დაზღვევის ეროვნული სისტემების ფორმირებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- ხელფასი და გადასახადები;
- მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა და შრომის ბირჟაზე შექმნილი ვითარება;
- დაზღვევის მიზნები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან, ჰუმანისტურ იდეალებთან და სხვ.

იმაზე, თუ რა ხერხებით, მეთოდებითა და როგორი დოზებით უნდა მიეწოდოს მოსახლეობას

სოციალური კეთილდღეობა, გავლენას ახდენს, აგრეთვე ქვეყნის ისტორია, ეროვნული ტრადიციები, უკვე ჩატარებული თუ ამჟამად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

12	ირინე მამალაძე	ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში	.თბილისი 10-11ივლისი 2015წ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.
----	----------------	--------------------------------------	---

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანაა. ამდენად, ეკონომიკური ზრდის პრობლემა ყოველთვის დგას არა მარტო ეკონომისტების, არამედ პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრშიც. ამ პრობლემას ისიც ამწვევებს, რომ ეკონომიკური აღმავლობის ფაზებს ხშირად მოსდევს ხოლმე დაქვეითების ეტაპები.

მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევებით დადასტურებულია, რომ ამ ამოცანის გადაჭრაში წამყვან როლს თამაშობს ინვესტიციები; მეტად მნიშვნელოვანია, ასევე ინვესტიციების როლი ეკონომიკის მოდერნიზებაში.

ეკონომიკური სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარების მთავარ კატალიზატორად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიიჩნევს. განვითარებად ქვეყნებს ისინი ხელს უწყობენ იმაში, რომ მათ ხელი მიუწვდებათ საერთაშორისო ბაზრებსა და ტექნოლოგიებზე, აფართოებენ კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტებში სასესხო სახსრების გამოყენების მასშტაბებს და ა.შ.

ეპირიული კვლევების უმრავლესობაში ის დასკვნაა გამოტანილი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ჯერ ერთი, ისევე მოქმედებენ, როგორც შიდა ინვესტიციები, ხოლო, მეორე ხელს უწყობენ წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობის ზრდასა და რეციპიენტ ქვეყნებში შემოსავლების მატებას.

13	ნაზი ჭიკაიძე ნანი მამფორია	სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეპტუალური საკითხები	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი, 17-18 ოქტომბერი
----	-------------------------------	--	---

სოციალური უსაფრთხოება სოციალური სისტემის ფუნქციონირების, კვლავწარმოებისა და განვითარების უსაფრთხოების ოპტიმალური დონის მიღწევის მდგომარეობაა, რომელიც მიიღწევა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ განხორციელებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური ზომების ერთობლიობით, რომლებიც იძლევიან საზოგადოებაში არსებული

კონსტიტუციური წყობისა და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას.

14	ნაზი ჭიკაძე მანანა ალფაიძე	არასწორი გადაწყვეტილებები მენეჯმენტში და მათი შედეგები ბიზნესში	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი, 17-18 ოქტომბერი
----	-------------------------------	---	---

თანამედროვე ორგანიზაციებს გამაფრებული კონკურენციის პირობებში უწევთ არსებობა. დღეს უკვე ძნელია პასუხის გაცემა კითხვაზე თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ბაზარზე დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ყოველმხრივ დეტალურად გააზრებული გადაწყვეტილების მიღება თუ მისი სწრაფად მიღება, რა მეთოდები გამოვიყენოთ მართვაში და როგორ მოვერგოთ მუდმივად ცვალებად გარემოს. მომხმარებლის, პროდუქტისა და მისი გაყიდვის ერთიანობაში განხილვა ზრდის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობას.

15	ტარიელ კიკვაძე, დავით გეგია	ინფლაციის სტრატეგიული მართვის პრობლემები	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015, თბილისი, ქუთაისი, ოქტომბერი, 2015
----	--------------------------------	--	---

16	ტარიელ კიკვაძე, ირინე ფარსელაშვილი	აუდიტის დაგეგმვა და რეგულირება.	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC-2015, თბილისი, ქუთაისი, ოქტომბერი, 2015
----	---------------------------------------	---------------------------------	---

17	რევაზ შენგელია, შუჟუნა წიკლაური-შენგელია	მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება- კვლავწარმოების მაღალი დონე-კრეატიული ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები” გუშინ დღეს, ხვალ” თბილისი, 17-18 ოქტომბერი, 2015წ.
----	--	---	--

კრეატიული ეკონომიკის პირობებში ქვეყნის განვითარების დონის ამაღლების უმთავრესი საშუალებაა მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიმართული სწრაფი

ეკონომიკური ზრდა, ხოლო ასეთი ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორი – მეცნიერულტექნიკური ცოდნის, მისი განახლება-კვლავწარმოების მაღალი დონე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მეცნიერულტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ახალ სამ ფორმაზე, მათი პრაქტიკაში გათვალისწინების მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი შრომის დანაკარგების შემცირების თვალსაწიერით; ასევე წარმოჩენილია განათლების სფეროში, ცოდნის ფორმირების პროცესში მოღვაწე მუშაკთა როლი ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყნის შემდგომი წინსვლის საქმეში. მოცემულია ადამიანისუფელ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების პირობითად ორ – პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დაყოფის არგუმენტაცია და გაკეთებულია დასკვნა, რომ პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი ხარჯები – ახანგრძლივებენ ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებენ მის ქმედუნარიანობას, ამცირებენ ავადობას და სიკვდილიანობას.

18	Revaz Shengelia , Natia Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia,  (რევაზ შენგელია, ნათია შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია	The Types of Risks and Hedging Techniques	ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია  თბილისი, 18-19 მაისი, 2015წ.
----	---	---	--

ფინანსური რისკ-მენეჯმენტი მთავარ აქცენტს აკეთებს, როდის და რა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით დაიცვას ბიზნესი სხვადასხვა რისკებისგან. ფინანსურ რისკ-მენეჯმენტს შეუძლია, ბიზნესს აარიდოს და დაიცვას იგი სხვადასხვა მოსალოდნელი საფრთხეებისაგან, მაგალითად, როგორცაა: საკრედიტო, საბაზრო, უცხოური სავალუტო, ინფლაციის, ლიკვიდურობის, სექტორის და სხვა რისკები. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია უცხოურ სავალუტო რისკზე, მისი წარმოშობის მიზეზებზე და სახეებზე, კერძოდ, ეკონომიკურ, ტრანზაქციისა (კურსათაშორის სხვაობის) და კონვერტაციის (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას) რისკებზე. ასევე განხილულია უცხოური სავალუტო რისკების ჰეჯირების მეთოდები: საბალანსო ჰეჯირება, პრაქტიკული მდგომარეობები (წინასწარი და გადავადებული გადახდები), საკრედიტო-სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტებით ჰეჯირება და საფორვარდო კონტრაქტები.

19	ელენე მენაბდე-ჯობაძე  ნინო ლეთანძე	ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფულად – საკრედიტო მექანიზმი	III საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდულები: გუშინ, დღეს, ხვალ“, 17-18 ოქტომბერი,  თბილისი – ქუთაისი
----	--	---	--

მოსხენებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ფულად –



საკრედიტო ურთიერთობებზე ზემოქმედებაა, რაც ფულად – საკრედიტო პოლიტიკით სორციელდება. ფულად საკრედიტო პოლიტიკა – ხელისუფლების მიერ, მაკროეკონომიკური პროცესების საჭირო მიმართულებით განვითარებაზე ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც იგი ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობების სფეროში ატარებს. მისი უმაღლესი მიზანი – ეროვნული მეურნეობის გაწონასწორებული და მყარი განვითარების უზრუნველყოფაა. კონკრეტული მიზნებია: ფულადი სისტემის გამყარება, კაპიტალის ინვესტირების პროცესზე, სამომხმარებლო მოთხოვნაზე და ფასწარმომქმნაზე ზემოქმედება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ცენტრალურ ბანკს მთავარი როლი მიეკუთვნება, იგი ძირითადი სუბიექტია. ცენტრალური ბანკის გადასაწყვეტი ამოცანებია: უზრუნველყოს ეროვნული სავალუტო სისტემა, რადგან მყარი ეროვნული ვალუტა ბაზრის ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. კერძო (კომერციული) ბანკების მოქმედებაზე ისეთი ზემოქმედება, რომ სახელმწიფოს ინტერესები უზრუნველყოს. საკრედიტო პოლიტიკის ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება: ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე; სააღრიცხვო (დისკონტური) პოლიტიკა; მინიმალური რეზერვების პოლიტიკა; ფულად – საკრედიტო სფეროში ჩარევის პირდაპირ ფორმად, საკრედიტო დაბანდებების ზრდის შეზღუდვა ითვლება. ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია (როგორც საშინაო ასევე საგარეო) სახელმწიფო რეგულირებაში აქცენტების კეინზიანური მეთოდებიდან მონეტარულზე და პირიქით გადატანას განაპირობებს.

20	აბუაშვილი თამარი მამალაძე ირინე	ფინანსური ინსტიტუტები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში	პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია  2015, 24-26 ივნისი, ბათუმი
----	------------------------------------	---	--

მსოფლიო ფინანსურმა სისტემამ განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალურ დონეზე დაიწყო ფუნქციონირება. როგორც დაკვირვება გვჩვენებს, მიმდინარეობს ფინანსური ინსტიტუტების სტრუქტურების ევოლუცია ბანკებიდან ინტეგრირებულ ინსტიტუტებამდე ანუ ე.წ. ფინანსურ კონგლომერატებამდე. აქ მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად ფინანსური სუპერმარკეტების წარმოქმნა უნდა მივიჩნიოთ. როგორც გამოცდილება ადასტურებს, ასეთი სუპერმარკეტები ყველაზე ხშირად ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ბაზაზე იქმნება. მათი შექმნის ძირითადი მიზეზებია მოგების ზრდის აუცილებლობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლების საჭიროება და კლიენტთა ახალი კატეგორიებისა და ჯგუფების მოზიდვის ამოცანა.

ფინანსური სუპერმარკეტების შექმნა, ერთ მხრივ მსოფლიო ეკონომიკაში გამოვლენილი ტენდენციასა, ხოლო მოერე მხრივ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გლობალური სტრატეგია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. რაც შეეხება თვითონ სუპერმარკეტების განვითარების ტენდენციებს, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ კონკურენციის გამძაფრება, შერწყმისა და შთანთქმის პროცესების დაჩქარება, შემზღუდავი საკანონმდებლო ბაზის გაუქმება და სხვა.

21	აბუაშვილი თამარი	ინფორმაციული	საერთაშორისო სამეცნიერო
----	------------------	--------------	-------------------------

	დავით სიჭინავა	ტექნოლოგიების მნიშვნელობა	კონფერენცია „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“. 23–24 ოქტომბერი, 2015. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
--	----------------	---------------------------	--

საზოგადოება ვითარდება კომუნიკაციის სისტემის სრულყოფასთან ერთად. თავის დროზე დამწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების განვითარებაში. დღეისათვის კი მიიჩნევენ, რომ მომავალი კომუნიკაციური სისტემის, კერძოდ, ინტერნეტ-ქსელის განვითარებით განისაზღვრება.

მსოფლიო ინფორმაციის ხანაში შევიდა. ესაა ინტერნეტის ერა, როცა ინფორმაცია განსაკუთრული საქონელია, რომელიც მთლიანად ცვლის ქვეყნის (საწარმოს) სტრატეგიულ ღირებულებას.

ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ციფრული ეპოქა შექმნა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ კომპანიებისა და მომხმარებლების ურთიერთობის სრულიად ახალი კავშირები ჩამოაყალიბა. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ყველა და ყველაფერი მჭიდროდ დაკავშირებულია.

ინტერნეტი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის აბსოლუტურად დამოუკიდებელი მოვლენაა მის მონაწილეთა ქცევის საკუთარი წესებით, მიწოდებისა და ანგარიშსწორების მექანიზმებით, რომლებიც გლობალური საინფორმაციო ქსელის ფუნქციონირების პრინციპებიდან გამომდინარეობს.

22	აბუაშვილი თამარი დავით სიჭინავა	ინტერნეტ-მარკეტინგი - სტრატეგიული ღირებულება	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – IEC-2015. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. 16-17 ოქტომბერი, 2015.
----	------------------------------------	--	--

მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო აქტუალური ხდება გლობალიზაციის პროცესი. ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც XX საუკუნის ბოლოს აღმოცენდა ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციასა და გლობალიზაციის საფუძველზე. მსოფლიო ინფორმაციის ხანაში შევიდა. ესაა ინტერნეტის ერა, როცა ინფორმაცია განსაკუთრული საქონელია, რომელიც მთლიანად

ცვლის ქვეყნის (საწარმოს) სტრატეგიულ ღირებულებას. ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ციფრული ეპოქა შექმნა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ კომპანიებისა და მომხმარებლების ურთიერთობის სრულიად ახალი კავშირები ჩამოაყალიბა. ინტერნეტ-მარკეტინგის კონცეპტუალური საფუძველია ინდივიდუალური ბიზნეს-კომუნიკაციების პროცესები გლობალურ-ვირტუალურ გარემოში, რომლის განსხვავებაცაა მათი მცირე დანახარჯები, გადაცემის მაღალი სიჩქარე და ინფორმაციის განახლების ფართო დიაპაზონი, ასევე ელექტრონული გარიგებების განხორციელება. დღეს უახლესი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენს წარმოების განუყრელ ნაწილს, რადგან თანამედროვე ბიზნესში საკვანძო ადგილი უკავია ინფორმაციას (საქმიანი, მეცნიერული და სხვა). ინტერნეტი კი ინფორმაციის გაცვლის, მიღებისა და გავრცელების ერთ-ერთი უსწრაფესი საშუალებაა.

23	მ.ბაღათურია მ.ბერუაშვილი	ბიზნესის სუბიექტების კონკურენციული სტრატეგია და ტაქტიკა.	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია- IEC-2015 “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”. 16-17 ოქტომბერი 2015 წელი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
----	-----------------------------	--	--

სამეწარმეო ბიზნესის სუბიექტები კონკურენციული ქცევის სტრატეგიის გარეშე ვერ შეძლებენ შეიმუშაონ ამა თუ იმ სახის მოქმედებისათვის მოტივირებული მიზანდასახულობა. კონკურენციული მოქმედების სტრატეგიული მართვა ნებისმიერ სამეწარმეო ფორმაში იწყება მიზნობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფორმირებიდან. ნაშრომში განხილულია კონკურენციული ქცევის სტრატეგიების გამოყენების სახეები. აგრეთვე ბიზნესში შესვლისა და ბიზნესიდან გასვლის სტრატეგია.

24	მ.ბაღათურია მ.ბერუაშვილი	მენეჯმენტი-ქართული სინამდვილე.	პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. “თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, პიპო თეზები, კვლევები”. 24- 25 ივნისი, 2015 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმი
----	-----------------------------	-----------------------------------	--

ბიზნესისათვის ყველაზე ძნელია- შეცვალოს ადამიანები და არა სისტემა, მაგრამ კარგი სისტემის მეშვეობით შეიძლება ადამიანები აიძულო შეიცვალონ თავისი ნიშან-თვისებები და ჩვეულებები. მენეჯერების უმრავლესობა მუდმივად წუწუნებენ იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ სათანადო ხალხის პოვნას, ეძებენ მებრძოლებს, რომლებიც მოვლენ და სიმაღლეებს დაიპყრობენ. სინამდვილეში კი თითოეული ადამიანი ამოუწურავი

შესასაძლებლობების მქონე , უსასრულო სამეაროა, რომელსაც შეუძლია წარმოუდგენლად ძვირფასი იდეა ჰქონდეს

25	აკაკი გვარუციძე  ნატო გეგენავა	ვენჩურული კაპიტალის  როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში	ს.ტ.უ. 16.10.2015წ.
----	--------------------------------------	--	---------------------

შამეცნიერო სტატიაში „ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში“ განხილულია ვენჩურული კაპიტალის არსი და მნიშვნელობა ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი და განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა და საფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზაციის შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალი მისი მფლობელისათვის უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროსძარღვია“.

ანხილულია აშშ-სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საკითხებში, რომ ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტიდუსტრიულ ფაზაზე. აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება; აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფოს წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას ვენჩურული ფორმები, რომელშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, ნოვატორები, რომელთა დეფიციტს საქართველო არ განიცდის.

26	ნატო ჩიკვილაძე, ლაშა კაკულია	პროგრესული უცხოური გამოცდილების გამოყენება სამამულო საწარმოებში	სტუ.თბილისი;აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი,2015წ.16-17 ოქტომბერი
----	---------------------------------	---	---

უკანასკნელ წლებში დასავლეთში ინტენსიურად მიმდინარეობს მენეჯმენტის ნაციონალური თავისებურებების კვლევა.ისტორიული მოვლენების გამო, საქართველო პრაქტიკულად ჩამოშორებული აღმოჩნდა ბიზნესის მართვის განვითარების ევოლუციური პროცესიდან,რომელიც დასავლეთში მიმდინარეობდა XX საუკუნეში.საქართველოში ბიზნესის განვითარება ობიექტურად მოითხოვს,სოციოკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით,მენეჯმენტის დასავლური თეორიისა და გამოცდილების შემოქმედებით გააზრებას და ამის საფუძველზე ბიზნესის ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბებას,ბიზნესის მართვის პრობლემებისათვის თეორიული და მეთოდოლოგიური პოზიციების შემუშავებას.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ალექსანდრე სიჭინავა, მედია ჩიქავა, დალი სეხნიაშვილი	უმაღლესი განათლების გავლენა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ შემოსავლებზე საქართველოში	23-24 აპრილი, 2015 კრაკოვი, (პოლონეთი)
<p>განათლების სფეროში ინვესტიციების ზრდის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ფორმალური განათლებით განპირობებულ შედეგებსა და სარგებელს. ნაშრომის მიზანია საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გავლენის შეფასება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ შემოსავლებზე. კერძოდ კი, უმაღლესი განათლების გავლენის განსაზღვრა ინდივიდის შემოსავლებზე და დასაქმების ალბათობაზე, ეკონომიკური სარგებელის განსაზღვრა ინდივიდის სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების მიხედვით და იმის განსაზღვრა, ასრულებს თუ არა განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების ფუნქციას.</p> <p>ოფიციალური მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ უმაღლეს განათლებაში ჩადებული ინვესტიცია საქართველოში ამ ეტაპისათვის გარკვეულ უკუგებას იძლევა, უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი დაქირავებული შრომიდან მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია; სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით ორჯერ მაღალია, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის ხუთჯერ; ასევე უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების ამოღება საქართველოში დაახლოებით იგივე დროის მონაკვეთში ხდება, რაც ანალოგიური შემოსავლის მქონე სხვა ქვეყნებში.</p> <p>უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების პოტენციურად ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა საქართველოში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდული რჩება მოწყველადი ჯგუფებისათვის. ასევე, უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემავარსებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა თვითდასაქმებისა და სპეციალობით დასაქმების დაბალი მაჩვენებლები.</p> <p>შესაბამისად, დღეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანია უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია; უმაღლესი განათლების სისტემის შედეგების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის ზრდის ხელშეწყობა; უმაღლესი განათლებიდან</p>			

ჯამური შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწვევადი ჯგუფებისათვის.

დასაქმებიდან ჯამური შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფისათვის სტრატეგიულ ნაბიჯს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ტრანზიტული ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებისთვისაც შეიძლება წარმოადგენდეს უმაღლესი განათლების მქონე პირთა თვითდასაქმების სტიმულირება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას ქვეყანაში. უმაღლესი განათლების სფეროში ამ მიმართულებით კონკრეტული ინტერვენციები შესაძლოა გულისხმობდეს: თვითდასაქმებისათვის აუცილებელი კომპენტენციების განვითარებაზე მეტი ყურადღების გამახვილებას უმაღლესი აკადემიური განათლების ყველა მიმართულების სასწავლო გეგმებში და თვითდასაქმების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას. ამგვარ ინიციატივებს შესაძლოა წარმოადგენდეს უმაღლესი სასწავლებლების შიგნით ბიზნეს ინკუბატორების შექმნა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის შიდასაუნივერსიტეტო და სახელმწიფო სესხებისა და გრანტების გაცემა მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის.

## ქართული ფილოლოგიისა და მედიატაქნოლოგიების დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – თემურ ჯაგოდნიშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

თემურ ჯაგოდნიშვილი  
 ვაჟა პაპასკირი  
 ივანე ჯაგოდნიშვილი  
 ბორის იმნაძე  
 ქეთევან გიორგობიანი  
 თამარ მაღალურაძე  
 მანანა დათუკიშვილი  
 მარინე ხარატიშვილი  
 ლიანა ქათამაძე  
 მარიამ ვარდიაშვილი  
 მამუკა შელევია  
 გიგლა გობეჩია  
 რევაზ ძნელაძე  
 თამარ ბონდარენკო  
 ელიზავეტა კოხლოვა  
 ირინე ცინცაძე  
 ქეთევან გაფრინდაშვილი

ეკატერინე შაკიაშვილი  
ზაზა ცოტნიაშვილი

**\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„ქართული ენის ინტელექტუალური ელექტრონული ლექსიკონის შექმნა“; პროექტი №93	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი	ფილოლ. მეცნ. დოქტ. თ. უთურგაიძე, ასოც. პროფ. ლ. ჩხაიძე, დ. ჯაში
<p style="text-align: center;"><b>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b></p> <p>დასრულდა მუშაობა ცნობილი ქართველოლოგის და მთარგმნელის დონალდ რეიფილდის ხელმძღვანელობით შექმნილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გარდასაქმნელად თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროსი – ინტერნეტში გამოსაყენებლად. შექმნილია ლექსიკონის კომპიუტერული ვერსია.</p> <p>თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტის საყოველთაო გავრცელება პრინციპულად ახალი მიდგომის განვითარების საშუალებას იძლევა, რომელიც დაფუძნებულია ბუნებრივი ენის სრულიად ფორმალიზებული მოდელების თეორიისა და მის საფუძველზე რეალიზებული ალგორითმების გამოყენებაზე, კერძოდ, ტრადიციული ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის ქართული ენის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების საფუძველზე მორფოლოგიის ცოდნის ბაზართან გაერთიანება ნებისმიერი სიტყვა-ფორმის ანალიზის ავტომატური ანალიზის საშუალებას იძლევა, ბუნებრივია, სალიტერატურო ქართულის ნორმების დაცულობის შემთხვევაში. ამის შედეგად გადაწყდება შესაბამისი ფუძის გამოყოფის ამოცანაც, რაც გულისხმობს მეთაური სიტყვის მიღებას, ანუ იმ ლექსიკური სტატიის მითითებას, რომლის თარგმნაც სჭირდება მომხმარებელს.</p> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც გრამატიკული ანალიზის ამოცანას არაცალსახა გადაწყვეტა აქვს, კომპიუტერიზებულ ლექსიკონს საშუალება აქვს მომხმარებელს შესთავაზოს ყველა შესაძლო ვარიანტი, ხოლო სწორი არჩევანი მომხმარებელთან დიალოგის რეჟიმში განახორციელოს.</p>				

**I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	„ქართულ-კავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები“	შოთა რუსთაველის საზოგადოება	თსუ პროფესორი ქეთევან სიხარულიძე	პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
საგრანტო თემის მიზანია ქართული ფოლკლორის კავკასიურ ფოლკლორთან მიმართების კვლევა, საერთო სიუჟეტების, მოტივების, ფოლკლორული პერსონაჟების ძიება, გამოვლენა, კლასიფიცირება, ტიპოლოგიის დადგენა. ამ მიზნით მუშავდება XIX-XX საუკუნეების სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, არქივის მასალები და ა. შ.				

**II. 1. პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თემურ ჯაგოდნიშვილი	“ხანძთა: ძველი, ახალი”	თბილისი, “უნივერსალი”, 2015 წელს გამოვიდა (2014 წლის გრიფით)	179 გვერდი
2	თემურ ჯაგოდნიშვილი	“სოფლისა მნათობი და მწყემსი კეთილი”	თბილისი, “უნივერსალი”, 2015 წელს გამოიცა (2014 წლის გრიფით)	
ანოტაციები				
1.	გამოკვლევაში	ასახულია	სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორ-	



მასწავლებლებისა და სტუდენტების 2014 წლის 5-12 ივნისის სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის შედეგები VIII საუკუნეში აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენის თვალსაზრისით.

წამოყენებულია მოსაზრება ორი ხანძთის არსებობის თაობაზე: ერთი – 782 წელს გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ხანძთის (ამჟამამინდელი ნუკას საყდრის), ხოლო მეორე – 910-იან-940-იან წლებში აშოტ კუხის და გურგენ ერისთავთ-ერისთავის მიერ აგებული ახალი ხანძთის მონასტრის არსებობის შესახებ.

2. ნაშრომში ასახულია ცნობილი ქართული მოღვაწის – ფოლკლორისტი, ქართული ეკლესიის ისტორიკოსის, პედაგოგის მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის კვლევის შედეგები. წარმოჩენილია მისი ღვაწლის საზოგადოებრივი ღირებულება.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თემურ ჯაგოდნიშვილი	„რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კავკასიოლოგიური კვლევების ისტორიიდან“ “განათლება“	№1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 134-139
2	თემურ ჯაგოდნიშვილი	„აკაკი წერეთლისა და ნიკო მარის პოლემიკის ისტორიული კონტექსტები“ “განათლება“	№2 (13)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 97-110
3	თემურ ჯაგოდნიშვილი	„თედო ბეგიაშვილი და XX საუკუნის“	თელავის სახელმწიფო	თელავის სახელმწიფო	

		დასაწყისის ქართული ფოლკლორისტიკა”	უნივერსიტეტის კრებული: „კულტურათაშორისი დიალოგები”, III, შრომები	უნივერსიტეტი	გვ. 629-634
4	მანანა დათუკიშვილი	„საბჭოთა პერიოდის ქართული პრესა” “განათლება”	№3 (14)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 85-90
5	ქეთევან გიორგობიანი	„მასობრივი კომუნიკაციების როლი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში “განათლება”	№1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 151-156
6	ქეთევან გიორგობიანი	„რედაქტირება – რთული შემოქმედებითი პროცესი” “განათლება”	№2 (13)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 115-119
7	ქეთევან გიორგობიანი	„საზოგადოების ინტერესებისა და პროფესიული ღირსების დასაცავად” „ჟურნალისტური ძიებანი”	XV	თბილისი, გამომც. „უნივერსალი”	გვ. 38-45
8	ეკატერინე შაკიაშვილი	„ასიმილაციის დისიმილაციის საკითხები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და მისი სწავლების მნიშვნელობა”	№1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 70-72

		„განათლება“			
9	ეკატერინე შაკიაშვილი	„ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც ინტეგრაციული მეცნიერული დისციპლინა“	„ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც ინტეგრაციული მეცნიერული დისციპლინა“	თელავისი სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვ. 518-522
10	ბორის იმნაძე	„Некоторые особенности функционирования рекламы как знаковой системы в СМИ“	№1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 156-159
11	ბორის იმნაძე	„უცხო ენის სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპების შესახებ“ „განათლება“	№ 2 (13)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 30-32
12	რევაზ ძნელაძე	„მარტივი ტოპონიმები გურიასა და ქვემო აჭარაში“ „განათლება“	№ 1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,	გვ. 130-133
13	გვენეტაძე გურამ	„ქართული მწერლობის ფილოსოფიურ სწავლება“ „განათლება“	№ 1 (12)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 30-37
14	ბონდარენკო თამარ	„Политический портрет“ „განათლება“	№ 1 (120)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	გვ. 140-142
15	ლორთქიფანიძე რუსუდან	„შესაძლებელია ობიექტური სინამდვილის აუდიტორიამდე“	XV	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	გვ. 78-84

		მიტანა”			
16	მალაღურაძე თამარ	„ახალი ამბების შესწავლის ისტორია”	XV	თბილისი, გამომც. „უნივერსალი”	გვ. 85-95
17	გობეჩია გიგლა	„ინფორმაციული საზოგადოების გამოწვევა განათლება მედიით და განათლება მედიიდან”	XV	თბილისი, გამომც. „უნივერსალი”	გვ. 46-50
18	გობეჩია გიგლა	„ანისრახიზმი – მკვდრად შობილი ქართული ნოვაცია”	XV	თბილისი, გამომც. „უნივერსალი”	გვ. 50-56
ანოტაციები					
<p>1. სტატიაში განხილულია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსების ისტორიის, მიზნების, კავკასიის ხალხთა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლის მიზნით გაშლილი მეცნიერული კვლევების მიმოხილვა. ამასთან წარმოდგენილია ამ საზოგადოების პერიოდულ სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული ფოლკლორისტული და ეთნოგრაფიული ნარკვევების, სტატიების ბიბლიოგრაფია.</p> <p>2. აკ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა თავისი დროის ლიტერატურათმცოდნეობით, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ ძიებებში. აქვეყნებდა წერილებს, სტატიებს თბილისის ქართულ და რუსულ პრესაში. მან პოლემიკა გაუმართა აკადემიკოსს ნ. მარს, საქართველოსა და ქართული კულტურისადმი სომეხ მკვლევართა ტენდენციური დამოკიდებულების დამცველობის გამო და ცხადყო მისი პოზიციის უსაფუძვლობა. სტატიაში გაანალიზებულია ამ პოლემიკის არგუმენტები და შეფასებულია მათი საფუძვლიანობის პოზიციებიდან.</p> <p>3. ნაშრომში ახლად გამოვლენილი საარქივო წყაროებისა და მასალების საფუძველზე პირველად ქართულ ფოლკლორისტიკაში გამოკვლეულია XX საუკუნის პირველი ნახევრის პედაგოგის, ფართო პროფილის ფილოლოგისა და ფოლკლორისტის თედო ბეგიაშვილის ცხოვრება-მოდერნიზაციის ფაქტები, XX საუკუნის ქართულ მეცნიერულ ფოლკლორისტიკაში შეტანილი წვლილი. იმის გამო, რომ თ. ბეგიაშვილი ნაკლებად იყო ცნობილი თავად ფოლკლორისტებისათვისაც, XX საუკუნის დასაწყისის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიის არაერთი მოვლენის ტრადიციული შეფასება არსებითად იცვლება და ზუსტდება. აღნიშნულია, რომ სწორედ ამით არის განსაზღვრული საკონფერენციო ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე.</p> <p>4. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საოკუპაციო არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხო. ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ დღიდან</p>					

ქართულმა პრესამ შეიცვალა მიზანი, მიმართულება, შინაარსი, თემატიკა. ჩამოყალიბდა ახალ იდეოლოგიაზე დამყარებული ჟურნალისტიკა. იგი დაემორჩილა კომუნისტური პარტიის დიქტატს, უგულვებელყოფილ იქნა აზრის გამოხატვის თავისუფლება. ნაშრომში გაანალიზებულია ის ხანგრძლივი და რთული პერიოდი, რომელიც ქართულმა საბჭოთა პრესამ განვლო დღიდან დაარსებისა. ნაჩვენებია მისი განვითარების ტენდენციები. ცალკეული ეტაპების მიხედვით შესწავლილია ჟურნალ-გაზეთების შინაარსისა და პრობლემატიკის ხასიათი, აღნიშნულია, რომ იგი განისაზღვრებოდა ქვეყანაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარებით. ნაშრომში გარკვეულია ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის ადგილი და მნიშვნელობა ჟურნალისტიკის ისტორიაში.

5. ნაშრომში საუბარია ე. წ. „კომუნიკაციური რევოლუციების” შესახებ, რომელიც ამკვიდრებდა ადამიანთა შორის ურთიერთობის ახალ ფორმებს, ახალ სოციალურ-კულტურულ ფენომენს, რადიკალურად ცვლიდა ინფორმაციული ნაკადის მიმართულებას და მასშტაბს; გაანალიზებულია „დემასიფიკაციის” და „კონკერგენაციის” პრინციპები; ყურადღება გამახვილებულია მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. აღნიშნულია, რომ ახალი მედიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მკს-ს ტრადიციული სისტემების და თანამედროვე კომპიუტერული სისტემის შერწყმა. ასევე საუბარია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო კომუნიკაციას აკონტროლებენ.
6. ნაშრომში საუბარია რედაქტორის უდიდეს პასუხისმგებლობაზე ტექსტის გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესში, მისი მუშაობის სირთულესა და თავისებურებებზე; აღნიშნულია, რომ რედაქტორის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააუმჯობესოს ტექსტის ენა, სტილი და კომპოზიცია. ნაწერი უნდა იყოს არა მარტო ლექსიკურად და გრამატიკულად სწორი, არამედ ადვილად აღსაქმელი და მისაღები, მან უნდა შეძლოს მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა და მისი დაინტერესება; ყურადღება გამახვილებულია ფაქტობრივ და ლოგიკურ შეცდომებზე, ენის სისწორეს, სიზუსტესა და სიცხადეზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რედაქტორისა და ავტორის ურთიერთობას. დაწვრილებით არის განხილული რედაქტორის მუშაობის ეტაპები და ტექსტის შესწორების ოთხი სახეობა. აღნიშნულია, რომ რედაქტორის მუშაობის მიზანი არის ის, რომ ნაწერმა ყოველმხრივ დამუშავებულმა და გამართულმა მიაღწიოს მკითხველამდე.
7. ნაშრომში საუბარია ინფორმაციის მოპოვების წყაროების და მასალის დამუშავების და გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესში 5 ეტაპის გავლის მნიშვნელობის შესახებ; აღნიშნულია ის, რომ ბეჭდვითი პრესისთვის მთავარ „სამშენებლო ბლოკებს” ახალი ამბები, ფაქტზე მყისიერი რეაგირება და მოვლენის ობიექტური შეფასება წარმოადგენს. გაზეთისთვის ასევე ჰაერივით აუცილებელია ე. წ. „კოსმეტიკური შელამაზება” ანუ ტიპოგრაფიული დიზაინი, რომელიც მისი წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია; ყურადღება გამახვილებულია იმ მიზეზებზე, რაც იწვევს გაზეთის „დასამარებას”, მკითხველის დაკარგვას; საუბარია ჟურნალისტის მოღვაწეობის კრედოს შესახებ.
8. სტატიაში განხილულია თუ რა ადგილია ეთმობა ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რა როლი აქვს ფონეტიკის, ორთოგრაფის-

ორთოეპიის საკითხთა შესწავლასი, რა მიზანი და მნიშვნელობა აქვს მის სწავლებას.  
9. სტატიაში განხილულია ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც ინტეგრაციული მეცნიერული დისციპლინა.

ტექსტის ლინგვისტიკის სივრცეში ამჟამად ინტერტექსტურობის თეორიას სათავეები ეძებნება ტექსტის ანალიზის ლინგვისტიკურ და ლიტერატურათმცოდნეობით ტრადიციებში და გულისხმობს ტექსტის ზოგად ფილოსოფიურ ჰუმანიტარულ გაგებას, კვლევის ობიექტის ასეთი გააზრება ემყარება ანთროპოცენტრულ პრინციპს, რომელიც საბაზოა თანამედროვე მეცნიერებებისათვის და განაპირობებს იმ დისციპლინათა ინტეგრირებულობას, რომლებიც შესწავლიან ადამიანის შემეცნებას და გონს მათს უსასრულოდ მრავალფეროვან გამოვლენებში.

10. სტატიაში განხილულია სარეკლამო ტექსტის ეკლექტიზმის ის მთავარი თავისებურებანი, რომელნიც წარმოადგენენ ნახევრადფუნქციონალობის თავისებურ ფორმალურ ნიშანს. სარეკლამო ტექსტის ძირითადი თვისებები ლაკონურობა და სიმცირე ნაკარნახებია გარეგანი და შინაგანი გარემოებებით, რაც ადამიანის აღქმასთანაა დაკავშირებული. მითითებულია, რომ რეკლამას დროთა განმავლობაში თავისი საკუთარი ენა გაუჩნდა, რომლის პრაგმატიკას შადგენს ისეთი ნაწილები, როგორიცაა: სამყაროს ასახვა, სოციალური ღირებულებანი, ყურადღების მიქცევის საშუალებანი დამახსოვრების, დარწმუნების და ქმედითი ინტერპრეტაციის საშუალებანი. ისინი მიეკუთვნებიან იმ ტექსტურ ნაირსახეობებს რო- მელნიც საკომუნიკაციო ჯაჭვის რგოლში შედიან.

11. სტატიაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ უცხო ენის სახელმძღვანელოებში ავტორები არ იცავენ უცხო ენის სწავლების თავისებურებას და იმ პრინციპებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ძნელია უცხო (რუსული) ენის შესწავლა. სტატიაში ავტორის მიერ გამოყოფილია სა-ხელმძღვანელოს შედგენის შემდეგი პრინციპები: – აღმზრდელობითი პრინციპები;

შესასწავლი სპეციალობის ტექნიკური ენის თავისებურებათა და სტუდენტთა ასაკის გათვალისწინების პრინციპი;

სასწავლო მასალის თანმიმდევრული გართულება და მოცულობის გაზრდა;

მკითხველის ინტერესების დაკმაყოფილების პრინციპი;

ლექსიკური და გრამატიკული მასალის ურთიერთდაკავშირების პრინციპი.

12. ნაშრომში საუბარია გურიისა და ქვემო აჭარის ადგილის სემანტიკური ტოპონიმიზაციის (აპელატივი > ტიპონიმი) კლასიფიკაციაზე, რომელიც სემანტიკური ტოპონიმიზაციისათვის არის გამოყენებული (ბოტანიკური, ჰიდროგრაფიული, ლანდშაპტური ტერმინები; ადამიანის გვარი ან სახელი ყოველგვარი გაფორმების გარეშე). ნაშრომში გაანალიზებულია მარტივი ტოპონიმები და მათი მიღების გზები.

56. ნაშრომში განხილულია პირველი ქართული კონსტიტუციის შექმნის მოკლე ისტორია, ნაჩვენებია საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებები. ფართო ადგილი ეთმობა პოსტსაბჭოური საქართველოს პირველი კონსტიტუციის მომზადებისა და მიღების ცალკეულ ასპექტებს. კრიტიკულად არის გაანალიზებული საქართველოს საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის და მას შემდეგ განვითარებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით მიმდინარეობდა, კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და შორს იდა ძირითადი დემოკრატიული პრინციპებისაგან.
57. სტატიაში განხილულია საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და გაანალიზებულია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.
58. ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია, მმართველობის ფორმის მიუხედავად, ხელისუფლების განშტოებათა შორის, საერთო დაბალანსირებული ურთიერთობებით ხასიათებიან და ასახავენ კონკრეტული ქვეყნისა და ერის პრობლემატიკასა და სპეციფიკურობას. ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაში ზოგადი პრინციპების იდეალური ჩამოყალიბება საქმეს ვერ შეეღობა და ის თეორიულ ნაშრომად დარჩება, თუ მასში არ აისახება ის პრობლემატიკა, რომელიც მოცემულ ერსა და ქვეყანას აქვს. სტატიაში ხაზი აქვს გასმული ქვეყნისთვის კონსტიტუციის მნიშვნელობას და როლს და გაანალიზებულია „ნაციონალური მოძრაობის“ ის კონსტიტუციური პარადოქსები, რომელთა მეშვეობითაც მ. სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა მოხერხებულად „მოირგეს“ კონსტიტუცია საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად.
59. ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია, მმართველობის ფორმის მიუხედავად, ხელისუფლების განშტოებათა შორის, საერთო დაბალანსირებული ურთიერთობებით ხასიათებიან და ასახავენ კონკრეტული ქვეყნისა და ერის პრობლემატიკასა და სპეციფიკურობას. ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაში ზოგადი პრინციპების იდეალური ჩამოყალიბება საქმეს ვერ შეეღობა და ის თეორიულ ნაშრომად დარჩება, თუ მასში არ აისახება ის პრობლემატიკა, რომელიც მოცემულ ერსა და ქვეყანას აქვს. სტატიაში ხაზი აქვს გასმული ქვეყნისთვის კონსტიტუციის მნიშვნელობას და

როლს და გაანალიზებულია „ნაციონალური მოძრაობის“ ის კონსტიტუციური პარადოქსები, რომელთა მეშვეობითაც მ. სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა მოხერხებულად „მოირგეს“ კონსტიტუცია საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად.

60. ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განხორციელებული პრეზიდენტის უსაზღვრო უფლებების გაზრდის 9-წლიანი საკონსტიტუციო ცვლილებები. განსაკუთრებით ესმება ხაზი 2010 წელს ჩატარებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობის შემოღებას, პრეზიდენტის სიცოცხლის გახანგრძლივებას, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების მკვეთრად გაზრდით. ნაშრომში მოცემულია უცხოელი და ქართველი კონსტიტუციონალისტების სხვადასხვა მოსაზრებები საქართველოში შექმნილი საკონსტიტუციო პრობლემების შესახებ.
61. სტატიაში განხილულია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შევარდნაძის, ხოლო შემდგომ სააკაშვილის მიერ გაყალბებული და პიროვნულ-პოლიტიკურ ამბიციებზე მორგებული ქვეყნის კონსტიტუციის მოდერნიზაციის პრობლემა. ხაზი ესმება ამ მიზნით, 2013 წლის ივლისში, შექმნილი ახალი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობას და გამოთქმულა მოსაზრება, რომ ამ კომისიამ ამოსავალ წერტილად უნდა აიღოს არა 1995, არამედ 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია და მიზნად დაისახოს საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი, ხელისუფლების სამივე შტოს დამაბაღანსებელი ისეთი კონსტიტუციის მომზადება და მიღება, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო მმართველობის დამკვიდრებას
62. თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი არაერთ სიახლეს ითვალისწინებდა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აშკარაა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტისადმი დიდი ინტერესი პოლიტიკოსების და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. საკითხის განხილვისას სხვადასხვაგვარი შეფასებები გამოიკვეთა. მმართველმა გუნდმა თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავებისას, საპატრიარქოს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ კანონპროექტისადმი დაფიქსირებული პოზიციის გამო, გარკვეული კორექტივები შეიტანა რეფორმის მიმდინარეობისას.
63. XX საუკუნის დასაწყისში ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას პრესა წარმოადგენდა. საზოგადოება გაზეთის გაცნობის საშუალებით თვითონ აკეთებდა ნებისმიერი საკითხის, მათ შორის პოლიტიკური პროცესის, შესახებ ანალიზს და დასკვნებს. პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები პრესის საშუალებით მოქმედებდნენ. შესაბამისად, ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მიხაკო წერეთელის პოლიტიკური ნააზრევი, როგორც საერთოდ იმ პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, თავდაპირველად პრესაში იბეჭდებოდა, მას სწორად ჰქონდა არსებულ სინამდევში პრესის როლი გააზრებული. როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად საშუალება. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პრესას საზოგადოების გაღიზიანების, დეზინფორმაციის და ნეგატიური დანიშნულების გარდა არავითარ პოზიტიური ადგილი არ ჰქონია. თავისი დროის

გამოჩენილ მოაზროვნეს ბუნებრივია ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ეს საკითხი, რადგან ეს პირდაპირ კავშირში იყო სწორედ ერის ინტერესებთან.

64. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიდის მსჯელობა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესთან დაკავშირებით. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში რელიგიის საკითხის მდგომარეობის განხილვა მეტად აქტუალურია. საბჭოთა პერიოდში საქართველოში, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, რელიგიურ გაერთიანებათა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. XXს-ის 20-30-იან ოკუპაციის მძიმე წლებში ქართულმა ეკლესიამ ხელისუფლების მხრიდან დიდი დევნა-შევიწროება გადაიტანა. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლება შეეცადა მოსახლეობის სრული ძალის გამოყენებას მტრის წინააღმდეგ, რის გამოც რელიგიის საკითხისადმი მიდგომები შეცვალა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საქართველოს ეკლესიის მიერ ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო, ხელისუფლების მიდგომა რელიგიის საკითხისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა.
65. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანი - ერთიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით ახალ მსოფლიო წესრიგში დამკვიდრებაა. ქვეყნის ევროინტეგრაცია საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან შიდა პოლიტიკის პრიორიტეტად ტრანსფორმირდა. საკითხის ასე დაყენება სიახლე არ არის, ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი საქართველოს მოსახლეობის ისტორიული არჩევანია, რადგან ეს საკითხი აქტიური განსჯის საგნად XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ რუსული კოლონიური რეჟიმის პერიოდშიც იდგა. მ. წერეთელს ჰქონდა რა მკვეთრი დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია სამომავლო ურთიერთობის განსაზღვრისას იმედოვნებდა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარებით საქართველო უზრუნველყოფდა თავის დამოუკიდებლობას და ამასთანავე გახდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ღირსეული თანამშრომელი, იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც მათ ექნებოდათ საქართველოში, კავკასიაში და მათგან დაშორებულ იმ ქვეყნებში, საითკენაც გზა საქართველოზე გადიოდა. ამასთან, არაერთგზის აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის, განვითარების და სხა ქვეყნებთან თანამშრომლობის მაღალი პოტენციალი ჰქონდა.
66. საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე არსებულ გამოწვევებზე საუბრისას აქცენტი სულ უფრო მეტად კეთდება საზოგადოებრივი მონაწილეობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობაზე ორიენტირებული მოდელების დანერგვის აუცილებლობაზე. პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი მაჩვენებლების ახსნა დღემდე ხდებოდა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალი მაჩვენებლებზე მითითებით. იმას კი, თუ რამდენად ღიაა თავად სისტემა გარე აქტორების ჩართულობის შესაძლებლობების შესათავაზებლად, ხშირად ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ფაქტია, რომ ქართულ სინამდვილეში აშკარად იგრძნობა საკვლევი საკითხისადმი ინტერესი: საკითხის დასმა, მსჯელობა, გამოსავალი გზების ძიება და სხვა. საზოგადოება აშკარად გააქტიურდა. ფაქტია, ხელისუფლებას და საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყნის მო-

მავლისათვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას საჭიროა ფართო საზოგადოებრივი აქტიური ჩართულობა.

67. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, თვითმმართველობის კოდექსში მთელი რიგი ცვლილებების გამო, მსჯელობა მეტად ხმაურიან ფონზე მიმდინარეობდა. კანონპროექტის ზოგიერთმა ნაწილმა საზოგადოების და საქართველოს საპატრიარქოს ვნებათღელვა გამოიწვია. კერძოდ, საკითხი ეხებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაზრებას, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების ცვლილები (მაგ. რეგიონული საბჭოების დაფუძნება), მისი აზრით, შესაძლოა სეპარატიზმის გაღვივების და ქვეყნის დაქუცმაცების საფუძველი გამხდარიყო. ამიტომ, მან თხოვნით მიმართა პარლამენტს გაეთვალისწინებინათ მის მიერ დანახული საშიშროება და ნუ აჩქარდებოდნენ გადაწყვეტილების მიღებისას. პატრიარქის განცხადებას მაშინვე პოლიტიკოსთა მხრიდან ფართო გამოხმაურება მოჰყვა. განხილვებში მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, არასაპარლამენტო პარტიების და საზოგადოების წარმომადგენლები.
68. თანამედროვე ეტაპზე ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის ზრდის საკითხი აქტიურად განიხილება. მიდის ფართო დისკუსია იმის შესახებ, რომ გენდერული კვლევის საშუალებით წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა ჩართულობის საშუალებით გაუმჯობესდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები, გაუჯობესდება დემოკრატიის ხარისხი. თუმცა კვლევებს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომელთა აზრით, ეს პროცესი მთელ რიგ უსიამოვნებას გამოიწვევს. არაერთი ხელისუფლების წამყვანი პოზიციის წარმომადგენელი დიად გამოთქვავს თავის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხზე და აცხადებს, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერების სტრატეგიული ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება ქვეყნის სამომავლო გეგმის ნაწილია.
69. მიმდინარე ეტაპზე, როდესაც საქართველო აქტიურად არის ჩართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში და პრეტენზია აქვს, რომ იყოს ლიდერი ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატებების მიხედვით, მნიშვნელოვანია იმ დეტალების განხილვა, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის განხორციელდა, 2013 წლის ივლისში, ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში ასოცირების შესახებ შეთხმემის პარაფირებიდან დღემდე. რადგან, ასოცირების 2014-2016 წლების დღის წესრიგის განხორციელება, მთელ რიგი რეფორმებით, საქართველოს ევროინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია.
70. XX-ე საუკუნის დასწის ქართული პოლიტიკური აზრის ღირსეული წარმომადგენლის მ. წერეთლის პოლიტიკური შეხედულებანი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ, მისი ევროპული პოლიტიკური ორიენტაცია, გარდა იმისა, რომ თავის დროზე მეტად პოპულარული იყო, დღესაც აქტუალობას არ კარგავს. მეტიც, მისი დამოკიდებულება, სურვილი თანამშრომლობისა ქვეყნის განვითარებისათვის და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთსაჭიროება დღესაც იგივენაირად ესახებათ ქართველ პოლიტიკოსებს. რადგან თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის იდეა ქართველი ხალხის



ისტორიული ნებაა.

71. სტატიაში საზგასმულია ბიბლიოთეკებში სოციოლოგიური კვლევების დანერგვის აუცილებლობის შესახებ. ბიბლიოთეკით მუდმივად მოსარგებლე მკითხველების გამოკითხვების შედეგად შესაძლებელია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ახლის შეთავაზება, ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის დადგენა. სოციოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახდება ბიბლიოთეკის ფონდების შევსება, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამების, მომსახურების ახალი სახეების დანერგვა, რესურსების ხელმისაწვდომობის განსაზღვრა, კონკრეტულ საბიბლიოთეკო პროდუქტზე მომსახურების შეთავაზება.
72. ავტორთა მიერ შესწავლილ კულულუს ტყვიის ფირფიტაზე შესრულებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერა მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებს ადასტურებს. დოკუმენტი ეკონომიკური და სოციალური სემანტიკისაა.
73. კვლევა-ძიება ერთმნიშვნელოვნად უჩვენებს დროში ქალის საზოგადოებრივი სტატუსის ცვალებადობას, კერძოდ, გვიანხეთურ ხანაში არსებულ გენდერულ დისბალანსს - ხეთური ხანისაგან განსხვავებით, გვიანხეთური ხანის საზოგადოებაში ქალთან შედარებით მამაკაცის როლის მნიშვნელობის გაზრდას.
74. ნაშრომში ყარათეფეს ბილინგვა სწორედ ამ კუთხითაა შესწავლილი და წარმოჩენილია ანტიასურული კოალიციის მოქმედებები აღმოსავლეთ მცირე აზიაში
75. ელინისტური და ადრე რომაული ხანის ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის განვითარება ცდება იმპერიის საზღვრებს და ორგანულად უკავშირდება ძველ ანატოლიურ იმ მრავალ ათასწლოვანი ტრადიციის უწყვეტ ჯაჭვს, რასაც ალანის მუზეუმის ექსპონტებთან ერთად, ავანოსის კერამიკის მუზეუმში დაცული ძვ. წ. 5000 წლის წინანდელი ქალღვთაებათა გამოსახულებებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს.
76. ავტორი ჟურნალ „ქართლოსის“ ფურცლებზე განთავსებული საყურადღებო წერილით მიიჩნევს, რომ ქართველ ფაშისტებს სურდათ ეჩვენებინათ და შეეხსენებინათ მსოფლიო საზოგადოებისათვის კავკასიის ის განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც უძველესი დროიდან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული დიდ სახელმწიფოებს.
77. ავტორის მიერ შესწავლილია XVIII საუკუნის ოსმალური დოკუმენტები, რომელშიც აფხაზეთთან ურთიერთობის ეპიზოდები მოწმდება და ძირითადად, რელიგიურ ნიშანს ატარებდა.
78. ნაშრომში მოცემულია საქართველოს სინამდვილეში არსებული რეალური სიტუაცია რელიგიური ექსპანსიის საშიშროებიდან გამომდინარე, რომელიც მომდინარეობს ჩვენი უშუალო მეზობლებიდან და განხორციელებულია: ჩრდილოეთიდან რუსეთის, ჩრდილო - დასავლეთიდან აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, სამხრეთიდან თურქეთის, სამხრეთ - აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკისა თუ სომხეთის, ხოლო პანკისის ხეობიდან ვაჰაბისტების ხელით. მიმდინარეობს მუდმივად მზარდი ე.წ. „მცოცავი ანექსიის“ განხორციელება, რომელიც წაქეზებულია დასავლეთის ქვეყნების მიერ და

- მიმართულია ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.
79. სტატიაში საუბარია მასიური გლობალიზაციის ყოველმომცველი ჩარევის თაობაზე, რომელსაც ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატები არა მარტო საქართველოში, არამედ დანარჩენ მსოფლიოში. ყოველივე ამის შესახებ ადრეც მქონდა გამოქვეყნებული სტატია, მაგრამ ახლა ხდება ძველი ინფორმაციის გადახალისება-შეესება-შეჯამება, რადგანაც ფაქტიურად ისევე გრძელდება პოზიციების ძველებური აფიშირება და იგნორირებულია მცირე ერი-სახელმწიფოს ეროვნული თვითმყოფადობა და რელიგიური მრწამსი, რაც მიგვაჩნია ამერიკული კურსის დაისის მომასწავებლად.
80. ნაშრომში ხაზგასმულია ნეოლიბერტარიანული დოქტრინის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელი ახალგაზრდობის გაერთიანება ანტიგლობალისტური სულისკვეთებით, რომლებიც თავიანთ თავს ანარქისტებს უწოდებენ, მაგრამ ისინი საკმაოდ შორს დგანან და არაფერი გაუგიათ ანარქიზმის ფუძემდებელი ბაკუნინის შესახებ და მითუმეტეს მისი შრომების თაობაზე. მათი გაერთიანების უპირველესი მოტივი გლობალისტების ნეოლიბერტარიანული დოქტრინაა, რომელიც დაუნდობლად ანადგურებდა და ახლაც აგრძელებს განადგურებას ეროვნული ეკონომიკისა და მართლმადიდებლური მრწამსისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ჯგუფებს არა ჰყავთ მეთაური, არა აქვთ ხელფასი, მაგრამ ისინი დიდი ენთუზიაზმით იკრიბებიან და აგრძელებენ ბრძოლას გლობალისტების წინააღმდეგ.

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	სოფო მიდელაშვილი  ჯემალ გახოკიძე	MANAGEMENT FEATURES OF SPECIAL REGIONS (BY HONG KONG EXAMPLE). АКАДЕМІЯ МУНІЦИПАЛЬНОГО УПРАВЛІННЯ, СУЧАСНІ ПРОБЛЕМИ ДЕРЖАВНОГО ТА МУНІЦИПАЛЬНОГО УПРАВЛІННЯ.	№1	КИЇВ	4

		МАТЕРІАЛИ МІЖНАРОДНОЇ НАУКОВО-ПРАКТИЧНОЇ КОНФЕРЕНЦІЇ, 2015. СТР. 12.			
2	ემილია ალავერდოვი	რელიგიური კონფლიქტი თანამედროვე რუსეთში	საერთაშორისო კონფერენციის კრებული სახელმწიფო თავდაცვის უნივერსიტეტი	ვარშავა, პოლონეთი	7
3	ემილია ალავერდოვი	რელიგიის გავლენა გლობალიზაციაზე	საერთაშორისო კონფერენციის კრებული სოციალური ინიციატივის ინსტიტუტი	უკრაინა, ლვოვი	5
4	ემილია ალავერდოვი	გლობალიზაცია და რელიგია (საქართველოს რეალობა)	საერთაშორისო კონფერენციის კრებული სოციალური ინიციატივის ინსტიტუტი	უკრაინა, ლვოვი	4
5	მანანა დარჩაშვილი	Globalization and Religion (Georgian Reality),		უკრაინა. საერთაშორისო კონფერენციის Globalization. Development and perspectives მასალები.	4
<p>1. მოხსენების მიზანია კონფლიქტების დარეგულირების ახალი გზების ძიება, რომელიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. რეალპოლიტიკა კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანად გადაწყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა. მიზნის მისაღწევად ომისა და ძალადობის გამოყენება უტოპიაა და მეტი არაფერი.</p> <p>5. საქართველოში არის რა საყოველთაო ნება - დემოკრატიის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მსოფლიოში და ქვეყანაში არსებული მოცემულობიდან, რელიგიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიქმნას მათი შვიდობიანი თანაცხოვრების პირობები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების დარეგულირების მიზნით კვლავ მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.</p>					

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	როზა გაფრინდაშვილი	სქესთა შორის მსგავსება- განსხვავებულობის ბიოლოგიური ფაქტორები, სოციალური მიღწევები და “ფარშევანგის კუდის” ეფექტი	საერთაშორისო სამეც- ნიერო კონფერენცია ”მსოფლიო და გენდერი”, 16-17 ოქტომბერი, 2015, თბილისი, სტუ
2.	როზა გაფრინდაშვილი	მომხსენების დეფიციტი და ნევროზები თუ პატიება- სიმშვიდე ანუ “ნეტარ არიან მშვიდნი”	საერთაშორისო სამე- ცნიერო კონფერენცია, „ხელისუფლება და საზოგადოება”, 28.10. 2015, თბილისი, სტუ.
3	სოფო მიდელაშვილი	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის პოლიტიკურეკონომიკური ასპექტები.	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. სტუ, თბილისი, 2015 წელი.
4	სოფო მიდელაშვილი, ჯემალ გახოკიძე	მარგარეტ ტეტჩერის განსა- კუთრებული როლი კონფ- ლიქტების დარეგულირების საქმეში(ჰონკონგი-ჩინეთი, 1997 წელი).	საერთაშორისო სამეცნიერ- ო კონფერენცია „მსოფ- ლიო და გენდერი“-3. სტუ, 23 ოქტომბერი, 2015 წელი.
5	თამარ ბლიაძე	ქართველთა და ჩრდილო- კავკასიელთა ზოგიერთი ეთნიკურ-კულტურული თავისებურებების	საერთაშორისო სამეცნი- ერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკა-სია“, სტუ, თბილისი, 26 ივნისი,

		საერთოობა	2015 წელი
6	ვაჟა შუბითიძე	უკრაინის კრიზისი და მესამე მსოფლიო ომის პრელუდიები	სტუ საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო“ თბილისი, 2015 წ.
7	ვაჟა შუბითიძე	შვილების აღზრდის ქართული სისტემა და სხვისი მოიმედების განწყობა საქართველოში	სტუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“ თბილისი, 2015 წ.
8	ვაჟა შუბითიძე	პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში	სტუ ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“ თბილისი, 2015 წ.
9	ვაჟა შუბითიძე	როგორ უნდა აიცილოს ერმა გლობალიზაციის პირობებში ასიმილირების საფრთხე?	მესტია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები“ 2015 წ.
10	ვაჟა შუბითიძე	აკაკის და ნიკო ნიკოლაძის წვლილი ქართული მარგანეცის ათვისების საქმეში	ხაშური, აკაკი წერეთლის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 2015 წ.
11	ფ.დიდებაშვილი ლ. მეტრეველი	„კულტურისა და პოლიტიკის განვითარების სოციალურ-ფილოსოფიური ასპექტები“	2015 წლის 28 ნოემბერი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“
12	ფ. დიდებაშვილი	„გენდერულ ურთიერთობათა განვითარების ტენდენცია 21-ე საუკუნის ქართულ“	2015 წ. 22-23 მაისი საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის

		სინამდვილეში“	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“
13	ფ. დიდუბაშვილი	„გენდერული თანასწორობა 21-ე საუკუნის საქართველოში“	2015წ. 23-24 ოქტომბერი, საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“
14	ირმა კეცხოველი	საქართველო გლობალიზაციის არეალში	დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 14-15 თებერვალი, 2015
15	ირმა კეცხოველი	ქალთა ძალადობა აშშ-სა და საქართველოში – საზოგადოების აქტიური ჩართულობა მისი აღკვეთისათვის	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი ამერიკისმცოდნეობის საქართველოს ასოციაცია, ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი სამოქალაქო ომის დასრულების 150-ე წლისთავისადმი, თბილისი, 14-16 მაისი 2015.
16	ირმა კეცხოველი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მეორე მსოფლიო ომის წლებში	სტუ-ს IV საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და კავკასია“, თბილისი, 3-4 ივნისი, 2015
17	ირმა კეცხოველი	გენდერული თანაფარდობა თანამედროვე საზოგადოებაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო გენდერი“ - 3, თბილისი, სტუ, 23.10.2015.
18	ირმა კეცხოველი	კულტურა, როგორც ეროვნულ-ფუნქციონალური	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო

		მაჩვენებელი თანამედროვე საზოგადოებაში	კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“, თბილისი, სტუ, 28 ნოემბერი, 2015
19	ირმა კეცხოველი	კავკასიის სოციოკულტურა ეთნოსოციოლოგიური დაკვირვების საგანი	სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თბილისი, სტუ, 26 ივნისი, 2015
20	ლია მეტრეველი, მარინე ლომიძე	კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები გუშინ, დღეს, ხვალ, 16-17 ოქტომბერი, 2015, თბილისი
21	ლია მეტრეველი	რეზოლუცია 13-25 საქართველო	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მსოფლიო და გენდერი – 3“, 23.10.2015, თბილისი, სტუ.
22	ლია მეტრეველი, ლევან ოსიძე	ომი და ქალები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია, თბილისი, სტუ, 3-4 ივლისი, 2015
23	ლია მეტრეველი	პოზიტიური კომუნიკაცია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მსოფლიოდა კავკასია, 26 ივნისი, 2015, თბილისი, სტუ
24	ლია მეტრეველი, ფიქრია დიდუბაშვილი	კულტურისა და პოლიტიკის განვითარების სოციალური ასპექტები	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ხელისუფლება და საზოგადოება, თბილისი, სტუ, 28.11.2015.
25	ლია მეტრეველი, მარინე	ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია,

	ლომიძე	ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები	საქართველოს განვითარების კვლევის ცენტრი, თბილისი, თსუ, 16.12.2015
26	ლია მეტრეველი	რელიგიური მდგომარეობა აჭარაში 1921-1990 წწ.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს განვითარების კვლევის ცენტრი, თბილისი, თსუ, 16.12.2015
27	მაია გურამიშვილი	პოლკოვნიკ კოცებუს ცნობები	საქართველოს უნივერსიტეტის VII ყოველწლიური კონფერენცია, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 2015, 30 მაისი
28	მაია გურამიშვილი	ედელვაისის კრახი	მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი “მეორე-მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია”, სტუ, 2015, 3-4 ივნისი.
29	მაია გურამიშვილი	ეთნიკური კონფლიქტების პრობლემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში	სტუ საერთაშორისო კონფერენცია “მსოფლიო და კავკასია”, 2015, 21 ივნისი
30	მაია გურამიშვილი	ქალი და შეიარაღებული კონფლიქტები	სტუ საერთაშორისო კონფერენცია “მსოფლიო და გენდერი”-3, 2015 წ. 23 ოქტომბერი.
31	მაია გურამიშვილი	დიპლომატია და კონფლიქტები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ხელსუფლება და საზოგადოება, 2015 წლის 28 ნოემბერი
32	მაია გურამიშვილი	რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემა თანამედროვე პოლიტიკაში	ივანე ჯავახიშვილს სახ. უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის



			ინსტიტუტი, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული – 2015“-ის ფარგლებში მოწეობილი სამეცნიერო კონფერენცია.
33	მაია გურამიშვილი	რუსეთის ფაქტორი სირიის კრიზისში	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია :ვილნიურის სამიტიდან, ბუქარესტის 8სამიტამდე, 2015, 16 დეკემბერი.
34	მაია გურამიშვილი	რელიგიური ფაქტორი გეოპოლიტიკურ პროექტში	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო კონფერენცია :ვილნიურის სამიტიდან, ბუქარესტის 8სამიტამდე, 2015, 16 დეკემბერი.
35	ლია მეტრეველი, მარინე ლომიძე	კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები გუშინ, დღეს, ხვალ,” 16-17 ოქტომბერი, 2015, თბილისი
36	მარინე ლომიძე	გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მსოფლიო და გენდერი – 3“, 23.10.2015, თბილისი, სტუ.
37	მარინე ლომიძე	მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები	მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია,” თბილისი, სტუ, 3-4

			ივლისი, 2015
38	მარინე ლომიძე	დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, 26 ივნისი, 2015, თბილისი, სტუ
39	მარინე ლომიძე, ლია მეტრეველი	მწერლის დისკურსიული დიალოგი, როგორც პიარფაქტორი	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელის-უფლება და საზოგადოება“, თბილისი, სტუ, 28.11.2015.
40	ლია მეტრეველი, მარინე ლომიძე	ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს განვითარების კვლევის ცენტრი“, თბილისი, თსუ, 16.12.2015
41	მარინე ლომიძე	მწერლობის არსის წვდომის დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა	სამეცნიერო სემინარი: მედიაპროპაგანდა-ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თსუ. თბილისი, 17.10.2015
42	ნონა ჟველია	პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში	ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელი-სუფლება და საზოგადოება“, თბ., სტუ, 2015
43	ნონა ჟველია	ქალის როლი თანამედროვე პოლიტიკასა და საჯარო მმართველობაში	„მსოფლიო და გენდერი – 3“, თბილისი, სტუ, 23.10.2015
44	N.Babuadze N.Kvachadze	Deng Xiaoping, His Reforms And His Role In The Formation Of Modern China	The International Conference “The World and Caucasus”,

			Tbilisi, Georgia, 2015
45	N. Babuadze S.Baliashvili	Some aspects of education for ethnic minorities in China	The International Conference “The World and Caucasus”, Tbilisi, Georgia, 2015
46	S.Veshapidze, N. Babuadze, T. Beridze	European Values and Choice of Georgia (Human Dignity, Lawful Sovereignty, Democracy and Wellbeing)	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები,2015
47	ავთანდილ სონღულაშვილი	ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტები საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში.	26-28 ნოემბერი, 2015
48	გიორგი ბარამიძე	კინემატოგრაფიული ლიტერატურა უმაღლესი განათლების ხელშეწყობა ქვეპროექტი-ლიტერატურა და ფილოსოფია	24-25. 10. 15, ბათუმი
49	ეპიფანე გვენეტაძე	ეროვნული უშიშროების გენდერული ასპექტი	„მსოფლიო და გენდერი“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ოქტომბერი 2015 თბილისი
50	ეპიფანე გვენეტაძე.	ოფეთის მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესიის ისტორიიდან. მღვდელი ტროფიმე ცინცაძე	აკად. ი. ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიზრუნული საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ოქტომბერი 2015 თბილისი

51	ირაკლი გელენავა	აფხაზეთის კულტურული ფასეულობები - საფრთხეები და გამოწვევები (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ წარმოებული საქმიანობის ანგარიშიდან)	აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  (თბილისი, უზნაის ქ. 68; 22 დეკემბერი, 2015)
52	ჰენრი კუპრაშვილი	საქართველოს სახელმწიფო სისტემის სტაბილურობის პრობლემები საერთაშორისო გარემოში.	მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“ 22-23 მაისი, 2015 წელი თბილისი
53	ჰენრი კუპრაშვილი	პოლიტიკური პარტიების სოციალურ-იდეოლოგიური მეტამორფოზები თანამედროვე ევროპაში	საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“. თბილისი, 3–4.06.2015
54	ჰენრი კუპრაშვილი	პრობლემები ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება – 2015“. თბილისი. 2015 წლის 28 ნოემბერი.
55	იგორ კვესელავა	აფხაზეთის საკითხი - საქართველოს ტერიტორიული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობა და აფხაზეთი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, სტუ, თბილისი, 26 ივნისი, 2015 წელი
56	იგორ კვესელავა	კაპიტალიზმის დილემა (პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები)	მესამე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს,

			ხვალ“, სტუ, თბილისი, 2015
57	ღალი კაპანაძე	რუსეთის აგრესია კავკასიაში- ომი ჩეხნეთში	თბ; 2015წ.26 ივნისი
58	ღალი კაპანაძე	„მსოფლიო და გენდერი“-3	თბ: 2015; 23 ოქტომბერი
59	მანანა დარჩაშვილი	მიხაკო წერეთლის მიერ ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად წარმოთქმული სიტყვების შედარებითი ანალიზი (1918 და 1943 წელი)	პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, კონფერენცია „26 მაისი ისტორიული მეხსიერების კონტექსტში“, 25.05.2015წ.
60	მანანა დარჩაშვილი	„რელიგიური საკითხი საქართველოში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“	მეორე მსოფლიო ომის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმში, თბილისი, 3-4 ივნისი, 2015წ.
61	მანანა დარჩაშვილი	ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტით გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობა საქართველოში	საერთაშორისო კონფერენცია, „მოქალაქე და სამოქალაქო განათლება პოსტ-სოციალისტურ საზოგადოებებში“, 06.06.2015წ
62	მანანა დარჩაშვილი	მ. წერეთელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში პრესის როლის შესახებ	საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თბილისი 26. 06. 2015წ.
63	მანანა დარჩაშვილი	„ქალათა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოში“	საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“, თბილისი 23-24 ოქტომბერი, 2015წ.

64	მანანა დარჩაშვილი	მიხაკო წერეთელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ	საერთაშორისო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“, თბილისი, 28.11. 2015წ.
65	მანანა დარჩაშვილი	საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე (2013-2015)	საერთაშორისო კონფერენცია „ვილნიუსის სამიტიდან ბუქარესტის სამიტამდე“ (2013-2015წწ.) თბილისი, 16.12. 2015წ.
66	მზია ხოსიტაშვილი	ბიბლიოთეკის, როგორც კულტურულ- საგანმანათლებლო ორგანიზაციის იმიჯისათვის	VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქუთაისი. 24-25 ოქტომბერი. 2015.
67	ნ. ბახსოლიანი	საისტორიო ეტიუდები ჟურნალ „ქართლოსის“ ფურცლებიდან.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3-4 ივნისი.
68	ნ. ბახსოლიანი	მადეუვათა-მოფსოსი ხეთურ და ძველბერძნულ წერილობით წყაროებში.	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 28-29 მაისი.
69	ნ. ბახსოლიანი	გვიანხეთური ხანის კილიკიის ისტორიისათვის.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 26 ივნისი.
70	ნ. ბახსოლიანი	ქალი ანტიკური ხანის ანატოლიაში (ალანიის მუზეუმის ექსპონატების მონაცემთა კონტექსტში)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 23 ოქტომბერი
71	ლ. მეტრეველი, ლ. ოსიძე	„ომი და ქალები“	3-4 ივნისი, 2015 წ. სტუ
72	ლ. ოსიძე	„ქალთა უფლებათა ტრანს- ფორმაცია და თანამედროვე ფემინიზმი“	23.10.15. სტუ
73	ლ. ოსიძე	„გლობალური საფრთხეები და ანტიგლობალისტური მოძრაობა ვილნიუსის სამიტის (2013 წ. 28/ XI)	16.12.15. თსუ

		შემდგომ პერიოდში“	
74	რევაზ მიშველაძე	პოლიტიკური იგნორირების მძევალი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, სტუ, თბილისი, 26 ივნისი, 2015 წელი
<ol style="list-style-type: none"> <li>1. საკონფერენციო თემა - “სქესთა შორის მსგავსება-განსხვავებულობის ბიოლოგიური ფაქტორები, სოციალური მიღწევები და “ფარშევანგის კულის” ეფექტი” – ეხება თანამედროვე გენდერული მოძრაობისთვის დამახასიათებელი ტენდენციის შორსმიმავალ შედეგებს – სქესთა შორის განსხვავებულობის იგნორირებას და ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლას მოასწავებს.</li> <li>2. საკონფერენციო თემა – მოთმინების დეფიციტი და ნევროზები თუ პატიება-სიმშვიდე, ანუ “ნეტარ არიან მშვიდნი” – ეხება პეტერბურგელი ფსიქოლოგის, ეთიკოსის და სოციოლოგის თეორიას დაავადებათა მიზეზების – ამორალობის (ცოდვის) შესახებ; ის ამტკიცებს, რომ ნებისმიერი დაავადება უზნეობით იწყება; ის იწვევს ნევროზებს, ნევროზები – ავადმყოფობებს. ხსნა ღმერთის სიყვარულშია – ღმერთის რწმენა არის სიმშვიდე, რაკი ის ადამიანს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს; სიმშვიდე კი არის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა!</li> <li>3. გთავაზობთ ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის მნიშვნელოვან მხარეებს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.</li> <li>4. მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ მარგარეტ ტეტჩერის განსაკუთრებული როლი ჩინეთ-ჰონკონგის პრობლემის გადაწყვეტაში. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის შედეგზე ორიენტირებული მიდგომები, მის მიერ გატარებული პოლიტიკა ჰონკონგ-ჩინეთის გაერთიანების თაობაზე რეალპოლიტიკის მნიშვნელოვან მაგალითად უნდა მივიჩნიოთ.</li> <li>5. არ არის</li> <li>6. მოხსენება ეხება უკრაინის კრიზისის შედეგად მსოფლიოში ჩამოყალიბებულ, შეცვლილ რეალობას, რომელმაც შეიძლება ახალი მსოფლიო ომი გამოიწვიოს.</li> <li>7. მოხსენება ეხება შვილების აღზრდის თანამედროვე ქართულ სისტემას, რომლის შედეგად პიროვნება, დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების განუვითარებლობის გამო, ჯერ მთლიანად მშობლებზე, მერე სახელმწიფოზე და ბოლოს უცხოეთზე დამოკიდებული ხდება.</li> <li>8. მოხსენება შეეხება საქართველოში ჯერ კიდევ სრულიად შეუსწავლელ საკითხს – პოლიტიკურ კონსულტირებას და მის ცალკეულ გამოვლინებებს საქართველოს ისტორიიდან.</li> <li>9. მოხსენებაში მოცემულია ანალიზი და რეკომენდაციები იმისათვის, თუ როგორ უნდა აიცილოს ერმა გლობალიზაციის პირობებში ასიმილირების საფრთხე.</li> <li>10. მოხსენებაში წარმოჩენილია აკაკი წერეთლის და ნიკო ნიკოლაძის წვლილი</li> </ol>			

ქართული მარგანეცის ათვისების საქმეში.

11. მოსხენებაში გაანალიზებულია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, სახელდობ კულტურული და პოლიტიკური პროცესების მჭიდრო კავშირი. ნაჩვენებია, რომ სოციალური ფილოსოფია ყოველთვის ცდილობდა გამოეკვლია კულტურისა და პოლიტიკის მრავალმხრივი ურთიერთობის განსხვავებული ასპექტები და ეჩვენებინა კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობის განვითარების პროგრესული ტენდენციები. განხილულია გამოჩენილი სოციოლოგების: ე. დურჰაიმის, ვ. ტომასის, ვ. სამნერის, ა. კელლერის, მ. ვებერის, კ. იუნგის, გ. ზიმელის, ნ. სმელზერის, ე. გიდენსის შეხედულებანი კულტურის ცნების დეფინიციასთან დაკავშირებით. გაანალიზებულია კულტურის არსებითი და ფუნქციური ელემენტები. ნაჩვენებია კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების ორი გზა ცივილიზაციის დონეზე. ევოლუციისა და რევოლუციის არსებითი ნიშნები და თავისებურებები.
12. მოსხენება ეხება XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კაცობრიობის წინაშე განსაკუთრებით გამოიკვეთილ გლობალურ პრობლემათაგან ერთ-ერთს, კერძოდ, გენდერულ ურთიერთობებს. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე კვლევებში ყველა ავტორი ეყრდნობა გენდერის, როგორც სოციალური სქესის გაგებას. გენდეროლოგიის, ანუ ქალთა პრობლემების კვლევის სათავეებთან დგანან მეოცე საუკუნის ექსისტენციალიზმის ფილოსოფიური მინდინარეობის წარმომადგენელი – სიმონა დე ბოვუარი, ქვით მილდი, ბეტი ფრიდანი და სხვები. მათ სახელს უკავშირდება კაცობრიობის არაძალადობრივი განვითარების თეორია. სოციალურ პროცესებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის დოქტრინა, გენდერული სტერეოტიპებისა და როლების, ქალის სექსუალურობის გადააზრება და ა. შ. გენდერულ კვლევებს ხშირად აიგივებენ ცნებასთან „ქალთა პრობლემის კვლევები“. ეს გამოიწვია იმან, რომ ქალთა საკითხების კვლევის ახალი ფაზა გასული საუკუნის 80-ან წლებსი დაიწყო, როცა ფემინიზმი გენდერსი გადაიზარდა; ამ პერიოდსი ქალის დაზარალებულობის პრობლემის ნაცვლად სქესთა შორის ურთიერთობის პრობლემა წარმოიშვა. სტატიაში განხილულია გენდერული თანასწორობის საკითხები ქართულ სინამდვილეში.
13. მოსხენებაში ნაჩვენებია, რომ გენდერული უთანასწორობა უნივერსალურია და ყველა საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი, რაც იმის ნათელი მაგალითია, რომ ამ პრობლემას ისტორიული ხასიათი აქვს. გაანალიზებულია გენდერული თანასწორობის არსი და მნიშვნელობა. განხილულია გენდერული კვოტა, როგორც ეფექტური საშუალება გენდერული თანასწორობის მისაღწევად.
14. მოსხენებაში – საქართველო გლობალიზაციის არეალში – საუბარია, რომ საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის არის დამოკიდებული ისტორიული განვითარების პროცესებზე, ვინაიდან ერისა და ეროვნული ხასიათის იდენტიფიკაცია ზოგადი პრობლემებით ხასიათდება. მართალია, გლობალიზაცია ერთიან უნივერსალურ ცივილიზაციად ყალიბდება, მაგრამ მას აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი – თითოეულ



ცივილიზაციას და მასში შემავალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე.

15. ქალთა ძალადობა აშშ-სა და საქართველოში – საზოგადოების აქტიური ჩართულობა მისი აღკვეთისათვის – როდესაც ვეხებით ძალადობის ნებისმიერი ფორმის გარკვევას პირველ რიგში ნებისმიერი საზოგადოება რატომღაც მიიჩნევს ძალადობას ოჯახში. სამწუხაროდ, ძალადობის ინსტიტუტის მიმართ ჩვენი აზრი არაერთგვაროვანია და ჩემი დრმა რწმენით, საქართველოში მიმდინარეობს ხაზგასმულად ამ ინსტიტუტის დამკვიდრების ძალადობის მანიფესტაცია წარმოადგენს კონტროლისა და დამორჩილების განხორციელების რთულ მექანიზმს და ხშირად იგი გადაიზრდება ხოლმე საზოგადოებასთან დაპირისპირებაში, რომლის არაერთი მაგალითი გვაქვს აშშ-ში და ამავე დროს საზოგადოება წარმოადგენს ინტერვენციული თავდასხმების სფეროს და სუპერქვეყნებთან შედარებითი ანალიზის შედეგად სრულიად საპირისპირო სურათი გვევლინება საქართველოში.
16. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მეორე მსოფლიო ომის წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნა დაემთხვა დიდი სამამულო ომის პერიოდს. ომის წლებში ქართველი მეცნიერები ამუშავებდნენ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო და რესპუბლიკის შინაგანი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციასთან. ამავე დროს განაგრძობდნენ თეორიული ხასიათის კვლევა-ძიებას სხვადასხვა დარგში. ეს იყო ტექნიკური, ენერგეტიკული, მანქანათმშენებლობის, ლითონდამუშავების, ჰუმანიტარული თუ სხვა. ნაშრომი გამოყენებულია მეცნიერებათა აკადემიის საარქივო დოკუმენტაცია. იმ პერიოდში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში.
17. გენდერული თანაფარდობა თანამედროვე საზოგადოებაში – გენდერის თეორიამ და გენდერულმა კვლევებმა როგორც მეცნიერულმა დარგმა გამოხატა ახალი დამოკიდებულება ადამიანის არსის, მნიშვნელობის, ადამიანის ყოფიერების სივრცითი და დროითი განზომილების, სექსთა შორის ურთიერთობის, სექსუალობისა და საერთოდ, ქალთა საკითხებთან მიმართებაში. გენდერი სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა. გენდერი სხვა მახასიათებლებთან ერთად განსაზღვრავს საზოგადოებრივი სისტემის ორგანიზაციას. შრომის გენდერული ნიშნით განაწილება შეიცავს სხვადასხვა სტატუსს. ანთროპოლოგების მიერ შესწავლილია სოციალური ნორმების შეფარდებითობა.
18. კულტურა, როგორც ეროვნულ-ფუნქციონალური მანქანებელი თანამედროვე საზოგადოებაში – ეროვნული კულტურა თავისთავად უდიდესი და ურთულესი სტრუქტურაა, რთულია დღევანდელი ჩვენი ცხოვრების წესიც და ის შენობაც, რომელშიც ვცხოვრობთ და ჯერჯერობით ვიცხოვრეთ, ვინაიდან ადამიანის კულტურული დონის ამადლების პრინციპებისათვის თავისუფლება აუცილებელი კომპონენტია, ხოლო კოლექტიურობის ბუნების გამო, დღეისათვის შევიწროვდა კულტურის მანქანებელი. ეროვნული კულტურის სიმბოლო არსებობს ორ სტატუსს შორის – ეროვნული კულტურა ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკური წყობის

თავისებურებას გამოხატავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულ კულტურებს შორის დევს უფსკრული, რომელთა შორის შეუძლებელია კავშირის დამყარება. უფრო ზოგადი და გავცრელებული განსახედურულობა, რომელიც ეროვნული კულტურების განსხვავებაში ქმნის, არის კულტურის ტიპები.

19. კავკასიის სოციოკულტურა ეთნოსოციოლოგიური დაკვირვების საგანი – კავკასიაში სოციოკულტურული სივრცის ერთობა, განსხვავდება სხვა მეგაკულტურული გენერაციის დიონისაგან. ემპირიული დაკვირვების დროს, როდესაც ადამიანების ცხოვრების წესი განიხილება, წარმოდგენილია კულტურათა ერთობლიობა, და ხასიათდება სოციალური წყობით, სისტემათა ორგანიზაციული დონით, მენტალობით, შიდა-სოციალური ურთიერთობებით და სხვა. ასე რომ, სოციოკულტურული რეაქციების კვლევებსა და მიდგომებს თავის ფენომენოლოგიური და სინქრონული შესწავლით მივყავართ კავკასიის სოციოკულტურული რეაქციების შესწავლის თითქმის ერთი და იგივე დასკვნებისაკენ; რომ კავკასია ეს არის განსაკუთრებული სოციალური ერთობა, რომელიც საკმაოდ მკვეთრად აცნობიერებს თავის იდენტურობას და განსხვავებულობას სხვა კულტურულ-ცივილურ მეგასისტემებთან.
20. კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები – კომუნიკაცია ნებისმიერ ორგანიზმს – ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. საყურადღებოა ერთი რამ, როდის იწყება კომუნიკაცია. კომუნიკაციის განვითარება იწყება დაბადებამდე, როცა ჩანასახს მუცელში დედის ხმა გაურკვეველად ესმის. დაბადებისთანავე ახალშობილი შეიძლება შეკრთეს და მობრუნდეს ხმის გაგონებაზე, შეიძლება დედის ხმაც კი გაარჩიოს სხვა ქალის ხმისაგან.
21. რეზოლუცია 13-25 საქართველო – არსებობს სტერეოტიპი, რომ მამაკაცი ძლიერია და ქალი სუსტი და ემოციური. რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ასეა. გენდერული ძალაუფლება ხორციელდება აკრძალვების, გარყენის, დამცირებისა და დაკნინების გზით, რაც ზღუდავს ქალის ცხოვრებას. იძულებით გადაადგილებული კონფლიქტებს შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობის ქალთა ჯგუფების სამოქალაქო საზოგადოების მთავრობის მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობები განვიხილეთ საქართველოში გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვის მიზნით. ეს გახლავთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 13-25.
22. ომი და ქალები – საქართველო დვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ დვთისმშობელი მარიამ თავიდანვე იყო ბედს შეგუებული, მან იცოდა შობდა უფლის ძეს, რომელსაც შემდგომ კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდლად ფარისევლები ჯვარს აცვამდნენ. ანალოგიურად, ქართველი ქალიც მუდამ ეგუებოდა თავისი ძეების დაკრგვას. ამას ბევრი ისტორიული და ლიტერატურული წყარო მოწმობს. კარგად ვიცით, რომ ქართველი ქალი (ქართველი დედა) მსოფლიოს სხვა ქალებისაგან განსხვავებულ ფენომენია.
23. პოზიტიური კომუნიკაცია – კომუნიკაციის პოზიტიურად წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის გვიმარტივებს ცხოვრებას. კომუნიკაციას ყოველთვის გააჩნია

მიზანი. ეს გახლავთ მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლა. ეს საკმაოდ რთული მოვლენაა. მოიცავს ინფორმაციის გაცემას, მიღებას და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირებას. ინფორმაციის გაცემა ხდება როგორც ენის საშუალებით ასევე სიტყვების გარეშეც...

24. კულტურისა და პოლიტიკის განვითარების სოციალური ასპექტები – კულტურა მტელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური განვითარების შედეგია. პოლიტიკაში პოულობს ასახვას არამხოლოდ არსებულ ძალთა ბალანსი, პოლიტიკური პროცესები, არამედ ისტორიული პროცესის დროს დაგროვილი და კულტურის ჩარჩოში მოქცეული შეხედულებები სამყაროზე. პოლიტიკა გვევლინება კულტურის ნაწილად, რადგან პოლიტიკაში არსებობს გარკვეული ღირებულებები და ქცევის გარკვეული ნორმები.
25. ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები– როდესაც ვლადპარაკობთ ევროკავშირის ინტერესებზე, ეს არის შეჯერებული თვალთახედვა ბრიუსელიდან. თუმცა ამის სიმპაფრის აღქმა ევროკავშირის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. იტალია-ესპანეთი-პორტუგალია მძაფრად არ აღიქვამს ჩვენთან (საქართველოსთან) ურთიერთობას, რადგან მისი სამეზობლო არის სამხრეთი. შესაბამისად, პოლონეთის და ბალტიისპირეთისათვის სამეზობლო არის აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნები. ამიტომ მათთან ჩვენ ბევრი ახსნა არ გვჭირდება, რადგან ბუნებრივი პარტნიორები არიან და საერთო ინტერესები გვაქვს.
26. რელიგიური მდგომარეობა აჭარაში 1921-1990 წწ. – საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლების მმართველმა ძალებმა ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას. მიუღებელი აღმოჩნდა რელიგიის გავლენა საზოგადოებრივ სულიერებაზე. კერძოდ, მომავალი თაობის აღზრდაზე. მათი პოლიტიკა ყველა რელიგიისა და რწმენისადმი განსაკუთრებით მართლმადიდებლური ეკლესიისადმი იყო მიმართული. დაიწყო რელიგიური საზოგადოების საფუძვლების შერყევა. ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მიიყვანა, დააპატიმრეს საკათოლიკო საბჭოს მთელი შემადგენლობა. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მეთაურობით. დახურეს ათასზე მეტი ეკლესია, გააუქმეს ღვთისმსახურება, შეამცირეს მღვდლების, მონაზვნებისა და ეკლესიების რაოდენობა.
27. პოკოვნიკ კოცებუს ცნობები – ნაშრმში საუბარია რუსი პოლკოვნიკის კოცებუს ცნობები შემახიის შექის, შესახებ (XIX საუკუნე)
28. ედელვაისის კრახი – განხილულია ჩრდილოეთ კავკასიაში ფაშისტური გერმანიის დამარცხება, მისი უკან დახევა, კავკასიისდან მისი განდევნა.
29. ეთნიკური კონფლიქტების პრობლემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში – სტატიაში განხილულია აფხაზეთისა და ოსეთის ეთნოკონფლიქტების პრობლემა და რუსეთის როლი ამ კონფლიქტებში.
30. ქალი და შეიარაღებული კონფლიქტები – სტატია მოიცავს საკითხებს ჰუმანიტარული სამართლის და მშვიდობის ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესებში ქალის როლს შეიარაღებულ კონფლიქტებში და მათი უფლებების მდგომარეობას.

31. დიპლომატია კონფლიქტი – განხილულია დიპლომატიის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში.
32. რელიგიური ფუნდამენტალიზმის პრობლემა თანამედროვე პოლიტიკაში – თემაში აღნიშნულია ფუნდამენტალიზმის პრობლემა დღევანდელ პოლიტიკაში.
33. რუსეთის ფაქტორი სირიის კრიზისში – სტატიაში განხილულია სირიის კრიზისის სპეციფიკა თანამედროვე ეტაპზე და რუსეთის ფაქტორი.
34. რელიგიური ფაქტორი გეოპოლიტიკურ პროექტებში – ნაშრომში განხილულია გეოპოლიტიკურ პროექტებში რელიგიის გავლენა თანამედროვე პოლიტიკაზე.
35. კომუნიკაციის პროცესის ფსიქოლოგიური ასპექტები – კომუნიკაცია ნებისმიერ ორგანიზმს – ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. საყურადღებოა ერთი რამ, როდის იწყება კომუნიკაცია. კომუნიკაციის განვითარება იწყება დაბადებამდე, როცა ჩანასახს მუცელში დედის ხმა გაურკვეველად ესმის.
36. გენდერის გაშუქების პარადიგმები ქართულ მედიაში – გენდერის საკითხების გაშუქებას თანამედროვე ქართულ მედიაში ახასიათებს პროფესიული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია: აღნიშნულ თემაზე მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, ქალთა თვალსაზრისის წარმოჩენა. ქალისადმი ოჯახური ძალადობის პრობლემის გაშუქებისას პროფესიული სტანდარტების დაცვა, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება. ჟურნალისტებმა პუბლიკაციებსა და სიუჟეტებში არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული შედარებები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას.
37. მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიები – მეორე მსოფლიო ომის პიარტექნოლოგიებიდან ყურადღებას იპყრობს პროპაგანდისტული იდეოლოგია, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ნაცისტური გერმანიის მხრიდან. რეკლამები, მხატვრული ფილმები, პოსტერები. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრენდები საომარ მდგომარეობასთან მორგებას ცდილობდნენ და იმდროინდელი შემოქმედება მთლიანად ომის თემაზე იყო აწყობილი, იქნებოდა ეს სტომატოლოგიური მომსახურება, სიგარეტის რეკლამა თუ კოსმეტიკა.
38. დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა – განსჯის ნიმუშები და ფორმები(მხატვრული, პუბლიცისტური) საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობს ხელს; მკითხველს, მსმენელს ესმარება განსხვავებული პოზიციების გაცნობით მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.
39. მწერლის დისკურსიული დიალოგი, როგორც პიარფაქტორი – მწერლის დიალოგის მთავარი ხიბლი გამორჩეული განსჯა, გარესამყაროს მისეული აღქმა და მხატვრული აზროვნების ფორმებია, რომლებიც საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ეფექტური და ეფექტიანი ფაქტორი ხდება.
40. ინფორმაციული ომი: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების პარამეტრები – როდესაც ვლადპარაკობთ ევროკავშირის ინტერესებზე, ეს არის შეჯერებული თვალთახედვა ბრიუსელიდან. თუმცა ამის სიმძაფრის აღქმა ევროკავშირის

სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. იტალია-ესპანეთი-პორტუგალია მძაფრად არ აღიქვამს ჩვენთან (საქართველოსთან) ურთიერთობას, რადგან მისი სამეზობლო არის სამხრეთი. შესაბამისად, პოლონეთის და ბალტიისპირეთისათვის სამეზობლო არის აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნები. ამიტომ მათთან ჩვენ ბევრი ახსნა არ გვჭირდება, რადგან ბუნებრივი პარტნიორები არიან და საერთო ინტერესები გვაქვს

41. მწერლობის არსის წვდომის დისკურსიული პარადიგმები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა – საკითხი განხილულია უილიამ ფოლკნერის საჯარო გამოსვლების მიხედვით. ნობელიანტი მწერლის აზრი მწერლობის შესახებ დღესაც აქტუალური და გასათვალისწინებელია.
42. პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში – პოლიტიკური ლიდერი შემოიფარგლება ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნებით. ლიდერი ხასიათდება პირველ რიგში, სოციალური პირობებით, რაც განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, აქვს სხვებისგან განსხვავებული ბუნებრივი და სოციალურ მახასიათებლები: ბიოლოგიური აგებულება, ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი, მიდრეკილებები, მიზნები. ლიდერის, როგორც პიროვნების ინდივიდუალობა დეტერმინირებულია. პოლიტიკური ლიდერი თავისი ეპოქის შვილია.
43. ქალის როლი თანამედროვე ეპოლიტიკასა და საჯარო მმართველობაში – ქალის როლი თანამედროვე პოლიტიკასა და საჯარო მმართველობაში მეტად აქტუალურია. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალი-პოლიტიკოსის შეფასების განსაკუთრებული კრიტერიუმები არსებობს. როგორც წესი მათ გაცილებით უფრო მაღალ პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებს. ქალებს პოლიტიკაში შემოაქვთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღირებულებები და დამატებითი კომპეტენტურობა. როგორც მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, ქალების პოლიტიკაში ინტეგრაცია შესაძლებელია განხორციელდეს ევალიტარული პოლიტიკის ფორმირების, ქალთა რეალური თანასწორობის საქმეში სახელმწიფოს წამყვანი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრიობის ფართო მასების როლის გაზრდის ხარჯზე.
44. -
45. -
46. -
47. მოსხენებაში განხილულია საქართველოში მოქმედი სექტების: ბაპტისტების, მოლოკნების, იეღოველების და სხვ. საქმიანობა და მათი დამოკიდებულება საქმიანობისადმი.
48. მოსხენებაში გაანალიზებულია მხატვრული სახეებისა და კინემატოგრაფიული გამოსახულებების, ლიტერატურულ ენისა და კინოენის თავისებურებანი; კინო როგორც უნივერსალური ენა; აბსტრაქცია და უნივერსალიზაცია; გამოსახულებებისა და ნიშების კომპოზიცია; - ის თუ რა კავშირია მხატვრულ წარმოსახვასა და კინემატოგრაფიულ ფანტაზიას შორის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიუჟეტური დროისა და კიდროის პრობლემებს. განხილულია მხატვრული რეალობისა და კინორეალობის კონსტრუირების მექანიზმები. ხატვრული გამონაგონისა და კინოილუზიის სტრუქტურა. ხატვრული ნაწარმოებისა და კნოს ნარატიული სტრუქტურის ელემენტები. მკითხველი და

მაყურებელი როგორც რეალობის დამკვირვებელი და თანაკონსტრუქტორი.

49. საუბარია ქალის როლზე ეროვნულ უსიშროებაში
50. მოხრობილია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ოფეთის ეკლესიის შესახებ.
51. ამ უკანანკნელ პერიოდში აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, დღის წესრიგში დააყენეს აფხაზეთის კულტურული ფასეულობების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით კულტურულ ფასეულობათა სამსახურის შექმნის აუცილებლობის საკითხი. გადაწყდა, სამსახური აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა მოქცეულიყო, ამავე სამინისტროს მინისტრის ბატონი დიმიტრი ჯაიანის მითითებით დაიწყო სამსახურის შესაქმნელად საჭირო სამუშაოების განხორციელება. განისაზღვრა 3 საშტატო ერთეული, გამოცხადდა კონკურსი, შედეგად კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის დასაწყისიდან. სამსახურმა 2015 წლის განმავლობაში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით სამსახურის მიერ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, რაც გამოიხატა შემდეგში:

სამომავლოდ ემსახურება სრულყოფილი ინფორმაციის ბაზის შექმნას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები როგორც საბიუჯეტო აგრეთვე არასაბიუჯეტო დონისძიებების ფარგლებში.

52. საქართველოს სახელმწიფო სისტემისათვის უმნიშვნელოვანესია მაქსიმალურად შეუხამოს ქვეყნის მიზნები და ინტერესები საერთაშორისო გარემოში არსებულ პირობებს, სამართლებრივი სივრცის პარამეტრები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც საკუთარი საზოგადოების მოთხოვნილებებს, ასევე სხვა ქვეყნების სამართლებრივი სივრცეების პარამეტრებს, საქართველოს სახელმწიფო სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში ერთიანი საინფორმაციო სივრცისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობა.
53. თანამედროვე გლობალიზებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, ინფორმაციის ეპოქაში, როდესაც იქმნება კაცობრიობის არსებობისათვის პრინციპულად სრულიად ახალ პირობები, დასაბამი ეძლევა ეკონომიკური და სოციალური პროცესების არნახულ ინტენსიფიკაციას როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეებზე, იცვლება ადამიანის ცხოვრების წესიც კი, ცხადია, რომ შესაბამისად პოლიტიკური პარტიებიც მომავალში ვეღარ გაგრძელებენ ტრადიციული როლის შესრულებას, მოსალოდნელია კარდინალური ცვლილებებიც განიცადოს.
54. "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონით გათვალისწინებული უარყოფითი შედეგები და მტრის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული პირდაპირი

ზარალი (მაგალითად, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორება და ინფორმაციული რესურსების აღდგენა) მაინც კიდევ შედარებით იოლი შესაფასებელი და მოსაგვარებელია. მაგრამ, ამ დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით ძნელი შესაფასებელია კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურომში წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი, აუნაზღაურებელი კოლოსალური დანაკარგებით, ერთი რამ ფაქტია, საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკაში დილეტანტების მიერ გაკეთებული არასწორი აქცენტების გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია მოქცეული ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებული რუსეთის ამ მთავარი იარაღის მოქმედების არეალში. ამის ცოდნას და გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

55. ნაშრომში სამეცნიერო და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათის წყაროებისა და ლიტერატურაზე დაყრდნობით ანალიზდება საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემა აფხაზეთის რაკურსში. საზი ესმება აფხაზეთის თვითიდენტიფიკაციის საჭირო რეალობას, ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით და განხილულია ამ მიმართებით დამოუკიდებელი საქართველოს სხვადასხვა პრეზიდენტების (ზ. გამსახურდია, ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი) მიერ გადადგმული ნაბიჯები. ავტორი საგანგებოდ ეხება ახალი ხელისუფლების, მათ შორის პრეზიდენტ გ. მარგველაშვილის დამოკიდებულების საკითხს აფხაზეთი პრობლემის მოგვარებაში და ამ კონტექსტში ახლებურად არის გააზრებული ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობების პრობლემაც.
56. პოლიტიკოსთა, უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლების, პუბლიცისტების, მეცნიერთა და სხვების წიგნებში, საჟურნალო და საგაზეთო გამოცემებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმების დისკუსიებში თუ სხვა შეხვედრებში, რამდენიმე ათეული წელია აქტიურად განიხილება საკითხი თანამედროვე კაპიტალიზმის ისტორიული ბედის შესახებ. 2012 წლის იანვარში შვეიცარიის ქალაქ დავოსში შეკრებილ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაცხადდა, რომ დღევანდელი ფორმატით კაპიტალისტურმა სისტემამ თავისი თავი ამოწურა და არ ეწერება თანამედროვე მსოფლიოს მოდელში. გამოითქვა მოსაზრება, რომ კაპიტალიზმმა XX საუკუნეში დაამთავრა თავისი წარმატების დემონსტრირება და ეხლა იმდენად მოძველდა, რომ ნგრევით ემუქრება XXI საუკუნის საზოგადოებას.
57. კავკასია მუდამ გამოირჩეოდა განსხვავებული ხალხის, რელიგიისა და კულტურის მრავალფეროვნებით. მიუხედავად ასეთი სიჭრელისა, ეს რეგიონი რუსეთის ინტერესების სფეროში, ჯერ კიდევ კიევის რუსეთის ჩამოყალიბების დროს მოექცა. რუსეთის და კავკასიის დაპირისპირება, რომელიც გაიყინა სსრკ-ს პერიოდში, 1990-იან წლებში, მისი დაშლისთანავე "დაგვირგვინდა" ჩეჩნეთის ომებით და დაღესტნის კონფლიქტით. რუსეთმა საკმაოდ რთულად მოახერხა კონტროლის აღდგენა ჩეჩნეთში, მაგრამ დრომ კარგად აჩვენა რომ ეს არ ნიშნავდა კონფლიქტის დასასრულს. დღეს,

ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას დოკუ (დოკა) უმაროვი, აქტიურად იბრძვის ე.წ. კავკასიის საამიროს ეგიდით რათა გამოკვეთოს კავკასიის ეს ნაწილი რუსეთის ჩრდილოკავკასიური ტერიტორიებიდან. აღსანიშნავია ის, რომ დღესდღეობით ჩეჩნების გარდა ტერორიზმში ჩართული არიან ინგუშები, დაღესტნელები, ბალყარები, სხვა ადგილობრივი მუსლიმი ერები და არაბი "ისლამისტების მებრძოლები".

58. „ტეტჩერიზმი“ ერთგვარი პოლიტიკური მიმდინარეობა, პოლიტიკური აზროვნების სიტემაა, რომელიც ტეტჩერმა და მისმა თანაგუნდელებმა შექმნეს 1970-1990 - იან წლებში. ტეტჩერის ავტორიტარულმა პოლუიზმმა დადებითი როლი შეასრულა დიდი ბრიტანეთის ნაციონალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღორძინების საქმეში. 1991 წლისათვის ინგლისი იქცა ძლიერ, მდიდარ და მწარმოებელ ქვეყანად – ასეთმა წარმატებამ თავად ბრიტანელებიც კი გააოცა.
59. მნიშვნელოვანია მიხაკო წერეთელის მიერ ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვები (1918 და 1943 წელს), რადგან ამ ღირშესანიშნავ დღეს, ის ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა (სხვადასხვა დროს, თავისი ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ ვითრებაში). შესაბამისად, საინტერესოა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების შედარებითი ანალიზი. ის ორივე გამოსვლაში მომავლის იმედითაა გამსჭვალული. სჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც საქართველოში ახალი პრინციპები იქნება დამყარებული - ეროვნული მთლიანობის, სოციალური მშვიდობის და სამართლიანობის, პიროვნების თავისუფლების, შრომის და შემოქმედების პატივისცემის.
60. თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიდის მსჯელობა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესთან დაკავშირებით. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში რელიგიის საკითხის მდგომარეობის განხილვა მეტად აქტუალურია. საბჭოთა პერიოდში საქართველოში, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, რელიგიურ გაერთიანებათა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. XXს-ის 20-30-იან ოკუპაციის მძიმე წლებში ქართულმა ეკლესიამ ხელისუფლების მხრიდან დიდი დევნა-შევიწროება გადაიტანა. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლება შეეცადა მოსახლეობის სრული ძალის გამოყენებას მტრის წინააღმდეგ, რის გამოც რელიგიის საკითხისადმი მიდგომები შეცვალა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საქართველოს ეკლესიის მიერ ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო, ხელისუფლების მიდგომა რელიგიის საკითხისადმი მნიშვნელოვნად შეიცვალა.
61. თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტი არაერთ სიახლეს ითვალისწინებდა, ნაშრომში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აშკარაა ადგილობრივი



თვითმმართველობის რეფორმის პროექტისადმი დიდი ინტერესი პოლიტიკოსების და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. საკითხის განხილვისას სხვადასხვაგვარი შეფასებები გამოიკვეთა. მმართველმა გუნდმა თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავებისას, საპატრიარქოს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ კანონპროექტისადმი დაფიქსირებული პოზიციის გამო, გარკვეული კორექტივები შეიტანა რეფორმის მიმდინარეობისას.

62. XX საუკუნის დასაწყისში ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას პრესა წარმოადგენდა. საზოგადოება გაზეთის გაცნობის საშუალებით თვითონ აკეთებდა ნებისმიერი საკითხის, მათ შორის პოლიტიკური პროცესის, შესახებ ანალიზს და დასკვნებს. პოლიტიკური აზრის წარმომადგენლები პრესის საშუალებით მოქმედებდნენ. შესაბამისად, ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მიხაკო წერეთელის პოლიტიკური ნააზრევი, როგორც საერთოდ იმ პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, თავდაპირველად პრესაში იბეჭდებოდა, მას სწორად ჰქონდა არსებულ სინამდევში პრესის როლი გააზრებული. როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად საშუალება. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პრესას საზოგადოების გაღიზიანების, დეზინფორმაციის და ნეგატიური დანიშნულების გარდა არავითარ პოზიტიური ადგილი არ ჰქონია. თავისი დროის გამომჩენილ მოაზროვნეს ბუნებრივია ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ეს საკითხი, რადგან ეს პირდაპირ კავშირში იყო სწორედ ერის ინტერესებთან.
63. თანამედროვე ეტაპზე ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის ზრდის საკითხი აქტიურად განიხილება. მიღის ფართო დისკუსია იმის შესახებ, რომ გენდერული კვოტის საშუალებით წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა ჩართულობის საშუალებით გაუმჯობესდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები, გაუმჯობესდება დემოკრატიის ხარისხი. თუმცა კვოტირებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომელთა აზრით, ეს პროცესი მთელ რიგ უსიამოვნებას გამოიწვევს. არაერთი ხელისუფლების წამყვანი პოზიციის წარმომადგენელი ღიად გამოთქვავს თავის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხზე და აცხადებს, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერების სტრატეგიული ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება ქვეყნის სამომავლო გეგმის ნაწილია.
64. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანი - ერთიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით ახალ მსოფლიო წესრიგში დამკვიდრებაა. ქვეყნის ევროინტეგრაცია საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან შიდა პოლიტიკის პრიორიტეტად ტრანსფორმირდა. საკითხის ასე დაყენება სიახლე არ არის, ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი საქართველოს მოსახლეობის ისტორიული არჩევანია, რადგან ეს საკითხი აქტიური განსჯის საგნად XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ რუსული კოლონიური რეჟიმის პერიოდშიც იდგა. მ. წერეთელს ჰქონდა რა მკვეთრი დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია სამომავლო ურთიერთობის განსაზღვრისას იმედოვნებდა, რომ დასავლეთ

ეროპის სახელმწიფოების დახმარებით საქართველო უზრუნველყოფდა თავის დამოუკიდებლობას და ამასთანავე გახდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ღირსეული თანამშრომელი, იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც მათ ექნებოდათ საქართველოში, კავკასიაში და მათგან დაშორებულ იმ ქვეყნებში, საითკენაც გზა საქართველოზე გადიოდა. ამასთან, არაერთგზის აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის, განვითარების და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის მაღალი პოლტენციალი ჰქონდა.

65. მიმდინარე ეტაპზე, როდესაც საქართველო აქტიურად არის ჩართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში და პრეტენზია აქვს, რომ იყოს ლიდერი ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატებების მიხედვით, მნიშვნელოვანია იმ დეტალების განხილვა, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის განხორციელდა, 2013 წლის ივლისში, ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში ასოცირების შესახებ შეთხმების პარაფირებიდან დღემდე. რადგან, ასოცირების 2014-2016 წლების დღის წესრიგის განხორციელება, მთელ რიგი რეფორმებით, საქართველოს ევროინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია.
66. მოხსენება შეეხება ბიბლიოთეკის, როგორც არაკომერციული და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს იმიჯის ფორმირების საკითხებს. შეფასებულია როგორც შიდა, ასევე გარე იმიჯის ფაქტორები, ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ცალკეული სტრუქტურების ხელმძღვანელთა, თანამშრომელთა როლი კეთილსასურველი იმიჯისა და რეპუტაციის შექმნაში.
67. მოხსენება ეხება ჟურნალ „ქართლოსის“ ერთ სტატიას, რომელშიც დასაბუთებულია უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს მზარდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, რასაც ქართველი ფაშისტების მოსაზრებით აქტუალობა არც II მსოფლიო ომის დროს დაუკარგავს.
68. ავტორის მიერ მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ ბერძნული და ხეთური ტრადიციების მოფსოსი, იგივე მადუვათა მცირე აზიის სამხრეთი ტერიტორიის ლუვიურ მოსახლეობას იმორჩილებს და ძლიერ სახელმწიფოს ქმნის.
69. მოხსენება ეხება გვიანხეთური ხანის კილიკიის პოლიტიკურ ისტორიას, რომელიც იეროგლიფურ-ლუვიური და ფინიკიური დამწერლობით შესრულებული ტექსტის მიხედვითაა გაანალიზებული და ასახავს ანტიასურული კოალიციის ბრძოლას ასურეთის ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.
70. მოხსენება შეეხება თურქეთის ქალაქ ალანიისა და ავანოსის კერამიკის მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს. ავტორი თვლის, რომ ელინისტური და ადრე რომაული ხანის ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის განვითარება ცდება იმპერიის საზღვრებს და ორგანულად უკავშირდება ძველ ანატოლიურ ტრადიციებს.
71. სტუ-ში ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“, რომელიც მიემდგვნა მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავს. ეს ომი საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდა,

რადგანაც 70000-მდე წვევამდელი მონაწილეობდა მასში და მათ შორის იყვნენ საქართველოდან გაწვეული ქალებიც, რომელთაგან ბევრი სამუდამოდ დარჩა მარადისობაში და საკუთარი სიცოცხლაც კი გაწირეს სამშობლოს დასაცავად. მათგან თითოეუ ჩამოსათვლელეებია დარჩენილი ცოცხალი და დღეს ისინი სახელმწიფოსაგან უფრო მეტ ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებენ. მოხსენებაში საზი გაესვა იმ ფაქტორზე, რომ თანამედროვე გლობალურმა პრობლემებმა ქალის ფსიქიკაში დიდი რევოლუცია მოახდინა, იგი დღეს ე.წ. „შახიდის ქამრებით“ აღჭურვილნი მამაკაცების მსგავსად საშიშნი გახდნენ და ტერორისტებად ჩამოყალიბდნენ.

72. სტუ-ში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მსოფლიო და გენდერი - 3“, ქალისა და კაცის თანასწორობა საქართველოში ოდითგანვე მოდის და არავის სასწავლებელი ამ საქმეში არ გვჭირს, ქართველი ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა გენდერულ საკითხს და ქალის უფლებებს იცავდა, მაგრამ ამ ბოლო დროს გაზრდილია საქართველოდან საზღვარგარეთ ოჯახების შესანახად წასული ქალების რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს გაიზარდა არაქართველი მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა, განსაკუთრებით არაქრისტიანებისა, რომელთა შორის მოიაზრებიან ის ქალები, რომელთაც სჯიან რელიგიური ნიშნით და აიძულებენ ტრადიციების დაცვას... ამ კუთხით მართლაც საჭიროა გარკვეული ძალისხმევის წარმართვა, რათა საქართველოში მაცხოვრებელი არაქართველი ქალების გამო საერთო სურათი არ გამოიყურებოდეს ჩვენი ქვეყანა ნეგატიურ კონტექსტში.

73. თსუ-ში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ვილინიუსის სამიტიდან ბუქარესტის სამიტამდე“, მიემდგნა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხს. ამასთან ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის საფრთხეები, რომელსაც ადგილი აქვს გლობალიზაციის ყოველსმომცველი შემოჭრის შემთხვევაში. გლობალისტების ყოველწლიურ შეკრებებს მუდმივად თან სდევს მათი ეკონომიკური ექსპანსიით უკმაყოფილო ანტიგლობალისტების ორგანიზებული გამოსვლები, მათი მომხრეები სტატისტიკურად იზრდება, რითაც კიდევ ერთხელ ირღვევა მითი გლობალიზაციის საყოველთაობისა და უძლეველობის შესახებ, რაც ჩვენთვის იმედის მომცემია თვითგადარჩენის გზაზე.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	სოფო მიდელაშვილი, ჯემალ გახოკიძე	MANAGEMENT FEATURES OF SPECIAL REGIONS (BY HONG	3 აპრილი 2015 წელი, კიევი

		KONG EXAMPLE).	
2	I.Kveselava N.Babuadze M.Gurgenidze	Georgia – a country with Centeries long education traditions	The Global Conference on Education and Psychology (2015GCEP), Beijing, China,2015
3	ემილია ალავერდოვი	ღია საზღვრების პოლიტიკა	ჰუმბოლტდის უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია, 10-12 აპრილი
4	მანანა დარჩაშვილი	Globalization and Religion (Georgian Reality)	NGO “Society Initiatives Institute”, Globalization. Development and perspectives (Lviv, 14-15th of September, 2015)
<p>1. მოხსენების მიზანია კონფლიქტების დარეგულირების ახალი გზების ძიება, რომელიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. რეალპოლიტიკა კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანად გადაწყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა. მიზნის მისაღწევად ომისა და ძალადობის გამოყენება უტოპიაა და მეტი არაფერი.</p> <p>4.საქართველოში არის რა საყოველთაო ნება - დემოკრატიის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად მსოფლიოში და ქვეყანაში არსებული მოცემულობიდან, რელიგიური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეიქმნას მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები, რაც სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების დარეგულირების მიზნით კვლავ მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.</p>			

**არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე
2. პროფესორი გივი ინანიშვილი (0.5 საშტატო ერთეული)

3. ასოცირებული პროფესორი მარინე მესხია (0.5 საშ.ერთეული)
4. ასოცირებული პროფესორი ნინო ზაალიშვილი (0.5 საშ.ერთეული)
5. ასოცირებული პროფესორი თამარ ხოხობაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი ხათუნა თოდაძე
7. ასოცირებული პროფესორი მანანა აბუთიძე
8. ასოცირებული პროფესორი ნათელა ჯორჯიკია
9. ასოცირებული პროფესორი მაია ქუთათელეძე
10. ასისტენტ პროფესორი ლამარა ასლამაზიშვილი
11. ასისტენტ პროფესორი დარეჯან ცუცქერიძე

## II. 1. პუბლიკაციები

### ა) საქართველოში

#### მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლამარა ასლამაზიშვილი	ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, “ინგლისი, პოლონეთი”	უნივერსალი, 2015	გვ.163
2	ლამარა ასლამაზიშვილი	ქალის უფლებები ქორწინებისა და გარქონწინების დროს შუა საუკუნეების საქართველოში	უნივერსალი, 2015	გვ.55
ანოტაციები				
1. XX საუკუნის 20-იანი წლები საქართველოსთვის მძიმე იყო, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში. ამ პერიოდისთვის ევროპაში ემიგრანტ ქართველი სამხედროების მოღვაწეობა აქტუალური და საინტერესო იყო ქართული საელმწიფოს აღმშენებლობისთვის.				

ქართულ სამხედრო პირების მოღვაწეობა გაგრძელდა 30 წელი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ქართული სამხედრო პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის ისტორია სრულიად არ არის შესწავლილი, ეს ნაშრომი იყო მცდელობა ამის გამოსწორების.

2. ნაშრომის მიზანია წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილიყო ქალის უფლებები ქორწინებისა და გარქონწინების დროს შუა საუკუნეების საქართველოში, მისი უფლებები ქორწინების დროს და განქორწინების შემდეგ.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნანა ხაზარაძე	საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 2015	245 გვ.
2	ხათუნა თოღაძე	ქართული სამხედრო სახელმძღვანელო, მოვამზადე გამოსაქვეყნებლად		

ანოტაციები

**1. საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია**  
 საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, ფაქტობრივად, პირველად ქვეყნდება. მასში თავმოყრილია ძველადმოსავლური – ასურული, ურარტული, ძველსპარსული, ლურსმული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველებრაული წერილობითი წყაროები. ძველბერძენ და ლათინ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობები ძვ.წ.XII-ახ.წ.IV საუკუნის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. მოყვანილი წერილობითი წყაროები ფართოდაა კომენტირებული.

**2. ხათუნა თოღაძე - სახელმძღვანელო მზადდება სამხედრო აკადემიისათვის.**

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

1	ნანა ხაზარაძე	იოანე ნათლისმცემელი და საქართველო (ქართულ და ინგლისურ ენებზე),  საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი	მასალები I	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა , თბილისი 2015	გვ.166-167
2	ნანა ხაზარაძე	К истории лувийских иероглифов (რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე), სამეცნიერო ჟურნალი “ანალები”	№1	გამომცემლობა “უნივერსალი”. თბილისი 2015	გვ. 21-28
3	ნანა ხაზარაძე  (თანაავტორი ნ.ბახსოლიანი)	Luwian Hieroglyphs with the Representation of Women, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, (რეზიუმე ქართულ და რუსულ ენებზე),	№2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 2015.	გვ.73-77
4	ნანა ხაზარაძე  (თანაავტორი თ.ხოხობაშვილი)	Связанные с антропогенезом религиозные верования и культурная традиция грузинского народа,(რეზიუმე რუსულ ენაზე)  აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ.სამეცნიერო კონფერენცია	საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა, შრომები	საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” , თბილისი 2015	გვ.638-641

5	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი ნ.ბახსოლიანი)	Лувийские иероглифы, обозначающие числительные (რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე)  “Ганатлеба”	2(13),	Грузинский Технический Университет, Ганатлеба  Тбилиси  2015	с. 38-41
6	ნანა ხაზარაძე	Кимерийцы и Южный Кавказ,  სამეცნიერო ჟურნალი “სვეტიცხოველი” (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	№2		გვ.96-99
7	ნანა ხაზარაძე	“დიდი ექვთიმე”	#7(7652)	საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი 15.05.2015	გვ.17
8	ნანა ხაზარაძე	ბიბლიური მოსოხი, (რეზიუმე ინგლისურ ენაზე) (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)		კავკასიის საერთაშო- რისო უნივერსიტე- ტის შრომები	10 გვ.
9	ნანა ხაზარაძე	ანთროპოგენეზი და გენდერის პრობლემები, (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)(გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამომცემლობა	6 გვ
10	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი თ.ხოხობა- შვილი)	პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი  (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამომცემლობა	8 გვ.
11	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი	1941-1945 წლების საქართველო და პირველი სასკოლო		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	8 გვ.



	თ.ხოსობა- შვილი)	სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში უფროს კლასებისათვის  (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად)		გამომცემლობა	
12	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი ი.მელიქიშვილი)	ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში, წიგნში ქართველები, გადაცემულია გამოსაქვეყნებლად		გამომცემლობა “პალიტრა”	22 გვ.
13	მაია ქუთათელაძე	წარმართული რელიგიების შესწავლის საკითხისათვის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა”, შრომები		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი	5 გვერდი
14	მაია ქუთათელაძე	ერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ისტორიისათვის სამეცნიერო ჟურნალი  “სვეტიცხოველი”	№2	თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვერდი
15	მაია ქუთათელაძე	ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება, საერთაშორისო		თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური	6 გვერდი გადაცემუ ლია დასაბუჟდა

		სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი – 3“ – შრომები		„უნივერსიტეტი“	დ
16	მანანა აბუთიძე	თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, რელიგია	წარმოებაშია	თბილისი, „მწვანე ველი“	8
17	ხათუნა თოღაძე	ქართული მონასტრები საზღვარგარეთ, გამოსაქვეყნებლად გადაცემულია			
18	დარეჯან ცუცქერიძე/ნინო პეტრიაშვილი	„კონფლიქტი-ორგანიზაციული მენეჯმენტის გამოწვევა“.  მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“ კრებული  (გადაცემულია დასაბუჯდად)		საქართველო, ბათუმი, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი.	
19	დარეჯან ცუცქერიძე/ნინო პეტრიაშვილი	გენდერული თანასწორობა თუ ფემინიზაცია – ქალი თავდაცვის მინისტრები (ევროპის ოთხი ქვეყნის მაგალითზე), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის		საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.	

		<p>„მსოფლიო და გენდერი“-3 შრომები (გადაცემულია დასახელებად).</p>			
<p><b>ანოტაციები</b></p> <p><b>1. იოანე ნათლისმცემელი და საქართველო</b></p> <p>ჩატარებული კვლევა-ძიებების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ პილიგრიმულ ლიტერატურაში ქართველებისათვის შერქმეული ტერმინი “იოანეს ქვეყნის ქრისტიანები” არა საქართველოს მეფეს დავით VIII-ს უკავშირდება როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ვარაუდობდა, არამედ იოანე ნათლისმცემელს.</p> <p><b>2. К истории лувийских иероглифов</b></p> <p>მევენახეობა-მეღვინეობის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ლუვიურ იეროგლიფული დამწერლობის შემქმნელნი სრულად ფლობდნენ ინფორმაციას ძველი ანატოლიის ისეთი მიწათმოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი დარგის შესახებ, როგორცაა მევენახეობა, მეღვინეობა.</p> <p><b>3. Luwian Hieroglyphs with the Representation of Women</b></p> <p>გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები, ფაქტობრივად, პირველადაა შესწავლილი და ნაჩვენებია ის დისბალანსი, რომელიც ქალისა და მამაკაცის სოციალურ სქესთა შორის არსებობდა.</p> <p><b>4. Связанные с антропогенезом религиозные верования и культурная традиция грузинского народа</b></p> <p>მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე ანთროპოგენეზთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესწავლისა და ამავე საკითხზე ქართული კულტურული ტრადიციის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ქართულ სინამდვილეში მიწისაგან ადამიანის შესაქმეს შესახებ კონცეფცია ტრანსფორმირებული სახით დღემდეა შემონახული.</p> <p><b>5. Лувийские иероглифы, обозначающие числительные</b></p> <p>ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა შესწავლილი ლუვიურ იეროგლიფური რიცხვითი სახელები. დადგენილია მათი სიმბოლიკა და გამოყენების შეზღუდული არეალი.</p> <p><b>6. Кимерийцы и Южный Кавказ</b></p> <p>ძვ.წ VIII საუკუნის ასურული, ლურსმული, სადაზვერვო ხასიათის დოკუმენტებისა და მეფეთა წარწერების ანალიზის, ასევე სამხრეთ-კავკასიის ამ ეპოქის ისტორიის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით მიღებულია დასკვნა, რომლის</p>					

თანახმადაც გამირის ქვეყანა (კიმერიელების ქვეყანა) ქვემო ქართლის ტერიტორიაზეა მოსათავსებელი.

#### 7. ბიბლიური მოსოხი

“ბიბლიის” და მასზე დამოკიდებული წერილობითი წყაროების ანალიზისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად სტატიაში ნაჩვენებია, რომ ბიბლიური მოსოხის, მოსოხენების, მესხენების, გვიანდელი კაბადოკიის ტერიტორიაზე ლოკალიზაცია სრულად პასუხობს ჰეკატე მილეტელის და ჰეროდოტე ჰალიკარნასელის თხზულებებში შემონახულ ცნობებს კაბადოკიაში, დღევანდელ ტოკატ-ყარახისარ-გიუმუშხანეს არეალში მოსხების (მესხების) განსახლების შესახებ.

#### 8. ანთროპოგენეზი და გენდერის პრობლემები

ჩატარებული კვლევა-ძიებების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სოციალურ სქესთა უფლებათა უთანასწორობის კონცეფციის გენეზისი ანთროპოგენეზთან დაკავშირებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებშია საძიებელი.

#### 9. პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი

ავტორის აზრით, ანტიკურ და შუასაუკუნეების სამყაროში გავრცელებული თეზაიმის თაობაზე, რომ კლიო ისტორიისა და საგმირო ეპოსის მუხა ომის დროს სდუმს 1914-1918 წლის საქართველოს ისტორიის მაგალითზე მართებული არ არის. ამ წლებში ივანე ჯავახიშვილისა და ქართველ მოღვაწეთა მიერ ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიებანი იმის მოწმობაა, რომ სწორედ ამ წლებში საქართველოში ჩაყარა საფუძველი საისტორიო მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ახალ ეტაპს.

#### 10. 1941-1945 წლების საქართველო და პირველი სასკოლო სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში უფროსი კლასებისათვის

საუბარია 1943 წელს ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას ავტორობით და სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოზე უფროსი კლასებისათვის. ნაჩვენებია ის გზა, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა ამ უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოს შექმნამდე გაიარეს, ასევე მე-2 მსოფლიო ომის წლებში სტუდენტი ახალგაზრდობისათვის და საერთოდ საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

#### 11. “დიდი ექვთიმე”

სტატია ეძღვნება 2015 წელს გამოქვეყნებულ სქელკანიან სამეცნიერო სტატიების კრებულს სადაც სრულიად ახალი საარქივო მასალების მონაცემთა საფუძველზე დიდი ქართველის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა

მხარეებს ახალი შუქი მოეფინა.

#### 12. ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ქართველთა ავტოქტონობის დამადასტურებელ ფაქტორად სრულყოფილადაა გამოყენებული, როგორც რეკონსტრუირებული ქართული ფუძე-ენის ასევე ქართული, მეგრული, მეგრულ-ჭანური, სვანური ენების მონაცემები, ასევე ქართულ ენაში დაუნჯებული შუმერული, სემიტური, ხურიტული, ინდოევროპული, ურარტული ენების ნასესხობანი.

#### 13. წარმართული რელიგიების შესწავლის საკითხისათვის

მონოთეისტური ნიშნით გამორჩეული წინაქრისტიანული რელიგიების კვლევა და მათი ქრისტიანობასთან მსგავსების ასპექტების განსაზღვრა ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიული მეცნიერების ინტერესის საგანს. საყოველთაოდ გავრცელებული წარმართული რელიგიების შესწავლისა და მათი ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ჭრილში წარმოდგენის პროცესში ფართოდ გამოვიყენეთ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული გვიანრომაული მითრიაზმი ირანული მაზდეანობის მსგავსად საკმაოდ ახლოსაა მონოთეისტურ რელიგიასთან ისევე, როგორც თვით მითრას კულტს ბევრი საერთო აქვს ქრისტესთან. ამ საკითხებს, კონკრეტულად, ქართველთა წარმართობაში მითრას კულტის არსებობის მეცნიერულ დასაბუთებას ეძღვნება აღნიშნული გამოკვლევა.

#### 14. ერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ისტორიისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის მედლების (მედალიონების) აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის გამორჩეულია მცხეთაში მიკვლეული ანტინოეს გამოსახულებიანი ბრინჯაოს მედალიონი, რომლის ანალიზი არქეოლოგიური არტეფაქტის მფლობელის სოციალური კუთვნილების შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. არანაკლებ მნიშვნელობისაა ამ უნიკალური ნივთის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მოხვედრის დროისა და გარემოებების განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული პრობლემების კვლევას ეძღვნება ნაშრომი.

#### 15. ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება

1832 წლის შეთქმულებაში ეროვნული მუხტის მიმცემი ქართული არისტოკრატის წარმომადგენლები, განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წევრები და მათი უახლოესი ნათესავები იყვნენ. მასალი სიმცირის გამო შეთქმულთა შორის ქალბატონების როლი ნაკლებადაა გამოკვეთილი და შესწავლილი. მონაწილეებს შორის ქალები უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა მათი ღვაწლი და თავდადება

გამორჩეულ პატივისცემას იმსახურებს.

#### 16. მ.აბუთიძე

სტატია განიხილავს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ისტორიას, მრავალჯერადი არქიტექტურული და ფუნქციური გადაკეთებების რიგს და ამ გადაკეთებების ხუროთმოძღვრულ კონტექსტს, ასახულს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში.

#### 17. ქართული მონასტრები საზღვარგარეთ

ნაშრომი ეძღვნება საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებში შექმნილ კულტურულ მემკვიდრეობას (ბიზანტიასა და პალესტინაში არსებული მონასტრები).

#### 18. კონფლიქტი-ორგანიზაციული მენეჯმენტის გამოწვევა

სტატიაში კონფლიქტი - ორგანიზაციული მენეჯმენტის გამოწვევა ავტორებმა განიხილეს დღეისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი კონფლიქტი – ორგანიზაციის ძირითადი გამოწვევა. ნაშრომის შესავალ ნაწილში საუბარია თანამედროვე პირობებში ორგანიზაციის მნიშვნელობაზე, აქცენტი კეთდება ორგანიზაციულ კულტურაზე. ხოლო ნაშრომის ძირითად ნაწილში საუბარია კონფლიქტისა და ორგანიზაციის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის ურთიერთმიმართებაზე. ორგანიზაციში კონფლიქტის გამომწვევ მრავალმხრივ ფაქტორებზე, ორგანიზაციული კონფლიქტების ტიპებზე, ორგანიზაციაში არსებული კონფლიქტების დადებით და უარყოფით მხარეებზე, შედეგებზე, ორგანიზაციული კონფლიქტის ფუნქციებზე და ა.შ. კონფლიქტის მმართვეის მნიშვნელობაზე პერსონალის ეფექტურად მმართვეის თვალსაზრისით. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ძირითადი თვალსაზრისები და გაცემულია რეკომენდაციები.

#### 19. გენდერული თანასწორობა თუ ფემინიზაცია – ქალი თავდაცვის მინისტრები

ნაშრომში გენდერული თანასწორობა თუ ფემინიზაცია? ევროპის ოთხი ქვეყანის ქალი თავდაცვის მინისტრების მაგალითზე, განვიხილეთ და ერთმანეთს შევადერეთ ევროპის ოთხ ქვეყანაში გერმანიას, ფინეთს, ესპანეთსა და იტალიაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები; ქალთა რაოდენობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტში; პირველი ქალი მინისტრისა და პირველი ქალი თავდაცვის მინისტრის დანიშვნის თარიღები. გამოვიყენეთ ჰოფსთიდის მასკულინური შკალის მონაცემები, შევისწავლეთ აღნიშნული ქვეყნების თავდაცვის მინისტრი ქალების ბიოგრაფიული მონაცემები და ნაშრომში გამოვყავით საერთო ნიშან-თვისებები. ეს ყოველივე დაგვეხმარა ანალიზსა და დასკვნების გამოტანაში. მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე გატარებული მრავალი დონისძიებისა (კვლევითი

სისტემა, თანასწორობის პოლიტიკა და სხვ.), გენდერული თანასწორობა ჯერ ისევ განვითარების პროცესშია, რადგან იგი არა მხოლოდ სქესთა შორის ბალანსს, არამედ ორივე მხარის მიერ გენდერული თანასწორობის პრინციპების თანაბარ აღიარებასა და გაცნობიერებას გულისხმობს. ქალთა დანიშვნა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე უკავშირდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დახვეწას. ვფიქრობთ, ეს გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც შესაძლებლობა, რომ ადამიანებს სქესის განურჩევლად თვითრეალიზაციის საშუალება მიეცეთ იზრდება და ჩვენ მიერ განხილული მაგალითები ამის ნათელი დადასტურებაა.

## II. 2. პუბლიკაციები:

### ბ) უცხოეთში

#### სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დარეჯან ცუცქირიძე/ ნინო პეტრიაშვილი	Commonly Misused Terms: War, Armed Conflict, Civil war and Military Coup D'Etat  საერთაშორისო კონფერენციის „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები, „ომი და შეიარაღებული კონფლიქტი დილემები და გამოწვევები“ კრებული (გადაცემულია დასაბეჭდად)		სახელმწიფო თავდაცვის უნივერსიტეტი, ვარშავა, პოლონეთი.	

#### ანოტაციები

დ.ცუცქირიძე - სტატიაში Commonly Misused Terms: War, Armed Conflict, Civil war and Military Coup D'Etat ავტორები საუბრობენ კონკრეტული ტერმინოლოგიის სწორად გამოყენების

მნიშვნელობაზე, საჭიროებასა და აუცილებლობაზე, რაც ძირითადად განპირობებულია ზოგჯერ ტერმინთა აღრევითა და არასწორი გამოყენებით. საკითხიდან გამომდინარე განიხილავენ შემდეგ ტერმინებს: შეიარაღებული კონფლიქტი, ომი, სამოქალაქო ომი, სამხედრო გადატრიალება. ტერმინთა ანალიზისათვის ავტორებმა გამოიყენეს კლასიკური განმარტებები. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ტერმინთა სწორი გამოყენება, სწორი კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს პრობლემის ზუსტ დიაგნოზირებას, რაც წინაპირობაა კონფლიქტის პრევენციის, დარეგულირების და ა.შ.

### III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

#### ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანა ხაზარაძე	იოანე ნათლისმცემელი და საქართველო (ქართულ და ინგლისურ ენებზე),	თბილისი 2015 11-13 ნოემბერი, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, მასალები I
2	ნანა ხაზარაძე (თანაავტორი თ.ხოხობაშვილი)	Связанные с антропогенезом религиозные верования и культурная традиция грузинского народа,(რეზიუმე რუსულ ენაზე)	თბილისი 2015 3-5 ნოემბერი, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ.სამეცნიერო კონფერენცია, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა,



			შრომები
3	ნანა ხაზარაძე	ბიბლიური მოსოხი, (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	თბილისი 2015 6 ნოემბერი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შრომები, სამეცნიერო კონფერენცია თემაზე:“საქართველოს ეკლესია, გუშინ, დღეს”
4	ნანა ხაზარაძე	ანთროპოგენეზი და გენდერის პრობლემები, (რეზიუმე ინგლისურ ენაზე)	თბილისი 2015, 23 ოქტომბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და გენდერი“-3, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამომცემლობა
5	ნანა ხაზარაძე  (თანაავტორი თ.ხოსობაშვილი)	პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი	თბილისი 2015 3-4 ივნისი, IV საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი “ მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამომცემლობა
6	ნანა ხაზარაძე	მთვარის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის ისტორიისათვის	თბილისი 2015 10-12 ნოემბერი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება, გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი

			სამეცნიერო კონფერენცია, ეთნოლოგია გუშინ და დღეს: კულტურის კვლევის პრობლემები
7	ნანა ხაზარაძე	ძველი ანატოლიის სამხედრო საქმის ისტორიისათვის	თბილისი 2015 28 ნოემბერი, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება”, სტუ ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი.
8	ნანა ხაზარაძე	“არიან ქართლი”	თბილისი 2015 26 ნოემბერი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია მიზღვნილი მანგლელი მიტროპოლიტია ანანია ჯაფარიძის წიგნის “არიან ქართლის” განხილვისადმი
9.	G. Inanishvili T. Badzoshvili B. Amaglobeli	South Caucasus in ansient metallurgical working sistem of Fore Asia (III-I millennium B. C.)  2 <sup>nd</sup> International Conferense Modern Technologies and Methods of inorganic materials science. Proceedings. Tbilisi, 2015 (132-141).	24 აპრილი, 2015 წელი, თბილისი
10	მაია ქუთათელაძე	II ფრონტის თემა „დიდი სამეულის“ შეხვედრებზე, საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ	თბილისი, სტუ 2015

		კავკასია”	
11	მაია ქუთათელაძე	წარმართული რელიგიების შესწავლის საკითხისათვის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა”	თბილისი, სტუ 2015
12	მაია ქუთათელაძე	ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი – 3”	თბილისი, სტუ 2015
13	მაია ქუთათელაძე	ერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ისტორიისათვის, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება”	თბილისი, სტუ 2015
14	ნათელა ჯორჯიკია	საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის ისტორიიდან(XX საუკუნის 40 იანი წლები)	26-27 ივნისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
15	თამარ ხოსობაშვილი	ქართლის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის ისტორიისათვის	სტუ, თბილისი 2015, 28 ნოემბერი, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება”, სტუ ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი.

16	თამარ ხოსობაშვილი	არისტოფანე და ბერძენ ქალთა ამბოხი	სტუ. თბილისი 2015, 23 ოქტომბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და გენდერი”-3, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
17	მარინე მესხია (თანაავტორი ნ.ზაალიშვილი)	“უკანასკნელი ომი” ქართველთა გმირობის ამსახველი ფურცლები	თბილისი, სტუ 2015 3-4 ივნისი IVსაერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია
18	მარინე მესხია	“შტრიხები საქართველოს დელოფლების მოღვაწეობიდან”	თბილისი, სტუ 2015 23 ოქტომბერი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და გენდერი”-3
19	ნინო ზაალიშვილი (თანაავტორი ნ.გომართელი)	ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა	თბილისი, სტუ 2015 23 ოქტომბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “მსოფლიო და გენდერი”-3
20.	დარეჯან ცუცქირიძე /ნინო პეტრიაშვილი	შეიარაღებული კონფლიქტები როგორც გამოწვევა მშვიდობისათვის (მეორე მსოფლიო ომის მაგალითზე).	საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
21	დარეჯან ცუცქირიძე /ნინო პეტრიაშვილი	„კონფლიქტი ორგანიზაციული მენეჯმენტის გამოწვევა“. მეზღვაურთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია	- საქართველო, ბათუმი, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, 24-25 ივნისი, 2015

		„თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, პიპოტეზები, კვლევები“	
22	დარეჯან ცუცქერიძე /ნინო პეტრიაშვილი	გენდერული თანასწორობა თუ ფემინიზაცია – ქალი თავდაცვის მინისტრები (ევროპის ოთხი ქვეყნის მაგალითზე), საერთაშორისო სამაცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“-3,	საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 23.10.2015
23	დარეჯან ცუცქერიძე /ნინო პეტრიაშვილი	გლობალიზაცია და მისი გავლენა შიდა პოლიტიკურ კრიზისზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“.	საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 28. 11. 2015.
<p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>1. იოანე ნათლისმცემელი და საქართველო</p> <p>ჩატარებული კვლევა-ძიებების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ პილიგრიმულ ლიტერატურაში ქართველებისათვის შერქმეული ტერმინი “იოანეს ქვეყნის ქრისტიანები” არა საქართველოს მეფეს დავით VIII-ს უკავშირდება როგორც ამას ზოგიერთი ავტორი გარაუდობდა, არამედ იოანე ნათლისმცემელს.</p> <p style="text-align: center;"><b>2. Связанные с антропогенезом религиозные верования и культурная традиция грузинского народа</b></p> <p>მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე ანთროპოგენეზთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესწავლისა და ამავე საკითხზე ქართული კულტურული ტრადიციის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ქართულ სინამდვილეში მიწისაგან ადამიანის შესაქმნის შესახებ კონცეფცია ტრანსფორმირებული სახით დღემდე შემონახული</p> <p style="text-align: center;"><b>3. ბიბლიური მოსოხი</b></p> <p>“ბიბლიის” და მასზე დამოკიდებული წერილობითი წყაროების ანალიზისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად სტატიაში ნაჩვენებია, რომ ბიბლიური მოსოხის, მოსოხენების, მესხენების, გვიანდელი კაბადოკიის ტერიტორიაზე ლოკალიზაცია სრულად პასუხობს ჰეკატე მილეტელის და ჰეროდოტე ჰალიკარნასელის თხზულებებში შემონახულ ცნობებს კაბადოკიაში, დღევანდელ ტოკატ-ყარახისარ-გიუმუშხანეს არეალში მოსხების (მესხების) განსახლების შესახებ.</p>			

4. ანთროპოგენეზი და გენდერის პრობლემები

ჩატარებული კვლევა-ძიებების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სოციალურ სქესთა უფლებათა უთანასწორობის კონცეფციის გენეზისი ანთროპოგენეზთან დაკავშირებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებშია საძიებელი.

5. პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი

ავტორის აზრით, ანტიკურ და შუასაუკუნეების სამყაროში გავრცელებული თეზა იმის თაობაზე, რომ კლიო ისტორიისა და საგმირო ეპოსის მუზა ომის დროს სდუმს 1914-1918 წლის საქართველოს ისტორიის მაგალითზე მართებული არ არის. ამ წლებში ივანე ჯავახიშვილისა და ქართველ მოღვაწეთა მიერ ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიებანი იმის მოწმობაა, რომ სწორედ ამ წლებში საქართველოში ჩაეყარა საფუძველი საისტორიო მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ახალ ეტაპს.

6. მთვარის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის ისტორიისათვის

მომხსენებლის თვალსაზრისით იეროგლიფურ ლუვიურ დამწერლობაში დადასტურებული მთვარის გამოსახულების ინტერპრეტაციისათვის საყურადღებოა, ერთი მხრით, ხათუ ხეთური მითი “ციდან ჩამოვარდნილი მთვარის შესახებ” და მეორე მხრით, შემერულ აქადური რწმენა წარმოდგენები ქვესკნელში მთვარის წარმოშობისა და ცაზე მისი აბრძანების შესახებ.

7. ძველი ანატოლიის სამხედრო საქმის ისტორიისათვის

მომხსენებლის თანახმად ძველი ანატოლიის სამხედრო საქმის რეკონსტრუქციისათვის არქეოლოგიურ არტეფაქტებთან და საისტორიო წერილობით წყაროებთან ერთად ჩვენამდე მოღწეული, სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ოთხი იეროგლიფი (სატევარი, საბრძოლო ეტილი, ლაშქრის აღმნიშვნელი იეროგლიფი, კაპარტი) საყურადღებო და გასათვალისწინებელი ინფორმაციის შემცველია. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ლუვიური იეროგლიფები პირველადაა შესწავლილი.

8. “არიან ქართლი”

მომხსენებელმა კვლავ დაადასტურა თავისი თვალსაზრისი “არიან ქართლი” ლოკალიზაციის საკითხისა და აზოს ეთნიკური ვიანობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოთქვა. ამ თვალსაზრისის თანახმად, რომელიც ქართული და უცხოური პირველადი ანალიზს ეფუძნება “არიან ქართლი” ტოკლარჯეთთან უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ხოლო აზო ამავე კლარჯეთის სამეფო კართან.

9. გ. ინანიშვილი - წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიაში უძველესი ბრინჯაოს წარმოების განვითარების ეტაპები. შესწავლილი მასალა მოიცავს ძვ.წ. III-I ათასწლეულების არქეოლოგიური არტეფაქტების ისტორიულ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგებს.

10. II ფრონტის თემა „დიდი სამეფოს“ შეხვედრებზე

გადაწყვეტილება II ფრონტის გახსნის დროისა და ადგილის შესახებ, აღმოჩნდა მსოფლიო ომის ის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელმაც პრაქტიკულად განსაზღვრა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მომავალი, მათი პოლიტიკური რეკიმიები და შეცვალა ომის შემდგომი ევროპის პოლიტიკური რუკა.

აღნიშნულ საკითხებზე ბრიტანული და საბჭოთა დიპლომატიის ინტერესთა წინააღმდეგობრივი დაპირისპირება, მოლაპარაკებების დროს კულუარებში განვითარებული პროცესები, მცდელობა დარწმუნებინათ აშშ-ს ლიდერი საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო გათვლების სისწორეში, ნათლად გამოიკვეთა თეირანის კონფერენციის მსვლელობისას. „დიდი სამეულის“ I კონფერენციას წინ უძღოდა რუზველტისა და ჩერჩილის იმავე წლის კვებეკისა და კაიროს შეხვედრები, სადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი შეეცადა ამერიკელი კოლეგა თავისი ბალკანური პროექტის უპირატესობაში დაერწმუნებინა და თეირანის კონფერენციის წინ მისი მხარდაჭერა მოეპოვებინა.

სწორედ II მსოფლიო ომის ამ საკვანძო პრობლემას ეძღვნება მოხსენება.

### 11. წარმართული რელიგიების შესწავლის საკითხისათვის

მონოთეისტური ნიშნით გამორჩეული წინაქრისტიანული რელიგიების კვლევა და მათი ქრისტიანობასთან მსგავსების ასპექტების განსაზღვრა ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიული მეცნიერების ინტერესის საგანს. საყოველთაოდ გავრცელებული წარმართული რელიგიების შესწავლისა და მათი ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ჭრილში წარმოდგენის პროცესში ფართოდ გამოვიყენეთ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული გვიანრომაული მითრიაზმი ირანული მაზდეანობის მსგავსად საკმაოდ ახლოსაა მონოთეისტურ რელიგიასთან ისევე, როგორც თვით მითრას კულტს ბევრი საერთო აქვს ქრისტესთან. ამ საკითხებს, კონკრეტულად, ქართველთა წარმართობაში მითრას კულტის არსებობის მეცნიერულ დასაბუთებას ეძღვნება აღნიშნული გამოკვლევა.

### 12. ერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ისტორიისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკური ხანის მედლების (მედალიონების) აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის გამორჩეულია მცხეთაში მიკვლეული ანტინოეს გამოსახულებიანი ბრინჯაოს მედალიონი, რომლის ანალიზი არქეოლოგიური არტეფაქტის მფლობელის სოციალური კუთვნილების შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. არანაკლებ მნიშვნელობისაა ამ უნიკალური ნივთის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მოხვედრის დროისა და გარემოებების განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული პრობლემების კვლევას ეძღვნება ნაშრომი.

### 13. ქართველი ქალები და 1832 წლის შეთქმულება

1832 წლის შეთქმულებაში ეროვნული მუხტის მიმცემი ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წევრები და მათი უახლოესი ნათესავები იყვნენ. მასალი სიმცირის გამო შეთქმულთა შორის ქალბატონების როლი ნაკლებადაა გამოკვეთილი და შესწავლილი. მონაწილეებს შორის ქალები უმცირესობას წარმოადგენდნენ, თუმცა მათი ღვაწლი და თავდადება გამორჩეულ პატივისცემას

<p>იმსახურებს.</p>
<p>14. ნ.ჯორჯიკია -მოსხენებაში განხილულია 1944 წელს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის, სტრუქტურული ერთეულების ფორმირების, კადრებით დაკომპლექტებისა და მუშაობის პირველი შედეგები, აგრეთვე ამ უწყების შექმნიდან გამომდინარე, რესპუბლიკის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრასთან დაკავშირებული საკითხები. მოხსენება ეყრდნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მასალებს.</p>
<p>15. ქართლის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის ისტორიისათვის</p> <p>სამეცნიერო ლიტერატურის და პირველწყაროების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მომხსენებელი იმ ახალ დასკვნამდე მიდის, რომ მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადატანის მთავარ მოტივაციას საფუძველად მცხეთაში დაუნჯებული უფლის კვართის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა.</p>
<p>16. არისტოფანე და ბერძენ ქალთა ამბოხი</p> <p>დიდი ბერძენი კომედიოგრაფის არისტოფანეს ორი კომედიის შესწავლის შედეგად მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიტუაციაში როდესაც ბერძენულ პოლისებს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით რეალური საფრთხე შეექმნა, ბერძენი ქალები მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოჯახშიც და საზოგადოებაშიც ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყვნენ შექმნილ სიტუაციაში თავგანწირვამდე მისულ აქტივობას ავლენდნენ.</p>
<p>17. “უკანასკნელი ომი” ქართველთა გამირობის ამსახველი ფურცლები</p> <p>ნაშრომში ქართველ ემიგრანტთა მემუარების დღიურების ჩანაწერების საფუძველზე გამოვლენილია ის ქართველი მოღვაწეები, რომელთა სახელებიც ნაკლებად ცნობილი იყო ქართულ ისტორიოგრაფიისთვის.</p>
<p>18. შტრისები საქართველოს დედოფლების მოღვაწეობიდან</p> <p>ნაშრომში, ქართული და უცხოური წყაროების საფუძველზე განხილულია სხვადასხვა ეპოქასა და ისტორიულ გარემოში მოღვაწე ორი დედოფლის მართა (ბაგრატ IV ასული) და მარიამის (როსტომ ხანის მეუღლის) ისტორია. ხაზგასმულია მათი ღვაწლი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.</p>
<p>19. ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა</p> <p>გულჩარა ბაგარტიონის ენერგიული პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად შეწყდა სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც მძიმედ განიცდიდნენ არამარტო ირან-ოსმალეთის, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებიც და კერძოდ, საქართველო. ქართველმა დიპლომატმა ქალმა დიდი წვლილი შეიტანა თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვისა და კეთილდღეობის საქმეში</p>



20. დ.ცუცქირიძე - ავტორებმა განიხილეს შეიარაღებული კონფლიქტი როგორც მშვიდობის გამოწვევა, მეორე მსოფლიო ომი, როგორც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი საკითხის ნათელსაყოფად და საილუსტრაციოდ იქნა გამოყენებული. მიმოხილვის საფუძველზე გამოჩნდა, შეიარაღებული კონფლიქტი როგორც გარდამტეხი ფაქტორი. წარმოაჩინეს რა გამოწვევები დააყენა მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიო საზოგადოების წინაშე, რასაც საბოლოოდ მშვიდობაზე ორიენტირებული საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა მოჰყვა.

